საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გ. თოგოშვილი

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801—1921 წწ.

გამოცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1969

ნაშრომში განხილულია ქართველი და ოსი ხალხების ძრა ალმხრივი ეკონომიური და კულტურული ურთიერ- ერთობის საკითხები, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მათი ერთობლივი ბრძოლა და რევოლუციური თანამეგობრობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

შესავალი

საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების ურყევი საფუძველია. იგი იშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, რომელმაც დაამხო არა მარტო ექსპლოატატორული კლასების ბატონობა, არამედ ერთი ხალხის მეორე ხალხზე ბატონობაც. მან ხალხთა ურთიერთობას საფუძვლად დაუდო თავისუფლება, თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობის სისტემაში ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას თავისებური ადგილი უჭირავს. ეს თავისებურება მდგომარეობს არა მარტო და არა იმდენად ამ ურთიერთობათა ხანგრძლივობაში (ორ ათასეულზე მეტი წელი), არამედ მათ სიმჭიდროვეში, ამ ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების მჭიდრო გადახლართვაში, მათი ისტორიული ბედის ერთობაში. ოსთა ნაწილის კავკასიონის სამხრეთ კალთებსა და შიდა ქართლის ბარის რაიონებში ქართველების გვერდით, ან მათთან შერეულად ცხოვრება განაპირობებდა ამ ხალხების ურთიერთობის ძირითად თავისებურებას. რაც შეეხება ჩრდილო ოსეთს, იგი უშუალოდ ემეზობლებოდა საქართველოს, საუღელტეხილო გზების მთელი სისტემით იყო დაკავშირებული მასთან და მჭიდრო ეკონომიურსა და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ურთიერთთან.

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორია ამ ბოლო დროს სპეციალური შესწავლის საგანი გახდა. ამ საკითხს მიეძღვნა და გამოიცა ნაშრომები „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან(უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე)", სტალინირი, 1958; „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორია (XV—XVIII სს.)," თბილისი, 1969. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მათ გაგრძელებას და მოიცავს ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან (1801 წლიდან) მის გასაბჭოებამდე (1921 წლამდე).

ნაშრომი საკმაოდ ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას (საარქივო, პერიოდული პრესისა და ლიტერატურული მასალები) ემყარება. მათი კრიტიკული ანალიზისა და არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება განსახილველ ხანაში ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის მეტ-ნაკლებად სრული სურათის შექმნა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ნაშრომი დაზღვეულია ნაკლოვანებებისაგან. ქართველი და ოსი ხალხების განსახილველი ხანის ურთიერთობის მრავალი მომენტი პირველად ხდება შესწავლის საგანი. თუ ამას დავუმატებთ მასალების სიმცირეს, ზოგჯერ ცალმხრივობას, მაშინ ნათელი გახდება ნაკლოვანებათა გარდაუვალობა. ყოველგვარ შენიშვნას თუ მოსაზრებას, გამოთქმულს ნაშრომში აღძრული საკითხების უფრო სწორად გაშუქებისათვის, ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

თ ა ვ ი 1

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XIX ს. რეფორმამდელ ხანაში

§ 1. ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი გამოსვლები თვითმპყრობელობისა და მეგატონეთა წინააღმდეგ

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებას (1801 წ.) უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კავკასიის ხალხთა, მათ შორის ოსთა ისტორიული ბედ-იღბალის განსაზღვრაში. ამ ფაქტით რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში და თანდათან იგი თავის პროვინციად აქცია. სამხრეთ ოსეთი, როგორც ქართლში შემავალი ტერიტორიული ერთეული, მასთან ერთად რუსეთის ნაწილად იქცა. ასევე ჩრდილო ოსეთიც ამ დროიდან უკვე რეალურად შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

აღმ. საქართველოში, კერძოდ სამხრეთ ოსეთში რუსული მმართველობა დამყარდა. ყველა დაწესებულებას რუსი მოხელე (უპირატესად სამხედრო წრეებიდან) ჩაუყენეს სათავეში. აღგილობრივ პირობებსა და ტრადიციებს, კანონებს არავითარი ანგარიში არ ეწეოდა. მმართველობამ იმთავითვე აიღო გეზი მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკაზე. რუსი მოხელეების თვითნებობა, მექრთამეობა, უხეშობა ენით აუწერელი იყო და მოსახლეობის ყველა ფენის აღშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევდა.

რუსული მმართველობა მძიმედ დაატყდა თავს მთის მოსახლეობასაც. არაგვისა და ქსნის ხეობების მოსახლეობა ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის დროს გარკვეული შეღავათებით სარგებლობდა — ნატურით იხდიდა გადასახადებს. ახალი რეჟიმი ამ გადასახადებს ფულად სთხოვდა, რაც მათ არ ქონდათ. გარდა ამისა, ფსინი გამოჰყავდათ ბეგარაზე საქართველოს სამხედრო გზაზე, აიძულებდნენ შეეკეთებინათ იგი, გაედოთ ხიდები, გადმოეტანათ ჯარის ამუნიცია, სურსათი და ფურაჟი მიეცათ რუსთა ჯარისათვის.

რუსული მმართველობით უკმაყოფილო, გლეხობის გარდა, იყო ქართლ-კახეთის სამეფო საგვარეულოც. მათ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს რუსული მმართველობით უკმაყოფილო ყველა ელემენტის დასარაზმავად, თავის დაკარგული ბატონობის აღსადგენად. მათი ანტირუსული საქმიანობა განსაკუთრებით აქტიური იყო ოსთა შორის. ისინი ცდილობდნენ თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ ოსთა ანტიფეოდალური ბრძოლა.

XIX ს. პირველი ნახევარი სამხრეთ ოსეთში აღინიშნა გლეხთა განმათავისუფლებელი ანტიბატონყმური ბრძოლის ნიშნით. ოსთა ეს ბრძოლა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი გლეხობის ანტიბატონყმურ ბრძოლასთან. ისინი, ფეოდალური და კოლონიური ჩაგვრის ერთნაირი უღლის ქვეშ მყოფნი, ხშირად მხარდამხარ გამოდიოდნენ იარაღით ხელში მებატონეთა და ცარიზმის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო 1802, 1804, 1807, 1809, 1812 და სხვ. წლებში[1].

რუსეთთან შეერთების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ძირითადმა მებატონეებმა — მაჩაბლებმა და ქსნის ერისთავებმა სცადეს ახალი დასაყრდენი ძალის გამოყენებით განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა ოსებზე. ქსნის ერისთავებმა სწორედ რუსების დახმარებით დაიბრუნეს ერეკლე II მიერ ჩამორთმეული მამულები. ამის საპასუხოდ ოსებმა გააძლიერეს ბრძოლა თავის მებატონეების მიმართ.

1802 წლისათვის ნათლად გამოიკვეთა ქართველი ბატონიშვილების — იულონის, ფარნაოზისა და ლევანის მიზნებიც ოსებთან დამოკიდებულებაში. როგორც გენ. ლაზარევი წერდა: „საქართველოს ქვეშევრდომი ოსები წაქეზებულნი ბატონიშვილ იულონის მიერ, რომ ის დახმარებას გაუწევს, დიდად შმაგობენ და თავისი ბატონი მაჩაბელიც კი მოკლესო"[2].

აღნიშნულის გამო 1802 წ., თებერვალში, დიდი და პატარა ლიახვისა და ფაწას ხეობაში შევიდა პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის ექსპედიცია. რომელმაც ოსები მორჩილებაში მოიყვანა. მაგრამ ამან ბატონიშვილებს ხელი ვერ ააღებინა ბრძოლაზე. 1802 წ. ზაფხულში იულონი და ფარნაოზი იმერეთიდან დაიძრნენ იმერეთისა და ლეკის ჯარებით ქართლსა და სამხრეთ ოსეთში შესასვლელად, მაგრამ რუსთა სარდლობამ ჩაუშალა ეს გეგმა.

რაც შეეხება ბატონიშვილ ლევანს, იგი რამდენიმე ხანს ოსეთში, უპირატესად ნარში, აფარებდა თავს და იქიდან რაზმავდა ოსებს რუსთა წინააღმდეგ[3].

---

[1] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX в., Сталинир, 1956, стр. 117.

[2] АКАК, I, стр. 58.

[3] საქ. ცია, ფ. 448, საბ. 9203.

ქართველი და ოსი მთიელების ერთობლივი ბრძოლა ცარიზმისა და მისი დასაყრდენი ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ქართლის მთიანეთის აჯანყებაში 1804 წელს. მასში მონაწილეობდნენ მთიულები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები და ოსები.

აჯანყების მიზეზები და მსვლელობა ლიტერატურაში გარკვეულადაა ასახული[4] და მათზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ მასში ოსთა მონაწილეობას. ვიდრე მთიულები აჯანყებას დაიწყებდნენ, თაგაურელმა ოსებმა დაიწყეს გამოსვლები რუსთა წინააღმდეგ. რუსებმა მათ საქართველოსა და კავკასიის ხაზზე მიმოსვლა აუკრძალეს, აგრეთვე აუკრძალეს დუშელ და მუხრანელ ოსებს თაგაურელებისათვის საჭირო სურსათის და საქონლის შეზიდვა[5].

ამ ღონისძიებებმა გააბოროტა თაგაურელი ოსები და იწყეს თავდასხმები რუსთა სამხედრო საგუშაგოებსა და რაზმებზე. აჯანყებულმა მთიულებმა მაშინვე სცადეს კავშირის დამყარება თაგაურელებთან, რუსებისათვის დარიალის კარების გადაკეტვის მიზნით.

თაგაურელ მებატონეთა შორის ყველაზე გავლენიანი იყო ახმეტ დუდაროვი, რომელიც ცხოვრობდა თერგის ხეობის სოფ. ჩიმში და კონტროლს უწევდა დარიალის გზას. იგი დაკავშირებული იყო ახალციხის ფაშასთან, იმერეთის მეფესთან და ტახტის მაძიებელ ბატონიშვილებთან. აჯანყებულებმა ამ მებატონის მომხრობით რუსთა ჯარის გადმოსასვლელად დარიალის გზა ჩაკეტეს[6].

აჯანყებული მთიულები 1000 კაცამდე მივიდნენ კობში. მათ შეუერთდა 100 თრუსოელი ოსი. აიღეს კობის სამხედრო საწყობი და წაიღეს სურსათი, რკინა და ტყვია[7]. თაგაურელებმა ლარსისა და სხვა სამხედრო პოსტების ბლოკირება მოახდინეს.

1804 წ. 13 ივლისს აჯანყებული მთიულები, მოხევეები, ხევსურები და თრუსოელი ოსები სტეფანწმინდაში მივიდნენ და მაიორ გაბრიელ ყაზბეგს მოსთხოვეს გადაეცა მათთვის რუსები ხაზინიანად, ხოლო თვით აჯანყებულთა უფროსობა ეკისრა. მან ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. მაშინ აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ყაზბეგის სიმაგრეს. 26 ივლისს მათ შეუერთდა ახმეტ დუდაროვი 300 ოსისა და ქისტისაგან შემდგარი რაზმით. თაგაურელმა ოსებმა და მთიულებმა დრო-

---

[4] ვ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, ქართლის მთიანეთის აჯანყება (1804 წ.), თბილისი, 1951.
[5] АКАК, II, стр. 552—553.
[6] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 54.
[7] АКАК, II, стр. 307—308.

შებქვეშ შეფიცეს ერთმანეთს, რომ რუსებს ბოლომდე გაუწევდნენ წინააღმდეგობას. 17 ივლისს ალყაშემორტყმულები დანებდნენ[8].

1804 წლის აჯანყების დროს ყველაზე ხანგრძლივი და მძლავრი იყო ლომისის მთაზე გაშლილი ოპერაცია. ლომისის მთას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა ქსან-არაგვისა და ქართლის მთელი მთიანეთის დამაკავშირებელ გზებსა და ბილიკებზე. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაზარდა იმან, რომ აქედან მთიულებს ოსებთან შეერთების საშუალება ჰქონდათ. რუსეთის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ლომისის დაკავებას, რათა აჯანყება ქსანსაც არ გადასდებოდა ვოლკონსკის აზრით, ლომისის შენარჩუნება წარმოადგენდა „ერთადერთ დაბრკოლებას აჯანყებული მთიულების ოსებთან შეერთებისა და აჯანყებაში მათი ჩაბმისათვის"[9].

აგვისტოს პირველ რიცხვში აჯანყებულთ შეუერთდა ჟამურის, ჭურთის, მუჯუხისა და ზოგიერთი სხვა თემის ოსური მოსახლეობა[10]. 9 აგვისტოს მთიულებმა, ოსებმა და ხევსურებმა ალყა შემოარტყეს ლომისის ოპერაციების ხელმძღვანელს მაიორ მელლას. მან მოსპო თავისი ქონება და დიდი ზარალის ფასად შეეცადა ალყიდან თავის დაღწევას. ლომისი აჯანყებულთა ხელში გადავიდა.

აჯანყებულებთან მივიდა ბატონიშვილი ფარნაოზი. ამან აჯანყებულებს ახალი ძალა შემატა. 1804 წ. 18 სექტემბერს ფარნაოზმა მოწოდებით მიმართა ქურთაულელ ოსებს (ჩრდილო კავკასიაში). მოწოდებაში იგი თხოვდა მათ დახმარებოდნენ თაგაურელ ოსებს და რუსის ჯარი არცერთი მხრიდან არ გაეტარებინათ. სამაგიეროდ თავისი და სპარსეთის შაჰის სახელით დიდ წყალობას ჰპირდებოდა[11].

ქურთაულელთა მომხრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყებულთათვის. საქმე ისაა, რომ დარიალის გზის გადაკეტვის შემდეგ ქურთაულზე დადიოდნენ რუსეთის კურიერები. ამავე გზით გადმოვიდა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში რიშკინის პოლკი, რომელიც ჯავახა და როკას შორის ოსებმა გაანადგურეს[12].

---

[8] იქვე, გვ. 323; ს. მაკალაია, ხევი, გვ. 56; ვ. ტოგონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 100—102.

[9] АКАК, II, стр. 319.

[10] იქვე, გვ. 326.

[11] საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. IId, საბ. 6457.

[12] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос, გვ. 132; ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით „ოვსთა იწყინეს გზისა მის გახსნა და შემოყვანება ჯარისა. მოკრბნენ ოვსნი და სრულად შეიპყრეს ოგინი", ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 94.

გენ. ციციანოვი იძულებული შეიქნა ერევნისათვის ალყა მოეხსნა და აჯანყების ჩასაქრობად ჩამოსულიყო. ჩრდილოეთიდან გენ. გლაზენაპმა შემოუტია აჯანყებულებს, აიღო ლარსი, დარიალი და ანანურამდე მივიდა.

ციციანოვმა, იმის მიუხედავად რომ ჯავის ხეობის ოსებმა მთავრობის მორჩილება იკისრეს, თვით გაილაშქრა მათზე, გადაწვა სოფ. კროჟა, დაანგრია კოშკები. ასევე სასტიკად იქცეოდა სხვა სოფლებში, მაგრამ მიზანს — რიშკინის პოლკის ჯარისკაცების დაბრუნებას მაინც ვერ მიაღწია, ოსებმა მხოლოდ ცხენები დაუბრუნეს[13]. ციციანოვს ენება ოვსთაცა ენება და აყრა, რომლისა გამო იწყეს ოვსთა სიმაგრე. მხილველი ამისი ციციანოვი ვერარას მყოფელი მუნ, უკუნ იქცა და მოვიდა ტფილისსა"[14]...

ქართლის მთიანეთის აჯანყება დამარცხდა. აჯანყების მეთაურებლევან ნაზღაიძე და დეკანოზი შიო ბურდული დიდხანს ემალებოდნენ რუსეთის მთავრობას ჟამურელ ოსებთან. რუსებმა ჟამურის სოფლები გადაწვეს. შიო ბურდული ღუდას გადავიდა[15].

ასეთი იყო სქემატურად ქართლის მთიანეთის აჯანყებაში ქართველი და ოსი მთიელების ერთობლივი ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და საკუთარ მებატონეთა წინააღმდეგ. მართალია, აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მთიელები და ოსები არ გატეხილან და შემდეგშიაც არაერთხელ გამოსულან იარაღით ხელში თავის უფლებათა დასაცავად.

ქართველ-ოსთა შეერთებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1807 წელს დიდი ლიახვის ხეობაში. ეპიდემიასთან დაკავშირებით გზებზე კარანტინები მოაწყეს, რითაც მთის სოფლების კავშირი ბარის სოფლებთან შიწყდა. ამან გამოიწვია ქართველი და ოსი გლეხობის გამოსვლა. მაიორ ზაიცოვის რაზმმა სასტიკად დაარბია ქემერტის ქართულ-ოსური მოსახლეობა[16]. რუსეთის მმართველობამ გუდოვიჩის სახით ნება დართო ლიახვის ხეობის ქართულ-ოსური სოფლების დასაკმაყოფილებლად მახლობელ სოფლებში მიეტანათ მარილი და სხვადასხვა ქსოვილები, რათა მათ შესძლებოდათ ამ საქონლის შეძენა.

1807 წ. მარტში ადგილი ჰქონდა ქართველი და ოსი გლეხობის შეერთებულ გამოსვლებს ქსნისა და ლეხურის ხეობაში. მაიორი ზაიცოვი ორი ასეული ეგერით, ერთი ზარბაზნითა და 20 კაზაკით სასწრაფოდ გაიგზავნა ლეხურის ხეობის სოფ. ქვემო ჭალაში, რათა არ დაე-

---

[13] З. Ванеев. Крестьянский вопрос..., стр. 136.

[14] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 94—95.

[15] АКАК, II, გვ. 335.

[16] საქ. ცია, ფონდი 16, საქმე 687, ფფ. 27, 36—37.

შვა ქსნის ამბოხებული ქართველი და ოსი გლეხობის შეერთება სამთავისისა და ქვემო ჭალის გლეხობასთან. ადგილობრივ მებატონეთა დახმარებით ზაიცოვმა დაამშვიდა გლეხობა[17].

1807 წ. 22 დეკემბერს 500 ოსმა მოურავ ბეგიაშვილის მეთაურობით იერიში მიიტანა მეჯვრისხევში მცხოვრებ ეროსთავზე, მაგრამ მთავრობის ჯარებმა სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ მოიგერიეს ეს იერიში[18].

1810 წ. ოსეთში მღელვარება დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო ლევან იულონის ძის საქმიანობასთან. ალექსანდრე ბატონიშვილიც წამქეზებლურ წერილებს სწერდა ჯავის ხეობის ოსებს, ასევე, სხვა ხეობის ოსებსაც მოუწოდებდა აღმდგარიყვნენ ბაგრატიონთა დაცემული სახლის აღსადგენად და წყალობას ჰპირდებოდა.

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „მეფის ძემ ალექსანდრემაცა წარავლინა ახალციხით ძმისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოს შინა, რათა მანცა შემკრებელმან ოვსთამან ბრძოს რუსთა. მისრული ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრბნენ მისთანა“[19]...

ორი ათასი ოსით 1810 წ. ივლისის ბოლოს ლევანი ოთხი დღის განმავლობაში უტევდა ცხინვალს, მაგრამ ვერ აიღო. ოსეთში ჯარი გაიგზავნა, რომელიც ორ კოლონად შეიჭრა იქ და ამბოხებულები დაამარცხა. ამბოხებულთა შორის მრავალი ქართველიც იყო. მის მეთაურებს მთავრობა სასტიკად გაუსწორდა. ლევანი იძულებული გახდა ოსეთიდან წასულიყო. ახალციხეში მიმავალი ლევანი ბორჯომის ხეობაში ლეკებმა მოკლეს.

ბატონიშვილი ალექსანდრე მაინც არ იტეხდა გულს და განაგრძობდა ბრძოლას საქართველოდან რუსთა განსადევნად და ტახტის დასაბრუნებლად. 1813 წელს მან მოწოდებით მიმართა დიდი ლიახვის, ჭვრივის, გერის, კუდაროს, თაგაურის, არაგვის, მთიულეთის, თრუსოს და სხვა ხეობათა მოსახლეობას. იგი ირწმუნებოდა, რომ დიდი ჯარითა და მომზადებით რუსებზე ლაშქრობას აპირებდა და სთხოვდა, რომ თავის მხრივ ისინიც დასხმოდნენ რუსებს. სამაგიეროდ, მრავალ წყალობას აღუთქვამდა[20]. მისი ემისრები გორჯასპი ნათალიშვილი, პაპო აბელიშვილი, ავეტიკა აფრიამაშვილი დადიოდნენ მთის რაიონებში და ალექსანდრეს დროშის ქვეშ გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს[21].

---

[17] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 56, ф. 45.
[18] ი ქ ვ ე, ფ. 55.
[19] ბ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.
[20] საქ. ცია, ფ. 1448, საბ. 9376 და სხვ.
[21] ი ქ ვ ე, საბ. 9387.

1813 წელი ამ ამბებისათვის იმიტომ იყო შერჩეული, რომ 1812 წლიდან კახეთში ადგილი ჰქონდა აჯანყებას, ქართლშიც გრძელდებოდა იგი. ბატონიშვილებმა მაშინვე სცადეს ამ აჯანყებათა თავის ინტერესებისათვის გამოყენება და ოსებისა და მთიელების სახით დამხმარე ძალას ეძებდნენ. ცნობილია, რომ ამ ავანტიურიდან არაფერი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ აჯანყებულმა კახელებმა ოსებს მხარდაჭერისათვის მიმართეს[22].

ქართველი და ოსი ხალხების ანტიბატონყმური და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, ბატონიშვილების მიტმასნების შემდეგ, კარგავდა თავის პროგრესულ მნიშვნელობას და რეაქციულ ხასიათს იღებდა.

ოსი ხალხის ანტიფეოდალური ბრძოლა არც შემდეგში შეწყვეტილა. მათ სასტიკად ახშობდა რუსეთის თვითმპყრობელობა ქართველ მემამულეთა დახმარებით. ქართველი მშრომელი გლეხობა, პირიქით, თანაგრძნობით ეკიდებოდა ოსთა ბრძოლას ბატონყმობის წინააღმდეგ.

ქართველი და ოსი გლეხობის ანტიბატონყმური ბრძოლა იყო რუსეთის გლეხობის იმ ბრძოლის ნაწილი, რამაც მეფის მთავრობა აიძულა საგლეხო რეფორმა გაეტარებინა.

XIX საუკუნეში თვითმპყრობელობისა და მებატონეთა წინააღმდეგ ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი გამოსვლების გარდა, ადგილი ჰქონდა მათ ერთობლივ ბრძოლებსაც გარეშე მტრების წინააღმდეგ. XIX ს-ში რუსეთს არა-ერთხელ დასჭირდა ირანსა და თურქეთთან ომში ჩაბმა. ეს უკანასკნელნი საქართველოს რუსეთთან შეერთებაში ხედავდნენ საფრთხეს კავკასიაში თავის ბატონობისადმი და ამ საფრთხის ლიკვიდაციისათვის თავს არ ზოგავდნენ. ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხები ამ ბრძოლაში რუსეთს ამოუდგნენ მხარში. ქართველები ამ ბრძოლას უკავშირებდნენ თავისი ისტორიული მიწა-წყლის განთავისუფლებისა და მათ ისტორიულ მტრებზე შურისგების იმედს.

1826 წ. შეიქმნა ქართული მილიცია. მასში სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა საზოგადოებების წარმომადგენლები მრავლად მონაწილეობდნენ. მილიციის ნაწილები ფრონტის სხვადასხვა უბნებზე წარმატებით იბრძოდნენ ჯერ ირანის, შემდეგ კი თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად.

1831 წ. შექმნილ ქართულ ქვეით რაზმში მშვიდობიან დროს 30—40, ომის დროს კი 500-600 ოსი ერთიანდებოდა. რაზმი კავკასიის ყვე-

---

[22] АКАК, V., стр. 63.

ლა ომში მონაწილეობდა და გიორგის დროშით დაჯილდოვდა[23]. ყირიმის ომის დროს ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსთა რაზმები იცავდნენ საქართველოს სამხრეთ საზღვრებს, მონაწილეობდნენ საქართველოს მიწა-წყლის თურქთაგან განთავისუფლებაში. 1853 წ. ნარის უბანში შეგროვდა 400 ცხენოსანი ოსი. მათ დიდად გამოიჩინეს თავი ახალციხესთან, ჩოლოქთან (1854 წ.) ბრძოლაში, ყარსის ციხე-სიმაგრის ალყის დროს (1855 წ.).

მრავალი ოსი მონაწილეობდა ქართველებთან ერთად რუსეთ-თურქეთის (1877—78 წწ.) ომში საქართველოს სამხრეთი რაიონების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში[24]. ეს ერთობლივი ბრძოლა კიდევ უფრო განამტკიცებდა ქართველთა და ოსთა ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობას.

§ 2. ეკონომიური ურთიერთობა

ჩრდილო კავკასიის ხალხებთან საქართველოს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ეკონომიკის სფეროში ეს ურთიერთობა ვლინდებოდა გაცვლა-გამოცვლაში, რომელიც კონკრეტულ-ისტორიული პირობების ხელსაყრელობის მიხედვით ან ფართო ხასიათისა იყო, ან შედარებით შეზღუდული.

საქართველოს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ეკონომიური ურთიერთობის სისტემაში ყველაზე გამოკვეთილი, სისტემატური და შეიძლება ითქვას, მჭიდრო იყო ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობა. ეს მნიშვნელოვნად გაპირობებული იყო ამ ხალხების გეოგრაფიული განლაგებით. ცნობილია, რომ XIX ს. ოსები კვლავ ცენტრალური კავკასიის მთიანეთის ორივე მხარზე ცხოვრობდნენ. ჩრდილო ოსები აღმოსავლეთიდან დასავლეთით ცხოვრობდნენ თაგაურის, ქურთათის, ალაგირისა და დიგორიის საზოგადოებებში, რომლებიც თავის მხრივ მდინარეთა მეტ-ნაკლებად ფართო ხეობა-აუზებს წარმოადგენდნენ. ოსური მხოლოდ XIX ს. 30-იანი წლებისათვის სახლდებიან ჩრდილო კავკასიის მთისწინა ველებზე. ოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, საქართველოს მთიანეთში, მდინარეების დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის, ქსნისა და არაგვის ხეობებში, თრუსოში, მდ. ჯეჯორაზე, ფრონეზე, აგრეთვე ნარ-მამისონის აუზში. ეს უკანასკნელი დიდ ხანს, ადმინის-

---

[23] საქ. ცია, ფ. 1087, ს. 797, ფურც. 1; И. Н. Цховребов, Осетины на военной службе в русской армии в XVIII—XIX веках. Изв. ЮОНИИ, т. XII. 1963, стр. 29.

[24] დასახ. ნაშრ., გვ. 30—33.

ტრაციული თვალსაზრისით, თბილისის გუბერნიაში შემოდიოდა და, როგორც წინათ, მისი ეკონომიური ინტერესებიც სამხრეთისაკენ იყო მიმართული.

ჩრდილო ოსეთის ყველა საზოგადოება, ნარ-მამისონის აუზის მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთის თვით უკიდურესი ჩრდილო რაიონები გზა-ბილიკების მთელი სისტემით იყო დაკავშირებული საქართველოს პართან, მის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან.

ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შეეჩერდებით ჩრდილო ოსეთის სამხრეთ ოსეთსა და საქართველოსთან დამაკავშირებელ ისეთ საუღელტეხილო გზებზე, როგორიცაა საქართველოს სამხედრო გზა, ოსეთის სამხედრო გზა თავისი ორი განშტოებით — მამისონისა და როკის უღელტეხილებზე რომ გადმოდიან, ზეკარის, ძედოს, ბახფანდაგისა და ობის გადმოსავალ გზებზე. მათ შესახებ სხვაგანაც გვქონდა საუბარი. ამჯერად, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ იმ შინაგანი გზა-ბილიკების სისტემა, რითაც სამხრეთ ოსეთის მთიანი რაიონები დაკავშირებული იყო საქართველოს სხვადასხვა (უპირატესად ბარის), რაიონებთან, მოვიყვანთ ზოგიერთ მარშრუტს (ამ მარშრუტებით შეეძლოთ ესარგებლათ ჩრდილო ოსებსაც, რომელთაც კავკასიის სამხრეთ კალთებთან საუღელტეხილო გზები აკავშირებდა).

როკიდან (აქ საუღელტეხილო გზა გადმოდის არდონის ხეობიდან) სბის მთით თრუსოში ჩადის გზა. მთავარი გზა კი დიდ ლიახვს მოჰყვება და ქართლის ცენტრს უკავშირდება.

ურსთუალთა (ქართულად — მაღრანდვალეთი) გარესამყაროს შემდეგნაირად უკავშირდებოდა:

ზღუბირი-ედისი-ხოჯი (ან გალუათა)-ყადლასანი-ფცაგისარი-თრუსო-საქართველოს სამხედრო გზა;

ერმანი-ნილლაგ ხოხი-გნუღი-საქართველოს სამხედრო გზა;

ედისი-როკა-ზაყყა-ყადლასანი-თრუსო (კობი)-საქართველოს სამხედრო გზა;

ედისი-ერმანი-ყელის ტბა-ქსნის ხეობა- { ლომისა-მლეთი; ახალგორი;

ედისი-ბრიტათა-გუდისი-წრუ-ყურიათი-ვანათი.

ყამურიდან გზა-ბილიკები გადადიოდა ერმანში (ყელის ტბით), გნუღში (ბისუეთის მთით), ჭურთაში (სუარიხოხით), მლეთაში (საუმასიგის მთით). ცხრაძმის ხევიდან გზა გადადის არახვეთში (მთიულეთში) მუჯუხისა და კურკუტოს მთებით.

უკანუბნიდან ფასანაურსა და ნაღვარევში (მთიულეთი) მიდის ცხენის გზა. ქსნის ხეობიდან ლეხურის ხეობაში რამდენიმე გზა გადა-

ღის: გარუბნიდან ცხილონ-ქარტისში, ბეჟანტყევიდან-მონასტერში. ლენინგორიდან გეხავ-წირში, ყანჩავეთიდან — არმაზში.

მოსაბრუნის ხევით ქსნის ხეობიდან გზა გადადის ძეგლიეში, სალბიეურში, დუშეთში; იკოთიდან-ტონჩაში (დუშეთის რაიონი).

აწრისხეობა (პატარა ლიახვის სათავეში) გნულის მთითა და ყელის ტბით. ერმანს უკავშირდება. ამ გზის ერთი განშტოება ბისუეთის ხეობასთან გაიყოფა და ჟამურში ჩადის, საიდანაც ქსნისა და არაგვის ხეობები, ქართლი უკვე ადვილად მისაწვდომია.

ქვემო ზონკარიდან კორკოტას ხევით და ბენდერით, ერთი მხრივ. ახალგორს (ლენინგორს), მეორე მხრივ, ბიყარსა და მეჯვრისხევს უკავშირდებიან.

სოფ. აწრისხევიდან შემდეგი მარშრუტები მიიმართება:

აწრისხევი-წრიას ხევი-ვილდა-ისროლის ხევი-ქსანი;

აწრისხევი-წრიას ხევი-ვილდა-ბიყარი-მეჯვრისხევი;

აწრისხევი-ბენდერი-არკინარეთი-ღრომი-მეჯვრისხევი-ტირიფონა.

არის სხვა მარშრუტიც:

სოფ. წიფორი-წიფორის მთა-შამბიეთი-ხაჩირაანი-ტეხაანი-ბისუეთი-ჟამური-მლეთი.

ღვრიის ხევი-გუდისი და მერმე სხვადასხვა მიმართულებით მიდის.

ამათ გარდა. უამრავი გზა-ბილიკია, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ბოიან რაიონებს უკავშირებენ ერთმანეთს და ქართლის ბარის რაიონებს. დასავლეთ საქართველოს მიმდგომი ოსური მოსახლეობა გზებისა და ბილიკების მთელი სისტემით იყო დაკავშირებული მასთან. ამიტომაც ოსების ბარისაგან მოწყვეტაზე ლაპარაკი მხოლოდ შედარებითი თვალსაზრისით შეიძლება.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ გზა-ბილიკებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახლაც ურიერთთან, განსაკუთრებით კი ბართან ეკონომიური კავშირისათვის, მიაჩნიათ, რომ ამ ეკონომიური ურთიერთობის გარეშე მთაში ცხოვრება შეუძლებელია. ამ გზით ხდებოდა არა მარტო საქონლის გაცვლა-გამოცვლა, არამედ საზამთროდ პირუტყვის ბარის რაიონებში — კვერნაქზე (ნადარბაზევი), აღაიან-მუხრანში, ტირძნისში და სხვაგან გადარეკვა.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიური ურთიერთობა ქართველებთან XIX ს. პირველ ნახევარში (უფრო ადრეც და შემდგომაც იგივე მდგომარეობა გვეგულება) თავისი ხასიათით იყო მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობა, ერთი ეკონომიური მთელის ცალკეული ნაწილების ურთიერთობა. ამ ურთიერთობაზე ეთნიკური მომენტის გავლენა სავსებით უნდა გამოვრიცხოთ. ოსეთის, ასევე ჩრდილო ოსეთის საქართველოს ბართან ურთიერთობას განაპირობებდა განსხვავებული

ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო პირობები, მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობის აუცილებლობა.

ოსების საცხოვრებელი ტერიტორია, თავისი მთაგორიანობის გამო, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არახელსაყრელი იყო. საკუთარი მოსავალი მთიელებს სრულებითაც არ აკმაყოფილებდა. ამის გამო, ისინი ბარზე იყვნენ დამოკიდებული. აქ შედარებით უკეთესი პირობები იყო მესაქონლეობისათვის, მაგრამ სათიბ-საძოვრების სიმცირე არც მესაქონლეობის ფართოდ განვითარების შესაძლებლობას ჰქმნიდა. მაგრამ ეს მაინც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მეცხოველეობის პროდუქტების სახით, ბართან ეკონომიურ ურთიერთობაში გასაცვლელი ეკვივალენტი ჰქონოდათ.

ასეთ სამეურნეო პირობებში მყოფ ოსებს, ისევე როგორც სხვა მთიელებს, სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ ბართან ურთიერთობა. ამ აუცილებლობას კარგად გვიჩვენებს აკად. ივ. ჯავახიშვილის ნათქვამ: მთისა და ბარის ურთიერთობის შესახებ: „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი. ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან. ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა“[25].

ივ. ჯავახიშვილის ამ დებულების ბრწყინვალე ილუსტრაციაა ის მრავალრიცხოვანი გზა-ბილიკები, რომლებიც ოსეთის სხვადასხვა რაიონს ქართლ-იმერეთის ბართან აკავშირებდა და რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მთიელთა ბარზე დამოკიდებულების შესანიშნავი დოკუმენტური ასახვაა გუდამაყრელი მთიელების საჩივარი გუდოვიჩისადმი 1807 წელს, სადაც, ეხებიან რა იმ დაბრკოლებებს, რაც ბართან მათ ურთიერთობას შეექმნა, აღნიშნავენ: „თუ ბარიდან არა შევიტანეთ რა, რით ვიცხოვროთ“[26].

ბარზე ეს ეკონომიური დამოკიდებულება მთიელთა, ამ შემთხვევაში ოსთა პოლიტიკური დამოკიდებულების საფუძველიც იყო. ჯერ კიდევ ვახუშტი აღნიშნავდა, რომ ოსებს ბევრი რამ საჭირო არა აქვთ და მათ ქართლიდან, რაჭიდან და ჩერქეზიდან (ყაბარდოდან) შეაქვთ.

---

[25] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილისი, 1930, გვ. 317.

[26] АКАК, III, 1869, стр. 108.

„ამისთვსცა მორჩილებენ თვს თვსთა მჯარეთა და კეალად უმეტესად საზრდელთათვსცა“[27].

1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. ამ გარემოებამ ოსთა ცხოვრების ყველა მხარეს ღრმა კვალი დაამჩნია. ჩრდილო ოსეთი, დაწყებული 1774 წლიდან, მჭიდრო ურთიერთობაში შევიდა რუსეთთან, შეუერთდა მას, თუმცა, ეს საბოლოოდ მაშინვე არ ვაფორმებულა და მხოლოდ XIX ს. 30-იანი წლებისათვის დამთავრდა ეს პროცესი. სამხრეთ ოსები 1801 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ორგანული ნაწილი. და თუ სამხრეთ ოსების საქართველოსთან ეკონომიურ ურთიერთობაში არსებითი ხასიათის ცვლილება არ მომხდარა. ჩრდილო ოსების ქართველ ხალხთან ეკონომიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საქმე ისაა, რომ ჩრდილო ოსები რუსეთთან შეერთების შემდეგ ენერგიულად სახლდებოდნენ ველზე. ეს განსაკუთრებით გაფართოვდა 20—30-იან წლებში. ამან მარცვლეულის დარგში ოსთა საქართველოს ბარზე დამოკიდებულება შესცვალა ჩრდილო კავკასიის ბარზე დამოკიდებულებით. იქ არსებულ რუსული ციხე-სიმაგრეები. განსაკუთრებით ვლადიკავკავი, მოზდოკი და სხვა, იქცევიან იმ ცენტრებად, სადაც ჩრდილო ოსები იკმაყოფილებდნენ თავის ეკონომიურ მოთხოვნილებებს.

ვლადიკავკავი XIX ს. 30-იანი წლებისათვის უკვე მნიშვნელოვანი საავჭრო ცენტრი შეიქმნა, სადაც ფართოდ საღდებოდა რუსული საქონელი. პ. ზუბოვის ცნობით, ვლადიკავკავის დუქნებში იყო ყოველგვარი საჭირო საქონელი და ფუფუნების საგნებიც. 40-იანი წლებისათვის მთიელები იქ ყიდულობდნენ ჩაის, შაქარს, ფუფუნების საგნებს — ქალის სამკაულს, ლამაზ ზანდუკებს და სხვ[28].

მსგავსი ურთიერთობა ოსებისა მყარდებოდა ჩრდ. კავკასიის სამხედრო ხაზის სხვა პუნქტებთანაც. ასე, რომ ჩრდილო ოსების ძირითადი ნაწილი თანდათან მოწყდა ქართლის ბართან ურთიერთობის აუცილებლობას და მისი ეკონომიური ინტერესები ძირითადად ჩრდილოეთით წარიმართა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საქართველოსთან ჩრდილო ოსებს არავითარი ეკონომიური ურთიერთობა არ ჰქონდათ. ეს ურთიერთობა არსებობდა, ოღონდ თანდათან სხვა ხასიათს იღებდა. იგი მოიცავდა ჩრდილო ოსეთის მთიანი რაიონების მოსახლეობას, რომლებიც ქართლისა და რაჭა-იმერეთის საბაზრო ცენტრებთან კავშირს არ წყვეტდნენ და თავის პროდუქციას ყიდდნენ ან სცვლიდნენ იქ.

---

[27] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 111.

[28] История Северо-Осетинской АССР, 1959, стр. 170.

სურსათის მხრივ ოსთა ბარის რაიონებზე დამოკიდებულება იმდენად ძლიერი იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება, ოსთა წინააღმდეგობის გასატეხად, მიმართავდა ბარიდან მისთვის სურსათის მიღების შესაძლებლობის მოსპობას, როგორც ეფექტურ ეკონომიურ სანქციას. გენერალი ტუჩკოვი ვახტანგ ბატონიშვილის 1802 წლის ამბოხებაში თაგაურელ ოსთა მონაწილეობის აღკვეთის ღონისძიებად სახავდა მათზე მარცვლეულის მიყიდვის აკრძალვას[29].

1804 წ., ქართლის მთიანეთის აჯანყებასთან დაკავშირებით, თაგაურელ ოსთა გამოსვლების პასუხად გენერალმა პ. ციციანოვმა განკარგულება გასცა «запереть в Грузию Тагаурцам дорогу, а Моздокскому коменданту предписать, чтобы всех тагаурцев, кроме Ларского, не пускать»[30].

1804 წელს იგივე ციციანოვი აღმასრულებელ ხელისუფლებას სწერდა, რომ მან მაიორ ყაზბეგს მოსთხოვა, თაგაურელი ოსები არ გამოეშვა საქართველოში. ამ აკრძალვის მიუხედავად მუხრანელი და ფიოშელი ოსები მიდიან თაგაურში და მათთვის საჭირო საქონელი მიაქვთ. იგი მოითხოვს, რომ, რათა ღონისძიება ეფექტური იყოს, ოსები არც აქედან გაუშვან იქით[31].

ამ ფაქტებიდან კარგადა ჩანს, რომ რუსეთის ხელისუფლები კარგად გრძნობდნენ მთიელების ბართან ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობას და ამ გარემოებას იყენებდნენ მთიელთა დასამორჩილებლად ცენტრალური ხელისუფლებისადმი. 1804 წ., 26 ოქტომბერს, თაგაურელების მიმართ ბრძანებაში, ციციანოვი მათგან სიმშვიდეს და მორჩილებას მოითხოვდა, სამაგიეროდ, აღუთქვამდა დარიალის გზაზე მიმომსვლელთაგან ბაჟის აღების ნებართვას, რუსეთის ქვეშევრდომებთან გათანაბრებას და მოზდოკსა და თბილისში მარცვლეულისა და სხვა საჭირო საქონლის დაუბრკოლებლივ შეძენის უფლებას[32].

ასეთივე პირობას აძლევს გენერალი ნესვეტაევი თაგაურელ სტარშინებს 1804 წ. 26 სექტემბერს. თუ რუსთა მიმოსვლას დარიალის გზაზე ხელს არ შეუშლით, ბაჟსაც აიღებთ ძველებურად და მოზდოკსა და თბილისშიც დაუბრკოლებლად გატარებთო[33].

ოსთა ეკონომიური ბლოკადის პოლიტიკა, მათ მორჩილებაში მოსაყვანად, ცარიზმის აღმოჩენა არ იყო. სამხრეთ ოსების მიმართ

---

[29] АКАК, I, стр. 271.
[30] АКАК, II, стр. 552.
[31] АКАК, II, стр. 552—553.
[32] АКАК, II, стр. 555.
[33] АКАК, III, стр. 213.

ამას ადრიდანვე მიმართავდნენ ქართველი ფეოდალები — მაჩაბლები, ერისთავები და სხვ. ცარიზმმა ამ პოლიტიკას უფრო დასრულებული სახე მისცა, იგი სამხედრო ძალებით განამტკიცა.

მაგრამ ეკონომიური ბლოკადის პოლიტიკას მისი გამტარებლისათვის ხშირად საწინააღმდეგო შედეგი მოჰქონდა. ცალკეულ ფეოდალებისადმი ოსები ინდივიდუალური თუ კოლექტიური ტერორის გზას მიმართავდნენ, ცარიზმის წინააღმდეგ კი ჯანყდებოდნენ. 1807—1808 წწ. სამხრეთ ოსეთში მღელვარების მიზეზი იყო ოსთათვის (ნაწილობრივ ქართველი მთიელებისათვისაც) კარანტინთან დაკავშირებით ქართლის ბარის სოფლებთან მიმოსვლის აკრძალვა. ამ ღონისძიებამ გააძნელა ოსთა სასურსათო მდგომარეობა და აჯანყება დაიწყო.

გრაფი გუდოვიჩი 1808 წ. 2 აპრილს, ასვერდოვისადმი განკარგულებაში წერდა, რომ «причиною их возмущения было то, что по случаю оказавшейся между осетинскими деревнями заразительной болезни было запрещено сим деревням всякое сообщение с Карталинниею, отколь они получили жизненные припасы и другие потребности». ახლა რაკი გადამდები სენი აღარაა ხელს ნუღარ შეუშლით მიმოსვლაში, ხოლო ახლო სოფლებში მიიტანეთ მარილი, ტანსაცმელი და სხვა ნივთები, რათა იყიდონო[34].

მანამდე გუდოვიჩი თავის პროკლამაციაში არაგვის, ჯავისა და ჭვრავის ხეობის ოსებისადმი აცხადებდა, რომ «позволяю вам во всякое время ездить в Грузию для покупки соли и прочих потребностей, но только по билетам, для получения коих имеете явиться к ближайшему воинскому начальнику, которые и будет давать он до Гори, а оттоль, буде нужно кому далее проехать, получит уже от Горийского окружного начальника...»[35].

როგორც ვხედავთ, ოსთა მასობრივი ბლოკადის ცარიზმის პოლიტიკა ხშირად საწინააღმდეგო შედეგებს იღებდა. ამის გამო, წესად შემოიღეს ძველებური სიგელების (რომლებიც ქართლში თავისუფალი მიმოსვლის უფლებას აძლევდა ცალკეულ ოსებს) მსგავსად, ბილეთების გაცემა კეთილსინდისიერად მიჩნეულ, ანუ ისეთ ოსებზე რომლებიც მებატონეებისა და ცარიზმის წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ.

ამ ნაშრომში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ოსი ხალხის ეკონომიური ცხოვრების სრული სურათის წარმოდგენას, არც რუსეთთან საქართველოსა და ოსეთის შეერთების ეკონომიური შედეგების განხილვას.

---

[34] АКАК, III, стр. 218.
[35] АКАК, III, стр. 214.

ერთსაც და მეორესაც მხოლოდ იმ ზომით შევეხებით, რა ზომითაც ისინი გავლენას ახდენდნენ ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიურ ურთიერთობაზე.

საქართველოს და, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის შეერთებას რუსეთთან, საქართველოსა და კავკასიის ხალხებში ეკონომიკის სწრაფი ცვლილებები არ გამოუწვევია. რეფორმამდელ ხანაში წვრილ სასაქონლო მეურნეობასთან ერთად, ბატონობს ნატურალური მეურნეობა. მაგრამ საქართველო და კავკასია, საერთოდ, მაინც ექცევა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების საერთო ფერხულში.

XIX ს. პირველ სამ ათეულ წელს ცარიზმის წინაშე იდგა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანა — დამკვიდრებულიყო ამიერკავკასიაში, მოეგერიებინა თურქეთ-ირანის აგრესია. ეკონომიური პოლიტიკის საკითხი — გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ მისი გადაქცევა, ჯერ დღის წესრიგში არ იდგა. რა თქმა უნდა, ეკონომიურ საკითხებსაც ექცეოდა ყურადღება, მაგრამ უმნიშვნელო ზომით[36].

ფეოდალურ სამფლობელოთა ეკონომიური და პოლიტიკური განკერძოებულობის ლიკვიდაციამ, შინაბრძოლების მოსპობამ, სამიმოსვლო გზების (დარიალის და სხვ.) მშენებლობამ, კასპიისა და შავ ზღვაზე ნაოსნობამ, გამოიწვია ვაჭრობისა და სასაქონლო წარმოების ზრდა.

ფეოდალური დაქუცმაცებულობა, შინაგანი ბაჟები ხელს უშლიდა ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებას. პ. ციციანოვმა გააუქმა ისინი, მაგრამ 1807 წ. გუდოვიჩმა ისევ აღადგინა, რითაც თბილისელ ვაჭართა საჩივარი გამოიწვია[37].

რუსეთის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობდა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ერმოლოვი 1818 წლის 19 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრს სწერდა, რომ მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვის გარეშე ადგილობრივი მოსახლეობა გვიან შესძლებს საქართველოში არსებული პოლიტიკური და ფიზიკური უამინდობიდან აყვავებულ მდგომარეობაში გადასვლას[38].

მთავრობის მხრიდან ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების ღონისძიება იყო 1822 წელს შეღავათიანი ტარიფის შემოღება 10 წლით. ამან ევროპული საქონლის მოზღვავება გამოიწვია. მაგრამ ასეთ ღონისძიებებს წარმატება არ ჰქონდათ არახელსაყრელი შინაგანი რეჟიმის გამო.

---

[36] З. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 30.
[37] З. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 30.
[38] АКАК, т. VI, ч. I, стр. 256.

თურქეთ-სპარსეთთან ომებში რუსეთის გამარჯვებათა შედეგად კავკასიაში ცარიზმმა თანდათანობით წინაპლანზე წამოსწია ეკონომიური საკითხები. დაიწყო სათანადო ღონისძიებების გატარება მისი რუსეთის მრეწველობის ბაზრად და ნედლეულის წყაროდ გადასაქცევად პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებით. ფინანსთა მინისტრი კანკრინი, მთავარმართებელი პასკევიჩი ა/ კავკასიას განიხილავდნენ როგორც რუსეთის კოლონიას[39].

საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩანასახები ჩნდება 40—50-იან წლებში, იხსნება ახალი ფაბრიკა-ქარხნები.

სოფლის მეურნეობაშიც ხდება გარკვეული ძვრები — ადგილი ჰქონდა ცალკეული მეურნეობების რაციონალიზაციის ცდებს. ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის განვითარებასაც.

რა თქმა უნდა, ეკონომიური პროცესი უფრო შესამჩნევი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, ფეოდალიზმი რომ არ ყოფილიყო ამ გზაზე აღმართული. ამ პერიოდში ფეოდალიზმის ეკონომიურ საფუძველს ცვლილებები არ განუცდია. მთავარმმართებელი როზენი შეთანხმებას ეძებდა ქართველ თავადაზნაურობასთან, ვორონცოვმა კი მთლიანად აიღო ხელი გლეხთა ინტერესების რაიმე დაცვაზე (1845 წ. 28 აგვისტოს კანონი მებატონეებს ათავისუფლებდა დოკუმენტურად დაემტკიცებინათ თავისი უფლება ყმა გლეხებზე[40]).

ამიერკავკასიის საერთო ეკონომიური განვითარების ტენდენცია გარკვეულ გავლენას ახდენდა მთის ისეთ მოწყვეტილ რაიონებზეც, როგორიც ოსეთი იყო.

განსახილველ ხანაში სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ რუსეთთან და ზოგ სხვა ქვეყანასთან, ფეოდალური კლასის მოთხოვნილებანი გაზარდა. ამან გამოიწვია ფეოდალური ექსპლოატაციის დამძიმება. ფეოდალები ემყარებოდნენ რუსეთის ცარიზმის ხიშტებს და უწყალოდ ყვლეფდნენ თავის ყმებს. მაჩაბლები, ერისთავები თავის ბატონობის გავრცელებას აპირებდნენ შორეულ ხეობებში დასახლებულ ოსებზეც, რომლებიც ფხიზლად იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას. ამის მაგალითია ის მრავალრიცხოვანი აჯანყებანი, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ XIX ს. მთელი პირველი ნახევრის მანძილზე.

განსახილველი ხანის ოსეთში — მის მთიან რაიონებში (ასეთი კი უმრავლესობა იყო) დამახასიათებელი მოვლენა სოფლის მეურნეობისათვის იყო მცირე მიწიანობა. მთაგორიანი ადგილები გამოუსადეგარი

---

[39] З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 31.

[40] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии в феодально-крепостническую эпоху (1800—1934 гг.), Изв. ЮОНИИ, VII, Сталинир, 1955, стр. 51.

იყო მიწათმოქმედებისათვის. პატარა ნაკვეთები, რომელთაც ბუნებასთან სასტიკ ბრძოლაში ჰქმნიდნენ, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას მარცვალზე. მიწა უაღრესად ძვირი იყო. მიწა, რომელიც დაიტევდა ხარს — ღირდა ხარი, ერთი დღის სახნავი მიწა — 108 ძროხა[41].

მაღალმთიან ზონაში ითესებოდა ქერი. მიწას ხნავდნენ ძ;ბერ-ით, მთისპირეთში პატარა გუთნით, რომელშიც სამი უღელი ხარი ება. ველზე — დიდი გუთნით, რომელსაც ქართულ გუთანს უწოდებდნენ და რომელშიც 7—8 უღელი ხარ-კამეჩი ება. პატარა გუთნით და კავით ერთი დღის ნახნავი იანგარიშებოდა 1/4 დესეტინად, დიდი გუთნით ნახნავი — 1/2 დესეტინად[42].

ცარიზმის მიერ კავკასიაში გატარებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის გამოსაცოცხლებლად ოსებზე საკმაო გავლენას ვერ ახდენდა, რამდენადაც იგი ამ ღონისძიებათა მიღმა რჩებოდა. საქართველოში იყო საჩვენებელი მეურნეობები, ადგილი ჰქონდა ცალკეულ მემამულეთა ცდებს მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ოსეთში ასეთ რამეს ვერ ვხედავთ. ამაში დამნაშავე, პირველ რიგში, ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები იყო (სამიწათმოქმედო ბაზის შეზღუდულობა, არახელსაყრელი კლიმატური პირობები, დაშორებულობა ცენტრიდან).

XIX ს. ოსეთის მეურნეობა ნატურალური რჩებოდა. ეს განაპირობებდა კუსტარულ-საოჯახო წარმოების გავრცელებას. საოჯახო — კუსტარული წარმოება აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას სამუშაო იარაღებზე, სამეურნეო ინვენტარზე, საოჯახო ჭურჭელზე. ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და სხვ.

ლითონისაგან ამზადებდნენ კერაზე ჩამოსაკიდებელ ჯაჭვებს (რ;ხგს), იარაღს, საჭურველს, სამუშაო ინვენტარს.

ხისაგან — გუთნის ხის ნაწილებს, კევრებს, მარხილებს, უღლებს. ორთითებს, ფოცხებს, საოჯახო ჭურჭელსა და ავეჯს — თასებს, კოვზებს, ჯამებს, გობებს, ვარცლებს, სადღვებლებს, კასრებს, სკამებს, მაგიდებს, ტახტებს, სავარძლებს და სხვ. ქვისაგან — ხელსაფქვავებს და წისქვილის ქვებს, საფლავის ქვებს და სხვ.

ყვილაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გამოყენებული იყო მატყლის წარმოება. მისგან ამზადებდნენ შალს, ნაბდებს, თექას, წინდებს, ყაბალახებს, თავსაბურს, ხალიჩებს. თხის ნაზი ბეწვიდან ამზადებდნენ მაღალხარისხოვან შალს „თინთიჭის“ (თივთიკს), რომელზედაც დიდი

---

[41] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии... стр. 60.
[42] З. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 39.

მოთხოვნილება იყო და რომლის ნაჭერი ჩვეულებრივ შალზე 2—3-ჯერ ძვირი იყო.

განვითარებული იყო ტყავის დამუშავებაც.

სამხრეთ ოსები, ისევე როგორც სხვა მთიელები, ბარზე დამოკიდებული იყვნენ საზამთრო საძოვრების მხრივაც. სამხრეთ ოსებს ხშირად ეყენათ საქონელი მუხრანის ველზე, აღაიანში, გორის მაზრაში (ყვერნაქის მთა). ამიტომაც პოლკ. ახვერდოვი 1808 წ. გრაფ გუდოვიჩს სთავაზობს, რომ ქსნის მოსახლეობის დასასჯელად, რომელიც არც თავის ბატონებს არც საერობო პოლიციას არ ემორჩილებოდა, აეკრძალათ ბარის სოფლებთან ურთიერთობა, ხოლო რაც მუხრანის ველზე და გორის მაზრაში პირუტყვი ეყენათ, ჩამოერთმიათ[43].

სამხრეთ ოსებს ბაზართან დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ კავშირი. ისინი თავის მეურნეობის — უპირატესად მესაქონლურის პროდუქტებს ან პირდაპირ ცვლიდნენ ქართლის ბარის სოფლებში პურზე, მარილსა და სხვა საქონელზე, ან ჰყიდდნენ საბაზრო ადგილებში და მერე მათთვის საჭირო საქონელს იძენდნენ.

რუსეთის მოხელე ჩილიაევი (ვილაშვილი) 1827 წ. წერდა, რომ მთიულ-მოხევეებსა და თრუსო-არაგვის ოსებს არ ჰყოფნით საკვები და ხალხი ყოველწლიურად ყიდულობს პურს საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ვლადიკავკაკის მხარეში, ნაზრანში[44]. ამ ცნობას ამაგრებს გრაფ პასკევიჩის 1830 წლის ჩანაწერი ოსების შესახებ, რომ ისინი «хлебопашеством занимаются только для своего годового пропитания; но часто такового не достает до нового урожая и потому покупают хлеб у живущих на плоскости, оттуда же получают и соль»[45].

რა იყო თრუსოელ და არაგველ ოსთა ბართან სავაჭრო-გაცვლითი ეკვივალენტი, კარგად ჩანს 1827 წ. აღწერილობიდან. მასში ნათქვამია, რომ თრუსოს და არაგვის ოსები «занимаются овцеводством... из шерсти делают довольно хорошие войлоки, башлыки, бурки и горское сукно, из молока сыр, а из шкур — шубы; выделывают кожи, ремни и проч. и продают оные по Военно-Грузинской дороге, в Душети и Тифлисе»[46].

1845 წლის აღწერილობაში ნათქვამია, რომ ოსები საკუთარი მატყლიდან ამზადებენ ქსოვილებს. მატყლი, შალი, ტანსაცმელი, ყველი და ერბო ქართლში იცვლება მთიელთათვის საჭირო საქონელზე.

---

[43] АКАК, III, стр. 218.
[44] АКАК, VII, стр. 349.
[45] ЦГВИА, ф. ВУА, д. 6238, ф. 4.
[46] АКАК, VII, стр. 349.

აღწერის ავტორი აღნიშნავს, რომ დიდი ლიახვის ხეობის ოსებს ქართლში საქონლის გასაცვლელად სიარულისას გზაზე მაჩაბლები სძარცვავენო[47].

ყანდარმთა პოლკოვნიკი შჩერბაჩევი ოსეთის მთიანი ხეობების დამორკვევის შემდეგ ყანდარმთა შეფს ორლოვს 1850 წლის 16 ივნისს წერდა, რომ «народ более добронравный и миролюбивый, ведя жизнь оседлую... скотоводство значительное, славное овцеводство; выделывают в большом количестве сыр, знаменитый за Кавказом»[48]. ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ ოსეთის მთებში დამზადებული მაღალი ხარისხის ყველი კავკასიის გარეთაც აღწევდა და კარგი რეპუტაციით სარგებლობდა.

ერთი სიტყვით, ოსი გლეხობის კავშირი ბაზართან განსახილველ სანაში უკვე საგრძნობია. ამან მათთვის ფულის მნიშვნელობა გაზარდა, რაც კარგად ჩანს საბატონო თუ საგლეხო გადასახადების ფულადი ფორმით შეფასებაში. გადასახადების აკრეფა ფულით ოსებისათვის სამძიმო იყო. ცნობილია, რომ გურიის გლეხთა 1841 წ. აჯანყების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ნატურალური გადასახადების ნაცვლად შემოღებული ფულადი გადასახადები (1840 წ.) გაეუქმებინათ. ოსებიც ასეთივე აზრისანი იყვნენ. ყორნისელი გლეხები ჩიოდნენ ვორონცოვთან, რომ როცა მათ ფულად ახდევინებენ გადასახადს, დიდ უბედურებაში ვარდებიან და უკანასკნელი ჩოხის გაყიდვა უხდებათ[49].

ოსთა ბაზართან კავშირის განმტკიცებას XIX ს. 40-იანი წლებისათვის ადასტურებს ჰაქსტაზენიც, რომელმაც სამხრეთ ოსთა ოჯახებში ნახა ქვეშაგებები, ბალიშები, ხალიჩები, სპილენძის, თუჯის, მინის. ფაიფურის ჭურჭელი — თბილისში შეძენილი[50].

სიშორისა და უგზოობის მიუხედავად ოსები თბილისის ბაზართან საკმაოდ მტკიცედ დაკავშირებული ჩანან. ოსები ურმებით შორეული სოფლებიდანაც კი ეზიდიბოდნენ საქონელს და მისი გაყიდვის შემდეგ საჭირო საქონელს იძენდნენ. 1849 წ. ჯავის რაიონის სოფ. გუფთის მცხოვრებმა ივ. ჯიოშვილმა მეფისნაცვალ ვორონცოვთან საჩივარი შეიტანა დავით და რევაზ მაჩაბლებზე, რომელთაც 1840 წ. თბილისში მას (ჯიოშვილს) და მის 19 ამხანაგს თითო ურემი ხილი და სხვა საქონელი ჩამოართვეს[51].

---

47 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, 1845 г., д. 45, лл. 136, 139.

48 В. Д. Абаев, Экон. развитие Юго-Осетии..., стр. 73.

49 ЦГИА, ф. 7, дело 124, ф. 4; З. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 48.

50 Гакстгаузен, Закавказский край, СПб, 1857, стр. 86—87.

51 З. Ванеев, Крестьянский вопрос..., стр. 46.

თბილისთან ეკონომიური კავშირის გარდა, ოსები, ბუნებრივია, პირველ რიგში ვაჭრობდნენ ცხინვალსა და ახალგორში, გორში, მეჯვრისხევში, ხაშურისა და ბორჯომის, დუშეთისა და ანანურის ბაზრებზე, რაჭის სავაჭრო ცენტრ ონსა და საჩხერეში, ე. ი. იმ ადგილებში, რომლებთანაც გეოგრაფიულად ახლოს იმყოფებოდნენ.

ცხინვალსა და ლენინგორში ოსები იძენდნენ სპილენძისა და თუჯის ჭურჭელს, ქსოვილებს. ოსებში ფართოდ გავრცელებული არყისა და ლუდის გამოსახდელი სპილენძის ქვაბები, რომლებიც აგრეთვე იხმარებოდა ურვათისა და სისხლის ანგარიშსწორების საქმეებში, ცხინვალსა და ახალგორში შეიძინებოდა. ცხინვალსა და ახალგორში ოსები იძენდნენ მარილს, მარცვლეულს, ნავთს, მანუფაქტურას, აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილებს, საოჯახო საგნებს, რკინა-კავეულის ნაწარმს. თითონ კი აქ ასაღებდნენ ყველს, ერბოს, მატყლს, ტყავს, მზა ტანსაცმელს, პირუტყვს, ფრინველს, კუსტარულ ნაწარმს — ჩულს, ნაბდებს, შალს[52].

XIX ს. 30-იანი წლებისათვის ცხინვალში, იანოვსკის მიმოხილვის მიხედვით, გლეხური პროდუქციის გასაღება 30 ათას მანეთს შეადგენდა ვერცხლით[53].

ოსებს დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ რკინასა და ტყვიაზე. რკინის მოთხოვნილებას იმერეთის სოფ. წედისიდან იკმაყოფილებდნენ, სადაც სათანადო სამთო წარმოება ადრიდანვე არსებობდა — ადგილობრივი მადნებიდან ადნობდნენ რკინას, ტყვიას და ვერცხლს. ტყვიის გირვანქაში, 1826 წ. მონაცემებით, ოსები 20 კაპიკს ვერცხლით იხდიდნენ[54]. მასზე კი მუდმივ აჯანყებებთან დაკავშირებით, დიდი მოთხოვნილება იყო მთელი განსახილველი ხანის მანძილზე.

ოსები ფართო მონაწილეობას ღებულობდნენ საჩხერისა და ონის ბაზრობებშიც. ჯერ კიდევ XVIII ს. 70-იანი წლებისათვის გიულდენშტედტი წერდა ოსთა ონსა და ხონში გამართულ პერიოდულ ბაზრობაზე მონაწილეობის შესახებ. 1837 წ. 21 თებერვალს კი ბარონი როზენი წერდა ბლუდოვს, რომ «В Сачхери и Они бывает главный торг Рачинского округа, куда съезжаются: осетины и Лечхумские мингрельцы, а в последнее время самые дальние горные осетины»[55].

---

[52] В. Д. Абаев, Эконом. развитие Юго-Осетии..., стр. 77—78.

[53] Обзор Российских владений за Кавказом, СПб, 1836, ч. II, разд. VIII; В. Д. Абаев, указ. работа, стр. 86.

[54] АКАК, VI, ч. I, стр. 186—187.

[55] АКАК, VIII, стр. 183, док. 101; З. Ванеев, Крестьянский вопрос...., стр. 46.

იმერეთის ამ ბაზრობაზე არამარტო სამხრეთ ოსები დადიოდნენ. დიგორელებიც დაინტერესებული ყოფილან რაჭასთან ვაჭრობით. 1831 წელს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს სიმონოვიჩი წერდა: თქუჷნის ბრწყინვალების წერილის პასუხად გაუწყებ, რომელ როგორც თქუჷნგან ჴელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებულთ დიგორელთ, ეგრეთვე მეზობელთაცა მათ და ბასიანის მცხოვრებთა დაუყვავოთ და კიდეც ატაროთ სავაჭროთ რაჭას ისიხი, რომელთაც რუსეთის მართებლობისათვის ბოროტი განზრახუა არა ჰქონდესთრა, და როგორც გწერთ, ოდეს ჩამოასხან მათ ცხენის ჯოგი გასაყიდათ, მაშინ ჴიდროტის ციხეში მათგან საჴელმწიფოდ ბაჟიც აიღონ"[56].

სიმონოვიჩის ამ წერილიდან ნათელია დიგორელთა და ბასიანელთა სწრაფვა რაჭაში ვაჭრობისადმი. ცხენის ჯოგები ყოფილა ხშირად გაყიდვის საგანი, რომლებზეც ბაჟს იღებდნენ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

XIX ს. პირველი ნახევრის სამხრეთ ოსეთში ხშირად ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებებს, რაც მთავრობის მხრივ სასტიკ რეპრესიებს იწვევდა. ეს გარემოება აფერხებდა ოსთა ვაჭრობას ბარის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან. ესეც არ იყოს, მაჩაბლები, ერისთავები ხელს უშლიდნენ მათ ბართან ურთიერთობას, სძარცვავდნენ და იჭერდნენ გზაზე. ასეთივე ღონისძიებებს მიმართავდა ხელისუფლებაც, რომელმაც ბართან მათი ეკონომიური ურთიერთობის აკრძალვა ხელისუფლებისა და მებატონეთადმი ოსთა დამორჩილების მძლავრ ბერკეტად გაიხადა. სავაჭრო ცენტრებში მოხვედრის ასეთი სიძნელეები იწვევდა იმას, რომ ქვეყნის სიღრმეშიც პერიოდულად ეწყობოდა სავაჭრო პუნქტები, სადაც იკრიბებოდნენ, ოსეთიდან და ქართლის თუ საერთოდ საქართველოს სავაჭრო ცენტრებიდან. ასეთი პუნქტი იყო ვანელი დიდი ლიახვის შუა წელზე, ჯავის რაიონში. ვანელში სავაჭრო-გაცვლითი ოპერაციები წელიწადის განსაზღვრულ დროს ეწყობოდა. ამ ოპერაციებს ისეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისათვის, რომ საბაზრო დღეებში ადათი სასტიკად კრძალავდა სისხლის აღებას და მოსისხლენი ერთმანეთს უშიშრად ხვდებოდნენ[57]. ვანელის ეს მნიშვნელობა ოსეთის შორეული სოფლების მცხოვრებთათვის არ შესუსტებულა XIX ს. დამლევისა და XX ს. დასაწყისისათვისაც. ისინი ვანელში ყიდულობდნენ საჭირო საქონელს და უფრო შორს წასვლის აუცილებლობას თავს აღწევდნენ.

---

[56] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. 1672.

[57] В. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии..., стр. 84.

ბართან ასეთი მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ოსებისათვის აუცილებელი იყო, მაგრამ ეს მათ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებს არ ცვლიდა და ისინი ცდილობდნენ ბარში გადასახლებით დაეღწიათ თავი გაჭირვეებიდან. ოსები სახლდებოდნენ ქართლის ბარის რაიონებში, თრიალეთში, კახეთში, ქალაქებშიც (შედარებით ნაკლებად განსაკუთრებულ ხანაში).

ოსები ცდილობდნენ ყიდვის გზითაც შეეძინათ მიწა მიწის მესაკუთრეთაგან, ხიზნად ეწყობოდნენ ან სახელმწიფო მიწებზე სახლდებოდნენ. ეს რა თქმა უნდა, მხოლოდ სამხრეთ ოსებს არ ეხება. XVIII ს-ის მსგავსად, თაგაურელი ოსები კვლავ დიდად დაინტერესებული ჩანან საქართველოში გადმოსახლებით. ეს კარგად ჩანს გენ. გუდოვიჩის მიწერილობიდან ლიტვინოვისადმი 1807 წ. 3 აპრილს:

«Вследствие рапорта в пр. за № 1150, относительно поселения Тагаурских старшин с подвластными им осетинцами с Дигомском ущельи, предлагаю отправить их вместе с Дигомскими старшинами в означенное ущелье для осмотру земли, просимой ими, где они должны по избрании оной положить между собою правила в рассуждении жизни их, поливу пашен и прочих выгод до земледелия и общественного спокойствия относящихся»[58].

XIX ს. 40—50-იანი წლებით თარიღდება თრიალეთელი ოსების დასახლება. გ. ჩოჩიშვილი მათ 80-იანი წლებისათვის 200 კომლად თვლის და როკიდან გადასახლებულად მიაჩნია. იგი აღწერს რა მათ სამოსახლო ტერიტორიას, აღნიშნავს რომ იგი ტყიანია, სახნავი ცოტა აქვთ და ტყის გაკაფვით ჰქმნიან სახნავ მიწებს. ხშირი სეტყვა ნათესებს აფუჭებს, ამან მათ მიწათმოქმედებაზე გული აუცრუა. არც მესაქონლეობაა განვითარებული და ძალიან ღარიბად ცხოვრობენ[59].

ოსებში გავრცელებული იყო ქართლის სოფლებში სეზონურ სამუშაოებზე სიარული, განსაკუთრებით მკის დროს. ქალაქად საშოვარზე გასვლა რამდენადმე გვიანდელი ამბავია. სეზონურ სამუშაოზე აღებული ფული ან ნატურა რამდენადმე აუმჯობესებდა მათ მატერიალურ სახსარს.

ქართველებთან ოსების ვაჭრობის თუ ეკონომიური გაცვლის გზაზე მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური დაბრკოლების გარდა, იყო ახალი დაბრკოლებაც, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ადრე — ქართუ-

---

[58] АКАК, III, стр. 214.

[59] თრიალეთის ოსები, გაზ. „დროება", 1884, № 63.

ლი სახელმწიფოებრიობის დროს ბაჟისაგან თავისუფალ ოსებს ბაჟის გადახდა დაეკისრათ რუსეთის ხელისუფლების მიერ. ეს ძალიან სამძიმო იყო მათთვის, რაც კარგად ჩანს ახალგორელთა 1817 წლის საჩივარში ერმოლოვთან: „საქართველოში რა რომ ბაჟი განწესებულა საქართველოს მეფეთაგან, არც ერთის მეფისაგან ძველადგანვე ქსნის ერისთავის ყმას და საარაგვო კაცს ბაჟი არ გამოგვრთმევია დღემდის არც საზღვრის გარედამ შემოტანილისა, და არც საზღვარს შიგნითის ჩვენგან მოტანილის ნივთის ბაჟი... ჩვენგან არარაი არს სათქმელი შემოსავალი, რომელთაც არც სულ არ გვდებია ბაჟი, დღეს გვეთხოვება ღარიბთა მთის ხალხთა. გთხოვთ უმდაბლესად მოწყალება მოიღოთ და რომელიც ზემორე მოგვიხსენებია, ამ სიმძიმისაგან განგვათავისუფლოთ“[60].

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიის მეურნეობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა და ამ გზით გარკვეულად ზემოქმედებდა ოსეთზეც. მაგრამ ამის მიუხედავად, ოსეთის მეურნეობა კვლავ ნატურალური ხასიათის რჩებოდა, თუმცა სასაქონლო-ფულადი ელემენტები მასში საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს განსახილველი ხანის ბოლო პერიოდისათვის.

§ 3. კულტურული ურთიერთობა

ოსი ხალხი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მეზობელ და მოძმე ქართველ ხალხთან. ქართული კულტურა საუკუნეების მანძილზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა კავკასიის მთიანეთის ხალხებზე და, კერძოდ, ოსებზე. ეს გავლენა გამოიხატებოდა ქართული ენისა და დამწერლობის, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში მთიელთა შორის, აგრეთვე ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა მთელი რიგი მომენტების ერთგვარობაში.

ოსეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაში, XVIII ს. ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობაში ოსთა გასაქრისტიანებლად უაღრესად დიდი როლი ითამაშეს საქართველოს სასულიერო წრეებმა. ქრისტიანობის (ყველა რელიგიისათვის დამახასიათებელი რეაქციულობის მიუხედავად) გავრცელებას კავკასიის მთიელთა შორის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მას შედეგად მოსდევდა დამწერლობის, საეკლესიო ხუროთმოძღვრების საწყისების განსაზღვრული ზომით გავრცელება ამ ხალხებში. ქრისტიანულ რელიგიას-

---

[60] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 10832.

თან დაკავშირებული ტერმინოლოგია ფართოდ გავრცელდა მთიელებში, განსაკუთრებით ოსებში[61].

ქართული კულტურის, ქართული ენის გავლენა ოსებზე აისახა ქართული ლექსიკის, არაქართული წარმოშობის სიტყვების ქართული ენის მეშვეობით ოსური ენის ლექსიკაში შეღწევით. ცნობილ მეცნიერებს, ოსური ენის გამოჩენილ მკვლევრებს პროფ. ვ. აბაევს და აკად. გ. ახვლედიანს ამ დებულების დასადასტურებლად უამრავი ფაქტი აქვთ გამოვლენილი[62]. იმავე მკვლევრებს დადასტურებული აქვთ ქართულ ენაზე ოსური ენის გავლენის მრავალი მაგალითიც.

მაგრამ ლექსიკური ურთიერთშეღწევისა და ურთიერთგავლენის გარდა, უფრო მნიშვნელოვანია ქართული და ოსური ენების ფონეტიკური და გრამატიკული წყობის სიახლოვე. აღნიშნულ ენათა ფონეტიკური სიახლოვე, გრამატიკული ფორმისა და ფრაზეოლოგიზმების დიდი ოდენობის სემანტიკის ერთობა იმდენად დამახასიათებელი და საგრძნობია, რომ აკად. გ. ახვლედიანი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ხანგრძლივი საურთიერთო გავლენა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი გავლენის ფარგლებს“. აღნიშნული ენების ურთიერთდამოკიდებულებას, მისი აზრით, შეიძლება ვუწოდოთ უფრო ურთიერთგამჭვალვა, რომელიც ახლოა ორენოვნებასთან, ვიდრე ურთიერთგავლენა[63].

ქართველ ხალხთან ოსთა მუდმივი კონტაქტები (რაც გაძლიერდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ), ოსების პოლიტიკური და ეკონომიური მიზნებით ხშირი მიმოსვლა საქართველოს ცალკეულ ადგილებში, ხელს უწყობდა ქართული ენის ფართოდ გავრცელებას ოსებში. რა თქმა უნდა, ქართველთა მეზობლად მცხოვრები ოსები (აღარას ვამბობთ მათზე, ვინც ქართველებთან უშუალოდ შერეულად ცხოვრობდა — XIX ს. კი ასეთი სოფლები სამხრეთ ოსეთში ძალიან ბევრი იყო) კარგად ფლობდნენ ქართულ ენას, რადგან მუდმივად უხდებოდათ ურთიერთობა მეზობელ ქართველებთან. სამხრეთ ოსეთის დაშორებული მთიანი რაიონების

---

[61] Вс. Миллер, Осетинские этюды, ч. III, 1887, стр. 14; В. И. Абаев. Осетинский язык и фольклор, I, 1949, გვ. 87; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. დროიდან XIV ს. დამლევამდე), ცხინვალი, 1958.

[62] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л. 1956; Г. С. Ахвледиани, Сб. избранных работ по осетинскому языку, I, Тб., 1960, стр. 142—143.

[63] Г. Ахвледиани, დასახ. ნაშრ. გვ. 170.

მოსახლეობაში ქართულის ცოდნა ნაკლებ იყო გავრცელებული, რადგან მხოლოდ გარკვეული პირები ამყარებდნენ ბართან მიმოსვლას თავის ეკონომიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთმა პირებმა, ჩვეულებრივ, იცოდნენ ქართული.

რაც შეეხება ჩრდილო ოსეთს, აქ ამ მხრივ ქართული ენის ცოდნა ნაკლებ იყო გავრცელებული. მაგრამ ქართულის მცოდნე (და არამარტო სალაპარაკო ენის, არამედ დამწერლობის მცოდნეც) იქაც საკმაოდ იყო. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ თაგაურელი, ალაგირელი, ქურთათელი თუ დიგორელი ოსების სოციალური ზედაფენები რეგულარულ ურთიერთობაში იყვნენ საქართველოს ცალკეულ, უპირატესად მიმდგომ, ადგილებთან.

ჩრდილო ოსებში ქართული ენისა და დამწერლობის გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა ოსეთის სასულიერო კომისიამ (1745—92 წწ. მოღვაწეობდა ოსეთში და ჩრდ. კავკასიის სხვა ხალხებში). კომისიის შემადგენლობა დიდიხნის მანძილზე ქართული იყო და ქართველი მისიონერები ოს ბავშვებს ქართულ და ოსურ წერაკითხვას ასწავლიდნენ.

ასე, რომ XIX ს. დასაწყისშივე ჩრდილო ოსეთში გვხვდებიან ქართულის მცოდნე პირები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში (XVIII ს. ᲔᲝ-იანი წლებიდან დაწყებული) რუსეთთან ურთიერთობაში და სხვა საქმიან მიმოწერაში ქართული დამწერლობით სარგებლობდნენ. მათი — მისიონერების აღზრდილი მოწაფეები რიგ ადგილებში მღვდლებად და დიაკვნებად მუშაობდნენ.

XIX ს. დასაწყისში სამხრეთ ოსთა შორის გვხვდება ისეთი პირები, რომლებსაც XVIII ს. ბოლოს მიეღიათ განათლება საქართველოში და ქართული კულტურის მოღვაწეებად ქცეულან — ეწეოდნენ წიგნების გადაწერას. ერთ-ერთი ასეთი პირია ე. წ. „ოსთა მყოფელი“ (ე. ი. გაქრისტიანებული) გიორგი ჯათთიშვილი. ეს უკანასკნელი, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, დედოფალ ანას გაჰყოლია პეტერბურგში და იქ ქართული წიგნების გადაწერა გაუგრძელებია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მის მიერ გადაწერილ არისტოტელეს კატეგორიის ანდერძში იგი წერს: „აღიწერა წიგნი ესე კატიღორია და სრულ იქმნა ბრძანებითა მათის უმაღლესობის იმერეთის დედოფლის ანასითა, სამეუფოსა ქალაქსა სკტპტბურღს წელსა 1814, მაისის 5 დღესა კელითა ოსთა მყოფელ გიორგი ჯათთიშვილისათა“[64]. მასვე პეტერბურგში სხვა წიგნებიც გადაუწერია[65].

---

[64] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 2365.

[65] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. A, № 328.

XVIII ს. დამლევს მიიღო ქართული აღზრდა-განათლება ნეოფიტე ოსყოფილმა. ნეოფიტე ცნობილი იყო „მოქამნობითა, აგრეთვე ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითა ქებული და მონოზონებითაცა სრული. ამან მიიღო მეორე ანტონი კათალიკოზისაგან არქიმანდრიტობა და აწ მსახურებს მას და სცხოვრებს მისთან განუშორებლად"[66].

იოანე ბატონიშვილის მიერ მოხსენებული ნეოფიტე თავის დროისათვის კარგი განათლება მიღებული პიროვნება იყო და ენერგიულად მოღვაწეობდა ქართული კულტურის ასპარეზზე, ისევე როგორც უფრო ადრე პართენი, გამალიილი.

XIX ს. დამდეგის ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის საჩვენებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იოანე იალღუზიძის მოღვაწეობას. იგი XIX ს. პირველი ნახევრის ოსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოღვაწე იყო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ოსთა კულტურული წინსვლის საქმეს და ქართველ-ოსთა კულტურული ურთიერთობის განსახიერება იყო.

იოანე იალღუზიძეზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს[67]. თანახმად მისი ავტობიოგრაფიისა, იოანე 1775 წელს დაბადებულა, სოფ. ზალდადან (სამხ. ოსეთი) იყო და გაბარაევების გვარს ეკუთვნოდა. ერეკლე II-ის ბრძანებით იგი იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტთან სწავლობდა ქართულ წერაკითხვას. აქედან, ერეკლესავე ბრძანებით იგი დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარს იოანე ქარუმიძეს ჩააბარეს სიტყვიერების შესასწავლად. იოანე იალღუზიძე მასთან სწავლობდა გრამატიკას, რიტორიკას, ფიზიკას, კატეგორიას, მეტაფიზიკას, ლიტერატურას[68].

---

[66] ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, 11, თბილისი, 1948, გვ. 194.

[67] გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, ოსური ენის ისტორიისათვის, თსუ მოამბე, VI, 1926, გვ. 339—346; მისივე, 1802 წლის ოსური A ხელნაწერი, თსუ მოამბე, VII, 1926, გვ. 90—99 (ორივე ეს სტატია რუსულად იხ. Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилиси, 1960, გვ. 80—90, 91—106); მისივე, იოანე იალღუზიძის გარშემო (ოს.) ჟურნალ „ფიდოგში", № 2, 1928; Б. Б и г у л а е в, Краткая история осетинского письма, 1952, стр. 25—29; ა. შ ა ნ ი ძ ე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, მაცნე, 1964, № 1; ტ. ს ა ر ი შ ვ ი ლ ი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა (1800—1821), 1965, გვ. 19—21; ყველაზე ვრცელი შრომა იოანე იალღუზიძის შესახებ ეკუთვნის ძ. გ უ გ ქ ა ე ვ ს, „О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе. Известия ЮОНИИ, вып. VII, 1959; вып. VIII, 1957.

[68] Дз. А. Г у г к а е в, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Изв. ЮОНИИ, VII, стр. 282.

იოანე იალღუზიძე ადრევე შეუდგა ქართული ხელნაწერი წიგნების გადაწერას. 1794 წ. მან გადაწერა „კატეგორიაჲ სიმეცნეჲ“[69], 1796 წ. „მეტაფიზიკა და ლოგიკა“[70], 1797 წ. ბაუმეისტერის ფიზიკა[71]. ქართული ხელნაწერი წიგნების გადაწერას იგი შემდეგაც ეწეოდა, როცა სამსახურებრივ დავალებებს ასრულებდა.

1807 წ. მან გადაწერა გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა. ამ ხელნაწერი წიგნის ანდერძში ვკითხულობთ: „სრულ იქმნა სიტყუს-კონა ესე წიგნი, რომელ-არს ლექსიკონი ქრისტეს აქეთ ჩუ (1807), აპრილსა ზ(7) ქელითა იოანე იალღუზიძისათა“[72]. სხვა ფურცელზე იგი განაგრძობს, რომ „დიდითარე სურვილითა ვიძულებოდი ადრითვე ამა წიგნისა სიტყუს-კონისა, რომელ არს ლექსიკონი, რამეთუ მაქვნდა სამართლად ქონება ამისი საჭიროებითსა შერაცხვასა შინა, ხოლო დავიყენებოდი ამა მიზეზთაგან, ოდესმე არა შოვნითა დედნისათა და ოდესმე დაღათუ ვიშოვნიდიცა, გარნა არა ეგრეთსა, რომელიცა კმაყოფელად სთნებოდა გონებასა ჩემსა. ხოლო შემდგომად მიზეზითა რომელითამე დავეკვეთე ესრეთსა ხვედრსა, რომელ ვიხილე ლექსიკონი მათის უდიდებულესობისა, ყოვლისა საქართველოსა მეფის სძლის წერეთლის ასულის ქეთევანისა, რომელიცა სთნდა გონებასა ჩემსა და მასმიოდაცა, არასადა ყოფაჲ საქართველოსა შინა უმჯობესისა და უსრულესისა ლექსიკონისა და მუნით გარდმოვწერე ლექსიკონი ესე ფრიად სამართლისა მეცადინეობითა, რაოდენცა აქუნდა თავისუფლება ამის ჟამსა უცალოებისა და სხვად და სხვად მიმზიდთა მიზეზთა გამო უძლურებასა ჩემისასა, რომელიცა ვითხოვ ყოველივე გულის მიერ მკითხთაგან შრომისათვის სიყვარულითა და ლოცვითა მოჯსენებასა, და ცდომათათვის სიყვარულითვე შენდობასა...“[73]

მოყვანილი მინაწერიდან კარგად ჩანს, რომ იალღუზიძე კეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის საქმეს და დიდ პასუხისმგებლობას უყენებდა თავის თავს წიგნების გადაწერის საქმეში. ეს თავმდაბლობა და თავის საქმიანობისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა იალღუზიძეს ახასიათებდა მაშინაც, როცა იგი მოწიფული და გამოცდილი მოღვაწე იყო. 1827 წელს გადაწერილი ფილოსოფიური კრებულის (რომელშიც შედის ვასილი კაპადუკიელის „ექვსთა დღეთათვის“, გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათვის კაცისა“ და მისივე „პასუხი

---

[69] საქ. ცია, ფ. 1446, № 205.
[70] ხ ლნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 280.
[71] ი ქ ე ე, ფ. Q № 97.
[72] ი ე ", ფ. H, № 202, ფ. 196.
[73] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, 202, ფ. 198.

უფსვთა დღეთათვის") ანდერძში, იგი მიმართავს მკითხველებს: „...თქვენ კეთილ გულისყმიერნო მკითხუფლნო, მიიღეთ ჩემი გლახაკისამიერი ესე უმდაბლესი ვედრებაჲ და უკეთუ ცთომაჲ და ნაკლულეუნებაჲ რაჲმე იხილოთ, ნუ მწყეევთ, არამედ სიყვარულისათჳს ქენ მიერ მოწაფეთა და დატევებულისა ლოცვთ ხსენება მაგეთ, თუმცა ვიგულისმოდგინე,გარნა გონება კაცობრივი უძლურ არს"[74]

ხსენებული წიგნების გარდა, მას გადაუწერია ბაგრატ ბატონიშვილის ისტორია 1814 წელს[75], სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა" 1815 წელს[76]. რამდენჯერმე თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა" (1823, 1824, 1828 წწ)[77], საპოლიტიკო თეატრი (1828, 1829 წწ.)[78]. გ. ახვლედიანის თანახმად, იალღუზიძეს გადაუწერია „ტროადის დანგრევა", „დავრიშიანი", „მირიანი"[79]. იოანეს ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი" პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა შორის ყოფილა დაცული[80].

რა თქმა უნდა, იალღუზიძის მიერ გადაწერილი ხელნაწერი წიგნების სია სრული არ არის. მაგრამ ამ სიიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი საუკეთესო გადამწერი იყო და დაკვეთებს ასრულებდა. ეს ყველაფერი კი მოწმობს, რომ ქართული კულტურის სარბიელზე იოანეს თავის დროზე სასარგებლო საქმე უკეთებია.

იოანე იალღუზიძე აღმზრდელი ყოფილა იოანე ბაგრატიონის ვაჟის გრიგოლისა. გრიგოლის ხელნაწერ ფოლიანტში აღმოჩნდა იალღუზიძის ორი ლექსი, მიძღვნილი იოანეს მეუღლე ქეთევანისადმი. პირველი ლექსი შედგება ხუთი გაურითმავი სტროფისაგან, რომელთაგან თითოეული თორმეტმარცვლოვანი 5 ტაეპისაგან შედგება. მისი დასაწყისი ასოები ზევიდან ქვევით ქმნიან ფრაზას: „მეფის სძალი ქეთევან ნებას ეწიოს".

მეორე ლექსი საშობაოდ თქმული იამბიკოა. შედგება ხუთი თორმეტ მარცვლოვანი ტაეპისაგან და მიძღვნილია ქეთევანისადმი, რომლის დაბადების დღე დამთხვევია „ქრისტეს დაბადების" დღეს[81].

უფრო მნიშვნელოვანია იოანეს ორიგინალურ პოეტურ ნაწარმოებთაგან მის მიერ ქართულ ენაზე შესრულებული პოემა „ალღუზი-

---

[74] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 204, ფ. 127.

[75] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H, № 1130.

[76] ი ქ ვ ე, ფ. S, № 2522.

[77] ი ქ ვ ე, ფ. H, № 207, 2137; ფ. S, № 5155.

[78] ი ქ ვ ე, ფ. S, № 365, ფ. Q, № 274.

[79] „ფიდიოგი", 1928, № 2, გვ. 97.

[80] Дз. Гугкаев, Произведения И. Ялгузидзе, Изв. ЮОНИИ, VIII, стр. 245.

[81] ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი..., გვ. 2000; რუსული თარგმანი მისი დაბეჭდა ძ. გუგჭაევმა, Изв. ЮОПИИ, VIII, стр. 247.

ანი", რომელიც ოსთა ლეგენდარული მეფის ალღუზონის ლაშქრობებსა და საქმიანობას ეხება.

ალღუზონის სამეფოდ ავტორის მიერ წარმოდგენილია მთელი ჩრდილო კავკასია. ალღუზონის საქმიანობის ფანტასტიკურ მასშტაბში წარმოდგენით, თავის გმირისა და, საერთოდ, ოსების წარსულის გაიდეალებით, იგი ცდილობდა ოსი ხალხის პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. იგი ასე ათქმევინებს ალღუზონს:

„თუ მიკითხავ, მოგახსენებთ მეფე ვარ ამოსარის,
მპყრობელი დიდთა ქვეყანათ, ძირით დავით მეფის გვარის,
ალღუზონ დიდი ჭელმწიფე, თვით მპყრობელი მილანქარის,
ბატონი დიდ ოვსთ, ჩერქეზთ, ჩეჩენთ, ნონთა კარის"[82].

პოემის შინაარსის გადმოცემას და გარჩევას ჩვენ არ გამოვუდგებით. ჩვენ ამ შემთხვევაში იმ ფაქტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ ეროვნებით ოსმა, ქართულ ენაზე აღზრდილმა, ქართულ ენაზე პოეტური ნაწარმოებები შექმნა, რომელშიც ასახა ოსური ხასიათები, ოსთა ყოფისა და ზნე-ჩვეულებების სურათები. პოემა მრავალჯერ იქნა გამოცემული[83].

იალღუზიძის საქმიანობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ოსური კულტურის განვითარებისათვის იმ დროიდან, რა დროიდანაც მან მუშაობა დაიწყო ოსეთის სასულიერო კომისიაში მთარგმნელად. კომისია 1815 წელს აღადგინეს და ამ დროიდანვე იგი მუშაობდა თარჯიმნად კომისიაში.

ამ მოვალეობას იგი კარგად ასრულებდა, რისთვისაც საქართველოს ეგზარხოსის ფეოფილაქტეს წარდგენით საგუბერნიო მდივნის ჩინი მიიღო (1821 წ. 3 სექტ.).

1820 წ. თებერვალში იალღუზიძე დაინიშნა ოსური და ქართული ენების მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში იმ ოსი მოსწავლეებისათვის, რომელთა გაგზავნა კურსის დასრულების შემდეგ ნავარაუდევი იყო ოსეთში. სემინარიის გამგეობის ბრძანებაში ამ დანიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ «Так как Иван Ялгузидзе основательный знаток родного и грузинского языков,

---

[82] М. Джанашвили, СМОМПК, в. 22, стр. 184, რუს. გვ. 185.

[83] პოემა პირველად 1885 წ. გამოსცა ნიკ. გამრეკელმა. 1897 წელს СМОМПК-ის 22 ნაკვეთში მ. ჯანაშვილმა იგი პარალელური რუსული ტექსტით გამოსცა; 1922 წ. გაპობაევმა ბერლინში ცალკე წიგნად გამოსცა „ალღუზიანი" რუსულ ენაზე; 1945 წ. ხანიკაევმა ოსურად თარგმნა „ალღუზიანის" ნაწყვეტები და მას შემდეგ ოსური სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში შედის; 1962 წ. პოემა ოსურ ენაზე მთლიანად ითარგმნა და გამოიცა ცალკე წიგნად ცხინვალში პოეტ გ. ბესთაუთის მიერ.

то с принятием осетинских детей определить его учителем осетинского и грузинского языков».[84] თვით იალღუზიძეც თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ განწესდა ოსური და ქართული ენების მასწავლებლად და ოსი ბავშვების აღმზრდელად[85].

სემინარიაში მუშაობის პერიოდში მას ნათლად უნდა ეგრძნო ოსური დამწერლობის შექმნის აუცილებლობა. ამიტომაც მაშინვე დაუწყია სათანადო მუშაობა ოსური ანბანის შექმნისათვის. მართალია. 1798 წელს რუსული საეკლესიო დამწერლობის ბაზაზე მოზდოკის ეპისკოპოზის გაიოზის (თელავის სემინარიის ყოფილი რექტორი) მიერ ოსი მღვდლის პავლე გენცაუროვის დახმარებით გამოცემული იქნა ოსური ანბანი და პირველდაწყებითი საკითხავი წიგნი, მაგრამ იგი არასრულყოფილი იყო და ფართოდ ვერ გაიდგა ფესვები.

და, აი, იალღუზიძემ იტვირთა ოსური ანბანის შექმნა. ეს აზრი მას დიდი ხნის მანძილზე დასტრიალებდა და როცა ხელშემწყობი პირობები შეექმნა, კიდეც განახორციელა.

1820 წ. მაისში იალღუზიძე საქართველოს ეგზარხოსს მოახსენებდა, რომ დიდიხანია სურდა თავის თანამემამულეთათვის სასწავლო და სასულიერო წიგნები ეთარგმნა, მაგრამ არც წამქეზებელი ჰყავდა და არც საიმისო სახსრები ჰქონდა. თქვენი დავალებით განაგრძობდა იგი, — ვთარგმნე ცისკრის და მწუხრის ლოცვანი, მოკლე კატეხიზისი. ქრისტიანული ზნეთსწავლულობა, რომლებიც დაიბეჭდა ქართულად და ოსურად ქართული საეკლესიო ანბანის საფუძველზე. შემდეგ ვთარგმნე თქვენი დავალებით ღვთაებრივი ლიტურგია.

დასასრულ, იგი მოახსენებს ეგზარხოსს, რომ შეადგინა ოსური ანბანი, რომელიც 37 ნიშნისაგან (ლიტერისაგან) შედგება, საიდანაც 30 ქართულია, ხუთი ახლად შექმნილი, ორი კი რუსული ანბანიდანაა შემოტანილი. იალღუზიძე ითხოვს, რომ დაიბეჭდოს ეს ანბანი, რათა ოს ახალგაზრდობას საშუალება ჰქონდეს მშობლიურ ენაზე ისწავლოს[86].

იალღუზიძემ ოსური ანბანის ორი ვარიანტი შეადგინა. ერთი — ხუცური დამწერლობის საფუძველზე, მეორე კი — მხედრულის. ხუცურის საფუძველზე საეკლესიო წიგნები უნდა თარგმნილიყო, მხედრულის საფუძველზე კი — საერო.

---

[84] Дз. Гугкаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Изв. ЮОНИИ, в. VII, 1955, стр. 284.

[85] იქვე, Приложение — Автобиография Ялгузидзе, стр. 323.

[86] История Осетии в документах и материалах, II, стр. 553.

გაიოზის ანბანთან შედარებით იალღუზიძის ანბანში არ იყო არც დიაკრიტიული ნიშნები, არც შედგენილი ასოები. მასში ყველა ბგერა ერთი ნიშნით არის გამოხატული.

1821 წ. იალღუზიძემ თავის მიერვე შედგენილი შრიფტის საფუძველზე ვამოსცა თბილისში ოსური ანბანი. იგი ხუცურის საფუძველზეა ღა მიზნად ისახავდა ოსი ახალგაზრდობისათვის თავის ენაზე წერა-კითხვის შესწავლის საშუალება მიეცა[87]. ეს იყო ერთადერთი ნაბეჭდი სასწავლო წიგნი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ოსეთში. ამ წიგნებით ასწავლიდნენ ოსეთში მომუშავე მღვდლები და მედავითნენი ოსთა ბავშვებს წერაკითხვას XIX ს. პირველ ნახევარში. 1826—27 წლებისათვის არსებობს ცნობები, რომ ბეყმარში ბლაღორინი ათანასე მაკავარიანი, ჯავაში ცერაძე (მედავითინე), ქეშელთაში მედავითნე იოსებ იალღუზიძე, მღვდლები დავით ოქროპირიძე (მაღრანდვალეთში), ზაქარია ძლიერიშვილი (ჯავაში), იოაკიმ კოჩერაშვილი ვანათში და სხვ. ასწავლიდნენ ოს ბავშვებს წერა-კითხვას ოსურ ენაზე[88] საფუძველი ამ სწავლებისა იყო იალღუზიძის დასახელებული ანბანი.

წერა-კითხვის შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩრდილო ოსეთის საზოგადოებებშიც. დეკანოზ სამარღანოვის მოხსენებიდან ჩანს, რომ უნალისა და დარგავსის სამრევლოებში ბავშვები მღვდლების ხელმძღვანელობით სწავლობდნენ წერა-კითხვას[89]. დიგორიაში, ჯინათში, სანიბაში და სხვა ადგილებშიც ასეთი მოსწავლეები მრავლად იყვნენ[90].

ი. იალღუზიძე დიდ დახმარებას უწევდა თავის თანამემამულეებს ბავშვების იმდროინდელ სასწავლებლებში მოწყობის საქმეშიც. იგი უწერდა განცხადებებს სათანადო ინსტანციებში, აქეზებდა სწავლა-განათლების მისაღებად. ნარის, ნუზალის, ზალდას მცხოვრებთა სახელით დაწერილი განცხადებებით თბილისის სასულიერო სემინარიაში მიღებული იყვნენ თაგა გუბაევის, იაკობ ბალაევის, ჩერმენ ალიკოვის, დავით იალღუზიძე-გაბარაშვილის ვაჟები. მრავალი სემინარისტი პირადად მასთან ცხოვრობდა[91]. დამთავრების შემდეგ მათ ოსეთის სოფლებში აგზავნიდნენ მღვდელთმსახურებად.

უკვე აღვნიშნავდით, რომ იალღუზიძემ ქართულიდან ოსურად მრავალი ოფიციალური საბუთი (მიმართვები, დებულებანი სასამარ-

---

[87] Дз. Гугкаев, Ук. раб. стр. 301—303.

[88] История Осетии в документах и материалах, II, стр. 556, 558, 559, 560, 578.

[89] იქვე, გვ. 557.

[90] Дз. Гугкаев, დასახ. ნაშრ. გვ. 305.

[91] Дз. Гугкаев, დასახ. ნაშრ. გვ. 306.

ოლოს შესახებ და სხვ.) თარგმნა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია საერო ხასიათის წიგნების თარგმნა. ზოგიერთი ასეთი წიგნის თარგმნის შესახებ უკვე აღვნიშნეთ. ისინი დაიბეჭდა 1819, 1820, 1821 წწ. 1823 წელს მან დაამთავრა სახარების თარგმნა და სთხოვა ეგზარქოს იონას, საშუალება მიეცა, ქართულისა და ოსურის კარგად მცოდნე ოსთა მეშვეობით შეემოწმებინა თარგმნის სისწორე. ეგზარქოსმა მოიწონა ეს წინადადება და დაავალა შალვა ერისთავს, მოეწვია ქართულის კარგი მცოდნე ორი ქრისტიანი ოსი და მათთან ერთად მოესმინა სახარების ტექსტი[92]. ერისთავი გ. ბიბილოვთან ერთად, გაჰყვა იალღუზიძეს პატარა ლიახვის სათავეში მცხოვრებ ოსებთან და იქ ზონკარში, ლეკოვანში, წიფორში შემდეგნაირად შეამოწმეს მისი თარგმნის სისწორე: გ. ბიბილოვი კითხულობდა ქართულ ტექსტს, თვითონ — ოსურს, შალვა ერისთავი კი ამას რუსული სახარებით ამოწმებდა.

შემოწმების შემდეგ სახარების ეს თარგმანი ეგზარქოსმა გაგზავნა უწმიდეს სინოდში. იქ გადაწყდა, რომ მოსკოვში ორი ათასიანი ტირაჟით დაებეჭდათ იგი, მაგრამ რაღაც მიზეზით ვეღარ დაიბეჭდა.

ამ სახარების ხელნაწერი ინახება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. მისი წინასიტყვაობა ავტორის დიდ პატრიოტობაზე, თავის ხალხისადმი უანგარო თავდადებაზე, ოსი ხალხის განათლებისადმი მის დიდ ზრუნვაზე მეტყველებს. წინასიტყვაობაში იგი წერს, რომ თავის თანამემამულეებს სხვა ხალხთა შორის უმწერლობოდ ხედავდა. ამ დიდ სიკეთეს თქვენ მოკლებული იყავით და მე ვცდილობდიო, რომ ოსურად წიგნი შემედგინა თქვენთვისო. და აი მე შეგიდგინეთ წიგნი, რომელსაც ქართულად „სახარება“ ჰქვიან — სამი წელი ვიშრომე მასზე დღე და ღამე. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ თქვენ უწიგნოდ (უდამწერლობოდ) არ დარჩენილიყავით და ახლა იმას გთხოვთ, რომ შემდეგში თქვენ და თქვენი შვილები უფრო მეტად ნათლდებოდეთ გონებრივად.

იალღუზიძის თარგმანებს მთელ ოსეთში — სამხრეთსა და ჩრდილოეთში საყოველთაო გავრცელება ჰქონდა.

იოანე იალღუზიძემ, გარდა იმისა, რომ ოსური ანბანი შეადგინა და რიგი სასულიერო ხასიათის წიგნები თარგმნა, დიდი როლი ითამაშა ოსი ხალხის პოლიტიკური ორიენტაციის განმტკიცებაში. სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების დავალებით, იგი მრავალჯერ გამოდიოდა შუამავლად ხელისუფლებისა და ოსეთის საზოგადოებებს შორის — იყო სამხრეთ ოსეთის მრავალ რაიონში საგანგებო დავალებებით, აგრეთვე ნარში, მამისონში, ზაყაში, ზარამაგში. იგი რუსეთის

---

[92] История Осетии в док. и мат-ах, II, стр. 574.

ხელისუფლების მოწოდებებს თარგმნიდა, თარჯიმნობდა შეხვედრებზე და საგანგებო დავალებებს ასრულებდა.

იალღუზიძის ამ საქმიანობის შესახებ რომ უფრო სრული წარმოდგენა შეგვექნეს, მოვიყვანთ ზოგ ადგილს, სადაც ამის შესახებაა ლაპარაკი.

1802 წ. 5 მარტს სამხრეთ ოსეთში მოქმედი სადამსჯელო რაზმის უფროსი პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი გენერალ კნორინგს მოახსენებდა, რომ აზნაური იოანე იალღუზიძე «Будучи родом осетинец и кроткого нрава, посылаем был мною неоднократно с желаемым успехом с увещаниями к неблагонамеренным, особливо же к мятежникам Кешельты, и переводил учреждения судов и присяги с грузинского на осетинский диалект, чего осетинцы перед сим не слыхали, почему может он и впредь быть употребляем при них в пользу службы Е. И. В.»[93].

ამავე ფაქტის შესახებ კნორინგი თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში წერდა, რომ იალღუზიძე «Переводил чреждения временных судов и присяги с грузинского на осетинский диалект, для чего заимствовал литеры грузинские, чего еще не бывало, поелику осетинцы знаков для изображения слов своего не имеют»[94].

1802 წ. 19 მაისს კნორინგისადმი მოხსენებაში სიმონოვიჩი წერდა, რომ აზნაური იოანე იალღუზიძე გაიგზავნა შტაბსკაპიტან ოსიპოვთან ერთად დიდი ლიახვისა და ფაწის ოსებთან და ნარის მაზრაში, ოსების დასაფიცებლად. აქედან და აგრეთვე ხახა-ზარამაგიდან მივიღე წერილები, სადაც მოსახლეობა გამოთქვამს ერთგულებას მთავრობისადმი[95].

1802 წ. 26 აგვისტოს კოვალენსკი მოახსენებდა კნორინგს, რომ იალღუზიძემ მიამბო ნარისა და ზახის ოსების დაბეჯითებითი თხოვნის შესახებ, რომ მათთან გაიგზავნოს მოზდოკელი მღვდელი ქრისტიანობის საქადაგებლად. ეს მღვდელი მათ შორის ადრე მოღვაწეობდა და ხალხის პატივისცემა მოიპოვაო. კოვალენსკი, გამომდინარე იალღუზიძის შესაძლებლობიდან და ავტორიტეტიდან, აყენებს საკითხს:

«Не благоугодно-ли будет позволить при учреждении нового у сих народов правительства, определить к ним в число судей сего дворянина, который по отличной его способности и быв сам из осстинцев, с пользою мог бы быть употреблен и для

---

[93] АКАК, I, стр. 581.
[94] იქვე, გვ. 587.
[95] იქვე, გვ. 587.

содействия к обращению их в христианство; но для ободрения его нужно положить ему какое-либо жалованье»[96].

სიმონოვიჩი ლაზარევისადმი 1802 წ. 2 აგვისტოს პატაკში ხაზს უსვამდა, რომ თუ ოსებისათვის მმართველად რუსი ოფიცრის დანიშვნა გადაწყდება, ასეთად სოტნიკი ბოკოვი გამოდგება «И При нем вышеупомянутого дворянина Ялгузидзе, к которому народ тот вообще, по кроткому нраву и честности, а равно и по совершенному знанию их языка, имеет большую доверенность»[97].

კოვალენსკი 1803 წ. 8 აგვისტოს ატყობინებდა ციციანოვს, რომ მასთან მოვიდნენ აზნაური იალღუზიძე და იოსებ კალატოზოვი, განწესებულნი საქართველოს ქვეშევრდომ ოსებთან თარჯიმან ალექსი მამიევისა და ოთხი ოსის თანხლებით ოსების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების გამოსათხოვად.

საქართველოს მმართებლის კანცელარიის საქმის ამონაწერიდან ვიგებთ, რომ იალღუზიძის რჩევით მოსული ოსები გასტუმრებულ იქნენ თავის ქვეყანაში და მათი თხოვნით მმართებელმა «определил к ним для наблюдения порядка и в защиту их от обид и притеснений означенного дворянина Ялгузидзе, придав в помощь ему дворянина же Калатузова[98]. იქვე აღნიშნულია, რომ იალღუზიძე მოსამართლედ დაინიშნა, მაგრამ დანიშნული წლიური ჯამაგირი 250 მანეთი ჯერ არ მიუღია[99].

ასე, რომ იოანე იალღუზიძე წარმოგვიდგება XIX ს. პირველი სამი ათწლეულის ოსეთის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწედ. ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილმა იოანემ დიდი ღვაწლი დასდო ოსური კულტურის განვითარებას — ოსური დამწერლობის განვითარებას, ბეჭდვითი ლიტერატურის შექმნას, წერაკითხვის მცოდნე ოსთა რიცხვის ზრდას.

იოანე იალღუზიძე ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის ნამდვილი განსახიერება იყო. ამის მაგალითია ორიგინალური ნაწარმოებები ქართულ ენაზე, ქართულიდან წიგნების თარგმნა ოსურად (არაფერს ვამბობთ მის გადამწერლობაზე). მას უაღრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის მშობელ ოს ხალხთან, მთელი თავისი სიცოცხლითა და შემოქმედებით მასთან იყო დაკავშირებული. მისი შემოქმედება ოსი ხალხის განათლების ინტერესებს ემსახურებოდა. ამით აიხსნება მისი დიდი ავტორიტეტი ოსთა შორის. რუსეთის ად-

---

[96] АКАК, I, стр. 589.
[97] იქვე, გვ. 499.
[98] АКАК, II, გვ. 549—50.
[99] იქვე, გვ. 550.

მინისტრაცია სარგებლობდა მისი ამ ავტორიტეტით ოსებთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. იგი თავგამოდებით იცავდა ოს ხალხს ფეოდალებისა და ცალკეული რუსი მოხელეების მხრივ ჩაგვრისაგან.

იალღუზიძის შედგენილმა ოსურმა ანბანმა, მართალია, საბოლოოდ ვერ მოიკიდა ფეხი ოსეთში, მაგრამ ეს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო და იოანეს შემოქმედების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას ჩრდილს ვერ აყენებს. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი ოსური ანბანის ბედი, მისი ანბანითა და ორიგინალური თუ თარგმნილი ნაწარმოებებით იწყება ოსური დამწერლობის ნამდვილი ისტორია.

იალღუზიძის შრომები წარმატებით იქნა გამოყენებული ოსური ენის მეცნიერული გრამატიკის შესადგენად. მაღალ შეფასებას აძლევდა მას აკად. შეგრენი[100]. აკად. გ. ახვლედიანი წერს, რომ იალღუზიძის ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ოსური ენის ისტორიისათვის[101].

1815 წ. აღდგენილ იქნა ოსეთის კომისია. კომისიას სათავეში ჩაუყენეს არქიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური. ამ კომისიას ოსეთის სასულიერო კომისიის (XVIII ს. მოქმედის) ყველა ფუნქცია დაეკისრა. გაიზარდა კომისიის შტატი და ბიუჯეტი.

დოსითეოსი დიდი აქტივობით შეუდგა საქმეს. 12507 სული მოინათლა მის დროს. მაგრამ იგი ძლიერად დაუპირისპირდა ქსნის ერისთავებს და საერო ხელისუფლებას. იმისათვის, რომ ოსთა გაქრისტიანების საქმე გაეადვილებინათ, მათ პირდებოდნენ, რომ მებატონეთაგან განთავისუფლდებიან და სახაზინო გლეხებად ჩაირიცხებიან[102]. ეს იდეა ოსებში ძალიან პოპულარული იყო.

დოსითეოსის ამ საქმიანობას წინ აღუდგნენ ადგილობრივი მებატონენი და ხელისუფლება. ხელისუფლება მოითხოვდა მისგან — ნუ ერევით სამოქალაქო საქმეებშიო. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ იგი გადაიყენეს და კომისია ეგზარქოს ფეოფილაქტეს დაუქვემდებარეს.

ფეოფილაქტე მთიელ ოსთა გასაქრისტიანებლად იყენებდა დეკანოზებს: ნიკოლოზ სამარღანოვს, იოსებ ელიოზიძეს, პეტრე ავალიანს, პესარიონ ილურიძეს, ათანასე მაჭავარიანს, გიორგი ამირიძეს, ზაქარია მამაცევს, იაკობ ლომოურს, ალექსანდრეს (შემდეგში დავით გარეჯის უდაბნოს არქიმანდრიტ ანტონის), მღვდლებს გაბრიელ საძაგლიშვი-

---

[100] შეგრენი იალღუზიძეს „ქარგ", „მცოდნე", „ჭკვიან ოსს" უწოდებდა. Осетинская грамматика, 1844, стр. 17—27.

[101] Сборник избранных работ по осетинскому языку, I, стр. 5.

[102] История Осетии в док. и материалах, II, стр, 10, 637.

ლსა და იაკობ ზამთარაულს[103]. ამათი დამსახურება ოსთა გაქრისტიანების საქმეში სათანადო ჯილდოებით აღინიშნა. საერო პირთაგან მათი ხელშეწყობა დავალებული ჰქონდათ ქართველ თავადებს, ოს აზნაურ-სტარშინებს. ქართველი თავადები ჩინებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს. ოსი სტარშინები და აზნაურები კი ოქროსა და ვერცხლის მედლებით (ოსი „სტარშინები“ და „აზნაურები“ არის ოფიციალური ანგარიშის ტერმინები)[104].

ოსეთის კომისიის საქმიანობის ყველაზე დადებითი შედეგი ის იყო, რომ ხელს უწყობდა თუნდაც წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებას სამრევლო სკოლების გახსნის გზით, რომლებსაც შედარებით განათლებული მღვდლები, დიაკვნები და მედავითნენი ხელმძღვანელობდნენ.

დაწყებული XIX ს. 20-იანი წლებიდან წყაროებში ხშირად ვხვდებით ცნობებს, რომ ოსეთის სამრევლოს მღვდლები შინაური წესით ასწავლიან ბავშვებს წერა-კითხვას ოსურ, ქართულ და, იშვიათად, რუსულ ენებზე. ჩნდება აგრეთვე ცნობები გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში, აგრეთვე სხვა სასწავლო დაწესებულებებში ოსი ახალგაზრდობის სწავლისა[105].

1846 წლისათვის თბილისის სასულიერო სემინარიაში ხუთი ოსი სწავლობდა. სემინარიის გამგეობამ ეგზარქოსს მიმართა ამ მოსწავლეთა შესანახად თანხების დაშვების შესახებ. ესენი იყვნენ ბართლომე ტუგანოვი, გიორგი კანტემიროვი, პეტრე ჯიკაშვილი, ნიკოლოზ კუნდუხოვი და ვასილი ცორაევი. ეს უკანასკნელი ამ დროს უკვე მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ სემინარიის ხელმძღვანელობამ აუნაზღაურა გზისა და ეკიპირების ხარჯები[106]. 1848 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში კვლავ ხუთი ოსი მოსწავლეა დასახელებული (რომელთაგან ორი ახალია) [107].

1847 წლისათვის ოსეთის კომისიის კანცელარიამ ეგზარქატის კანცელარიას მიაწოდა ცნობა ოსეთის სკოლების (სასულიერო-სამრევლო) შესახებ. ეს სკოლები შემდეგ ეკლესიებსა და სამრევლოებთან არსებობდნენ. 1) არდონის წმინდა გიორგის ეკლესიასთან — 23 მოწაფით, 2) ყობა-ყაყყადურის სამრევლოში — 4,3) წინსოფლის წმ. გიორგის ეკლესიასთან — 6, 4) ნარის წმ. გიორგის ეკლესიასთან —

---

[103] История Осетий в док. и материалах, II, стр. 570—571.
[104] იქვე, გვ. 571.
[105] იქვე, გვ. 579—580.
[106] იქვე, გვ. 592.
[107] История Осетии в док. и материалах, II, стр. 595.

4, 5) ჯავის ღვთისმშობლის ეკლესიასთან — 12, 6) ხაჩირაანთკარის წმ. გიორგის ეკლესიასთან — 10 მოსწავლით[108].

XIX ს. შუახანებისათვის ოსეთში მღვდლებად, მედავითნეებად, დიაკვნებად, მასწავლებლებად ინიშნებიან სწავლადამთავრებული ოსები. მათ, ვინც თბილისის სასულიერო სემინარიას ამთავრებდა, ხალხმრავალ სამრევლოებში გზავნიდნენ მღვდლებად[109].

იზრდება გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში მოსწავლე ოსთა კონტიგენტი. 1852 წ. თბილისის სემინარიის პირველ კურსზე, ნახევრად კომისიის ხარჯზე, ჩაირიცხნენ მარალეთელი ბება ჩარაჯონ-წახილიძის ვაჟები ფარსადანი და თომა[110]. ასეთივე თხოვნით მიმართავს ეგზარქოსს ზღუბირელი გაბრიელ შავლოხოვი, რათა მისი შვილები გრიგოლი და ნიკოლოზი თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიეღოთ. როკაში მათ ქართული და რუსული წერა-კითხვა ნასწავლი აქვთო[111].

50-იან წლებში და 60-იანი წლების დასაწყისში ოსეთში უშუალო სასულიერო საქმიანობის გარდა ოს ბავშვებს წერა-კითხვას ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე ასწავლიდნენ იაკობ ქართველიშვილი. ზაქარია გვიმრაძე, გაბიჩვაძე, დიმიტრი ნასყიდაშვილი, ანდრია აფციაური, იონა მრევლოვი (მრევლიშვილი), ლაშაური, გრიგოლ წერეთელი, დავით ბოჭოროვი, კანდელაკი[112].

60-იან წლებში ჯავაში მასწავლებლობდა ვასილ ცაბაძე. როცა დაისვა საკითხი, რომ ცაბაძე უნდა გადაეყვანათ და ბავშვთა სწავლის საქმე ისევ სამღვდელოებისათვის გადაეცათ, ჯაველმა ოსებმა საჩივარი აღძრეს და ითხოვეს მისი დატოვება. სამღვდელოების ხელში სწავლის გადაცემა უშედეგოა[113].

50-იან წლებში ოსეთის სხვადასხვა ადგილებში მასწავლებლობდა სახაზინო ელენი თომა ჩოჩიშვილი. იგი ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა ბავშვებს. ორტევში 1859 წელს გახსნილ სკოლაში იგი 20 მოსწავლეს ასწავლიდა[114].

მაგრამ მოსწავლეთა რიცხვი ოსეთის სკოლებში ძალიან მცირე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოსები დიდ ინტერესს იჩენდნენ განათლებისადმი. ეს აიხსნება რიგი გარემოებებით, რომელთა შესახებ კო-

---

108 История Осетии в док. и материалах, II, გვ. 592—593.
109 იქვე, გვ. 599—600.
110 იქვე, გვ. 602.
111 იქვე, გვ. 611.
112 იქვე, გვ. 597, 603, 610, 622, 624.
113 იქვე, გვ. 621.
114 იქვე, გვ. 601, 615, 617.

ლექსკი ასესორი — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დიმ. ბაქრაძე წერდა 1864 წ. 12 ნოემბერს. იგი ახასიათებს სამხრეთ ოსეთის სკოლებს. სამხრეთ ოსეთი ორ საბლაღოჩინოდ იყოფოდა—ჯავისა და ორტევისა. ჯავის საბლაღოჩინოში 77 მოსწავლეა (გასულებიანად—84), ორტევისაში 30 (გასულებიანად—44). თითოეულ აქაურ სამრევლოში 5-დან 17 სოფელი შედის, რომლებიც 2—25 ვერსით არიან დაშორებული სამრევლოს ცენტრს. მოსწავლეები შორეულ სოფლებიდან ვერ დადიან და ძირითადად იმავე სოფლიდან არიან, სადაც სკოლაა. სკოლები მოუხერხებელ ადგილას, შეუფერებელ ბინებშია და არავითარი ინვენტარი არა აქვთო. სამუშაოების დროს ბავშვები მშობლებს სკოლიდან გაჰყავდათ. იგი აკრიტიკებს სწავლების მეთოდებს, რომელიც ლოცვების მექანიკურ დაზეპირებას ემყარებოდა უპირატესად. ბავშვთა გონებრივ განვითარებას ყურადღება არ ექცევა. მასწავლებლები-მღვდლები მოუმზადებლები და ამ საქმისათვის უვარგისნი არიან. ყველაზე საიმედოდ და მცოდნედ თვლის ჯავის ბლაღოჩინ ყანჩუევს, მღვდელ მაღალდაძეს (მსხლები),კასრაძეს (რუკის), მაჭავარიანს (ბეყმარის), ელიევს (ქალაქის ანუ ეიდისის). იგი ხაზს უსვამს ცხოვრების მძიმე პირობებს ოსეთში. მშობლებს ძალიან უჭირთ ბავშვების შენახვაო[115]. სხვა მოხსენებაში იგი აყენებს საკითხს ოსეთის სკოლაში შრომითი აღზრდის შემოღების შესახებ. ყველა სკოლას ბოსტანი უნდა ჰქონდეს და მოსწავლეებს მებოსტნეობა უნდა ვასწავლოთო. მან თბილისის სასულიერო სასწავლებლებში შესასვლელად ხუთი მოწაფე წარადგინა[116].

ქართველ მოღვაწეთაგან ოსი ხალხის სწავლა-განათლების განვითარების, წიგნიერების გავრცელების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვლადიკავკაზის ოსური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, ქართული, რუსული და ოსური ენების საუკეთესო მცოდნეს შიო დავითაშვილს. იგი 1836 წელს დაარსებულ აღნიშნულ სასწავლებელში, სადაც დასაწყისში 34 მოსწავლიდან 33 ოსი იყო, ოსურ ენას ასწავლიდა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ოსური დამწერლობა XIX ს. 20-იანი წლებიდან ქართული გრაფიკის ბაზაზე შეიქმნა. თვით საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც ოსურთან ერთად, ქართული ენა ისწავლებოდა. ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის შესაბამისად, შიო დავითაშვილს — ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს— 1836 წელს განკარგულება მიეცა «Обучение детей горцев грузинским буквам как вовсе ненужное, совершенно отменить». მან, როგორც ოსურის კარგად მცოდნემ, დავალება მიიღო. ოსური

---

[115] История Осетии... II. გვ. 630—633.

[116] ი ქ ვ ე. გვ. 634—635.

სახელმძღვანელოების ხელახლა სათარგმნად გამოეყენებინა შეგრენის მიერ რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ოსური ანბანი[117]. დავითაშვილმა, მართლაც, მრავალი სასულიერო წიგნი და სახელმძღვანელო თარგმნა ოსურ ენაზე. იგი XIX ს. 40—50 წლებში ჩრდილო კავკასიაში ნაყოფიერ საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა[118].

შიო დავითაშვილმა, როგორც ოსური ენის კარგმა მცოდნემ, ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორ, შემდეგ კი ზედამხედველ მჭედლოვთან და ოფიცერ პეტრე ჟუსკაევთან ერთად, დიდი დახმარება აღმოუჩინა შეგრენს ჯერ ოსური გრამატიკისა და, შემდეგ, ოსური ანბანის შედგენის საქმეში[119].

ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიდიოდნენ სხვა ქალაქებში და იქ აგრძელებდნენ სწავლას. 1848 წელს სასწავლებლის ინსპექტორმა მღვდელმა კოლიევმა, რომელმაც პირველმა (1845 წელს) დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, ვლადიკავკავის სამხედრო ოლქის უფროსს წარუდგინა შვიდი მოსწავლის სია უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში გასაგზავნად. ამათგან ერთი —ჟუსკაევი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაიგზავნა. დამთავრების შემდეგ ისინი ბრუნდებოდნენ სამშობლოში და ნაწილობრივ სასულიერო უწყებაში, ნაწილობრივ კი სასწავლო დაწესებულებებში მუშაობდნენ.

XIX ს. I ნახევარში ოსეთისათვის საქართველოს კულტურული მნიშვნელობა კვლავ დიდი იყო. შემთხვევითი არაა, რომ თბილისში სწავლამიღებულმა ოსებმა დიდი როლი ითამაშეს ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

მაგალითად, 50—60-იანი წლების ოსეთში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მღვდელ ალექსი კოლიევის (1823—66 წწ.) საქმიანობა. მან ხომ პირველმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და დაინიშნა ვლადიკავკავის ოსური სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და მეოთხე კლასის მასწავლებლად, შემდეგში კი ამ სასწავლებლის ზედამხედველი გახდა. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქალთა განათლებას ოსეთში[120]. 1862 წელს მის მიერ დაარსებულ ქალთა კერძო სკოლაში 20 ოსი გოგონა სწავლობდა, 1863 წელს კი უკვე

---

[117] История Северо-Осетинской АССР, 1959, стр. 177—178.

[118] ტ. სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, თბ., 1965, გვ. 21.

[119] История СО АССР, стр. 179.

[120] История СО АССР, стр. 182.

23 მოსწავლე. ამ სკოლის ბაზაზე 1865 წელს ჩამოყალიბდა ვლადიკავკავის ოს ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი პანსიონით[121]. ა. კოლიევი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.

კოსტა ხეთაგუროვი დიდად აფასებდა ა. კოლიევის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. იგი მას „პირველი გაწვევის" ოსი ინტელიგენციის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელს უწოდებდა. მისმა სკოლამ (ქალთა), კოსტას თქმით, მრავალი შესანიშნავი მშრომელი — ოჯახის დედა და სახალხო მასწავლებელი აღზარდა.

აღსანიშნავია ვასილ ცორაევის (1827—1884) საქმიანობაც. მან დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და გაემგზავრა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. მისი დამთავრების შემდეგ იგი მასწავლებლობდა ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში იგი თარგმნიდა სასულიერო ხასიათის წიგნებს ოსურ ენაზე. მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან დანიელ ჭონქაძესთან ერთად ჩაიწერა ხალხური შემოქმედების ნიმუშები, რომლებიც შემდეგ, 1868 წ. პეტერბურგში გამოსცა შიფნერმა სათაურით: «Осетинские тексты, собранные Д. Чонкадзе и В. Цораевым».

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ოსური კულტურის სარბიელზე XIX ს. ცნობილი ქართველი მწერლის დანილ ჭონქაძის მოღვაწეობა.

დანიელ ჭონქაძის მამა ჩრდილო ოსეთში გადასახლდა. დანიელმა სრულყოფილად შეისწავლა ოსური ენა. დაამთავრა რა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი 1851 წელს, დაიწყო ოსური ენის მასწავლობლობა სტავროპოლის სემინარიაში. 1855 წელს თბილისში დაბრუნდა და სასულიერო სემინარიაში ოსურ ენას ასწავლიდა. იგი მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა და რამდენიმე წიგნი თარგმნა ქართულიდან ოსურ ენაზე.

დანიელ ჭონქაძემ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის დავალებით დაიწყო მასალების შეკრება რუსულ-ოსური ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ მისი დასრულება არ დასცალდა. მანვე დიდი ამაგი დასდო ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებას. ვ. ცორაევთან ერთად, მის მიერ შეკრებილი მასალები, როგორც უკვე აღინიშნა, შიფნერმა 1868 წელს გამოსცა პეტერბურგში[122].

1860 წელს არქიმანდრიტი იოსები კავკასიის მარცხენა ფრთის ჯარების სარდალს წერდა, რომ მან შეგრენის გრამატიკის საფუძველზე

---

[121] История СО АССР, გვ. 180; ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 123.
[122] არკადი ხუნდაძე, დანიელ ჭონქაძე, თბ., 1966.

შეადგინა ოსური ანბანი და რომ ოსთა შორის არიან პირები, რომელთაც საკმაო განათლება აქვთ, გრამატიკულად იციან ოსური და რუსული და შეუძლიათ ნაციონალური განათლების საქმეში მოეხმარონ თანამემამულეებს. ესენი არიან მღვდლები კოლიევი და სუხიევი, დიაკონი ალაჯიკოვი, მასწავლებლები ჟუსკაევი, კარაევი, კანტემიროვი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მდივანი მეედლოვი (მჭედლიშვილი), თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ჭონქაძე და სხვ. ამათგან ზოგი ახლაც ეწევა საეკლესიო წიგნების თარგმნას ოსურ ენაზე[123].

ზემოთქმული სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ XIX ს. პირველ ნახევარში ქართული კულტურა და დამწერლობა კვლავ ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა ოსური კულტურისა და დამწერლობის განვითარებაზე. საქართველოს კულტურის ცენტრებში შეიქმნა, აღიზარდა და გამოიქედა ოსი ინტელიგენციის ის კადრები, რომელთაც ფაქტიურად საფუძველი დაუდეს ოსური წიგნური კულტურის, ოსური ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.

---

[123] История Осетии в док. и материалах, II, стр. 617—618.

თ ა ვ ი II

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში (1864—1900 წწ.)

§ 1. ეკონომიური ურთიერთობა

XIX ს. მეორე ნახევარი — საგლეხო რეფორმის შემდგომი ხანა, ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით, მრავალმხრივაა საყურადღებო. ეს არის საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდი, რომელშიც ჩართული იყო სამხრეთ ოსეთიც, და, რომლის ეკონომიური ცხოვრება ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებასთან იყო გადაჯაჭვული. რეფორმისშემდგომ ხანაში ეკონომიურად ვითარდება ჩრდილო ოსეთიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეკონომიურად იგი ჩრდილო კავკასიაში რუსულ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების უპირატეს გავლენის ქვეშ ექცევა. რა თქმა უნდა, არ წყდება მათი ეკონომიური ურთიერთობაც საქართველოს სხვადასხვა ნაწილებთან. გარდა ამისა, საქართველოს (განსაკუთრებით ეს ეხება აღმოსავლეთ საქართველოს) ტერიტორიაზე რეფორმისშემდგომ ხანაში ოსების ფართოდ განსახლებამ მათი ეკონომიური ცხოვრება ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ორგანული ნაწილი გახადა.

სამხრეთ ოსეთის მთიანი რაიონების მოსახლეობა სათანადო გზაბილიკებით (მდინარეთა ხეობებს რომ მოჰყვებოდა) უკავშირდებოდა ქართლის ბარისა და იმერეთის სოფლებსა და სავაჭრო-სამრეწველო პუნქტებს. ასევე, ჩრდილო ოსეთის ყველა საზოგადოება, ნარ-მამისონის აუზის მოსახლეობის ჩათვლით, საუღელტეხილო გზების მთელი სისტემით უკავშირდებოდა საქართველოს ბარს, მის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებს.

სამხრეთ ოსების ეკონომიური ურთიერთობა ქართველ ხალხთან განსახილველ ხანაში კვლავ ატარებს ერთი ეკონომიური მთელის ცალკეული ნაწილების ურთიერთობის ხასიათს. სამხრეთ ოსეთის მთია-

ნი რაიონებისათვის ეს არის მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობის ტიპიური სურათი. ასეთივე ხასიათის იყო ეს ურთიერთობა ჩრდილო ოსეთის მთიანი რაიონებისათვის, მაგრამ მათმა გადასახლებამ ჩრდილო კავკასიის ველებზე, იქ მსხვილი რუსული სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების წარმოქნამ, მისი ურთიერთობა საქართველოსთან ერთგვარად დაუსუსტა, მაგრამ სავსებით ვერ შეწყვიტა. ჩრდილო ოსეთის მთიანეთის საზოგადოებები კვლავ განაგრძობდნენ ეკონომიურ ურთიერთობას ქართლსა და იმერეთთან საუღელტეხილო გზების მეშვეობით.

ოსების ქართველებთან ცხოველ ურთიერთობას განაპირობებდა განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური და სამეურნეო პირობები. მთიელი ოსების წინაშე მუდმივად იდგა მარცვლეულის პრობლემა. საკუთარი ნოსავალი ხელსაყრელი კლიმატური პირობების არსებობისას მაინიმუმ ექვს თვეს ყოფნიდათ. დანარჩენი დროისათვის მარცვალს ისინი ქართლის ბარიდან იღებდნენ გაცვლის ან ყიდვის გზით. დიდი ლიახვის ხეობის ზემოწელზე, სოფ. ზღუბირში, მოხუცების გადმოცემით, ისინი მარცვლეულს დანაკლისს იძენდნენ ცხინვალში, ვანათში და ქართლის სხვა სოფლებში.

სოფ. ედისში (სამხრ. ოსეთის მაღალმთიანი ზონა დიდი ლიახვის სათავე) 1956 წლის საველე ექსპედიციის დროს მოხუცმა მცხოვრებლებმა გვიამბეს, რომ საშუალო კაცს მოსავალი უკეთეს პირობებში აღდგომამდე ჰყოფნიდა, მაგრამ იქ სეტყვა ხშირია და მაშინ ხორბლეული ჩრდილო კავკასიიდან და ქართლის ბარიდან ამოჰქონდათ. ღარიბები, რომლებიც მთებში ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ, მარცვლეულის მხრივ უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული ბარზე. მარცვლის ამოსატანად, და საერთოდ ბართან თავის ეკონომიურ ურთიერთობის საწარმოებლად, სამხრეთ ოსეთის მთიან რაიონებში ტრანსპორტის ძირითად სახეს წარმოადგენდა ცხენი.

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოს ბარში იძენდა მისთვის საჭირო ყველანაირ საქონელს — ფაბრიკული წარმოების ქსოვილებს, მარილს, ჭურჭელს და სხვ. თბილისი სიშორისა და ცუდი გზების მიუხედავად, XIX ს. მეორე ნახევარში უაღრესად დიდ როლს ასრულებდა ოსებთან ვაჭრობის საქმეში. სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა რაიონებიდან, თბილისში ურმებით ეზიდებოდნენ ხილსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს და მათში აღებული ფულით იძენდნენ თავისთვის საჭირო საქონელს. გარდა ამისა, თბილისში, როგორც ამიერკავკასიის ეკონომიურ ცენტრში, თავს იყრიდა ყველა სავაჭრო-გამსაღებელი ოპერაციები, რომელთა მასშტაბები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

კაპიტალიზმის განვითარებას რეფორმისშემდგომ ხანაში სამხრეთ ოსეთში არ გამოუწვევია რაიმე სახის მრეწველობის შექმნა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხე-ტყის დამამუშავებელ წარმოებას, რომელიც XIX ს. დამლევიდან თანდათან იდგამდა ფეხს. სამხრეთ ოსეთში მტკიცედ შეიკრა სავაჭრო კაპიტალი, რომელიც კუსტარულ ნაწარმს კი არ იძენდა, არამედ ნედლეულს მრეწველობისათვის და სასურსათო პროდუქტებს რუსეთის ბაზრისათვის[1].

მაგრამ სამხრეთ ოსებისათვის ცხინვალი და ახალგორი რჩებოდა ძირითად სავაჭრო ცენტრებად, სადაც მათი სავაჭრო-გაცვლითი ოპერაციების ძირითადი ნაწილი ხორციელდებოდა. XIX ს. რეფორმის შემდგომი ქართული და რუსული პრესა, პუბლიცისტიკა, ხაზს უსვამენ ამ ცენტრების გაცხოველებულ გაცვლა-გამოცვლას მთიანეთის მოსახლეობასთან, მათ შორის ოსებთან. ამასთან, ყველგან ხაზი ესმებოდა ამ ცენტრებში მოკალათებული ვაჭარ-მევაჭრეების მიერ ადგილობრივი თუ სავაჭროდ მოსული მოსახლეობის სასტიკ ექსპლოატაციას.

დოქტორი პაფფი, რომელმაც 1871 წ. იმოგზაურა სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო კავკასიის მთელ რიგ რაიონებში, ცხინვალზე წერდა, რომ იგი მნიშვნელოვანი ადგილია. მოსახლეობა უპირატესად სომხები და ებრაელებია. ისინი ყიდულობენ ლიახვის ხეობის მცხოვრებთა საქონელს და ჰყიდიან მერმე[2].

ოსებს ცხინვალში, ახალგორში და სხვა პერიოდულ საბაზრო ადგილებში გამოჰყავდათ პირუტყვი — ხარები, ძროხები, თხები, ცხვრები, ღორები, გამოჰქონდათ მატყლი, ყველი, ერბო, ტყავი, შალი და სხვ. რძის გადამუშავებამ XIX ს. მეორე ნახევრისათვის ოსეთში, ისევე როგორც სხვაგან, შინამრეწველური ხასიათი მიიღო. ოსური ყველი, თუშურის, იმერულის და მეგრული სულუგუნის გვერდით, მთელ ამიერკავკასიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა[3] და მის გარეთაც კარგად იყო ცნობილი. გასაგებია, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართველი და ოსი ხალხების სავაჭრო-გაცვლით ურთიერთობაში.

სამხრეთ ოსეთის მთიანეთში რეფორმისშემდგომ ხანაში მოსახლეობის არსებობის ძირითად წყაროს მესაქონლეობა (უპირატესად — მეცხვარეობა) წარმოადგენდა. ცხვარი ზამთარში მუხრან-აღაიანის ველებზე ან კვერნაქზე გამოჰყავდათ. საამისოდ ისინი ამ ადგილების

---

[1] В. Д. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, стр. 11.

[2] Пфаф, Описание путешествия в Южную Осетию, Рачу, Б. Кабарду и Дигорию, ССК, т. II, 1872, стр. 151.

[3] ბ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება..., V, გვ. 427.

მეპატრონეთაგან საძოვრებს ქირაობდნენ. ყიზლარის ველებზე ცხვრის გადარეკვა ცოტა უფრო მოგვიანებით დაიწყეს და თანაც ეს ყველასათვის არ იყო მისაწვდომი.

მატყლს ისინი ასაღებდნენ ცხინვალ-ახალგორში მეცხოველეობის სხვა პროდუქტებთან ერთად, მაგრამ მას ძირითადად მაინც ადგილზე გადაამუშავებდნენ ხოლმე და მზა პროდუქციის სახით — შალის, ნაბდების, ყაბალახების, თექის, ყისინას, შეკერილი ტანსაცმლის — ჩოხების სახით ასაღებდნენ. ოსებში ძალიან იყო გავრცელებული შალის წარმოება[4]. ისინი თხის ნაზი ბეწვისაგან აკეთებდნენ მეტად ნაზ შალს ე. წ. თივთიკს (ოსურად თინთიკი), ხოლო ცხვრის მატყლისაგან უხეშ შალს.

გორის მაზრის 1887 წ. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ოსებში შალის ქსოვა ძალიან გავრცელებულია. თივთიკს და შალს ადგილობრივ დამზადებულ ხის დაზგებზე ქსოვდნენ, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ფაბრიკულ შალს. მათი ფასი ასეთი იყო: თივთიკი არშინი—2—4 მანეთი, შალი არშინი—1—2 მან. ისინი საღდებოდა მაზრაში, აგრეთვე გორში, თბილისში, ქუთაისში და ვლადიკავკავში. ამ შინამრეწველური დარგის საერთო შემოსავლის დადგენა შეუძლებელია იმის გამო, რომ მას მოსახლეობის ნახევარი მისდევს და ნედლეულის საკითხთან დაკავშირებით მეტად არათანაბრად აწარმოებენ[5].

ცხინვალსა და ახალგორში ოსები იძენდნენ მათში დიდად გავრცელებულ სპილენძისა და თუჯის ქვაბებსა და ჭურჭელს. სპილენძის ქვაბები არყისა და ღუდის გამოსახდელად აუცილებელი იყო და თითოეული ოჯახის ღირსების საქმე იყო ჰქონოდათ ისინი საკუთრად. აქვე იძენდნენ მანუფაქტურას, მარილს, ნავთს, რკინა-კაევეულის ნაწარმს, საოჯახო საგნებსა და ღვინოს.

ცხინვალისა და ახალგორის ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ ოსებისა და მიმდგომი მოსახლეობისათვის ბევრ მასალას შეიცავს პერიოდული პრესა. გაზეთი «Тифлисский листок» 1900 წ. 11 მაისის №137-ში აღნიშნავდა, რომ თავისი მოხერხებული სავაჭრო მდებარეობით ცხინვალი თითქოს შუამავალია მთიანი ოსეთის გორსა და თბილისთან ვაჭრობაში. კვირაში 3-ჯერ აქ დიდი ბაზრობა იმართება, მაისის თვეში კი იმართება „იარმარკა, რომელზეც ოსები მიერეკებიან

---

[4] Кустарная промышленность на Кавказе, I—II, 1902, Тифл.; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XXსს., ტ. V, თბილისი, 1962, გვ. 360; З. Ванеев, Крестьянский вопрос и крест. движение в Юго-Осетии в XIX в., Сталинир, 1956, стр. 42; В. Д. Абаев, Экономич ское развитие Юго-Осетии в период капитализма, стр. 54—55.

[5] საქ. ცია, ფ. 414, საქმე 36, ფ. 5; З. Н. Ванеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

ცხენის რემებს. კარგი გზები გაზრდიდა ვაჭრობას და ააყვავებდა მდიდარ ჯავის ხეობასო.

იმავე გაზეთის 1901 წ. 3 ნოემბრის № 257-ში ხაზი ესმება ცხინვალის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას. ყოველწლიურად ცხინვალზე გადის ექვსი ათასი ფუთი ოსური ყველი, 10 ათასი ფ. მატყლი, 100 ათასი ფ. ხილი. ეს უფრო მეტი იქნებოდა, გზები რომ უკეთესი იყოსო

ახალგორში მიმდინარეობდა ქსნისა და ლეხურის ხეობათა მოსახლეობის ვაჭრობა. აქაური ვაჭრები უშუალოდ გლეხებისაგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ ათეულ ათასობით ფუთ ცხვრის მატყლს, ყველს და მას თბილისში და საზღვარგარეთაც ასაღებდნენ. აქ ყველი და ერბო უშუალოდ მარილზე იცვლებოდა და ყოვლად უსინდისოდ ატყუებდნენ [illegible]ილებს.

ქართლთან ოსების ეკონომიურ ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდნენ ე. წ. ბაზრობები რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ასეთი დიდი ბაზრობა იმართებოდა გერისთაობის დღესასწაულზე ს. არბოში, რომელიც აღვისტოს დამლევს ეწყობოდა. გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი" 1900 წ. ბაზრობასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ აქ — არბოში თავს იყრიან გორის მაზრის ყველა სოფლიდან, აგრეთვე თბილისიდან და თბილისის გუბერნიის ყველა სამაზრო ქალაქიდან ვაჭრები. აქ მოაქვთ ხორბალი, ყველი, ერბო, მსხვილფეხა საქონელი, ცხენები, კუსტარული ოსური ნაწარმი — ხის სკამები, მაგიდები, კარადები, საკარცხულები. მარილი იცვლება ყველსა და ერბოზე. ვაჭრები სასტიკად ატყუებენ ოსებს, რომლებიც წელიწადში 1—2 ჯერ ჩამოდიან მთიდან თავის ნაწარმის გასაყიდათ[6].

იგივე გაზეთი 1901 წლის დღეობასთან დაკავშირებით წერდა, რომ ოსებს ცხენები, პირუტყვი, მეცხოველეობის პროდუქტები. შალი მოაქვთ და სცვლიან სპილენძის ქვაბებზე, ხორბალზე, სიმინდზე, მარილზე და ჩითის ქსოვილებზე[7].

ცხინვალ-ახალგორის გარდა, ოსებთან ვაჭრობისა და გაცვლა-გამოცვლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ გორის, ხაშურის, ბორჯომის, დუშეთის, ანანურის, მეჯვრისხევის, ონისა და საჩხერის ბაზრობებს.

დასავლეთ საქართველოს ბაზრობებზეც ფართოდ მონაწილეობდა ოსური შალის ქსოვილები. XIX ს. დასასრულის მონაცემებით, ოსებს და რაჭველებს ჩრდილო კავკასიიდან შემოჰქონდათ ადგილობრივი შალი, რომელიც ონური შალის სახელწოდებით იყო ცნობილი. ამან ეს

---

[6] გაზ. «Тифлисский листок», 1900, 5 სექტ., № 207; З. Н. Банеев, დასახ. ნაშრ., გვ. 347.

[7] «Тифлисский листок», 1901, 18 ოქტომ., № 243.

სახელწოდება მიიღო ონის სახელიდან, თუმცა მას არც ონსა და არც საერთოდ რაჭაში არ ამზადებდნენ. იგი მზადდებოდა უღელტეხილს გადაღმა. ბალყარეთში, ყარაჩაიში, დიგორიაში და სხვა ოსურ სოფლებში. რაჭველები, უპირატესად ონელები, ამ საქონელს ასაღებდნენ: აღნიშნული შალი ქუთაისის გუბერნიაში მიმოქცევაში მყოფთაგან საუკეთესო იყო. მეგრული შალი მხოლოდ თავის სიიაფით უძლებდა მის კონკურენციას. ონური შალის ნაქერი (28 წყრთა) ღირს 12—15 მანეთი, მეგრული კი 5—7 მანეთი. „სამაგიეროდ ოსური შალი გამოირჩევა დიდი გამძლეობით. განსაკუთრებით სახელგანთქმულია „დიგორული", რომელიც თავისი ღირსებით არაფრით არ ჩამოუვარდება განთქმულ ლეკურს"[8].

შალით ვაჭრობა წარმოებდა ძველი სეწაკის სასოფლო ბაზრობაზეც. ვინმე მკვიდრი (ფსევდონიმით „ვალში" შემდეგნაირად აღწერდა მას: „ერთი კვირაა აქ ბაზრობაა გამართული. რა ბალხი ესებავთ აქ არ იყოს — აფხაზი. ლეკი, ოსი და სხვადასხვა... ეს მილეთის ხალხი ერთი მეორეში ირევა... ვერ წარმოიდგენთ რა მხეცურად და უმართებულოთ ეპყრობიან საკაროდ ჩამოსული ურიები და სომხები აქაურ სოფლელებს, გამოგლეჯენ ხელში შალს (უმთავრესად აქ შალის ვაჭრობაა), გადაუგდებენ რვა მანეთიან შალში 3—4 მანეთს და თუ წაიღებს— წაიღებს, თუ არა და იმასაც არ აძლევენ..."[9]

ამრიგად, დასავლეთ საქართველოსთან ვაჭრობაში აქტიურად იყო ჩაბმული ჩრდილო ოსეთიც. რაჭის სოფ. წედისი დიდ როლს ასრულებდა ადრიდანვე რკინის წარმოებისა და ახლომახლო მცხოვრებ ხალხთა რკინით მომარაგების საქმეში. დიგორელებს, ბასიანელებს, ყაბარდოელებს აქ ადრიდანვე შემოჰქონდათ ჩოხა, ნაბადი, მატყლი, შემოჰყავდათ პირუტყვი, სამაგიეროდ გაჰქონდათ რკინის ნაწარმი— სახნისები, თოხები, ცულები და სხვ., აგრეთვე კანაფი, აბრეშუმი და სხვ[10]. რკინა გაჰქონდათ დასამუშავებელი სახითაც.

ოსეთში, ისევე როგორც ამიერკავკასიის ხალხებსა და კავკასიის ჩთიანეთის სხვა ხალხებში, სხვადასხვა ლითონის გადამუშავებაზე აღმოცენებულმა შინამრეწველობამ, მაღალ განვითარებას მიაღწია, როგორც თავისი პროდუქციის ფართოდ გავრცელების, ისე თვით ნაკეთობის ხელოვნების მხრივაც[11].

---

[8] Ш. Ломинадзе, По Рионскому ущелью (путевые заметки), СМОМПК, вып. XXII, გვ. 207—208.

[9] ჟურნ. „კვალი", 1899, № 14, გვ. 222; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. V, გვ. 361—362.

[10] ნ. რეხვიაშვილი, მეჯედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 13—14.

[11] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, V, გვ. 409.

თვით საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაც, ეკონომიური მოსაზრებებით, მჭიდროდ უკავშირდებოდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას. ასეთები იყვნენ მოხევე-მთიულები, რაჭველები, სვანები. ეგ. გაბლიანის ცნობით, „სვანები აწარმოებენ გაცვლა-გამოცვლით მრეწველობას. მიაქვთ თერგის და ყუბანის ოლქებში ზაფხულობით ზურგით: არაყი, ჩირი, დაფქული მსხალი, თაფლი და სხვა ხილეულობა, ადგილობრივი ხელობის კალათები და ცვლიან მატყლზე. ქეჩებზე, შალებზე და სხვა. ამ მატყლისაგან სვანის ქალები აკეთებენ მშვენიერ შალებს, ქუდებს. შალებისაგან მამაკაცები იკერავენ, ჩოხებს, ხალათ-შარვალს, ქალები უქსოვენ წინდებსა და სხვ"[12].

რეფორმისშემდგომი ხანის ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში ერთ საინტერესო მოვლენას ვხედავთ: ქართველი მთიელები. (ზოგჯერ არა მხოლოდ მთიელები) 90-იან წლებში, ხშირად მიმართავენ ჩრდილო კავკასიიდან, უპირატესად ოსეთიდან, სიმინდისა და სხვა მარცვლეულის შემოტანას. ეს აიხსნება იმით, რომ ჩრდილო ოსების ველზე განსახლებამ, კაპიტალისტურ სასაქონლო ურთიერთობათა სისტემაში ჩართვამ მარცვლეული მეურნეობის წინსვლა გამოიწვია.

მაგალითისათვის ავიღოთ ვლადიკავკავის ოლქის მდგომარეობა 80—90-იანი წლებისათვის. 1886—1890 წწ. ვლადიკავკავის ოლქის მოსახლეობა წელიწადში აწარმოებდა ორ მლნ ფუთზე მეტ მარცვლეულს[13]. 90-იან წლებში სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების შედეგად, ჩრდილო ოსეთში კიდევ უფრო განვითარდა მარცვლეულის წარმოება. გადიდდა სიმინდის, კარტოფილის, ხორბლისა და ქერის ნათესი ფართობები. განსაკუთრებით იზრდება სიმინდის ნათესები. 1890 წ. ოსეთში სიმინდის ნათესი შეადგენდა მთელი ნათესი ფართობის 30%, 1900 წ. უკვე 64%. ჩრდილო ოსეთს 1897-დან 1901 წლამდე, ყოველწლიურად ორი მლნ. ფუთი სიმინდი გაჰქონდა[14]. ასეთ პირობებში ჩრდილო ოსეთიდან 90-იან წლებში რაჭაში და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში, ხევსა და მთიულეთში დიდი რაოდენობით შემოდის სიმინდი.

იმდროინდელი დამკვირვებელ-მოგზაური წერს, რომ «Живя в Уцере (რაჭის სოფელი) постоянно видишь перед собой целую вереницу осетинских повозок, везущих с Северного Кавказа куку-

---

[12] ეგნ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925, გვ. 166

[13] Евг. М а к с и м о в, Г. В е р т е п о в, Туземцы Северного Кавказа, Владикавказ, 1892, стр. 21—22, 48.

[14] В. С. Г а л ь ц е в, Социально-экономическое и культурное развитие Северного Кавказа. «Вопросы истории», 1954, № 10, გვ. 120; მისივე, К истории пореформенного развития Сев. Кавказа, Изв. СОНИИ т. XXV, 1966, стр. 106.

рузу для местных жителей. Надо заметить, что последние два года сряду (1894—1895 гг.) были в Раче неурожай, это-то и вызвало подвоз кукурузы с Северного Кавказа за высокую цену, по рублю за пуд, и это в то время, когда на станциях Абаша, Ново-Сенаки, Поти и др. местная кукуруза несравненно более высокого достоинства, чем осетинская, продавалась по 50 коп. за п д»[15].

Ш ломинаძის ეს ცნობა წიგნის რედაქციამ სწორად მიიჩნია, ოღონდ შენიშნა. რომ მისთვის სხვა წყაროებიდან ცნობილია ჩრდილო კავკასიიდან მოტანილი სიმინდის მაღალი ხარისხი და ისიც, რომ ფუთი 60 კაპიკად იყიდება.

საქართველოს სამხედრო გზასთან დაკავშირებული მთიელებიც სურსათს უპირატესად ჩრდილო კავკასიაში — ოსეთსა და ინგუშეთის ველებზე იძენდნენ. ყამურის სოფ. ჩიგოიანში 80 წლის გენო ტატოს ძე ძებისოვმა გვიამბო (1966 წ.), თუ როგორ გადმოჰქონდათ სურსათი ყამურის სოფლების (ქსნის სათავეშია) მცხოვრებთ ჩრდილო კავკასიის ველებიდან. ისინი ჩადიოდნენ საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე მლეთში და მთიულებისაგან ქირაობდნენ ცხენის ურმებს. ამ ურმებით მოჰქონდათ სიმინდი მლეთში, საიდანაც შემდგომ, ზამთრის თვეებში, ზურგით ეზიდებოდნენ, რადგან მლეთიდან გადმომავალ ბილიკებზე ზამთრობით ცხენი ვერ დადიოდა.

ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონდა ქართლის ბარიდან მარცვლეულის მთაში ატანის საქმეშიც. მთიელი ოსები ბარში შეძენილ მარცვლეულს ინახავდნენ მთისპირეთში მცხოვრებ ოსებთან ან ზოგჯერ ნაცნობ ქართველებთან და შემდეგ, საჭიროების მიხედვით, ცხენებით მოჰქონდათ. ხშირად იგივე ხდებოდა ღვინის მიმართაც. ნაყიდ ღვინოს ბარის სოფლებში ინახავდნენ და როცა დასჭირდებოდათ, მიჰქონდათ. ყველაფერი ეს ოსთა ქართლის ბართან შემდგომ დაახლოებას იწვევდა. ეკონომიურად მასზე დამოკიდებულს ხდიდა.

XIX ს. 90-იანი წლებისათვის ამიერკავკასიაში დიდად გაიზარდა საქალაქო მოსახლეობის რიცხვი. ამასთან დაკავშირებით, და აგრეთვე იმის გამო, რომ ტექნიკური კულტურების გავრცელების შედეგად შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები, ამიერკავკასიაში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება მარცვლეულზე. გაძლიერდა ხორბლეულის იმპორტი ჩრდილო კავკასიიდან. უკვე 1891 წ. შემოტანილ იქნა 785,7 ათასი ფუთი მარცვლეული, 1893 წ. კი—3904,6 ათასი ფუთი. შემდგომ

---

[15] Ш. Л о м и н а д з е, По Рионскому ущелью (Путевые заметки), СМОМПК, XXII, стр. 207.

წლებში იგი მერყეობდა და 1900 წლისათვის შემოტანილი მარცვლეული 2592,0 ათას ფუთად იანგარიშებოდა[16].

აღნიშნული მონაცემები შეეხება რკინიგზით შემოტანილ მარცვლეულს და მთელ იმპორტულ მარცვლეულს არ მოიცავს. საქართველოს სამხედრო გზით, ნაწილობრივ ოსეთის სამხედრო გზითაც, საჭაპანო ტრანსპორტით დიდძალი მარცვლეული შემოდიოდა არა მარტო ხევ-მთიულეთში და რაჭაში, არამედ თბილისშიც.

ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილი პურის ძირითადი მომხმარებელი იყო თბილისი. ამასთან რკინიგზით შემოტანილი მარცვლეული მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული ჩრდილო ოსეთთან, მაშინ, როდესაც საქართველოს სამხედრო გზით შემოტანილი მარცვლეული, რომელიც XX ს. დამდეგს 1,4 მლნ. ფუთად იანგარიშებოდა, ძირითადად ჩრდილო ოსეთზე და ინგუშეთზე მოდიოდა. მისი ტრანსპორტირების საქმეშიც ოსები დიდ როლს ასრულებდნენ.

რეფორმის შემდგომ ხანაში ქართველებთან ოსების ეკონომიურ ურთიერთობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ხე-ტყით ვაჭრობა და ხის ჭურჭლის გაცვლა-გამოცვლა. დიდი ლიახვის ხეობაში არსებული ტყეებიდან ხეებს აცურებდნენ. სოფ. ხვწემდე. აქ მათ ათხიან ტივებად ჰკრავდნენ და გორამდე ჩაჰქონდათ, საიდანაც ოცხიანებად შეკრავდნენ და თბილისში მიჰქონდათ. როგორც ცხინვალში, ასევე გორშიც იყიდებოდა ტივებად ჩამოტანილი ხე-ტყე. ძირითადი და საბოლოო პუნქტი კი თბილისი იყო. ტივებზე მათ სხვა პროდუქტებიც ჩამოჰქონდათ.

ჯავის ხეობაში, ზღუბირში და ტყეებით მდიდარ სხვა ადგილებში, ოსები ამზადებდნენ ხის იარაღებს — ურმებს, მარხილებს, კევრებს, უღლებს, ფოცხებს, ნიჩბებს, ფიწლებს, ორთითებს და სხვ., აგრეთვე, საოჯახო ჭურჭელსა და ავეჯს — თასებს, კოვზებს, ჯამებს, გობებს, ვარცლებს, სადღვებლებს, კასრებს, მაგიდებს, სკამებს, ტახტებს და სხვ. ბარის რაიონებში მათზე დიდი მოთხოვნილება იყო და ოსებს ხშირად ჩამოჰქონდათ ისინი და ცვლიდნენ მარცვლეულზე. ზღუბირელებს, კერძოდ, თრუსოს გზით, ხის ჭურჭელი ბლომად გაქონდათ ხევში. მას თრუსოში, ხევში და მთა ადგილებში მატყლზე ცვლიდნენ, ვანათში და ბარის სოფლებში კი — ქერზე და სხვა მარცვლეულზე.

---

[16] პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბილისი, 1954, გვ. 156.

ხის დამუშავება მატყლის შემდეგ მეორე ადგილზე იდგა. ხის ინ-ყენტარმა XIX ს. მეორე ნახევარში სასაქონლო ხასიათი მიიღო[17]. იგი შინამრეწველობის უმნიშვნელოვანეს ობიექტად იქცა მთელ რიგ ოსურ სოფლებში.

ამ გარემოებას ხაზს უსვამდა გორის მაზრის უფროსი 1887 წ. ანგარიშში, როცა ლაპარაკობდა სამხრეთ ოსეთის მთიანი ნაწილის მოსახლეობის მიერ შინამრეწველობის სახით ხის დამუშავებაზე (ჯამ-ჭურჭელი, ყავარი, ავეჯი და სხვ.) და მისი პროდუქციის გასაღებაზე გორსა და გორის მაზრის სოფლებში, უპირველესად პურზე გაცვლის წესით[18].

ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობის სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქირაზე სიარული. საქართველოს სამხედრო გზა კავკასიის რუსეთთან სარკინიგზო ქსელით დაკავშირებამდე რუსეთისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალი იყო. რუსეთის საქონელი თბილისში და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ამ გზით მოდიოდა. ტვირთის ზიდვა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე მალაკნების ოთხთვალებითა და ოსების ურმებით ხდებოდა. გზის ეს როლი არ შესუსტებულა რკინიგზის გაყვანის შემდეგაც.

ოსებს ჯერ ხის ღერძიანი, შემდეგში კი რკინისღერძიანი ურმებით მოჰქონდათ ტვირთი ქირით (чыра — ოსურად) ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, თბილისიდანაც უკან დატვირთულები ბრუნდებოდნენ. ამ გზით ოსები გარკვეულ ფულად სახსრებს შოულობდნენ და უფრო მტკიცედ ებმებოდნენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სისტემაში. ვ. აბაევის თქმით, ახალგაზრდა ოსისათვის დიდი სახელი და მიღწევა იყო „დიდ ქალაქში" (—„სტირ ქალაქ" — ასე უწოდებდნენ ოსები თბილისს) რკინის ღერძიანი ურმით ქირაზე წამოსვლა[19].

მლეთელ და სხვა მთიულთა ტრანსპორტის დაქირავებას მარცვლის ადგილსაზიდად ხშირად მიმართავდნენ ქართლის მთიანეთის (უპირატესად ქსნის ხეობის ზემო წელის) ოსები.

საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში ქირაზე სიარულს მიმართავდნენ გორის მაზრის ოსებიც. 1864 წლის 26 მაისს ს. ორტევის მცხ. მალხაზ ჩოჩიშვილმა (ასე იხსენება საბუთში) ალექსანდრე თარხანოვს პირობის წიგნი მისცა, რომ სახელმწიფო პროვიანტს გადმოიტანდა (არა ჩანს საიდან სად, მაგრამ მომდევნო საბუთების ანალოგიით ორპირიდან ახალციხეში უნდა ვიგულისხმოთ) პირველ გზობაზე

---

[17] Б. С. Кулов, Основные занятия населения Северной Осетии в XIX и начале XX в., Изв. СОНИИ, т. XXV, 1966, стр. 307.

[18] საქ. ცია, ფ. 414, საქმე 36, ფ. 6; З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос.., стр. 341.

[19] В. Д. Лбаев, Тбилиси и Осетия, გვ. 9.

სამი ურმით, მეორე გზობაზე ორი ურმით, ჩეტვერტი 2,5 მანეთად (ე. ი. ფუთის გადმოტანა დაახლოებით 24 კაპიკი ჯდებოდა). ამ ქირის ანგარიშში მან თავის პარტნიორებთან ერთად (ძნელი წარმოსადგენია, რომ მას პირადად სამი ურმის გამოყვანა შესძლებოდა). ცხრა თუმანი თეთრი მიიღო. პირობის წიგნში გათვალისწინებული იყო, რომ თუ შეტ ტვირთს დაუდებდნენ, მის ღირებულებასაც მიიღებდნენ[20].

ასეთივე პირობის წიგნი მისცეს ალ. თარხანოვს გორის მაზრის სოფ. დოღლაურის მცხ ანდრია და იოსეფა ჩოჩიშვილებმა 1864 წლის 2 ივნისს ორპირიდან ახალციხეში სურსათის გადმოზიდვის შესახებ. ამ უკანასკნელთ 16 ურემი უნდა გამოეყვანათ. ფუთის გადმოტანა 20 კაპიკი ღირდა. ავანსად თითოეულ ურემზე 15 მანეთი მიიღეს, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ტვირთის გადმოტანის შემდეგ უნდა მომხდარიყო. პირობის წიგნში აღნიშნულია, რომ მოქირავნეთ უერთდება რაჯაბა ჯიოშვილიც 1 ურმით[21].

ქირით ნაშოვნი ფული მნიშვნელოვანი შეღავათი იყო ხელმოკლე ოსი მშრომელებისათვის, რომელნიც არ იყვნენ უზრუნველყოფილი საკმაო ოდენობის მიწებით და, ამდენად, საარსებო საშუალებათა ნაკლებობას მკვეთრად გრძნობდნენ. იგივე გარემოება აძლიერებდა მათს ეკონომიურ კავშირს საქართველოს სხვადასხვა რაიონებთან.

უმიწობის გამო სულმეხუთული ოსი გლეხობა მიმართავდა სეზონურ სამუშაოზე სიარულს ქართლის ბარსა და ჩრდილო კავკასიის ბარში.

ს. მაჩაბელი სახაზინო მთიელი ოსების ყოფა-ცხოვრების აღწერისას საგანგებოდ ჩერდება საშოვარზე გასვლის საკითხზე. მისი აზრით, საშოვარზე გასვლა გლეხთა კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მთის სოფლებში მოსავლის აღება უფრო ეკიან იწყება, ამიტომ ოსები მიდიან მოსავლის აღებაზე ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში. სოფლების ძომაღის, ზღუბირის, კიმასის, სბას, საზელეთის, ჭვრივის და შუა ერმანის მოსახლეობა ზაფხულში თერგის ოლქში მიდის. დანარჩენი სოფლების მცხოვრებნი კი — ჭორის, დუშეთის და თბილისის მაზრებში. ზამთარში ზემო ჩამოთვლილ შვიდი სოფლის მცხოვრებნი, აგრეთვე ბელოთის, ეერის და ყლარსის მოსახლეობა მიდიან საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მუშა თავის ხარჯით 15-ს, სახაზინო ხარჯით კი 10 მან. იღებს თვეში. ისინი აქ ექვსი თვის მანძილზე რჩებიან და გზის გაწმენდაზე მუშაობენ. სხვა ოსური სოფლების

---

[20] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, საბ. 655 .

[21] ი ქ ვ ე, საბ. 5551.

მცხოვრებნი ზამთარში მიდიან გორისა და დუშეთის მაზრებში, სადაც ბაღებში დღიურად მუშაობენ. ბევრი ახალგაზრდა ოსი შედის საერობო დაცვის სამსახურში. ოსი ქალებიც დროებით სტოვებენ სამშობლოს და მიდიან ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მათ ქირაობენ ძიძებად ან შინამოსამსახურეებად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქ. თბილისში ძიძების 3/5 ოსის ქალებია[22].

ქართლის სოფლებში მკის დროს მუშებზე დიდი მოთხოვნილება იყო. ამ დროს დაიძრებოდნენ ოსები ცელებით და მოედებოდნენ ქართლის სოფლებს (მათთან მკის სეზონი უფრო ადვიან იწყებოდა და თანაც დიდ დროს არ მოითხოვდა სახნავი მიწების სიმცირის გამო), ისინი მუშაობდნენ დღიურად 50-60 კაპიკად ან ნარდად. კარგი, მომკელი ნარდად მუშაობისას ერთ მანეთზე გამოდიოდა.

ბარდა სეზონური სამუშაოებისა. ოსები მიდიოდნენ თბილისში და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრებში, სადაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მუშახელზე დიდი მოთხოვნილება იყო. ნაწილი ჩაფრებად და სხვა მისთანა სამუშაოებზე ეწყობოდა და თავის მდგომარეობით ცარიზმის დამცველად იქცეოდა, უმრავლესობა კი ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზაზე ეწყობოდა და ავსებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რიგებს. ამათ ხშირად თავის ოჯახებიც ჩამოჰყავდათ და თავის ცხოვრებას ახალ საარსებო და საზოგადოებრივ პირობებს უკავშირებდნენ. საქალაქო ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილნი. კაპიტალიზმის „სიკეთეთა“ თავის ზურგზე გამომცდელნი, ისინი ებმებოდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და ამავე დროს რევოლუციურ შეგნებას ავრცელებდნენ თავის თანამემამულეთა შორის ჩამოსახლების ადგილებიდან (პატრიარქალური ტრადიციების სიმტკიცე მუდმივ სამუშაოზე გადმოსულ ოსებსაც აიძულებდა მჭიდრო კავშირი შეენარჩუნებინათ თავის თანამოგვარეებთან, თემთან).

XIX ს. დამლევისათვის სამხრეთ ოსეთში, კერძოდ ქსნის ხეობის ოსთა შორის, ფართოდ გავრცელდა საშოვარზე ქალთა გასვლაც. ჯანმრთელი, ახალგაზრდა დედები მოდიოდნენ თბილისში და აქ შეძლებულ ოჯახებს ძიძებად, შინამოსამსახურეებად ექირავებოდნენ, რათა ამ გზით მიღებული გროშებით ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინათ თავისი ცხოვრების მძიმე პირობები მთაში. ეს ახალი მოვლენა ძნელად ეგუებოდა ოსთა პატრიარქალურ ტრადიციებს, რომლისთვისაც უცხო იყო

---

[22] С. В. Мачабели, Экономический быт крестьян Горийского уезда. Материалы для изучения экон. быта государственных крестьян Зак. края, т. VI. Тифл. 1887, стр. 237—238.

ქალების საშოვარზე სიარული, მაგრამ ცხოვრების რეალური მოთხოვნილებანი პატრიარქალურ ტრადიციებზე უფრო ძლიერი იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა საშოვარზე სიარული მათ ქართველ ხალხთან აახლოებდა. ისინი ახლოს ეცნობოდნენ მის სამეურნეო საქმიანობას, სწავლობდნენ ქართულ ენას და სხვ. ამ გზით ნაშოვნი ფული ოსი გლეხის ეკონომიკის დანამატი იყო, რომელიც შლიდა ნატურალურ მეურნეობას და პატრიარქალურ ყოფას, იწვევდა გლეხობის დაშლას.

მაგრამ თუ სამხრეთ ოსეთის მთიელი, ხშირად მთისწინა ზოლის მოსახლეობაც მოდიოდა ქართლის ბარში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, ქართველი მთიელებიც არაიშვიათად მიმართავდნენ ასეთივე გასვლას ჩრდილო ოსეთში და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში. ეს განსაკუთრებით ეხება სვანებს და რაჭველებს. ორივე ეს რაიონი მაღალმთიანი რაიონებია და საარსებო საშუალებებით მწირი. 1895 წელს სვანეთში იმოგზაურა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ნ. დმიტრიევმა, რომელმაც აღწერა თავის შთაბეჭდილებები. ის წერს: „В виду скудости природы, не дающей сванам полного обеспечения, они принуждены уходить на сторону для заработков, при чем нанимаются для полевых работ и главным образом для земляных. На заработки идут в Рачу, Осетию, на Северный Кавказ (косьба и пастуший промысел) и в Мингрелию (косьба, уход за кукурузой). Никаких других промыслов и ремесл сваны не знают»[23].

მასვე სვანეთის ძირითად სავაჭრო გზებად მიაჩნია საუღელტეხილო ბილიკები, რომლებითაც ცხენით ბარგის ზიდვა შეიძლება — ტვიბერისა — ოსეთში და ლატფარისა — ცხენისწყლის ხეობაში[24].

სვანების საშოვარზე სიარული ბარად ახალი მოვლენა არ იყო. ისინი მას მიმართავდნენ შუასაუკუნეების მთელ მანძილზეც. თუმცა მას ფეოდალური პარტიკულარიზმისა და შინაომების პირობებში დიდი სიძნელები ხვდებოდა. მაშინ ოსეთი არ წარმოადგენდა ისეთ ადგილს, სადაც სვანების შრომას შეეძლო გამოყენება ეპოვა, მაგრამ კახეთში თუ ქართლში გადმოსასვლელად ისინი ოსებით დასახლებულ რაიონებს გაივლიდნენ ხოლმე.

რაჭველთა საშოვარზე სიარული იმავე მოტივებით (ეკონომიურით) იყო გამოწვეული, მაგრამ სხვადასხვა ხელობის ცოდნა რაჭველებს

---

[23] Н. Дмитриев, Из быта и нравов жителей вольной Сванетии, СМОМПК, вып. XXII, стр. 182.

[24] იქვე, გვ. 185.

საშუალებას აძლევდა ჩრდილო კავკასიაშიც და სხვაგანაც გამოჩენილიყვნენ კვალიფიციური მუშების (დურგლების, კალატოზების და სხვ.) ახით და უფრო შეღავათიან პირობებში გამოეყენებინათ თავისი შრომა. იმავე ეკონომიური მომენტებით იყო გამოწვეული ჩრდილო კავკასიის ველებზე რაჭველთა მუდმივად საცხოვრებლად გადასვლა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ქართველ-ოსთა შემდგომ ეკონომიურ და კულტურულ დაახლოებას.

მოსახლეობის მოძრაობა, როგორც ეკონომიური ხასიათის მოვლენა

რეფორმისშემდგომ ხანაში ქართველ-ოსთა ურთიერთობაში ახალი მომენტები ჩნდება. ერთ-ერთი ასეთი მომენტია მაღალ მთიან და ხშირად არა მხოლოდ მაღალ მთიან რაიონებიდან მოსახლეობის მასიურად აყრა და ქართლის შიდა რაიონებში გადასახლება. XIX ს. დამლევისათვის ოსები უკვე კახეთის რაიონებსაც აღწევენ და იქ რიგი ოსური სოფლებისა იქმნება.

კავკასიის მთიანეთიდან ოსთა ქართლის ბარისაკენ მოძრაობა დასტურდება საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ისტორიის მთელ მანძილზე. იგი შედეგი იყო მთური მეურნეობის თავისებურებისა. პროფ. გ. ჩიტაია აღნიშნავს, რომ „თავისთავად მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთიდან მთისძირსა და ბარში მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოვლენა დაკავშირებულია ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებებთან. ეს თავისებურება პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში ჰქმნის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილობას, რომლის ნამატი იძულებულია მთიდან გადმოსახლდეს... ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელ მსოფლიოში მეტად მცირეა... ამის გამო როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა მიაღწევდა თავის საზღვარს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებული იყო პირველ რიგში მთისძირში გადმოსახლებულიყო, სადაც, ნაწილობრივ, ამის გამო, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალ დონეს აღწევდა. შემჩნეულია, რომ მეტად შემჭიდროებული სოფლის მოსახლეობა მსოფლიოში უმეტესად მთისძირა ზოლს ეკუთვნის“[25].

მაგრამ მთის ზოლის ოსური მოსახლეობის ბარისაკენ მოძრაობის ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს რეფორმის შემდგომ ხანაში აძლი-

---

[25] გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, IV ვ, ტფილისი, 1939, გვ. 284.

ერებს მისი გაუმიჯურების სულ უფრო მზარდი განვითარება. ოსი მთიელი გლეხი განიცდიდა სასტიკ ფეოდალურ ექსპლოატაციას, მას სულს უხუთავდა კულაკ-მევახშეთა და ცარიზმის მოხელეთა თვითნებობა და ძალმომრეობა. ყველაფერი ეს, მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად, აიძულებდა მათ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოსავალი ეძებნათ ბარში გადასახლებით. ეს გადასახლება მათ ვერც ფეოდალური ექსპლოატაციისაგან, ვერც კულაკობისა და მევახშე-კაპიტალისტთა კაბალისაგან იხსნიდა და ვერც ცარიზმის მოხელეთა თვითნებობას მოაცილებდა, მაგრამ მათ ეკონომიურ მდგომარეობას კი აუმჯობესებდა. რეფორმამდელ ხანაში გადმოსახლება უპირატესად მთისძირის ზოლში ხდებოდა, თუმცა ზოგჯერ ქართლის შორიულ რაიონებსაც უწევდა (ბორჯომის რაიონი და სხვ.). მას მოსახლეობის თანდათანი წინ წამოწევის ხასიათი ქონდა და ზოგჯერ რიგ საშუალედო რგოლებს გაივლიდა. ამის მაგალითად გამოდგება აწინდელი ყასპის რაიონის სოფ. თოგოიანი. XIX ს. შუა ხანებისათვის ისინი (მისი ძირითადი მოსახლეობა) ქსნის ხეობის სათავიდან ლიხურის ხეობის ზემოწელზე, წერში გადმოსახლდნენ, ხოლო იქიდან XX ს. დამდეგს, თავის აწინდელ სამოსახლო ტერიტორიაზე დასახლდნენ.

ოსთა გადასახლების მიზეზების შესახებ თბილისის გუბერნატორი 1896 წ. ოსების საჩივართან დაკავშირებით წარდგენილ ცნობაში აღნიშნავდა, რომ «Осетины... имеют большой избыток рабочих сил, прокормить которых на месте нет возможности из-за отсутствия каких-либо местных промыслов и заработков, это обстоятельство в связи с недостатком пастбищ удобных для скотоводства, составляющее главное занятие осетина, вынуждает население искать новых более привольных мест»[26].

ქართლის რაიონებში ოსთა მასობრივი გადმოსახლება XIX ს. 60-იანი წლებისათვის შეიმჩნევა. ქართული პერიოდული პრესა ამის შესახებ შენიშნავდა:" ადრე რვა-ცხრა წელიწადი იქნება რაც იმერლები და ოსები გადმოდიან შიდა ქართლში დასასახლებლად. სასოფლო ადგილებად უფრო ძველ ნასოფლარებს ირჩევენ, სადაც წყალია. ამ ნასოფლარებში, თუ ტყეებია, ჭაფავენ. ძველი ნანგრევის კედლები, საწნახლები, ხაროები და სხვა შენობა ახალმოსახლეებს კარგათ ხარჯს უმცირებს. ამგვარად დასახლებულან: ყელეთში, ხავლეთში, ოქროს სოფელში და მთელ ძოვრეთის ხეობაში და სხვაგან... ჩვენი მამულის პატრონები რომ კაი ანგარიშის ხალხი იყოს. კარგათ ხელი უნდა გაუ-

---

[26] საქ. ცსა, ფ. 12, საქმე, 179, ფ. 1—3; П. В. Догузов, Рев. движение в Юго-Осетии в конце XIX в начале XX вв., Сталинир, 1960, стр. 62.

მარტონ გადმოსახლებულებს. ამ სახით იმათი ცარიელი მამულები ხალხით გაშენდებოდა"«[27].

პერიოდული პრესა მოუწოდებს მემამულეებს ხელი შეუწყონ გადმოსახლებულთ ახალ ბინებზე მოწყობა-დამკვიდრების საქმეში ოავისივე მამულების მოშენების ინტერესებისათვის. მაგრამ მემამულეები არავითარ რჩევას ყურს არ უგდებდნენ და ცდილობდნენ მაქსიმალური ექსპლოატაცია გაეწიათ მათთვის. 1865 წელს ს. იფნარის გლეხებმა საჩივარი შეიტანეს გ. ერისთავზე, რომლის მამულშიც ისინი შვიდი წლის წინათ გადმოსახლდნენ სოფ. ინაურიდან, სადაც მათი ყანები სეტყვამ და ზვავებმა გააფუჭეს. ახალ ადგილზე მათ ტყე გაჩეხეს, სახნავი მიწები გაიჩინეს და სახლები აიგეს. როცა თავადმა დიდი გადასახადები შეაწერა, მათ არ გადაიხადეს და მანაც კაზაკთა დახმარებით 70 კომლი გაასახლა, მიწები დაისაკუთრა, ნაგებობანი კი დაანგრია. ისინი იძულებულნი გახდნენ ი. ორბელიანის შირაქის მამულში გადასახლებულიყვნენ[28].

რეფორმის შემდგომ ხანაში სამხრეთ ოსეთის გლეხობის გადასახლების მასშტაბის წარმოსადგენად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მთლიანად გადასახლდა ორტევის სასოფლო საზოგადოების სოფ. კობიის და ჯავის ხეობის სოფ. ელბაჩითის ყველა მცხოვრები. ბელოთის საზოგადოების 583 საგადასახადო კომლიდან გადასახლდა 206 კომლი, ორტევის საზოგადოების 906 კომლიდან — 483, როკის 732 კომლიდან — 392, ჯავის საზოგადოების 1178 კომლიდან — 451, ყემულთის 398 კომლიდან — 194 კომლი. გადმოსახლებულნი ძირითადად სახლდებოდნენ გორის მაზრის ხიდისთავის, ბორჯომისა და სურამის უბნებში კერძო მფლობელთა მიწებზე და მემამულეთა და მეფის მოხელეთა ექსპლოატაციას განიცდიდნენ[29].

აღნიშნული მაგალითიდან ცხადად ჩანს, რომ გადმოსახლებულთა რიცხვი, მთელი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდა. XIX ს. ბოლოსათვის გადასახლებული მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და მთელ რიგ საზოგადოებებში მთელი მოსახლეობის 2/3-ს შეადგენდა. ამ დროისათვის როკის, ჯავის, ყემულთის, ყორნისის, წუნარის, ბელოთის და ორტევის საზოგადოებებზე 50 ათასი მანეთი ნარჩენი გადასახადების (ნედოიმკების) დავალიანება ირიცხებოდა, რაც ამ საზოგადოებათა 2/3-ის ზღუდერის საზოგადოების სოფლებსა და ხიდისთავის საპოლიციო უბანში გადასახლებით აიხსნებოდა. ისინი მიწერის

---

[27] გაზ. „დროება", 1870, № 24; „სახალხო გაზეთი", 180, № 11.
[28] П. В. Догузов, დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[29] П. В. Догузов, დასახ. ნაშრ., გვ. 47—48.

ადგილზე ნებაყოფლობით არ ისდიდნენ გადასახადებს. ასე, რომ როკაში 1898 წ. საგადასახადო სიებში შეტანილ 137 კომლიდან ადგილზე დარჩენილი იყო მხოლოდ 38 კომლი, დანარჩენი 99 კომლი თბილისის ტუბერნიის სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობდა[30]. ასეთივე მდგომარეობა იყო ჭომაღის, ჯავის, ყემულთას, ბელოთის და სხვა საზოგადოებებში. 1895 წ. ედისის საზოგადოების ცხრა სოფლის გლეხთა საჩივარში ნათქვამი იყო, რომ 1873 წლის კამერალურ აღწერაში შეტანილ კომლთაგან 67 გადასახლდა და მათ გადასახადებსაც მემამულენი დარჩენილებს ანდევინებდნენ. ასევე, ზალდაში დარჩენილ 42 კომლს 1900 წელს მეფის ჩინოვნიკები სთხოვდნენ იქიდან კარგა ხნის გადასახლებული 105 კომლის გადასახადებსაც[31].

XIX ს. 70-იანი წლების დამდეგისათვის ოსთა კომპაქტური მოსახლეობა გაჩნდა მძოვრეთის ხეობაში (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აწინდელი ქარელის რ-ნში). 1873 წლის 18 ივლისს გორის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე წერდა მაზრის უფროსს მძოვრეთის ხეობაში დასახლებულ ოსთა თხოვნაზე დაენიშნათ მათთვის მღვდელი. ისინი ამჟამად ცხოვრობენ სოფლებში: მძოვრეთში, ორთუბანში, ელბაქიანთკარში, გვერძინეთში, კოდმანში, ბათეთში, მუხლეთში, ყელეთში სუკანაანთუბანში, ნადირაანთკარში, ჯერ არც ერთ მრევლს არ არიან მიწერილი და მათი თხოვნა უნდა დაკმაყოფილდესო[32].

მოყვანილი ფაქტები კარგად მოწმობს თუ რა ინტენსიური ხასიათი მიიღო ოსახლეობის გადასახლებამ ბარის რაიონებში. ეს პროცესი ადადგდო ქსნისა და არაგვის ხეობებსაც. იგი განსაკუთრებით საგრძნობი შეიქმნა 70-იანი წლების ბოლოდან. გაზეთი „დროება" 1882 წლის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნავდა: „ეს სამ-ოთხი წელიწადია რაც ქსნის ხეობაშიაც გახშირდა სოფლებიდამ ხალხის გადასახლება. უწინაც კი გამოდიოდა ქსნისა, არაგვისა და გუდამაყრის ხეობიდამ ხალხი, მაგრამ იშვიათი იყო. თითო ორი კომლი თუ გადმოსახლდებოდა, მანგლისისკენ ან ზემო ქართლისკენ იჩენდნენ ბინასა... ამ სამიოდ წელში კი უფრო გახშირდა ქსნიდამ გადასახლება... ქარჩოხის, ცხრაძმის და ჟამურის ხეობიდამ ასამდე კომლი... შემდეგ არახვეთიდამ 8 კომლი, გვიდაქიდამ შვიდი კომლი, ნადაბანიდამ (თუ ნადიბაანიდან? — გ. თ.) 2 კომლი, კორისა და გეზევრეთის საზოგადოებიდამ 60 კომ. თითოდამ 30 კომლი. გადასახლებულთ რიცხვი იქნება ათზე ორიდან სამამდე. ეს შესამჩნევი პროცენტია.

---

[30] საქ. ცია, ფ. 12, საქმე 1026, ფ. 3—8; П. В. Догузов, დასახ. ნაშრ., გვ. 64—65.

[31] П. В. Догузов, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

[32] საქ. ცსა, ფ. 48, ანაწ. 1, საქმე 1512, ფ. 2.

ქსნიდამ და არაგვიდამ გადასახლებულნი ვლადიკავკავისაკენ ‹სახლებიან“[33].

XIX ს. დამლევს ოსებმა გადმოსახლება დაიწყეს კახეთშიც. კოტე ალაზნისპირელი თავის წერილში „ოსები კახეთში“, 1904 წელს წერდა, რომ „ოსები ამ რვა წლის წინად გადმოსახლებულან ჭორის მაზრიდან, ადგილების სიცოტავისა გამო, მხოლოდ 8 კომლი. შემდეგ თანდათან დაუწყიათ გადმოსახლება, ასე რომ დღეს სოფ. ხორშატიანში 50 კომლამდე დასახლებულან, კიდევ აბაშიძის ადგილებში, რომელიც იწოდება „არეშათ“. არეშში მოსახლეობს სულ 20 კომლი. ესენი 1903 წ. გადმოსახლებულან. ამ ადგილების გარდა ოსები სხვა ადგილებზეღაც მოსახლეობენ, არეშსა და ხორშატიანს ქვემოდ 5—6 ვერსის მანძილზე. სულ ითვლება 400 კომლი. როგორც ეტყობა, ოსები თანდათან მოემატებიან და ავსებენ კახეთის ტყეებსა“[34].

კოტე ალაზნისპირელს მოჰყავს საუბარი ხორშატიანელ ოსთან, საიდანაც ჩანს, რომ გადმოსახლებული ოსები მებატონისაგან იღებდნენ იჯარით მიწას. კერძოდ ხორშატიანელები თავად ჯორჯაძეს კომლზე 25 მანეთს უხდიდნენ, თითოეულ კომლს მიზომილი ჰქონდა 10 დესეტინა სახნავ-სათესი, ხოლო ტყით სარგებლობა თავისუფალი იყო. თუ გაჰყიდიდნენ, მებატონისათვის გარკვეული ნაწილი უნდა გადაეხადათ.

ხორშატიანელთა იჯარა 26 წლის ვადით ყოფილა განსაზღვრული. მასპინძელი ოსი შეწუხებული ყოფილა იმის გამო, რომ იჯარის ამ სახის გამო ისინი თავს ამ ადგილის მუდმივ მცხოვრებლად არ ვრძნობენ და ამიტომ თავის ცხოვრების მკვიდრ ბაზაზე მოწყობისათვის ვერ ზრუნავენ. „საბოლოო არა გვაქვს რა, ჩვენი ცხოვრება დროებითია და არა საშვილიშვილო. ამიტომაც ცხოვრება ცხოვრებას არ ეგვიგავს, სახლი სახლსა, გომური გომურს. განა არ გვინდა რიგიანი სახლის ჯაკეთება, კარგათ მოწყობა, მაგრამ რაკი ვიცით, რომ აქ საბოლოვო არა გვაქვს, ამიტომ ამისთანა ქოხმახებში ვცხოვრობთო“ — პასუხობს ის. წერილის დაწერის დროისათვის 8 წელი უკვე გასული იყო და მათ არ ჰქონდათ გარანტია, თუ დარჩენილი 18 წლის შემდეგ მებატონე კიდევ გაუგრძელებდა იჯარას.

ოსებს უცდიათ ჯორჯაძისაგან ამ ადგილების შესყიდვა, მაგრამ მან არათუ მთელი სამოსახლო ადგილების, არამედ სასახლკარე მიწების მიყიდვაზეც უარი უთხრა. წერილის ავტორი დასძენს, რომ კომლზე 25 მანეთი საიჯარო ქირის გადახდა წლიურად დიდი თანხაა გა-

---

[33] „დროება“, 1882, 13 ნოემბერი, № 237.

[34] „ივერია“, 1904, № 22.

დამსდელისათვის, მებატონისათვის კი ძლიერ ხელსაყრელი და ამიტომ უარს ეუბნებაო.

რაც შეეხება აბაშიძეთა ადგილებზე დასახლებულ ოსებს, აგრეთვე ზემო ხოდაშნის თავზე დასახლებულ ოსებს, მათ მებატონეთაგან შეუსყიდიათ მიწები და ყველაფერი კარგად მოუწყვიათ, სამუდამო ბინა დაუდვიათ. ხორშატიანელი ოსები ფიქრობდნენ, რომ თუ ჯორჯაძე არ შეასყიდვინებდა დაკავებულ მიწებს, მაშინ გუბერნატორისათვის ეთხოვათ თელავის მაზრის სოფ. ფაშიანსა და ტურის ციხის სახელმწიფო ადგილებში დასახლების უფლება. ტურის ციხეში 700 კომლი სომეხი სახლობდა, ახლა მხოლოდ შვიდი კომლიღა დარჩაო. კოტე ალაზნისპირელი თანაგრძნობით შენიშნავს: „თუ გუბერნატორმა ხორშატიანში და არეშში დასახლებულ ოსებს ტურის ციხეშიც არ მისცა ნება, მაშინ რა ეშველებათ, ვადის შემდეგ უნდა სხვა ადგილი ეძიონ, ან აქვე დარჩნეს ამავე მდგომარეობაში“.

ამრიგად, XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში ოსური მოსახლეობის ზრდა, მათი ექსპლოატაციის დამძიმება იწვევდა უმიწობის ზრდას და მძიმე ეკონომიურ პირობებში აყენებდა მთიელ ოსებს. ამ მდგომარეობას ისინი ქართლისა და კახეთის რაიონებში გადასახლებით აღწევდნენ თავს. ისინი სახლდებოდნენ მებატონეთა მიწებზე და იჯარას უხდიდნენ მათ. უკანასკნელნი სარგებლობდნენ ოსთა გაჭირვებული მდგომარეობით და საიჯარო ქირას სულ უფრო და უფრო უმატებდნენ.

ოსი გლეხკაცობის ცდები თავისუფალ სახაზინო მიწებზე გადმოსახლებისათვის უშედეგო რჩებოდა მეფის მოხელეთა მიერ შექმნილი დაბრკოლებების გამო. მაგ., კახეთში არეშის მიდამოებში არსებულ სახაზინო მიწებზე დასახლების ნებართვაზე იბრძოდა ქეშელთის, ტონტობეთის, გვერცევის, ხვცეს, მსხლების და დვანის 36 კომლი. მათ თელავის მაზრის სოფ. ახალსოფლის გლეხებს მიმართეს მიეღოთ ისინი თავის საზოგადოებაში (მათ ახლოს მდებარეობდა არეში) და თუმცა თელავის გლეხებმა თანხმობა განაცხადეს, მეფის მოხელეებმა უარი უთხრეს. ასეთივე უარს იღებდნენ სხვა საზოგადოებათა გლეხებიც და ოსები იძულებული იყვნენ მემამულეთა კაბალაში მოქცეულიყვნენ. სამაგიეროდ მეფის მთავრობა თავისუფალ მიწებზე ადგილობრივი ხალხების განსახლების მაგივრად რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან ასახლებდა გლეხებს[35].

ოსების ქართლის და კახეთის რაიონებში დასახლება კიდევ უფრო აძლიერებდა მათს ეკონომიურ კავშირს ქართველ ხალხთან, მათ ერთია-

---

[35] П. В. Догузов, დასახ. ნაშრომი, გვ. 54—55.

ნი ეკონომიური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებად აქცევდა. აღნიშნული ოსები ითვისებდნენ ქართველი ხალხის მაღალ სამეურნეო კულტურას, ინტენსიური მეურნეობის ჩვევებს და თვითონაც კარგ მიწათმოქმედებად, მებაღეებად, მევენახეებად იქცეოდნენ. აღნიშნულ ოსთა ის ნაწილი, რომელიც ქართულ სოფლებში სახლდებოდა, თანდათან გაითქვიფა ქართველ ხალხში, ხოლო მათ, ვინც კომპაქტურად დასახლდნენ ცალკე სოფლების სახით, თუმცა შეინარჩუნეს თავისი ენა და ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ განიცადეს ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებათა დიდი გავლენა. ეს ბუნებრივიც არის. თავისი წარმოშობის დღიდანვე ეს ოსური ახალშენები ქართველ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარნი იყვნენ.

მაგრამ თუ საქართველოს მთიანეთის ოსი მოსახლეობა სახლდებოდა ქართლისა და კახეთის ბარის რაიონებში (XIX ს. 80-იანი წლებიდან ადგილი აქვს ვლადიკავკავისაკენ — ჩრდილო კავკასიაში გადასახლებას, მაგრამ მას მაშინ მასიური ხასიათი არ მიუღია), საქართველოს მთიანეთის ქართული მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში — ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე სახლდებოდა და იქაც ხდებოდა მათი დაახლოება. ეს გადასახლება ხდებოდა რაჭის მაზრიდან, ხევიდან, ნაწილობრივ ქსნისა და არაგვის ხეობებიდანაც.

იმდროინდელი პერიოდული პრესა შეიცავს ცნობებს ამ გადასახლების მიზეზებისა და დროის შესახებ.

გაზეთი „შრომა“ 1882 წ. 15 სექტემბრის ნომერში წერდა, რომ რაჭაში ამ წელს დიდი გვალვა იყო, ორი თვის საზრდო არავის მოსვლიაო და წინასწარმეტყველებდა გაზაფხულზე დიდი შიმშილობის ჩამოვარდნას. ისინი მოდიან კავკასიის მთის გადაღმა ადგილებში, ქ. კავკავისაკენ პურისა და სიმინდის საყიდლად, მაგრამ უგზოობის გამო, დიდი წვალებითა და უბედურებით გადმოაქვთ ისინი ცხენით მამისონის ზეთაზე. კოდი პური რომ ადგილზე მანეთად იყიდონ, მოტანა უსათუოდ ორი მანეთი დაუჯდებათო[36].

ასეთ პირობებში რაჭველებმა აირჩიეს მუდმივად გადასახლებულიყვნენ ჩრდილო კავკასიაში. 1883 წ. 28 იანვარს გაზ. „დროებამ“ გადმობეჭდა „ტერეკ-“ში დაბეჭდილი წერილი, რომელიც ვინმე ალაგირელს დაუწერია. მასში აღნიშნულია შემდეგი: „თითქმის მუდამ წელს ცუდი მოსავლისა გამო რაჭის მაზრაში, ხშირად შეხვდებით ხოლმე იქაურ მცხოვრებთ ზამთრობით ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდოში და ბალკარიაში, სადაც ერთობ მცირე ქირით ასრულებენ ხოლმე სხვადა-

---

[36] „შრომა, № 3.

სხვა მუშაობას. ესეთი მოგზაურობა, ეტყობა, ჰობეზრდა ამათაც და, აი, გასული წლიდამ იწყეს გადმოსახლება და სამუდამოდ დაბინავება სოფ. ალაგირში, სადაც ერთობ ძვირად იძენენ შენობათა და სამოსახლო ადგილებს. სულ ამჟამად ალაგირში გადმოსახლებულია 70 კომლი იმერელი (რაჭველი) და ამას გარდა 50 ოჯახი მხოლოდ ზაფხულამდე დარჩება, მაგრამ ამათაც ჰსურსთ შეიძინონ ადგილები და დარჩნენ აქ. სამწუხაროა, ალაგირელებს არ შეუძლიათ ეს იმერლები შერიცხონ თავიანთ საზოგადოების წევრებად. საქმე იმაშია, რომ თვით ამ საზოგადოებასაც მცირე ადგილ-მამული აქვს და ეს გადმოსახლებულნიც რომ მიიღონ თავიანთ საზოგადოებაში, უნდა მათაც გაუწილადონ ადგილები. თუ ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გაჭირვებულ იმერლებს, ადვილად შეუძლიათ მათი შველა. სახაზინო ალაგირის ქარხნის განკარგულებაშია 1200 დესეტინა, რომელიც ქარხანას სრულებით არ სჭირია. ამ მიწის გადაჭრით საზოგადოებას დიდი შემწეობაც მიეცემა და იმერლებიც შეუერთდებიან მას"[37].

გაზ. „ტერეკი" კეთილმოსურნეობით და გაგების გრძნობით მოეკიდა რაჭველთა ალაგირში გადასახლებას და დასახა კონკრეტული ღონისძიებაც მათი მიწით უზრუნველყოფისა და გაჭირვებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ეს იყო ოსი ხალხის გრძნობის გამოხატვა გადმოსახლებულთა მიმართ, რომლებთანაც ადრიდანვე მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ ოსეთის სამხედრო გზის მეშვეობით.

გაზ. „დროების" 30 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ხალხის გადასახლების გამო", რომელშიც განხილულია რაჭველების ოსეთის სოფელ ალაგირში გადასახლების შესახებ ცნობა. წერილში დადებითად არის შეფასებული „ტერეკ"-ის მასპინძლური სულით გაჟღენთილი წერილი, მაგრამ სასტიკად წინააღმდეგია ჩრდილო კავკასიაში და, საერთოდ, საქართველოს გარეთ ქართველების გადასახლებისა. ამით ისინი მოწყდებიან თავის თანამოძმეთა სულიერ ცხოვრებას, დაუძლურდებიან და თანდათან გადაგვარდებიანო. საამისო მაგალითად მოყვანილია XVIII ს. და XIX ს. დასაწყისში ყიზლარ-მოზდოკში დასახლებულ ქართველთა ბედი, რომლებიც ქართველებს აღარ ჰგვანან და არც ქართული იციანო.

წერილში გატარებულია აზრი, რომ საქართველოს მიწა-წყალი ძალიან ფართოა, მასში ბევრი ცარიელი ადგილია და ქართველ ხალხს არ ეჭირვება სხვა ხალხებში გადასვლა და მათი შეკიწროება. ქართველებს თვით ბუნებამ დაუდო საზღვარი — კავკასიის ქედი და იქით გადასახლება ქართველისათვის სიკვდილი იქნება. ეს იქნება მძიმე

---

[37] „დროება" 1883, № 19.

ცოდვა ორი ხალხის წინაშე — ვისგანაც მიდიან და ვისთანაც მიდიან[38].

მაგრამ გაზეთის ამ კეთილშობილურ განზრახვას ცხოვრებაში რეალური საფუძველი არ ჰქონდა. მიზეზი ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა იყო, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში მიმართავდა ცენტრალურ გუბერნიებიდან კოლონისტების გადმოსახლებას, მაშინ როცა თვით ქართველი გლეხობა, განსაკუთრებით კი მთიანეთისა, მიწის დიდ სიიაფეზე განიცდიდა, მაგრამ თავისუფალ სახაზინო მიწებზე მათ გადმოსახლებას ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ.

აღნიშნულის გამო, ქართველი მთიელები სასლდებოდნენ ჩრდილო კავკასიაში. გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში გაბრიელ ბედოშვილი აღნიშნავდა, რომ „სწორედ იმნაირსავე მდგომარეობაში არიან ამჟამად ხევის მცხოვრებნი, როგორშიაც რაჭველები: საშუალო გამოანგარიშებით, ასი კომლი მეტი გადასახლდა ამ შემოდგომაზე ხევიდამ ვლადიკავკავის მაზრაში.

გადასახლდნენ, მაგრამ როგორც არის ნათქვამი: უის გავეყარე, ვაის შევეყარეო, — სწორედ ამ საწყლებსაც ისეთი გადასახლება მოუხდათ სხვის ქვეყანაში: გადასახლებულებმა (იჯარით აღებულ მიწაზედ) სახლების აშენება ვეღარ დასწრეს ზამთარსა, და უბრალო საპირუტყვო ფარეხებში ცოლშვილი სიცივით ეხოცებათ.

თუმცა ამისთანა ცუდს მდგომარეობაში არიან წინ და წინ სახლების მოუმზადებლობის გამო... მაინც არც ერთი კომლი მათგან აღარ დაბრუნდება გაზაფხულზე სამშობლო ქვეყანაში“.

იმავე წერილში აღნიშნულია მოხევეთა გადასახლების მიზეზი. ავტორის ცნობით, ამის მიზეზი არის მარტო შიმშილი, რადგანაც ამ უკანასკნელთ ხუთ წელიწადს რიგიანი მოსავალი არ ღირსებიათ. თუ ერთი-ორი წელიწადი კიდევ გაგრძელდა ეს მდგომარეობა, მოხევეების ნახევარზე მეტი გადასახლდება ვლადიკავკავის მაზრაში. მასვე მოჰყავს ის ამბავი, რომ მოხევეები სამშობლოს ადვილად არ თმობდნენ, მაგრამ ტრადიციებზე ძლიერი აღმოჩნდა ის გაჭირვება, რომელშიც მოხევეები აღმოჩნდნენ.“ აუტანელის გაჭირვებისაგან მოხევეებს საფლავ-სამარეც დაავიწყდათ და თავ-ბედიცა“ — წერდა იგი. ამ გაჭირვებულ ხალხს სახელმწიფო ხარჯის მომატებაც დაერთო. აქამდე კომლზე 20—30 კაპიკს იხდიდნენ, ახლა კი 3 მან. 90 კაპიკს ახდეინებენო. „რომელ ერთს გაჭირვებას გაუძლოს მოხევემ? სიმშილს, უშეშობას, ცივ ზამთარში გზაზე ბეგრით მუშაობას, ზამთარ-ზაფხულ ურმით ჯარების ბარგის ზიდვას?“[39].

---

[38] „დროებ “, 1883, № 21.

[39] „დროება“, 1883, 9 თებერვალი, № 28.

ჩრდილო ოსეთის ასსრ სახელმწიფო არქივში დაცულია ალაგირში გადასახლებულ რაჭველთა სია. სია 1886 წელს ეკუთვნის და შეიცავს 147 ოჯახის წევრთა აღწერას. ისინი გადმოსახლებული იყვნენ სოფლებიდან: შქმერი, ლაჩტა, ურავი, შეუბანი, და სხვ. გადმოსახლებულთა გვარებია: ლობჟანიძე, ჩიქვილაძე, სხირტლაძე, მაისურაძე, მეტრეველი, გოგრიჭიანი, ომიაძე, საბანაძე, ჩალაძე, ბურდილაძე, სულთანიშვილი, რეხვიაშვილი, გაგნიძე, ჩიხრაძე, არჩვაძე, გობეჯიშვილი, გავაშელი, გუგეშაშვილი, ხიდაშელი, ქებაძე, კერესელიძე, ალავიძე, გამყრელიძე, ტაბუცაძე, ჯაფარიძე, ნეფორიძე, იაშვილი და სხვ[40].

გადმოსახლებულნი ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს, უმთავრესად კი იჯარით იღებდნენ ოსი მემამულეებისაგან, ან რუსი მიწათმფლობელებისაგან. ოს მემამულე თუგანოვებს ამ რაჭველ გლეხთაგან ბევრი მოიჯარე გლეხები ჰყოლიათ. ცნობილი ოსი მხატვრის მახარბეკ თუგანოვის ბიოგრაფს მხატვრის მამის — საფარის დასახასიათებლად მოჰყავს ოსი გლეხის გუბა თადეევის მონათხრობი: თუგანოვების მეიჯარე იმერლებმა სილტანუკის ველზე ცეცხლი დაანთეს და უყურადღებობის გამო გაჩენილმა ხანძარმა 30 დესეტინა ყანა გადაუწვა საფარს. მეიჯარეებმა თავში ხელი შემოირტყეს და საფარს მოციქულები გაუგზავნეს — ოღონდ ნუ გვიჩივლებ და რაც გინდა გადაგვახდევინეო. მას უპასუხია, რომ მე თქვენი და ჩემი უბედურებით ვერ ვისარგებლებ. არაფერი არ მინდა, ოღონდ შემდეგში გაფრთხილდითო[41]. ამ ცნობიდან საინტერესოა გადასახლებული ქართველების მიერ მიწით სარგებლობის ერთი ფორმა — იჯარა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, რა მიზეზების შედეგიც არ უნდა ყოფილიყო მოხევეთა და სხვა მთიელთა ვლადიკავკაზის მაზრაში გადასახლება, მას ისევე როგორც რაჭველთა გადასახლებას ალაგირში და, საერთოდ, ჩრდილო ოსეთში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ-ოსთა დაახლოების საქმეში. ვლადიკავკაზის ქართველთათვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა ქართული სკოლა, რომელიც იქაურ ქართველთა შორის ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. შემდეგში ასეთივე სკოლა გაიხსნა ალაგირშიც. ამ სკოლებში წარმოებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა შეუმჩნეველი არ რჩებოდა იქაური ოსური მოსახლეობისათვისაც, რომლის მოწინავე წარმომადგენლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აქ მოღვაწე ქარ-

---

[40] ЦГА СО АССР, ф. 11, оп. 52, ед. хр. 237, лл. 1—51.

[41] Муса Хаким, Махарбек Туганов, Орджоникидзе, 1962, стр. 14.

თველებთან და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

ამრიგად, ოსების განსახლება საქართველოს ბარის რაიონებში, ისევე როგორც ქართველი მთიელებისა (რაჭველების, მოხევეების, მთიულების) ჩრდილო კავკასიაში გამოწვეული იყო ეკონომიური ფაქტორებით. მან გარკვეული როლი ითამაშა ქართველი და ოსი ხალხების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში.

§ 2. კულტურული ურთიერთობა

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნად მშვიდობიანი ცხოვრების პირობების დამყარების შედეგად გაძლიერდა ქართველ ხალხთან ოსთა კონტაქტები. XIX ს. პირველ ნახევარში სამხრეთ ოსეთში გლეხთა მუდმივი გამოსვლები ფეოდალური ექსპლოატაციისა და ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ ამ კონტაქტებს ხელს უშლიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ მაინც საკმაო განვითარება ჰპოვეს. რეფორმისშემდგომ ხანაში ქართველი და ოსი ხალხების კონტაქტები კიდევ უფრო გაფართოვდა. სავაჭრო-გაცვლითი და სხვა მიზნებით ოსები ხშირად დაიარებოდნენ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. ეს იწვევდა ქართული ენის ფართოდ გავრცელებას ოსთა შორის. ქართული სოფლების მოსაზღვრე ოსური მოსახლეობა საყოველთაოდ ფლობდა ქართულ სალაპარაკო ენას, შორეულ მთიანეთის სოფლების მოსახლეობის მამაკაცთა აქტიურმა ნაწილმა (ვინც საბაზრო ადგილებში თუ სეზონურ სამუშაოებზე დადიოდა საქართველოს რაიონებში) იცოდა ქართული ენა. XIX ს. რეფორმისშემდგომ ხანაში ოსები ფართოდ სახლდებიან ქართლ-კახეთის რაიონებში, უშუალოდ ქართულ მოსახლეობას შორის და სწრაფად ითვისებენ არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართველი ხალხის მაღალ სამეურნეო კულტურას და ზნე-ჩვეულებებს. ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის გაცნობამ აღნიშნულ ოსებს საშუალება მისცა ეკონომიური დაწინაურებისათვის.

ჩრდილო ოსეთში ქართული ენის ცოდნა იქ შექმნილი პირობების გამო (რუსეთის ცარიზმის დამკვიდრება იქ და რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება განათლების სისტემაში) ნაკლებ იყო გავრცელებული, მაგრამ XIX ს. რეფორმისშემდგომი ჩრდილო ოსეთის ინტელიგენცია კარგად იცნობდა ქართულ კულტურას და მაღალ შეფასებას აძლევდა მას, მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მაგალითისა-

შეგრ ცდილობდა ხელი შეეწყო თავისი ხალხის კულტურული დაწინაურებისათვის.

უკვე XIX ს. პირველ ნახევარშივე, საქართველოს დედაქალაქი თბილისი მთელი კავკასიის კულტურულ-ეკონომიური ცენტრი გახდა. თბილისის სასულიერო სასწავლებელსა თუ სემინარიაში მრავალმა ოსმა მიიღო განათლება, რომელთაც შემდეგ აქტიური მოღვაწეობა გაიჩაღეს ოსეთში კულტურის ასპარეზზე.

რეფორმისშემდგომ ხანაში —60—70-იან წლებში სამხრეთ ოსეთში პედაგოგიურ ასპარეზზე, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სამრევლო სკოლებში, მრავლად მოღვაწეობდნენ ქართველი სამღვდელო პირები — კანდელაკი, ყანჩიეევი, კასრაძე, ინაევი, პეპელოვი, ფოფხაძე, ნათიევი, მაჭავარიანი, ტატიევი.

სამრევლო სკოლების მოსწავლეთაგან კარგი აკადემიური წარმატების მქონენი ირიცხებოდნენ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, 1866 წ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხარჯზე სასწავლებელში ჩაირიცხნენ ალექსანდრე კოკოშვილი და ნიკოლოზ გაბარაშვილი[42]. XIX ს. 70-იანი წლებიდან ცალკეული ოსები ირიცხებიან თბილისის სამხედრო ფელდშერთა სკოლაში. 1872 წ. ამ სკოლაში ჩარიცხულ იქნენ სოფ. რუკის სკოლის მოსწავლეები ივანე ჯიკაევი და სოლომონ კოზონოვი[43].

სამხრეთ ოსების მრავალი წარმომადგენელი სწავლობდა გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში 60—70-იან წლებში. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების 1880 წლის ანგარიში შეიცავს მონაცემებს სამხრეთ ოსეთის სკოლებზე. ჯავის სკოლის კურსდამთავრებულთაგან მასში მოხსენებულია სემინარიადამთავრებული და მღვდლად განწესებული ჯიოევი, სემინარისტები სანაკოევი და თედეევი. ხახუტოვი — გორის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე, სამხედრო ფელდშერი გაგლოევი, საფელდშერო სკოლის მოსწავლე ცხოვრებოვი, დუშეთის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე ივ. სანაკოევი, რომელიც სამასწავლებლო სემინარიაში გადასვლას ცდილობს, ა. დავიდოვი — თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე, შამბაშვილი — გორის სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლე და სხვ[44].

80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე ოსი ქალებიც გვხვდებიან თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის. ერთ-ერთი მათგანი ანა კოკოევა 1889 წ. საქართველოს ეგზარ-

---

[42] История Осетии в документах и материалах, т. III, стр. 598.

[43] იქვე, გვ. 608.

[44] იქვე, გვ. 625

ქოსმა მასწავლებლად განაწესა[45]. ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებული სანაკოევა 90-იანი წლების დამდეგს მუშაობდა მასწავლებლად კოშკის სამრევლოში[46].

80—90-იან წლებში სამხრეთ ოსეთში მრავლად ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისისა და გორის სასწავლებელთა კურსდამთავრებულები: მღვდელი ზურაბ ჯიოევი — თბილისის ორკლასიანი სემინარიის კურსდამთავრებული; გაბრიელ ატაევი, წარმოშობით დიგორელი, თბილისის სასულიერო სემინარიის მეოთხე კურსიდან გამოსული; ალექსანდრე ბეგიზოვი — გორის საქალაქო სასწავლებლის კურსდამთავრებული; ალექსანდრე კოკიევი—თბილისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული, მღვდელი, საღვთო სჯულის მასწავლებელი[47].

30—90-იან წლებში სამხრეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მრავლად მოღვაწეობდნენ თბილისის, გორისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებული ქართველებიც — გრიგოლ კასრაძე, ისიდორე კვიჟინაძე, გერასიმე იმნაიშვილი, ტაბუნიძე, კოშკის ქალთა სკოლის მასწავლებელი საძაგელოვა და სხვ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების მისიონერ-ინსპექტორმა მამინაიშვილმა მიაღწია სოფ. ჭერიევში (წრუში) სკოლის გასნას[48].

1886 წ. ვანათის სკოლაში, სადაც საღვთო სჯულის მასწავლებლად ბლაღოჩინი ფილიევი იყო, სწავლობდა 26 ქართველი და 18 ოსი ბავშვი. მასწავლებლად მუშაობდა მცხვეთაძე. მღვდელ ფილიევის ცოლს 16 ქართველი გოგონა შეეკრიბა და ხელსაქმეს ასწავლიდა. საზოგადოების სკოლების ინსპექტორმა სთხოვა მღვდლის მეუღლეს ოსი გოგონებიც აეყვანა და ესწავლებინა ხელსაქმე, რაც მათ ოჯახში გამოადგებოდათ: კერვა, თეთრეულის, კაბების, ფეხსაცმლისა და სხვ[49].

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დ. ბაქრაძე, 60-იან წლებში საზოგადოების სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობისას, არაერთხელ ყოფილა სამხრეთ ოსეთში და იქაური სამრევლო სკოლების მდგომარეობის ზუსტი სურათი დაგვიხატა. იგი გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც აიძულებენ სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მოწყვიტონ სკოლას ვაჟები — სამუშაოზე იხმარებენ, რადგან ეკონომიურად ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი ბატონყმო-

---

[45] საქ. ცია, ფ. 141, საქმე 918, ფ. 3; Ист. Осетии..., III, стр. 656.
[46] საქ. ცია, ფ. 141, საქმე, 766, ფ. 31; Ист. Осетии..., III, стр. 667.
[47] История Осетии..., III, გვ. 664—665.
[48] ი ქ ვ ე, 691—692.
[49] ი ქ ვ ე, გვ. 648.

ბიდან გვიანი გათავისუფლების გამო. იგი დადებითად ახასიათებს ბეყმარის სკოლის მასწავლებლის ნათიშვილის, ორტევის სკოლის მასწავლებლის ჩოჩიშვილისა და ორტევის სამრევლოს მღვდლის კანდელაკის საქმიანობას. ჩოჩიშვილი დილით ჩამოუვლის სოფელს და ბავშვები მოჰყავს სკოლაში, ამასთან ღარიბებს თავის ხარჯზე ინახავს, ხოლო კანდელაკმა გაჭირვებულ მოსწავლეთა დასახმარებლად 20 კოდი ხორბალი გაიღო[50].

ბეყმარის სკოლის მასწავლებელმა ი. ტატიშვილმა 1873 წელს შეიმუშავა ოსეთის სასოფლო სკოლების სასწავლო პროგრამა ოთხწლიანი სწავლებისათვის. ის საგნების შესწავლას უსახავდა ერთ მიზანს — ბავშვის სულიერი და ფიზიკური უნარის ჰარმონიულ განვითარებას. ეს მიღწეული უნდა ყოფილიყო საღვთო სჯულის, რუსული ენის, არითმეტიკის, ხაზვის, წერის, სიმღერის, გიმნასტიკის, მებოსტნეობის და ხელოსნობის (კერძოდ დურგლობის) შესწავლით[51].

თბილისის სასწავლებლებში აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა ჩრდილო ოსეთიდან. სასულიერო სასწავლებლის, სასულიერო სემინარიისა და ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები შემდეგ აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ თავის სამშობლოში სასულიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე. 60-იანი წლების ბოლოს ჩრდილო ოსეთში ყველაზე ცნობილი მასწავლებლები იყვნენ თბილისის ალექსანდრეს სახ. სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები ნიკოლოზ ხეთაგოვი, იორამ ხურუმოვი, ბორის თუაევი, ნიკოლოზ დოევი, დავით კულაევი, დიმიტრი კოკოევი, ზაქრო კუბალოვი, ნიკოლოზ დაუროვი, ბორის ხეთაგუროვი, დავით ძუგაევი, გიორგი სალამოვი, იორამ ხეთაგუროვი და სხვ[52].

თბილისში სწავლების პერიოდს აღნიშნული ოსებისათვის არ შეეძლო უკვალოდ ჩაევლო. 60-იანი წლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა. ამ პერიოდს ეკუთვნის თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა და შეუძლებელი იყო ოს ახალგაზრდობას თბილისში არ განეცადა მათი იდეების გავლენა, კერძოდ, არ გაეზიარებინათ მათი სწრაფვა თავის ხალხის კულტურული დაწინაურებისათვის. თბილისში სწავლამიღებულმა მრავალმა ოსმა უაღრესად აქტიური მუშაობა გააჩაღა ოსეთში სასკოლო განათლების ფართოდ გავრცელებისათვის, თავის ხალხის კულტურის ფართო ასპარეზზე გამოყვანისათვის.

---

[50] История Осетии.., III, გვ. 599—600.

[51] ი ბ ე ვ, გვ. 609—614.

[52] М. С. Тотоев, Очерки истории культуры и общественной мысли в Северной Осетии в пореформенный период, Ордж., 1957, стр. 118.

1865 წელს თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა ბორის პეტრეს ძე ბატიევმა (1841—1879 წწ.). იგი იყო ალაგირის ხეობის სოფ. ჩიდიდან. 1870 წელს ყაზანის სასულიერო აკადემია დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა. სამსახურის გამოუნახველობის გამო იგი ვლადიკავკაზში დაბრუნდა და იქ მოღვაწეობდა, წერდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებს[53].

მოგვიანებით დემოკრატიული მსოფლმხედველობის მქონე მასწავლებელი ასლამურზა ყაითმაზოვი (1866—1925) სოფ. ზ. ზარამაგიდან, გორის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლობდა ოსეთში, ყაბარდოში, ბოლოს ამიერკავკასიაშიც მოღვაწეობდა. ზარამაგელმა სტეფანე მამიტოვმა (1848—1918) 1866 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად დაინიშა, ბოლოს ოსეთში მოღვაწეობდა.

1864 წელს პირველი ხარისხის მოწმობით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი სალუგარდანელმა ალექსი გიორგის ძე ბატიევმა (1840—1909). ის მერე ოსეთში მოღვაწეობდა მასწავლებლად. მას ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი «Христианство в Осетии». ის ჯერ გაზეთ „ტერსკიე ვედომოსტში“ დაიბეჭდა 1889—90 წ.წ., 1901 წ. კი წიგნად გამოიცა[54].

თბილისის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა ცნობილმა ოსმა პედაგოგმა ხარიტონ ურუიმაგოვმაც.

თბილისთან მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ცნობილი ოსი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ა თ ა ნ ა ს ე გ ა ს ი ე ვ ი ს სწავლისა. და მოღვაწეობის პროცესი. იგი დაიბადა 1844 წ. ქ. ვლადიკავკაზში, აქვე დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი და სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში შევიდა. იქიდან ის გადმოვიდა თბილისის სას. სემინარიაში და ერთი წელი სწავლობდა. 1871 წელს მან დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია კანდიდატ-მაგისტრანტის ხარისხით და გამოიგზავნა თბილისში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების განკარგულებაში. აქ იგი ერთხანს რედაქტორობდა საეკლესიო წიგნებს და შტატგარეშე პედაგოგად იყო ქალთა პირველ გიმნაზიაში. იგი ასწავლიდა პედაგოგიკას, ფიზიკას და მათემატიკას[55].

1872 წლიდან 4 წლის მანძილზე ა. გასიევი განწესებულ იქნა მოზდოკის სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურედ, მაგრამ სამ-

---

[53] М. С. Тотоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.
[54] იქვე, გვ. 339, 341 354—355.
[55] იქვე, გვ. 59—62.

ღვდელოებასთან საერთო ენა ვერ გამონახა და იძულებული გახდა ამიერკავკასიაში წასულიყო, სადაც სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 1904 წელს მან სამსახურს თავი დაანება და ოსეთში დაბრუნდა, სადაც პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო.

თბილისში მოღვაწეობის პერიოდში ა. გასიევი ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ქართველი ხალხისა და კავკასიის სხვა ხალხთა განათლების საკითხში. იგი წერდა, რომ თბილისის გუბერნიის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის არ არსებობს იმ საალმზრდელო საშუალებათა ნახევარიც კი, რომლებიც მაზრების, თემებისა და სოფლების განკარგულებაშია შიდა რუსეთში. ა. გასიევი თვლიდა, რომ აქ განათლების დარგში შეზღუდულობა უფრო მწვავედ ივრძნობოდა, რადგანაც „მოსწავლეთა მოზღვავება, ლტოლვა საგუბერნიო ქალაქისაკენ (ე. ი. თბილისისაკენ) გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში"[56].

ა. გასიევი ქართველი ხალხის ინტერესების ერთგული დამცველი იყო სახალხო განათლების დარგში. იგი განიცდიდა იმ სიძნელეებს, რომლებიც მეფის რუსეთმა შეუქმნა ქართველი ხალხის კულტურული განვითარების საქმეს და თავისი საქმიანობით ცდილობდა მათი დაძლევის პირობების შექმნას.

XIX ს. დამლევისათვის თბილისის სასწავლებლებში (ყველა ტიპისა) ოს მოსწავლეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ეს გარემოება ხელს უწყობდა ოსი მოსწავლე ახალგაზრდობის კავშირს მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან.

ჩრდილო ოსეთში XIX ს. მეორე ნახევარში მრავალი ქართველი ცხოვრობდა (რაჭის რაიონიდან მასობრივად ჩამოსახლებულნი და აგრეთვე სამსახურებრივ მოვალეობათა გამო ვლადიკავკავში თუ სხვა პუნქტებში დამკვიდრებულნი). მრავალი მათგანი ეწეოდა იქ მისიონერულ საქმიანობას მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი კომისიის ხაზით, ბევრი მასწავლებლობდა ადგილობრივ თუ ვლადიკავკავში გახსნილ ქართულ სკოლაში, ბევრიც მთავრობის დაწესებულებებში მუშაობდა. ასეთი პირები თავის საქმიანობით ხელს უწყობდნენ ოსთა განათლებისა და წინსვლის, ქართველ ხალხთან მათი კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს.

ვლადიკავკავში მოღვაწე ქართველთაგან XIX ს. მეორე ნახევარში აღსანიშნავია მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833—1891). 1871 წლიდან იგი ოჯახით ვლადიკავკავში ცხოვრობდა. იგი იყო კოსტა ხეთაგუ-

---

[56] გაზ. «Тифлисский вестник», 1877, № 238; ტ. სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, თბილისი, 1965, გვ. 41.

როვის მეგობარი და დაკავშირებული იყო ოსი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან. აღსანიშნავია, რომ იგი ვლადიკავკავში შედიოდა წრეში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ა. არდასენოვი, ნ. ტუსკაევი, შანაევი, ჯ. შანაევი, გოჯიევი, ე. გაზდანოვი, აიდაროვი, დ. სოხიევი, ძ. გოლიევი, ნ. კანანოვი, ნ. ყაზბეგი, ათაბეგოვი, ძმები პ. და ს. პოპოევები (სომხები), ბ. კიზერი და სხვები[57].

როგორც ვხედავთ, წრე თავის შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო. წრის ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ო. კანანოვა (პალიცინა), რომელმაც 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა რუსეთში. წრემ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა ვლადიკავკავში ბიბლიოთეკის შესაქმნელად, რომელსაც რევოლუციური იდეები და ლიტერატურა უნდა გაევრცელებინა. მათვე განახორციელეს საიდუმლო ტიპოგრაფიის შექმნის ცდა[58].

წრე თავის ხასიათით ხალხოსნურ მიმდინარეობას ეკუთვნოდა. მიხეილ ყიფიანი ქართველ ხალხოსანთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალიხან არდასენოვი. უკანასკნელი 1876 წელს დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს ვლადიკავკავში საიდუმლო საზოგადოების შექმნისათვის. დაპატიმრების მასალებში აღნიშნულია, რომ რევოლუციური საქმიანობის განსახორციელებლად ის ფულს ღებულობდა წრის ისეთი თვალსაჩინო წევრებისაგან, როგორიც იყვნენ მიხეილ ყიფიანი და ეგნატე იოსელიანი[59].

თუ რამდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ რევოლუციურ საზოგადოებრიობასთან ა. არდასენოვი, მოწმობს ის, რომ 70-იან წლებში სვანეთის აჯანყების დროს იგი მზად იყო წასულიყო სვანეთში და აჯანყებაში მონაწილეობა მიეღო.

თანამედროვეთა ეს გადმოცემა რომ მთლად სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, ჩანს იქიდან, რომ უშუალო მომდევნო პერიოდში არდასენოვი დააპატიმრეს და ბრალდებად წაუყენეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში რევოლუციური პროპაგანდის წარმოება. მართალია, შემდეგში ეს ბრალდება მოეხსნა 1878 წ. მოსკოვსა და ვოლოგდის გუბერნიაში რევოლუციური პროპაგანდის გამო, მაგრამ თვით ფაქტი ა. არდასენოვის 70-იანი წლების ქართველ რევოლუციონერებთან უმჭიდროესი კავშირისა ფაქტად რჩება. არდასენოვმა 1885 წელს,

---

[57] М. С. Тотоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
[58] იქვე, გვ. 22.
[59] იქვე, გვ. 25.

ციმბირიღან დაბრუნების შემდეგ, თბილისში დაიწყო სამსახური სახელმწიფო ქონებისა და მიწათმოქმედების სამმართველოში. აქ იგი 1916 წლამდე მუშაობდა[60]. მისი ნარკვევი «Сванетия и Лечхуми», დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" (1890 წ.).

მ. ყიფიანი შემდეგშიც თავის საქმიანობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოს ხალხთან, მის მოწინავე ინტელიგენციასთან. 1883 წლიდან, თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას „სათავეში ჩაუდგა საზოგადოების საპატიო წევრი მ. ყიფიანი. საზოგადოება დიდ დახმარებას უწევდა ოსებს და თერგის ოლქის სხვა მთიელებს პირველდაწყებითი სახალხო სკოლების ქსელის გაშლის, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების დაფუძნების, ოს მოსწავლეთათვის საერთო საცხოვრებლების მოწყობის, საზოგადოების ხარჯზე სტიპენდიანტების შენახვის, დედაენაზე საანბანო წიგნების გამოცემისა (1890 წ. გამოსცა ალმახსიტ კალნუკოვის „ოსური ანბანი") და, საერთოდ, ადგილობრივ მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების საქმეში[61].

მ. ყიფიანი 1891 წ. მარტის დამდეგს გარდაიცვალა. ოსმა ხალხმა იგი ცხარე ცრემლით დაიტირა. მისმა მეგობარმა კ. ხეთაგუროვმა ყიფიანის გარდაცვალებას უძღვნა ლექსი, სადაც მიუთითა მის უდიდეს დამსახურებაზე ოსი ხალხის წინაშე და გამოხატა მისი გარდაცვალებით გამოწვეული ღრმა გულისტკივილი. გაზეთი „ივერია" 1891 წ. № 53-ში (10 მარტისა) მ. ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ კორესპონდენციაში კ. ხეთაგუროვის ლექსთან დაკავშირებით წერდა: „მას უკან დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექსისა მოკლედ ასეთი იყო: გზა მშვიდობისა, ჩვენთვის აღარა ზრუნავ ახლა. ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომდურავი ერთიც არ არის ჩვენს შორის. სახელი შენი საუკუნოდ ცოცხალი იქნება. თვით სიცოცხლე შენი საუკუნო იყო. მარტო შენ შესძელ და ერს შესწირე კეთილდღეობა შენი. სიყრმიდან სიბერემდე ნატვირთი გქონდა მწუხარება ერისა. ანთებული ლამპარი გეჭირა და გვინათებდი ბნელ გზას. საცა საჭირო იყო იბრძოდი, მაგრამ უფრო ხშირად ალერსი გეხერხებოდა... კეთილი მწყემსი იყავ ღარიბთათვის. რით გადაგიხადოთ სი-

---

[60] М. С. Тотоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 26; ა. არდასენოვმა 1896 წ. თბილისში გამოსცა წიგნი «Переходное состояние горцев Северного Кавказа». ავტორის ადგილზე აღნიშნული ინიციალები В. Н. Л. მისი ფსევდონიმია და ნიშნავს: „Вера», «Надежда», «Любовь».

[61] ტ. სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, გვ. 24—25.

ეთის სამაგიერო?.. უბედურნი ვართ ჩვენ. ასჯერ უბედურია ის, ვინც უშენოდ სტირის აქა"[62]. დამსწრე ოსებს, გაზეთის ცნობით თვით ყველაზე გულმაგრებსაც კი, ცრემლი ვერ შეუკავებიათ.

ოსმა ხალხმა კოსტა ხეთაგუროვისა და თავის სხვა მოწინავე წარმომადგენელთა პირით მაღალი შეფასება მისცა მისი კულტურული წინსვლისათვის დაუღალავი მებრძოლის მ. ყიფიანის მოღვაწეობას, ხედავდა რა მასში „განათლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს", ჩაგრული და ჯუფლგბო მთის ხალხთა ქომაგს, „გულშემატკივარს", „თანამგრძნობელს" და „გულწრფელ მეგობარს". კოსტამ თავის ღირსეულ მეგობარს, რომელმაც თავის გარდაცვალებით „მწუხარება და მწარე ნაღველი" დაუტოვა მთიელებს, უძღვნა ორი ლექსი და დახატა მისი პორტრეტი. მან მ. ყიფიანის ღვაწლი ოსებზე ღირსად ცნო იმისა, რომ მისი სახელი თაობიდან თაობას მადლიერების გრძნობით გადასცემოდა.

ჩრდილო ოსეთში ბევრი სხვა ქართველი სასულიერო და საერო პირი მოღვაწეობდა განათლების ასპარეზზე. ბევრმა მათგანმა დიდი ამაგი დასდო ოსთა განათლების საქმეს.

XIX ს. 80—90-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა კორესპონდენციები ოსეთიდან, რომელსაც ხელს აწერდა „ქართველი ოსებში" (ფსევდონიმია) — ნ. ბაკურაძე, რომელიც ჩრდილო ოსეთში მღვდლად მუშაობდა. მისი კორესპონდენციები შეეხებოდა ოსეთში მიმდინარე ყოველდღიურ მოვლენებს და ქართველ მკითხველ საზოგადოებას საშუალებას აძლევდნენ ამ მოვლენების საქმის კურსში ყოფილიყვნენ. ბევრს წერდა იგი ოსთა რელიგიურ ზნე-ჩვეულებებზე ჟურნალ „მწყემსის" ფურცლებზე.

ასეთივე ხასიათისა იყო მღვდელ გიორგი საძაგლიშვილის საქმიანობა, რომელიც 80-იან წლებში ფართოდ თანამშრომლობდა ჟურნალ „მწყემსში" „ლიახველი გიორგის" ფსევდონიმით. იგი წერდა ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობაზე, ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების აუცილებლობაზე, ეკლესიების ნაშთებზე, ამხილებდა ოსურ მავნე ზნე-ჩვეულებებს და მიესალმებოდა მათ გაუქმება-შესუსტებას. მას ჩაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ზოგიერთი ოსური ლეგენდა.

გ. საძაგლიშვილი მაღალი აზრისა იყო ი. იალღუზიძის მიერ შედგენილ ოსურ ანბანზე, რომელიც ქართული შრიფტის საფუძველზე იყო შექმნილი. ა. შეგრენის მიერ რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილ ანბანს ის ოსურისათვის უვარგისად თვლიდა, რადგან მან წერა-კითხვა შეაფერხა ოსეთში. ქართული გრაფიკა უკეთესია ამ მიზნით[63].

---

[62] ი ქ ვ ე, გვ. 37. აქ მთლიანად მოტანილია „ივერიის" კორესპონდენცია.

[63] ჟურნ. „მწყემსი", 1884, № 11, გვ. 6; 1885, № 2, გვ. 4—5.

1894—1900 წწ. თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად გადაყვანილ იქნა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი, ცნობილი ქართველი პედაგოგი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (1851—1917 წწ.). მან დიდი ღვაწლი დასდო არარუსთა სკოლებში რუსული ენის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. იგი მოითხოვდა რუსული ენის სწავლებას მშობლიური ენის საფუძველზე. მისი დასკვნების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თერგის ოლქში რუსული ენის სწავლება დედაენის საფუძველზე დაემყარებინათ. ამას ოსეთის სახალხო სკოლების წარმატებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა[64].

ქართველი სასულიერო პირები XIX ს. მეორე ნახევარშიც აქტიურად მოღვაწეობდნენ ოსეთში კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხაზით სასულიერო განათლების ასპარეზზე. იმერეთის ეპისკოპოსი, საზოგადოების მისიონერი და სკოლათა ინსპექტორი ლეონიდი, 80-იან წლებში აქტიურად იღწვოდა ოსებს შორის სამისიონერო სკოლების ქსელის გაფართოებისა და ოსთა შორის განათლებისაკენ ლტოლვის განმტკიცებისათვის. ოსეთში თავის სარევიზიო მოგზაურობების დროს, იგი ოსებს უქადაგებდა განათლების დიდ მნიშვნელობას და ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. როგორც „ეზეთ ივერიის“ კორესპონდენტი წერდა, „ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩრდილოეთ ოსეთში სულ 10—15 სკოლა მოიპოვებოდა და ისიც“ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ხარჯით აშენებული. მაშინდელი ოსები დიდი ხალისით კი არ გზავნიდნენ თავიანთ შვილებს სკოლებში, არამედ თითქმის საყვედურით. მაგრამ ჩრდილოეთის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც ჩრდილოეთ ოსების ინსპექტორად დაინიშნა პატივცემული ეხლანდელი იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში, მაშინვე სოფლის ყრილობას ახდენდა და მცხოვრებთ ტკბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა თუ სწავლა-განათლებას რა დიდი მნიშვნელობა აქვს... ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა... დღეს კი აქ სკოლაში ბავშვებს კენჭის ყრით იღებენ. დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა“[65].

XIX ს. უკანასკნელ წლებში ვლადიკავკაზის ოს ქალთა თავშესაფარ სასწავლებელს განაგებდა დეკანოზი მამაცევი. ეს სასწავლებელიც

---

[64] ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28—29.

[65] გაზ. „ივერია“, 1901, № 61; ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26—27.

„ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა და დიდი როლი ითამაშა ოს ქალთა განათლების საქმეში. ვლადიკავკავის ქალთა გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებლად 1880 წლიდან, 20 წლის მანძილზე, მუშაობდა იმავე გიმნაზიის კურსდამთავრებული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ჩხეიძე. იგი ოქროსა და ვერცხლის მედლით იყო დაჯილდოებული[65].

ვლადიკავკავში 1888 წელს ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ იქაურ ქართველთათვის გაიხსნა ქართული სკოლა. 1892 წელს ამ სკოლის უფროს მასწავლებლად მიწვეულ იქნა და 14 წლის მანძილზე მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ვერასიმეს ძე ბოცვაძე (1865—1919). ამ დროისათვის სკოლაში 48 მოსწავლე ირიცხებოდა, ხოლო სასკოლო შენობა არ ქონდათ. ლ. ბოცვაძემ მიზნად დაისახა კავკაველ ქართველობაში გაეღვიძებინა მშობლიური ენისადმი სიყვარული, მათი ეროვნული თვითშეგნება. მან მოკლე ხანში გაიცნო იქ მცხოვრები ყველა ქართველი და სკოლაშიც იმატა მოსწავლეთა რიცხვმა. ლ. ბოცვაძის ინიციატივით კავკავის ერთ გორაკზე მალე აშენდა სკოლის ლამაზი შენობა. სკოლაში, გარდა სამეცადინო დარბაზებისა, იყო ქალთათვის ჭრა-კერვის სასწავლებელი, რომელშიც მეცადინეობდნენ არა მარტო ქალიშვილები, არამედ შუახნის ქალებიც.

სკოლას ჰქონდა დიდი დარბაზი თეატრალური წარმოდგენებისათვის. მასში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, რომლებზეც კითხულობდნენ ქართველ მწერალთა თხზულებებს, ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს, დგამდნენ წარმოდგენებს, ატარებდნენ ლექციებს ქართ. კულტურის მოღვაწეთა შესახებ. ერთი სიტყვით, სკოლა სამაგალითოდ იქცა, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე[67].

კავკავის ქართულმა სკოლამ დიდი როლი შეასრულა იქაური ქართველების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდა-განათლების საქმეში. მაგრამ მას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისა და ოსების კულტურული კავშირის გაღრმავებისათვის, ოსებს შორის ქართული კულტურის პროპაგანდისათვის.

კავკავის გიმნაზიის მასწავლებელმა გ. კახიძემ მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი ალაგირში 1880-იანი წლებიდან დასახლებული ქართველი გლეხებისათვის (რაჭის მაზრიდან), რომლებიც 114 ოჯახს შეადგენ-

---

[66] ЦГА СО АССР, ф. 127, оп. 1, ед. хр. 1544, фф. 1—23.

[67] ი ვ. ჭ კ უ ა ს ე ლ ი, აღმზრდელი და მოჭირნახულე. თბილისი, 1966, გვ. 10—13; ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 135—145.

დნენ, ქართული სკოლა გაეხსნათ. სკოლა გაიხსნა 1897 წელს. მის გამგედ რუსი მღვდელი ანდრეევსკი დაინიშნა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. იგი ითვლებოდა საღვთო სჯულის მასწავლებლადაც, მაგრამ ამ საგანს ასწავლიდა ქართულის მცოდნე სხვა მასწავლებელი. აქ სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პ. ლომთათიძე, ე. სირბილაძე, გ. რაზმაძე, ღუდუშაური, მიქიაშვილი[68].

ოსეთში არსებული ქართული სკოლები ქართული კულტურის ისეთ ცენტრებს წარმოადგენდნენ, რომელთა გავლენა ოსებსაც სწვდებოდა. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწენი ჩრდილო კავკასიაში არც ოსებს ივიწყებდნენ. კავკავის ქართული სკოლის 1895/96 სასწ. წლის ანგარიშის განხილვის დროს, მასწავლებელთა შეკრებაზე წაიკითხეს ბალთელების — კვიჟინაძის და ჭანიშვილის წერილი, სადაც იტყობინებოდნენ, რომ სოფლის ახალგაზრდა მწერალს ნიკოლოზ ფარეშიშვილს აუყვანია თითქმის 40-მდე ბავშვი ქართველ-ოსებისა და ქართულ-რუსულ წერა-კითხვას ასწავლის. ისინი ითხოვდნენ დახმარებას ბალთელი ბავშვებისათვის, რომელთაც სწავლის სურვილი კი აქვთ, მაგრამ შეძლება არა აქვთო. წერილს თანაგრძნობა გამოუწვევია — ხელმოწერით შეუგროვებიათ 50 მანეთი, ხოლო რამდენიმე ახალგაზრდა შეპირებია სახელმძღვანელო წიგნების ყიდვას[69].

ქართული კულტურის მოღვაწენი, როგორც ვხედავთ, ოსი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებსაც არ ივიწყებდნენ. ქართული პერიოდული პრესა სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ოსეთში სკოლების მდგომარეობაზე, მათ მოუწყობლობაზე, აკრიტიკებდა მთავრობის მოხელეთა ანტიხალხურ პოლიტიკას ოსების განათლების საკითხებში. ქართული პრესა მიუთითებდა, რომ მხოლოდ სწავლა-განათლების გზით შეიძლება ოსი ხალხის გამოყვანა კულტურული განვითარების გზაზე და ცდილობდა ხალხისათვის სწავლის სურვილის ჩანერგვას.

ჟურნალი „კვალი" აღნიშნავდა, რომ 1895 წ. 18 აგვისტოს საზოგადოებრიობამ იდღესასწაულა ცხინვალის ნორმალურ სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილების გახსნა და ზეიმზე „ძმურად ატარებდნენ დროს ქართველი, სომეხი, ოსი, ურია... ყველანი ერთს საზოგადო საქმეს შეეერთებინა და ეს საზოგადო საქმე იყო გონება-განვითარების საქმე — ნორმალური სკოლისა და სამეურნეო განყოფილების კეთილად წარმატება"[70].

---

[68] ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[69] ჟურნ. „კვალი", 1896, № 11, გვ. 177; ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 48—49.

[70] „კვალი", 1895, № 38.

XIX ს. მეორე ნახევრის დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი. გოგებაშვილი (1840—1912) დიდ ინტერესს იჩენდა ოსი ხალხის სწავლა-განათლებისადმი. თავის ნარკვევებსა და წერილებში იგი არაერთხელ ეხება ოსურ სკოლებში სწავლებისა და აღზრდის პროცესის რაციონალურ პედაგოგიურ პრინციპებზე აგების საკითხს. მან სახალხო სკოლის წარმატებით მუშაობის ძირითად პირობად აღიარა სწავლების დედაენაზე მოწყობა.

ებრძოდა რა კავკასიის სახალხო სკოლების დირექციის რუსიფიკატორულ პოლიტიკას,, რომელიც უცნობი ენის შესწავლას უცნობი ენის მეშვეობით ითვალისწინებდა, ი. გოგებაშვილი მას ანტიპედაგოგიურ მოვლენას უწოდებდა. იგი მიუთითებდა, რომ დირექციის ეს პოზიცია გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ისახავს: „თუ აფხაზური ენა არ გამოდგება პირველდაწყებითი სწავლების იარაღად, მაშინ არც ოსური გამოდგება. ხოლო თუკი ორივე ეს ენა განდევნილ იქნება სახალხო სკოლებიდან, მაშინ რაღა უფლების ძალით შეიძლება სხვა დანარჩენ მთიელთა და თვით არამთიელთა ენების დატოვება სასკოლო სწავლებაში"[71].

ი. გოგებაშვილი კარგად გრძნობდა, რომ პირველად დაწყებითი განათლების საფუძვლად მშობლიური ენის უარყოფა მიზნად ადგილობრივ ენათა გადაგვარებას ისახავდა, რომელიც ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. ამიტომაც ის მოითხოვდა, რომ „...ოსეთის სკოლებში გვყავდეს მომზადებული ოსი მასწავლებელი, ქართულში — ქართველი, სომხურში — სომეხი და ა. შ."[72]. იგი თვლიდა, რომ ყოველმა სახალხო მასწავლებელმა უნდა იცოდეს იმ ხალხის ენა, ვის ბავშვებსაც ასწავლის.

ი. გოგებაშვილმა ადვილად გამოიცნო ცარიზმის მოხელეთა მიერ გატარებული ღონისძიების — სოხუმის ეპარქიასთან შავი ზღვის ოლქის ნაწილის, ხოლო ვლადიკავკაზის ეპარქიასთან თერგის ოლქის შემოერთების ნამდვილი მიზანი. ეს აფხაზებისა და ოსების გარუსებისათვის გატარდაო[73].

იაკობი პრინციპულად წინააღმდეგი იყო კავკასიის ეროვნულ უმცირესობათათვის სტანდარტული სახელმძღვანელოების შექმნისა. იგი თვლიდა, რომ „თვითეულ მსხვილ კავკასიურ ტომს მის თავისებურებებთან შეფარდებული ცალკე სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს რუსულ ენაში"[74]. ასეთ სახელმძღვანელოთა საფუძველს უნდა შეადგენდეს თვალსაჩინო და ზეპირი სწავლება მშობლიური ენის სისტემატუ-

---

[71] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ. 157.
[72] ი ქ ვ ე, ტ. II, 1952, გვ. 66.
[73] ი ქ ვ ე, ტ. II. 1954, გვ. 174.
[74] ი ქ ვ ე, ტ. III, 1954, გვ. 420.

რი დახმარებით[75]. ი. გოგებაშვილის ეს საღი პედაგოგიური მოსაზრებები სავსებით ვრცელდებოდა ოსი ხალხის სწავლა-განათლების საკითხებზე.

XIX ს. მეორე ნახევრის ქართული კულტურის მესაჭე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე ი. ჭავჭავაძე. შეუპოვრად იბრძოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი არ იფარგლებოდა მარტოოდენ საქართველოს ინტერესებით და კავკასიის ყველა ხალხთა თავისუფლებისათვის იბრძოდა. კავკასიის ხალხთა ერთიანობა მას მიაჩნდა მათი შემხუთველი ბორკილების დამსხვრევისა და თავისუფლების მოპოვების ძირითად პირობად. ეს იდეა მას გატარებული აქვს პოემა „აჩრდილში“.

„როდისღ ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლაეცა აღმდგარსა,
... როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა“.[76]

ილია ჭავჭავაძე ხალხთა შორის ჭეშმარიტ თანასწორობას, თითოეული ხალხის ეროვნული თვისებების პატივისცემას და ამ ნიადაგზე მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას მოითხოვდა. იგი წერდა, რომ „...საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება“[77]. რაც შეეხება ამა თუ იმ ხალხის ნაციონალურ თავისებურებათა პატივისცემას, ამის შესახებ მას ეკუთვნის შემდეგი აზრი: „ყოველ ერს თავის საკუთარი სახე აქვს, თავის საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც ბონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“[78].

ილია თავის ცხოვრების მთელ მანძილზე ერთგულად ატარებდა მეზობელ ხალხებთან პატივისცემაზე დამყარებულ, კორექტულ ურთიერთობას, რომლის მიზანი იყო კავკასიის ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. მის მაგალითს მიჰყვებოდნენ მისი თანამებრძოლნი და თანამოაზრენი ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და მრავალი სხვა.

თავის მხრივ ოსი ხალხის დიდი პოეტი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე კოსტა ხეთაგუროვი ქართველი ხალხის დიდი პატივისმცემელი

---

[75] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ტ. III, გვ. 418.
[76] „ჩვენი საუნჯე“, ტ. 7, თბ., 1960, გვ. 49.
[77] გაზ. „ივერია“, 1 86, 16 ოქტ.
[78] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, II, გვ. 418—419.

იყო და დიდ შეფასებას აძლევდა მისი შემოქმედებითი ინტელიგენციის მოღვაწეობას. ქართველ მესამოციანელთა მსგავსად, იგი აქტიურად იღწვოდა თავისი ხალხის კულტურულ-ეკონომიური დაწინაურებისათვის, დაუზოგავად ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას კავკასიაში და მის უარყოფით შედეგებს ადგილობრივ ხალხთა განვითარებაში.

კოსტა ხეთაგუროვი ჰჭიდროდ იყო დაკავშირებული ვლადიკავკაკის ქართულ კოლონიასთან, მეგობრობდა ამ კოლონიის ისეთ მესვეურებთან, როგორიც იყვნენ მიხეილ ყიფიანი და ლუარსაბ ბოცვაძე. კოსტა თბილისშიც ყოფილა, სადაც ხვდებოდა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს. კერძოდ, ის ჩამოვიდა თბილისში 1899 წ. ჩრდილო კავკასიიდან მეფის ადმინისტრაციის მიერ მის გადასახლების საკითხთან დაკავშირებით. თბილისში ის ყოფილა სოლომონ გედევანიშვილთან, რომელთანაც იკრიბებოდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები. სოლომონის ქალს კოსტამ მიუძღვნა ლექსი (ალბომში ჩაუწერა)[79].

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ კოსტას მიხეილ ყიფიანთან მეგობრობის ფაქტები. მაგრამ კოსტას დიდი ინტერესი ქართველი ხალხისადმი, ოს ხალსთან მათი მეგობრობის საკითხები არ შემოფარგლულა მისი ნაცნობობა-მეგობრობით ცალკეულ ქართველ მოღვაწეებთან. მან თავის შემოქმედებაშიც ასახა ქართველი და ოსი ხალხების წარსული ისტორიული მეგობრობა, გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. ამას მოწმობს მისი დაუმთავრებელი პოემა „ხეთაგი". პოემის მიხედვით ხეთაგი ოსი გმირი და ჯარის წინამძღოლი იყო. მასთან ჩავიდა თბილისიდან ვახტანგ მეფის წარგზავნილი თავადი დადიანი და გადასცა ვახტანგის წერილი ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ დახმარების თხოვნით.

ხეთაგი და მთელი ოსი ხალხი გამოეხმაურნენ ვახტანგის თხოვნას. ისინი მზად არიან აღმოუჩინონ ქართველ ხალხს დახმარება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამ მზადყოფნის შეხედვაზე დადიანი აცხადებს, რომ ბავშობისას მან კარგად იცოდა ოსური ენა, რადგან იმერეთში ცხოვრობენ ოსები, ერთმანეთში ნათესაობაც გვაქვსო.

კოსტას სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობას კარგად იცნობდნენ იმდროინდელი ქართველი საზოგადო მოღვაწენი. მისი პირველი კრებულის „ირონ ფანდირ" („ოსური ფანდური") გამოსვლას გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ალ. ხახანაშვილმა სპეცია-

---

[79] შ. გოზალიშვილი, კოსტა ხეთაგუროვი, სტალინირი, 1960, გვ. 75.

ლური ნარკვევი „მოძრაობა ოსეთში განათლებისაკენ“ მიუძღვნა. იგი წერდა: „კაცობრიობის ცხოვრებას ერთი მაღალი აზრი აწარმოებს... „სიყვარული და სათნოება“ კაცთა შორის. ვისაც ეს წმინდა ცნება შეუგნია, იმისათვის მეზობლის და თანამოძმის ბედნიერება სასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო. ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსაზღვრე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე, და ეს მოძრაობა გულისხმიერია ჩვენთვისაც: მე მოგახსენებთ ოსების განათლებისაკენ მისწრაფებას“.

ალ. ხახანაშვილი ეხება ოსთა რაოდენობას, აღნიშნავს, რომ მათ აქვთ 200 ათას მცხოვრებზე 30 სასოფლო სკოლა, მაგრამ ამის მიუხედავად უკანასკნელ დრომდის განათლებამ ვერ მოიკიდა მათში ფეხი. ამის მიზეზად მას მიაჩნია ოსურ ენაზე საკითხავი წიგნების უქონლობა და სწავლების გაუვებარ, რუსულ ენაზე წარმოება. იგი თვლის, რომ ამ საქმეში წარმატება მშობლიურ ენაზე დამყარებით მიიღწევა, რომ „საჭიროა სამშობლო ენაზედ მწერლობის შექმნა“. ახლა, ოსურ დამწერლობას საფუძვლად დაედო აკად. შეგრენის შექმნილი ანბანი. 1890 წ. გამოიცა პირველი საკითხავი ოსური წიგნი და ახლა სასულიერო წიგნების გარდა იცემა საერო წიგნებიცო. მას მხედველობაში ჰქონდა 1897 წ. გაპპო ბაევის მიერ გამოცემული«Авхардти Хасана»ალ. კუბალოვისა და 1899 წ. კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირი“.

ალ. ხახანაშვილი ეხება „ირონ ფანდირის“ აღნაგობას, ლექსთაწყობას და მოჰყავს სათაურები კრებულში შეტანილი ლექსებისა. ის ატყობინებს მკითხველებს, რომ კოსტა ხეთაგუროვს განზრახული აქვს ოსურად თარგმნოს „ალღუზიანი“, რომელშიც დაცულია ოსების ისტორია. ნარკვევს ალ. ხახანაშვილი ამთავრებს სიტყვებით: „ვუსურვოთ ოსებს წარმატება ამ პატიოსან გზაზედ და ვინატროთ იმათის საერო მწერლობის გაფურჩქვნა“[80].

თავის მხრივ, კოსტას დიდ პატივისცემას ქართველი ხალხისადმი, მისი მოწინავე წარმომადგენლებისადმი კარგად მოწმობს მისი გამოხმაურება გაზ. „სევერნი კავკაზის“ 1899 წ. 3 მაისის ნომერში ალ. ყაზბეგის ავადმყოფობასთან დაკავშირებით. იგი რედაქტორს თხოვს დაბეჭდოს მისი ცნობა, რომ კავკასიის კულტურის მოღვაწეთათვის არაერთხელ გამხდარა ცნობილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის მძიმე მდგომარეობა, რომ ის საავადმყოფოში სხვა ავადმყოფებთან ერთად საერთო პალატაში წევს და მოკლებულია ნორმალურ საკვებს, ჩაის და პაპიროსსაც კი, რომ ხარჯების გადაუხდელობის გამო, იქიდანაც გამოისვრიან, როგორც უსარგებლო ნივთს.

---

[80] გაზ. „ივერია“, 1899., 29 ივნისი, № 136.

კოსტა აღშფოთებით აღნიშნავს, რომ განა ის ადამიანი, ვისი ნაწერებიც სიამოვნებით იკითხება ხალხის მიერ, ვისი მშობლის სახლშიც ბევრნი დროს ატარებდნენ, იმის ღირსია რომ ქუჩებში ნაფლეთებში გახვეული დადიოდეს და სადმე ღობის ძირში მოკვდეს[81]?

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი, (რომელიც პირადად იცნობდა კოსტა ხეთაგუროვს), გადმოგვცემს იაგორ ღუდუშაურის ნაამბობს, რომ „კოსტა ხეთაგუროვი ხშირად დადიოდა ალექსანდრე ყაზბეგთან, ჩერდებოდა მასთან რამდენიმე დღით, კითხულობდნენ, მუსაიფობდნენ და დროს კამათში ატარებდნენ"[82].

კოსტას დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ქართველი ხალხისადმი მოწმობს ისიც, რომ მან შექმნა ტილო ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს გამოსახულებით, სადაც არ დაუშურებია საღებავი მისი სილამაზისა და სათნოების გამოსახატავად. სურათი გამოფენილი იყო ვლადიკავკაზში 1887 წელს. მასზე გამოხმაურება დაბეჭდა „ივერიამ" (1887 წ. 16/XII, № 264).

ლ. ბოცვაძემ გაზეთ „ტერსკიე ვედომოსტში" მოთავსებულ ნეკროლოგში კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ღრმა შეფასება მისცა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის წერდა, რომ „საუკუნოდ დადუმდა სიმართლის, სიყვარულის, მეგობრობისა და თავისუფლების მაცნე. ძვირფასი კავკასიის ცის კამარას მოსწყდა ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სხივებს მშობლიური ქვეყნის ყველა ქოხს აფენდა". ლ. ბოცვაძე აღნიშნავს იმ მძიმე ვითარებას, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა კოსტა ხეთაგუროვს, იმ ტიტანურ ბრძოლას, რასაც იგი ეწეოდა ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატის წინააღმდეგ თავის ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მათი კულტურული დაწინაურებისათვის, მოწინავე იდეალებისათვის. იგი აღნიშნავდა აგრეთვე, რომ კოსტას გარდაცვალება უდიდესი ზიანი იყო არა მარტო ოსეთისათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის და რუსეთისთვისაც. მან მიუთითა, რომ სიცოცხლეში ვერ დაფასდა კოსტას ღვაწლი, მაგრამ მომავალში ვინც გაეცნობა კოსტას პოეზიას, დაინახავს მის გულისტკივილს ხალხის მძიმე ცხოვრების გამო, მის ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის, ის უფრო მეტად დააფასებს და შეიყვარებს

---

[81] გაზ. „Сев. Кавказ», 1893, 3 მაისი. შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, კ ო ს ტ ა ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი, სტალინირი, 1961., ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, ოსეთ-საქართველოს კულტ. პედ. ურთიერთობა, გვ. 36—37.

[82] შ. ბ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, კოსტა ხეთაგუროვი, გვ. 61.

ვასან. ლუარსაბ ბოცვაძემ უკვდავება უწინასწარმეტყველა კოსტას სახელს და ეს წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა კიდეც.

ლ. ბოცვაძე კოსტას იმ ადამიანებს აკუთვნებდა, რომლებიც იშვიათად ჩნდებიან, რათა თავისი სიცოცხლე ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლას შესწირონ, მისი უფლებების დაცვისა და უკეთესი მომავლის საბჭსვერპლოზე მიიტანონ. ის თავის ხალხს კავკასიის ხალხებთან სოლიდარობისაკენ მოუწოდებდა, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მაგალითს აძლევდა, კავკასიის დაწინაურება-წინსვლის საქმეში მხურვალე მოღვაწე იყო.

XIX ს. 80-იან წლებში გაიშალა გ. ჩოჩიშვილის პუბლიცისტური მოღვაწეობა ქართულ პერიოდულ პრესაში. გიორგი ჩოჩიშვილი (ლიახველის ფსევდონიმით წერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში) შვილი იყო ერთ-ერთი პირველი განმანათლებლის—თომა ჩოჩიევისა (სამხრეთ ოსეთი). მან პირველი თანრიგით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და ჯავის რაიონში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ის სრულიყოფილად ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს. ქართულ ენაზე ის წერდა წერილებს სამხრეთ ოსების ისტორიის, ეკონომიკის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის და სხვ. საკითხებზე. მისი წერილები იბეჭდებოდა ძირითადად გაზეთ „დროების" ფურცლებზე, აგრეთვე ჟურნ. „მწყემსში" და სხვ. ის დაუღალავად ამხელდა ოსი ხალხის ცხოვრების ნაკლოვანებებს, მავნე ჩვეულებებს. ამხელდა სოფლისჭამია მყვლეფავებს, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ გლეხობას.

ქართული მწიგნობრობის საფუძველზე გაიზარდა ოსი ხალხის საუკეთესო თვითნასწავლი მწერალი სეკა გადიევი. იგი დაიბადა დაახლოებით 1856 წელს, ღუდის ხეობის სოფ. ქვემო განისში (საქ. სამხედრო გზასთან), ღარიბი მთიელი ოსის ოჯახში.

ახალგაზრდობაში სეკას წილად ერგო მძიმე შრომა მამისეულ ქვიანი მიწის ნაკრებზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, მწყემსობა ქირით. მხოლოდ შემთხვევამ გაუხსნა მას წერა-კითხვის შესწავლის შესაძლებლობა. მამამისის ნაცნობმა ქართველმა მღვდელმა მას ქართული წერა-კითხვა ასწავლა და 18 წლის ასაკში ის თავისუფლად ლაპარაკობდა, წერდა და კითხულობდა ქართულად.

ქართული ენის ცოდნამ, საეკლესიო და საერო ლიტერატურის ძეგლების გაცნობამ ქართულ ენაზე, მას შესაძლებლობა მისცა დაახლოებოდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას. ის გაეცნო ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის,

---

[88] «Терские ведомости», 1906, 15/IV, № 81; შ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82; ა. ცოტნიაშვილი, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1968, გვ. 133—134.

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. ქართული ენის ცოდნამ მას საშუალება მისცა მედავითნე გამხდარიყო ღუდის სამრეველოში 1873 წელს[84].

სეკა გადიევი თავის მხატვრულ შემოქმედებაში ეხებოდა ღარიბი მთიელი ოსების უსიხარულო ცხოვრებას, ბატონყმობისა და დრომოჭმული პატრიარქალური ადათების სიმძიმის ქვეშ მათ გმინვას. მისი მოთხრობების გმირები მოქმედებენ ოსეთში, ხევში, საქართველოს სხვა ადგილებში, განსაზღვრულ ურთიერთობაში შედიან ქართველი ხალხის როგორც გაბატონებული წრეების, ასევე მშრომელთა წარმომადგენლებთან.

„ქართლის ცხოვრების" სიუჟეტების საფუძველზე მას დაწერილი აქვს ლეგენდები, მოთხრობები თამარ მეფესა და დავით სოსლანზე, ოს-ბაღათარზე[85].

მის მოთხრობებში ბევრია მოთხრობილი არაგვისა და ქსნის ერისთავების მიერ მთიელების ჩაგვრაზე, მათ ცდებზე ურთიერთისათვის დაეპირისპირებინათ ოსები და მოხევეები, რათა უფრო ადვილად მოექციათ ორივე ეს ხალხი თავის ბატონობის უღლის ქვეშ. ნაწარმოებში „არაგვის ერისთავი ნუგზარი" ღუდელი ოსები ასამართლებენ ნუგზარს და ერთ-ერთ სერიოზულ ბრალდებად უყენებენ შემდეგს: „ერისთავო-ბატონო"... რატომ გვაიძულე ჩვენ და ჩვენ მეზობელ მოხევეებს ერთმანეთი გვეხოცა, რა დანაშაული მიუძღოდათ მათ შენს წინაშე? რატომ გვიბიძგებდი ბოროტმოქმედებისაკენ? რატომ წაგვართვი თავისუფლება"...

სეკა გადიევის შემოქმედების მკვლევარმა ნაფი ჯუსოითიმ მის ლიტერატურულ წინამორბედად მიიჩნია ალ. ყაზბეგი. სეკა კარგად იცნობდა ყაზბეგის შემოქმედებას. მათი შემოქმედების საერთო მოტივები მკვლევარს ახსნილი აქვს პირველ ყოვლისა იმით, რომ ორივე მწერალი აღწერდა იმ მთიელთა საზოგადოებებს, რომელთაც არ სცნეს ფეოდალური დამოკიდებულება, აღწერდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, ხასიათს. გარდა ამისა, ეს ორივე მწერალი დაიბადნენ და აღიზარდნენ ურთიერთის მეზობელ თემებში.— ხევსურეთი, მთიულები, ღუდელები და თრუსოელები ძველი და ახლო მეზობლებია. ამ თემებში მოსახლე ქართველებისა და ოსების ფსიქიკური წყობა და საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი აისახა სეკა-გადიევისა და ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში[86].

---

[84] Нафи Джусойты, Сека Гадиев, Сталинир, 1958, стр. 5—6.
[85] ნ. ჯუსოითი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124—125.
[86] ნ. ჯუსოითი, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

სეკა გადიევის არქივში, რომელიც ჩრდილო ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინახება, 100 გვერდამდე ქართულ ენაზე ნაწერია დაცული. ქართული ნაწერების უმრავლესობა შეეხება სხვადასხვა ავადმყოფობის მკურნალობის წესებს, სიზმრების ახსნას, შელოცვებს. ამ ნაწერებს შორის არის ქართულ ენაზე შესრულებული ლექსი „ბულბული". ეს ლექსი კარგად მოწმობს სეკას მიერ ქართული ენისა და პოეზიის კარგად ცოდნას, მის გავლენას.

ლექსი თავიდან ბოლომდე თავისუფლების სიყვარულითაა გაჟღენთილი და სიმბოლურად ასახავს კავკასიის ხალხთა დამონებულ მდგომარეობას ცარიზმის კოლონიური ხელისუფლების ბატონობის ბრჭყალებში:

„... გალია მიჩანს სამარედ,
ოქროთ მორთული ქსოვილი.
თუმც ბრინჯი უხვად მიყრია.
დამწყვდეული ვარ პყრობილი.

დამიჭირეს და შემაგდეს,...
გალიაში ჩამაგდესა,
ათასწილ სიკვდილი სჯობდა
ამ სასჯელის განსაცდელსა"[87]

ზემოთ მოტანილი სტრიქონები გარკვეული აზრით ეხმაურება ნ. ბარათაშვილის ცნობილ სტროფს პოემიდან „ბედი ქართლისა".

„რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული.
ასრე რას არგ-ბს კაცსაც დ-დება,
თუ მოაკლდება თავისუფლება"....

ზოგიერთი ქართველი მწერლისა და პოეტის შემოქმედებაში ოსთა თემა გარკვეულად აისახა. ჯერ კიდევ გრ. ორბელიანმა თავის „სადღეგრძელოში" ოსები დაახასიათა თამარის დროშის ქვეშ ქართველების მხარდამხარ მებრძოლ ხალხად, მხატვრული სიტყვითაც დაადასტურა საქართველოს ფეოდალური მონარქიის სისტემაში ოსი ხალხის ადგილი და მნიშვნელობა. ვინ არ იცის სადღეგრძელოს ეს სტროფი:

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი...
ოსი ფეხმარდი, მთიული ვით ციხე-ბურჯი მაგარი".

ქართული დრამატურგიის მამამთავარმა, ცნობილმა გიორგი ერისთავმა (1813-1864) მოღვაწეობის დასაწყისში პოეზიაშიც გამოს-

---

[87] ჩრდ. ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივი. ს. გ ა დ ი ე ვ ი ს პირადი ფონდი, № 6, ანაწ. I, საქმე 13. ფურც. 27; ლექსის ფოტოპირი დაბეჭდეს ა. ბ ი ა ზ რ ო ვ მ ა და გ. ბ ე ს თ ა უ თ ი მ ჟურნალ „ფიდიოგის" 1965 წ. № 9-ში.

ცადა კალამი. მის ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებს წარმოადგენს პოემა „ოსური მოთხრობა ანუ ზარე და ყანიმათი". პოემა დაიწერა 1832 წლამდე და პირველად გამოქვეყნდა 1832 წ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" მე-2, 3, 4 ნომრებში, მაგრამ ბეჭდვა არ დასრულებულა. პირველად სრულად დაიბეჭდა 1853 წ. „ცისკრის" მე-4 ნომერში „ზარე და ყანიმათის" სახელწოდებით. იგი ასახავს საქართველოს ისტორიის ძნელბედობის ხანას, კერძოდ კი კახეთის 1659 წლის აჯანყების ხანას. ამ აჯანყების ამბებს მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი", აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი" და სხვა. გ. ერისთავის ნაწარმოებიც ამათ რიგში დგას. პოემაში გიორგი ერისთავი ქართველებსა და ოსებს გვიჩვენებს, როგორც გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ ერთიან ძალას, მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ ხალხებს. პოემა ვითარდება შემდეგნაირად: მოხუცი ოსი ჰყვება საქართველოს გარდასულ დროთა ამბებს — კახეთის აჯანყების ამბებს. ამ დროს ქართლის მოურავად გამოყვანილია მთხრობელის პაპის ძმა როინი. მეფემ სპარსეთში გაგზავნა როინის ძმა ანუ მთხრობელის პაპა და ერთიც სხვა, ჩარაევების (ცარიათა) გვარიდან. ამ მოციქულებს იმედი არ გაუმართლებიათ — გზიდან გამოიპარნენ, რისთვისაც როინმა საკუთარი ხელით სიკვდილით დასაჯა ორივე[88].

ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ (1839—1913) როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე პუბლიცისტიკაში ასახა ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული ურთიერთობის ზოგიერთი მომენტი, მათი საერთო ბედი და ერთობლივი ბრძოლა როგორც გარეშე მტრების, ასევე ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღლის წინააღმდეგ.

ა. ფურცელაძის ისტორიულ პოემაში „მარაბდა" ასახულია ქართველ ხალხის გმირული ბრძოლა სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ოსთა ძმური დახმარება ქართველებისათვის. ავტორის წარმოდგენით ეს ძმური დახმარება პირველი შემთხვევა კი არ იყო, არამედ სისტემატური ხასიათისა და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა მას წარსულში. ოსთა ლაშქრის გამოსვლას მარაბდის სისხლიან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად იგი შემდეგნაირად აგვიწერს:

„დიდი ხანია ოსნი ჩვეულან
ქართველებთანა მტერთან ბრძოლასა,
დიდი ხანია ოსი, ქართველი
შეფიცებულან ერთად ძმობასა;

---

[88] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 53—58; ა. ცოტნიაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 79—82.

დიდი ხანია მათ ერთმანეთის
მოყვარეცა და მტერიც უცვნიათ;
ვითა ღვიძლ ძმათა, ისრე პირმტკიცედ,
მტრის ტყვეობიდან თავი უხსნიათ.

...ქართველს და ოსსა ერთი მამული,
ერთი ქვეყანა ერთად, იმურად გვზრდის;
დიდი ხანია მტერი ქართველთა
მოსისხლე მტრადა ოსებსაც ჰხადის.

დიდი ხანია, ოსი, ქართველი
ერთი ქვეყნისთვის მტერს ერთად ვებრძვით,
უმაგალითოდ და შეუპოვრად
ვიცავთ ქვეყანას და მტერსა ვდევნით"...

ანტონ ფურცელაძემ სპეციალური მოთხრობა უძღვნა ბატონყმური ურთიერთობის საშინელებათა მხილებას. მოთხრობა „მართა"ში" მან ვვიჩვენა, რომ ქართველი და ოსი გლეხობა არაადამიანური ცხოვრების პირობებში არიან ჩაყენებული მებატონეთა მიერ და სიმპატიურად უყურებს მათ ბრძოლას თავის ადამიანური უფლებების დასაცავად.

მოთხრობის მთავარი გმირი არის ოსი ქალიშვილი მართა, რომელიც ობოლი იყო და თავადმა ილიკომ მევახშე ხეჩოს მწევარ ძაღლში გაუცვალა. მწერალს მართა გამოყვანილი ჰყავს შრომის მოყვარე და კეთილშობილებით აღსავსე ადამიანად. იგი „მოუცლელად იყო საქმეში გართული", „თავის ხალისიანობით და სილამაზით ყველას უყვარდა. ძვირად თუ ვინმე გაიგონებდა მართასაგან ურიგო სიტყვასა, ძნელად თუ ვინმე მოიგონებდა იმისგან წყენასა". იგი ფიზიკურადაც ლამაზ ქალადაა გამოყვანილი. მას შეუყვარდა თავისივე მსგავსი პატიოსანი ქართველი გლეხი სოსე, მაგრამ მებატონე როსტომ ტაბლაძე გადაეღობა მათ ბედნიერებას და მიჯნურთ სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაუქცია. იგი ასევე სულს ართმევდა თავის სხვა ყმებსაც. უკანასკნელებმა გადაწყვიტეს მიემართათ უკიდურესი საშუალებისათვის— მოეკლათ მებატონე.

შეთქმულ ყმებს აქტიურად ეხმარება მართა. ის არა მარტო თანაუგრძნობს შეთქმულებს, არამედ ერთ-ერთ გადამწყვეტ ფიგურას წარმოადგენს მათში და აქეზებს გლეხებს, რომელთაც ძალიან უმძიმთ ხისლის დაღვრა. ის ამბობს, რომ შერცხვენის შემდეგ სიცოცხლე არაფრად უღირს და დამღუპველს სამაგიერო უნდა გადაუხადოს.

მაგრამ მართასთვის უცხო არაა სიბრალულის გრძნობა. შეურაცხყოფილი ადამიანობის შურისმაძიებელი ტირის: „ღმერთო! ღმერთო! რად მიგვახწევინეს აქამდინა. რა ენაღვლებოდათ პატარა ქრის-

---

[89] ა. ფ ურ ცე ლ ა ძ ე, მარაბდა, 1942, გვ. 12—13—14.

„ტიანულად მოქცეულიყვნენ, რომ არც თვითონ წაწყმენდილიყვნენ, და არც არავინ ცოდოში ჩაეყენებინათ“.

ა. ფურცელაძის „მართა“ ანტიბატონყმურ ნაწარმოებთა იმ რიგში დგას, რომელსაც ეკუთვნის დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ი. ჭავჭავაძის „კაკო უაჩაღი“, „კაცია-ადამიანი?“ და სხვ.

მწერალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია აქტიურად თანამშრომლობდა XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ პრესაში. იგი სისტემატურად აქვეყნებდა კორესპონდენციებს „ივერიაში“ ქსნის ხეობის მოსახლეობის ცხოვრების შესახებ. მან რუსულიდან გადმოთარგმნა და 1885 წ. „ნობათში“ დაბეჭდა ოსური ლეგენდა „ბესო“[90]. მასვე ეკუთვნის ოსური ლეგენდის „ეშმაკის სამარე“ დაბეჭდვა „ივერიაში“[91].

ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლური კულტურული ურთიერთობის საქმეს დიდი სამსახური გაუწია ნ ი კ ო ლ ო ზ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ბ ერ ძ ე ნ ო ვ მ ა, რომელიც ჩრდ. ოსეთის ს. არდონში დაიბადა 1831 წელს, ქართველი მღვდლის ოჯახში. მამამისი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ხაზით მოღვაწეობდა ოსეთში, აგებდა ეკლესიებს. ნიკოლოზმა ჯერ ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარია.

ოსეთში ხანგრძლივად ცხოვრებამ, ოსი ხალხის ცხოვრების ღრმად გაცნობამ (ზნე-ჩვეულებების, ყოფის, ზეპირსიტყვაობის), განსაკუთრებით ალაგირისა და დიგორიის ხეობებში, განსაზღვრა ნ. ბერძენოვის დიდი ინტერესი ოსი ხალხის ეთნოგრაფიისადმი. მან ოსეთის ეთნოგრაფიას მიუძღვნა მრავალი ნაშრომი, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთში «Закавказский вестник» და «Кавказ»[92]-ში. მისი შრომების ნაწილი დაბეჭდილ იქნა „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტებში“ და ჟურნ. „რუსსკოე სლოვოში“.

ოსეთის ეთნოგრაფიაზე მისი პირველი ნაშრომების ბეჭდვა დაიწყო 1850 წელს გაზ. „კავკაზ-ში. 1850—53 წწ. მის მიერ დაბეჭდილი შრომების სათაურებია: «Новый год у осетин Владикавказского округа», «Осетинский обряд сидения мертвецов»; «Очерки Осетии. Хетаджи-кад..., Уацилла», «Цоппай»; «Из записок об Осетии» (ზნეჩვეულებათა ბატონობა, სისხლის აღება, მესისხლეთა შერიგება.

---

[90] „ნობათი“, 1885, № 3—5. გვ. 120—131.

[91] „ივერია“, 1394, № 39.

[92] ნ. ბერძენოვს გარდაცვალებისთანავე მიუძღვნა სპეც. ბროშურა დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ. Николай Георгиевич Бердзенов и его литературная деятельность, Тифл. 1874; ოსეთის შესახებ მის მემკვიდრეობას ეხება ა. მ ა გ ო მ ე დ ო ვ ი წერილში Н. Г. Б е р д з е н о в — этнограф.-литератор. Изв. СОНИИ, т. XXI, в. 1, Орджоникидзе, 1958.

ოჯახი და საოჯახო ყოფა, სტუმართმოყვარეობა, მიწათმოქმედება, საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოების დაწყება და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები); «Очерки Осетин. Чиндз-Фахсоев. Сой-Сой»; «Очерки Осетии. Дигория» (მათი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხება) «Из воспоминании об Осетии — ცალკეული ეთნოგრაფიული შენიშვნები; «Из записок Об Осетии» — ოსი ქალის მდგომარეობის შესახებ და სხვ. 1855 წ. ალმანახ „ზურნაში“ მისი დაიბეჭდა «Осетинская Сафо (Картины и нравы из моих воспоминаний)».

ნ. ბერძენოვის ამ ნაშრომში მოცემულია მდიდარი მასალა ოსი ხალხის ეთნოგრაფიის საკითხებზე. იგი მრავალ საკითხს ეხება და აშუქებს. თანაც ეს იყო პერიოდი, როცა ოსეთში ის-ის იყო ჩნდებოდნენ განათლებული პირები, რომლებიც დიდ ინტერესს ავლენდნენ ოსი ხალხის ისტორიისა და კულტურის მიმართ. ნ. ბერძენოვი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. რუსულ ენაზე წერა მისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას უზრუნველყოფდა.

ნ. ბერძენოვი ხაზს უსვამს ოსი ხალხის მუსიკალურ-სასიმღერო რეპერტუარის სიმდიდრეს. რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ სიმღერებში ის ხედავდა ოსი ხალხის ყოფისა და ფსიქოლოგიის ასახვას. ა. მაგომედოვის სამართლიანი დასკვნით ნ. ბერძენოვის ეთნოგრაფიული ნაშრომები ოსებზე არა მარტო ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არიან საინტერესო, არამედ ლიტერატურის თვალსაზრისითაც, რამდენადაც ისინი ატარებენ მხატვრული თხრობის ხასიათს.[93]

ნ. ბერძენოვი XIX ს. შუა ხანებისა და მეორე ნახევრის ოსეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევართათვის დიდი ავტორიტეტი იყო, როგორც ოსეთის კარგი მცოდნე. მის ნაშრომებს იყენებდნენ ისეთი მკვლევრები, როგორიც იყო მაქს. კოვალევსკი, ვს. მილერი, დოქტ. პაფფი, ნ. დუბროვინი და სხვ. უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდა მის შრომებს აკად. მ. ბროსეც.

ნ. ბერძენოვი მეგობრულ ურთიერთობაში იყო ვ. ცორაევთან, დანიელ ჭონქაძესთან. შემთხვევითი არაა, რომ დანიელ ჭონქაძემ თავის დაუმთავრებელი ეთნოგრაფიული ჩანაწერები (Записки о куртатинцах). ფოლკლორული და ლექსიკოლოგიური მასალა ანდერძით ნ. ბერძენოვს დაუტოვა. მან ეს მასალა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნა, რომლის დავალებითაც დ. ჭონქაძე მუშაობდა რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენაზე. ამ მასალის ნაწილი პეტერბურგში აკად. შიფნერმა გამოსცა წიგნში «Осетинские тек-

---

[93] А. Х. Магомедов, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

сты собранные Дан. Чонкадзе и Вас. Цораевым». ეს ტექსტები შემდეგ ფრანგულ და გერმანულ ენებზეც გამოიცა.

ნ. ბერძენოვს ხელი უნდა შეეწყო ოსი ეროვნული ინტელიგენციის დაინტერესებისათვის მშობლიური ეთნოგრაფიის საკითხებით. მისი რედაქტორობის პერიოდში „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ დაიწყო ბეჭდვა (1855 წ.) ოსი სოლომონ ჟუსკაევის ეთნოგრაფიული წერილებისა (იგი მაშინ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე იყო).

ნ. ბერძენოვი საქართველოს ეთნოგრაფიის შესანიშნავი მკვლევარი იყო. საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებს მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მისი ნაშრომი «Грифлис в этнографическом отношении» დღესაც არაა მნიშვნელობას მოკლებული. ამას გარდა ის ეწეოდა აქტიურ კრიტიკულ-პუბლიცისტურ საქმიანობას.

ნ. ბერძენოვი თავისი მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობით ქართველი და ოსი ხალხის მეგობრული ურთიერთობის განსახიერებას წარმოადგენდა. მისი ნაშრომები ოსებზე არა მარტო ამ ხალხის ცხოვრების, ფსიქოლოგიისა და ენის კარგ ცოდნას ამჟღავნებენ, არამედ მათი ავტორის ოსებისადმი კეთილგანწყობილებასაც გვიჩვენებენ. ნ. ბერძენოვს ოსები თავის მხრივ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი სახელი ახლაც ძვირფასია ოსთათვის. ამის მაგალითია ა. მაგომედოვის დასახელებული ნაშრომიც.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისიც, რომ XIX ს. მეორე ნახევარში ქართველი ისტორიკოსები ეხებიან ოსი ხალხის უძველესი ისტორიის საკითხებს, ავლენენ მათ შესახებ ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ჯანაშვილის მოღვაწეობა. მას ეკუთვნის წერილი «Из осетинской истории», რომელშიც ოსი ხალხის ისტორიის არა ერთი საკითხია დასმული. მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ. ჯანაშვილის ის მუშაობა, რაც მან ქართულ ისტორიულ წყაროებში ჩრდილო კავკასიის ხალხებზე, მათ შორის ოსებზე მასალების გამოვლენისათვის ჩაატარა. ეს მასალები მან დაბეჭდა სათაურით: «Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России»[94]. იგი დიდი ხნის მანძილზე, დღესაც კი, კავკასიის ხალხთა ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის რუსულ ენაზე, თითქმის, ერთადერთ ხელმისაწვდომ წყაროდ რჩება.

მ. ჯანაშვილსავე ეკუთვნის ი. იალღუზიძის პოემის „ალღუზიანის“ რუსულ ენაზე თარგმნა და პარალელურად ქართულ-რუსულ ენებზე დაბეჭდვა.

---

[94] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 22, 1897.

ასე წარმოგვიდგება XIX ს. მეორე ნახევარში ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობის სურათი. როგორც მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, ეს ურთიერთობა ამ პერიოდში ფრიად ინტენსიური იყო და გამოვლენის მრავალი ფორმა ჰქონდა. იგი დადებით გავლენას ახდენდა ოსი ხალხის სწავლა-განათლების საქმის დაწინაურებაზე, ოსური კულტურის განვითარებაზე. ქართველი და ოსი კულტურის მოღვაწეთა პირადი ურთიერთობა ყოველთვის საზოგადოებრივ ელფერს ატარებდა და ამ ორი მეზობელი ხალხის შემდგომი დაახლოებისა და წინსვლის სტიმული იყო.

თ ა ვ ი III

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1901-1921 წწ.

§1 ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა

XX ს. დასაწყისი რუსეთის იმპერიაში აღინიშნა მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობით. განსაკუთრებით ორგანიზებული ხასიათი ამ მოძრაობამ მიიღო მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ გაიშალა კლასობრივი ბრძოლა. სამხრეთ ოსები მთელი რიგი განსაკუთრებული პირობების (მძიმე ეკონომიური ვითარება უმიწობის, მემამულეთა და ცარიზმის მოხელეთა მხრივ მძიმე ექსპლოატაციის, პოლიტიკური უუფლებობისა და ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის) გამო, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

სამხრეთ ოსების რევოლუციური მოძრაობა ქართველი ხალხის რევოლუციურ მოძრაობასთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. ამ დროისათვის ოსები უკვე იყვნენ თბილისისა და საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრების მუშების შემადგენლობაში და აქტიურად მონაწილეობდნენ მის კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი რევოლუციური ბრძოლა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა გლეხობის გამოსვლებში.

გლეხთა გამოსვლებმა მწვავე ხასიათი მიიღეს გორისა და დუშეთის მაზრაში, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდა ოსი მოსახლეობა. მათ შორის ფართო რევოლუციურ მუშაობას ატარებდნენ

ოსდმპ გორის სამაზრო პარტიული ორგანიზაციის რწმუნებულები. ამ ორგანიზაციის ისეთი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ გ. ელისაბედაშვილი, ალიმბარაშვილი და სხვა, ხშირად მიდიოდნენ სამხრეთ ოსეთის სოფლებშიც და რაზმავდნენ გლეხობას თვითმპყრობელობისა და მებატონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

1904 წ. შეიქმნა რსდმპ ცხინვალის კომიტეტი, რომელიც გორის კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდა. მასში ქართველებთან ერთად შედიოდნენ ოსებიც. იმავე წლის შემოდგომაზე შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ვანათში. ასეთივე პარტიული ჯგუფები შეიქმნა ჯავასა და ქემერთშიც. ჯავის პარტიულ ჯგუფში შედიოდნენ პავლე ქუმარიტოვი, ნიკა და ფიდა მინდიაშვილები. ეს ჯგუფები თავის გარშემო თავს უყრიდნენ მოწინავე გლეხებს და სოფლის ინტელიგენციას. მათ დიდი როლი შეასრულეს სამხრეთ ოსეთის მშრომელი მოსახლეობის დარაზმვის საქმეში რევოლუციური გამოსვლებისათვის. ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ქართველი და ოსი გლეხობა ერთსულოვნად გამოვიდა ლოზუნგებით: „გაუმარჯოს თავისუფლებასა და ერთობას “, „ძირს ნიკოლოზი“.

უკვე 1905 წლის თებერვლისათვის გლეხთა გამოსვლებმა მოიცვეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. გურიის გლეხობის თავგანწირულმა რევოლუციურმა გამოსვლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით გორის მაზრაში. აქაც დაიწყო გლეხთა მღელვარება. ქართულ-ოსური სოფლების მოსახლეობა მიტინგებზე ბოიკოტს უცხადებდა მეფის ხელისუფლებას. თებერვლის შუა რიცხვებში ცხინვალში შეიკრიბა გლეხობა რვა სოფლიდან. მიტინგებზე ისმოდა მოწოდებები რევოლუციური ბძოლისაკენ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

უფრო თვალსაჩინო იყო სოფ. ყორნისში შემდგარი მიტინგი, რომელსაც ქართული და ოსური სოფლების ხუთი ათასამდე წარმომადგენელი ესწრებოდა. მიტინგმა დაადგინა: გამოეცხადებინათ მეფის მთავრობის ყველა დაწესებულებისადმი ბოიკოტი, არ ეცნოთ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, აღეკვეთათ „დრამის“ ფული, უარი ეთქვათ მემამულეებისათვის და ხაზინისათვის გადასახადების გადახდაზე. გლეხებმა ერთმანეთისადმი ერთგულების ფიცი დადეს[1].

გლეხობა ანადგურებდა მემამულეთა სახლკარს, სამეურნეო ნაგებობებს (წისქვილებს, საბძლებს და სხვა), თვითნებურად ჩეხდა ტყეს, აყენებდა პოლიტიკურ მოთხოვნებს. გორის მაზრის უფროსი ატყობინებდა გუბერნატორს, რომ გორის მაზრის სოფლების კანცელარიებში

---

[1] П. В. Догузов, указанная работа, стр. 205—206.

საქმის წარმოება სულ არ არის, რადგან ზოგ საზოგადოებაში გლეხები მუქარით აიძულებენ სოფლის მწერლებს და ჩაფრებს, თავი დაანებონ თავის თანამდებობებს[2].

1905 წ. 15 მარტს გორის მაზრის უფროსი თავის მოსსენებაში კავკასიაში სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლისადმი შეშფოთებით აღნიშნავდა, რომ გლეხთა მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, რომ მაზრის დასავლეთისა და შუა ნაწილის ოსები ჩამოდიან მთებიდან, დაეხეტებიან ბრბოებად მემამულეთა კარმიდამოებში და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, უწესრიგობას აძლიერებენო. ადგილობრივი ხელისუფლება პარალიზებულია, მათ ძალით ერეკებიან.

ქართველ და ოს გლეხთა ეს ბრბოები ერეკებიან მემამულეთა მოსამსახურეებსაც, რის შედეგადაც მათი მამულები და ჯოგები უმეთვალყუროდ რჩება. ბევრი მათგანი სტოვებს თავის სახლკარს. ამბოხებულები აყენებენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. მაზრის უფროსი ითხოვს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების გაგზავნას გორის მაზრაში გლეხობის რევოლუციური მოძრაობის აღსაკვეთად[3].

გლეხთა ასეთივე გამოსვლებს ადგილი ჰქონდა შორაპნის მაზრაში. აქ ქართველი და ოსი გლეხები წვავდნენ სასოფლო კანცელარიებს და აიძულებდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციას, მიეტოვებინათ სამსახური[4].

ასეთივე ფართო გამოსვლები მოხდა ქსნის ხეობაშიც. 8 ათასამდე ოსი გადადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში და მემამულეთა მოსამსახურეებს ერეკებოდა. თვით ახალგორში შეიკრიბა 1500-მდე გლეხი „თავისუფლებისა და ერთობის“ ლოზუნგებით[5].

ქართველების, ოსებისა და ცხინვალში მცხოვრები სხვა ეროვნებების — სომხებისა და ებრაელების ერთობლივ გამოსვლებზე მეტყველებს 1905 წ. 9 მარტის ცხინვალის დიდი მიტინგი, რომელსაც 1500 კაცი ესწრებოდა. ამ მიტინგზე არჩეულ იქნა 16 დეპუტატი — ოთხი ქართველი, ოთხი ოსი, ოთხი სომეხი და ოთხი ებრაელი. მათ უნდა შეემუშავებინათ მშრომელი მასების მოთხოვნები და წარედგინათ მთავრობის კომისიისათვის, რომელსაც ელოდნენ[6].

კიდევ უფრო გრანდიოზული იყო 13 მარტს სოფ. დგვრისში შემდგარი მიტინგი. აქ გამოდიოდნენ ქართულ და ოსურ ენაზე. გლეხე-

---

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 14 მარტი, № 2770; 17 მარტი, № 2773.

[3] Революционное движение в Юго-Осетии (1905—1907 гг.). Документы и материалы, сост. И. Н. Цховребов, Сталинири, 1958, стр. 17—18.

[4] П. В. Догузов, указ. работа, стр. 208.

[5] Газ. «Новое обозрение», 1905, 19/III, № 61.

[6] გაზ. „მოგზაური“, 1905, 27 მარტი, № 11.

ბი აცხადებდნენ რომ არ უნდათ მამასახლისი, მწერალი, სააქციზო მოხელე და სტრაჟნიკები, რომლებმაც სიღატაკემდე მიგვიყვანესო. ცოლშვილი შიმშილითა და სიცივით გვიწყდება, უკანასკნელ ლუკმას პირიდან გვაცლიან. დღემდე ვითმენდით, ყურებში ბამბა გვქონდა და ქვეყანა ჩალით დახურული გვეგონა. ახლა გამოვფხიზლდით და მოვითხოვთ ყველაფერ იმას, რაც ჩვენსავით ტანჯულ ხალხს მიეცემაო.

ეს მიტინგი იმავე დღეს ცხინვალ'ში გაგრძელდა და დემონსტრაციით დასრულდა. მასში რვა ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. „ერთობის" ლოზუნგებით მათ გაიარეს ცხინვალის ქუჩები და აიძულეს მომრიგებელი მოსამართლე ანდრეევი, დაეტოვებინა ცხინვალი[7].

ყველგან, სოფლებში გლეხობა დაესია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და მათი დარბევა დაიწყეს. ამ საქმეში ერთსულოვნად გამოდიოდნენ ქართველი და ოსი გლეხები. ბელოთ-მერეთის საზოგადოებებში გლეხთა გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ დმენისელი ვასო დუდაევი, ხოშურელი ესტატე არჩვაძე და ზონკრელი მათე ვალიევი. ოქონის, ატოცის და ბრეთის საზოგადოებაში არსებულ სოფლებში სოფლის კანცელარიების დახურვის, მამასახლისების გარეკვის და სხვ. ღონისძიებების განხორციელებას ეწეოდნენ გლეხთა არჩეული პირები გ. აბაევი, მინაძე და ქველაძე[8].

გლეხობა არბევდა მემამულეთა სახლკარს, აიძულებდა სიკვდილის მუქარით მიეტოვებინათ თავისი მამულები და წასულიყვნენ. მთავრობის დამსჯელ ექსპედიციებს ყველგან შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ბოლშევიკების აქტიური მუშაობა გლეხებს შორის მის ბრძოლას ორგანიზებულ, პოლიტიკურ ხასიათს აძლევდა.

20 მარტს ახლომახლო სოფლების ქართველი და ოსი გლეხობა (ოთხი ათასამდე კაცი) შეიკრიბა სოფ. მეჯვრისხევში. მიტინგზე გადაწყდა მემამულეთათვის წარედგინათ მოთხოვნა — დროებით ვალდებული გლეხები გაენთავისუფლებინათ გადასახადებისაგან და საკუთრებაში გადაეცათ მათთვის მიწები. ტყით სარგებლობის ნებართვა უნდა გაეცათ ხალხის მიერ არჩეულ პირებს[9].

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პირობებში, ბოლშევიკების მოწოდებით, ყველგან, მათ შორის სამხრეთ ოსეთის სოფლებშიც, იქმნება გლეხთა რევოლუციური კომიტეტები — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს სოფლად რევოლუციური ძალების დარაზმვაში, მასზე პროლეტარიატის ჰეგემო-

---

[7] გაზ. „მოგზაური", 1905, № 11.

[8] П. В. Догузов, указ. работа, стр. 216—217.

[9] იქვე, გვ. 221.

ნიის განმტკიცების საქმეში. სამხრეთ ოსეთში ისინი შეიქმნა წუნარში, ყორნისში, თამარაშენში, ავნევში, ოქონაში, ახალგორში და სხვ. მათში აქტურად თანამშრომლობდნენ ქართველი და ოსი გლეხობის წარმომადგენლები. ისინი ასრულებდნენ არა მარტო ადგილობრივი მმართველობის, არამედ სასამართლო ფუნქციებსაც.

თავადაზნაურობამ, აზვირთებული გლეხობისაგან თავის მამულების დაცვის, მათი მორჩილებაში მოყვანის მიზნით, შექმნა 400 კარგად შეიარაღებული კაცისაგან შემდგარი შავი რაზმი. გორის მაზრაში აზნაურების შავი რაზმის შექმნის ინიციატორი იყო მსხვილი მემამულე გიორგი ამილახვარი. რაზმის ხელმძღვანელები იყვნენ აზნაურები ზ. აბდუშელიშვილი და აბელ კალატოზიშვილი, თავადები გიგო და აპოლონ მაჩაბლები. მათ აქტიურად უჭერდა მხარს ტირძნისის მემამულე სულხანიშვილი და მომრიგებელი მოსამართლე სარდიონ ამირაჯიბი.

თავად-აზნაურთა შავი რაზმის შექმნასთან დაკავშირებით, გორის მაზრაში 1905—07 წწ. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე დიმიტრი ფანჯარაშვილი თავის მოგონებაში წერს, რომ გ. ამილახვარმა, ზ. აბდუშელიშვილმა და ა. კალატოზიშვილმა მთავრობას გამოთხოვეს იარაღი შავი რაზმის შესადგენად. მათ გლეხებში დაიწყეს სათანადო პროპაგანდა. ქვემო ავჭალაში, ერთ-ერთ შეხვედრაზე გლეხების წარმომადგენლებთან, ამ თავადაზნაურებმა შესთავაზეს მათ, დაედოთ ფიცი ღვთისმშობლის წინაშე, რომ არ უღალატებდნენ სამშობლოს და იბრძოლებდნენ საქართველოში მცხოვრებ უცხო ეროვნებათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ოსების წინააღმდეგ, რომლებსაც თავის ისტორიულ მტრებს უწოდებდნენ. როცა სოფლის გარეთ შეკრებილ ხალხის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა, ისინი შეშფოთდნენ, განსაკუთრებით ღელავდნენ ოსები. დ. ფანჯარაშვილს შეუთავაზებია აღელვებული ხალხისათვის, რომ თავადაზნაურობის საპასუხოდ შეედგინათ წითელი რაზმი, აერჩიათ რამდენიმე გამოცდილი კაცი, გაეგზავნათ ოსეთ-მთიულეთში და ეცნობებინათ თავიანთი ერთობის ძალა, მოეწოდებინათ, რომ არ დაემორჩილონ ხელისუფლებას და არ გადაიხადონ გადასახადები. ამ სიტყვების გაგონებაზე დამსწრე ოსობას უპასუხია: „შენი ენის ჭირიმე, ოღონდ ქართველები ჩვენთან ერთად იყავით და ჩვენ ყველანი ვიბრძოლებთო“. არჩეულ იქნა ექვსი კაცი: ნოე გაბაშვილი, ნიკო ბოლოთაშვილი, თედო გაბარაშვილი, მალხაზ გაბარაშვილი, ზაქარია ნადირაძე, რომლებიც სათანადო დავალებით, ცხენებით, გაემართნენ ლეხურისა და ქსნის მთებში[10].

---

[10] საქ. სსრ ცია, ფ. 2417, საქმე 307, ფურც. 14—15, დიმიტრი ფანჯარიშვილის მოგონება. ამ მოგონებაზე მიგვითითა დოც. ნ. ნიკოლაიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

თავადაზნაურთა შავ რაზმს ენერგიულად დაუპირისპირდა რევოლუციური გლეხობის მიერ შექმნილი წითელი ასეულები. შეიქმნა ცხინვალ-ყორნისის, ქსნის და ცალკე ჯავის ხეობის წითელი ასეულები თითოეული 150—250 კაცის შემადგენლობით. ისინი იარაღდებოდნენ თავადაზნაურთათვის, ბოქაულთათვის და სხვა თანამდებობის პირთათვის ჩამორთმეული იარაღით. წითელი ასეულები თავზარს სცემდნენ მემამულეებსა და მეფის მოხელეებს.

1905 წ. ზაფხულისათვის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მასშტაბი კიდევ უფრო გაფართოვდა. ქართველი და ოსი გლეხობა მეგობრულად, მხარდამხარ გამოდიოდნენ მემამულეთა და მეფის მოხელეთა წინააღმდეგ. გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ აღნიშნავდა, რომ ქართლში გლეხთა მოძრაობა ძლიერდება. სოფლის საზოგადოებებში ყველა საქმეებს განაგებენ ასისთავები და ათისთავები, საზოგადოების არჩეულ პირებთან ერთად. შიდა ქართლის მოსახლეობის ყოველგვარი ურთიერთობა მთავრობის დაწესებულებებთან შეწყვეტილია. ცხინვალის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ეროვნების მიუხედავად, დამყარდა მჭიდრო ერთიანობა[11].

გლეხთა მზარდი რევოლუციური გამოსვლებით შეშფოთებულმა ვორონცოვ-დაშკოვმა გორისა და დუშეთის მაზრებში საგანგებო რწმუნებით გაგზავნა გენერალ-ადიუტანტი ამილახვარი. მან შექმნა კომისიები, რომელთაც უნდა გამოერკვიათ მემამულეთათვის გლეხობის მიერ მიყენებული ზარალი და სასტიკი ღონისძიებებით შეეცადა დაკისრებული მისიის შესრულებას — გლეხთა გამოსვლების აღკვეთას.

მაგრამ გლეხთა გამოსვლები არ წყდებოდა. მჭადიჯვარში ქართველი და ოსი გლეხების მიტინგზე მაზრის უფროსს მოსთხოვეს კაზაკების მიერ მათთვის წართმეული პროდუქტების დაბრუნება. ისინი უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. მაზრის უფროსის ბრძანებით მიტინგს ტყვია დაუშინეს, რის შედეგადაც 30 კაცი მოკლეს და დაჭრეს[12].

გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხთა რევოლუციური გამოსვლების სიმძაფრე იქამდე მივიდა, რომ მეფისნაცვალმა ისინი ცალკე საგუბერნატოროდ გამოჰყო და პოლკოვნიკ ალფტანს ჩააბარა. მასვე საგანგებო რწმუნებანი მიეცა რევოლუციასთან საბრძოლველად.

სასტიკი რეპრესიები, ეგზეკუციები, დაპატიმრებები მიზანს ვერ აღწევდა. გლეხობა განაგრძობდა სასტიკ ბრძოლას. წითელი ასეულები განაგრძობდნენ მემამულეთა განიარაღებას, საძულველი მებატონეე-

---

[11] «Тифлисский листок», 1905, 21/VI, № 146.

[12] П. В. Догузов, указ. работа, стр. 236.

ბის სახლ-კარის დარბევას და განადგურებას. წითელ ასეულებში მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი და ოსი რაზმელები[13].

რევოლუციის შემდგომი განვითარების პირობებში, საქართველოს ბოლშევიკებმა, 1905 წ. შემოდგომაზე დიდი მუშაობა ჩაატარეს მასებში ბულიგინის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად, 17 ოქტომბრის მანიფესტის ფარისევლური ხასიათისა და მენშევიკების კონსტიტუციური ილუზიების საჰხილებლად. ეს უკანასკნელნი გამოდიოდნენ შეიარაღებული აჯანყების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის წინააღმდეგ.

ცხრა დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ მოსკოვში ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ იმპერიაში. 10 დეკემბერს თბილისშიც დაიწყო აჯანყება. 15 დეკემბერს ღამით სამხრეთ ოსეთში წითელი რაზმელები თავს დაესხნენ ხაპოლიციო საგუშაგოებს ცხინვალის რაიონში. მთელი ძალაუფლება რაიონში აჯანყებული ხალხის ხელში გადავიდა. ცხინვალის რაიონი მთიანი ოსეთის საზოგადოებებიანად შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთ მძლავრ კერად გადაიქცა. რაიონში დათხოვნილ იქნა მთავრობის ყველა დაწესებულება. აჯანყებული გლეხები თავის რევოლუციური კომიტეტების სახით საკუთარი ბედის პატრონები გახდნენ[14].

აღნიშნულ ამბებში გორის მაზრის ქართველი და ოსი მოსახლეობა ერთსულოვანი იყო. ისინი მხარდამხარ იბრძოდნენ ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ, აძევებდნენ ადმინისტრაციას და მემამულეებს და რევოლუციურ წესრიგს ამყარებდნენ.

მაგრამ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებამ მოსკოვში, განსაზღვრა რევოლუციური გამოსვლების დროებითი მარცხი პერიფერიებში. ცარიზმმა გამოიყენა იაპონიასთან ზავის დადება, საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერა, მუშათა და გლეხთა კავშირის სისუსტე და შეტევაზე გადავიდა. გორის მაზრაც რეაქციის სათარეშო არენად გადაიქცა. ჯარის ნაწილები, თავადაზნაურთა შავი რაზმები დაძრწოდნენ აქ. სპობდნენ რევოლუციური მუშებისა და გლეხების სახლებს, ხვრეტდნენ, ასახლებდნენ ციმბირში, ეგზეკუციებს უყენებ-

---

[13] Рев. движение в Юго-Осетии (1905—1907 гг.), док. и мат.., стр. 90.

[14] Я. Хуцишвили, Вооруженное восстание в Грузии 1905 г., Исторические записки, т. 49, М., 1954, стр. 127; ს. ბ ე კ ო ე ვ ა, 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა სამხრეთ ოსეთში, 1905-1907 წ. რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 325—326; П. В. Д о г у з о в, Револ. движение..., стр. 281.

დნენ. კაპიტან ენუკოვსკის რაზმმა მთელი ცხინვალის რაიონი შემოიარა და ყველგან სისხლიან კვალს სტოვებდა.

მაგრამ რევოლუციური გლეხობა ადვილად არ თმობდა თავის პოზიციებს. იგი მძიმე ბრძოლებით იხევდა უკან. გლეხობა განაგრძობდა მემამულეთა განდევნას, ადმინისტრაციის ბოიკოტს, გადასახადებზე უარის თქმას, მემამულეთა ტყეების გაჩეხვას და სხვ. მაგრამ 1906—1907 წწ. ბრძოლები უკვე საარიერგარდო ბრძოლების ხასიათს ატარებდა[15]. ამ ბრძოლებში ქართველი და ოსი გლეხები კვლავ ერთად გამოდიოდნენ. მაგ. 1906 წ. 7—8 ივნისის ღამეს სოფ. ერგნეთში ივანე მაჩაბლის მამულის დარბევაში მონაწილეობდნენ ბ. გაზზაევი, ვ. ზუბაშვილი, კასრაძეები, გ. გოგაშვილი.

ცხინვალის რაიონში ოსი და ქართველი გლეხობის ერთობლივი გამოსვლების მასშტაბზე წარმოდგენას იძლევა გორის მაზრის უფროსის 1906 წ. 1 დეკემბრის რაპორტი თბილისის გუბერნატორისადმი. ის წერს, რომ გორის მაზრაში უწესოებებმა (ე. ი. გლეხთა რევოლუციურმა გამოსვლებმა) ისეთი უჩვეულო გაქანება მიიღეს, რომ სრული ანარქია დამყარდა. ეს მაზრა არამარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში აჭარბებს ყველას როგორც გამოსვლების რაოდენობით, ასევე სიმწვავის მიხედვით[16].

1905—7 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციურმა თანამეგობრობამ თავზარი დასცა ხელისუფლებას. მან სათანადო ზომებიც მიიღო, არ დაეშვა მომავალში მათი ერთობლივი რევოლუციური გამოსვლები, დაეპირისპირებინა ისინი და ამით ჩამოეცილებინა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისაგან. ამ მიზნით, მეფის მოხელეები, პოლიცია, ქართლის სოფლებში მიმართავენ ოსი მამასახლისებისა და ჩაფრების ჩაყენებას, რომელთა ძალადობასაც ქართველები მტრად უნდა გადაეკიდა მთელი ოსი ხალხისადმი. ქართველი და ოსი მოწინავე მოღვაწენი კარგად გრძნობდნენ ამ საშიშროებას, ამხელდნენ მეფის აგენტების ასეთ პროვოკაციულ მოქმედებას და ხალხებს მოუწოდებდნენ სიფხიზლისაკენ. ვლადიკავკაზში 1906 წლის 23 ივლისიდან გამოსული გაზეთი „ირონ გაზეთ“ („ოსური გაზეთი“) ოს მშრომელებს უქადაგებდა მეზობელ ხალხებთან მეგობრულ ურთიერთობას, უხსნიდა რომ ხალხთა ურთიერთწაკიდების პოლიტიკა ცარიზმის პოლიტიკაა, რათა ამით ხალხები ჩამოაშოროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.

---

[15] ს. ბ ე კ ო ე ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 328.
[16] П. Д о г у з о в, указ. работа, стр. 319.

თბილისში 1907 წ. 8 მარტიდან გამოდიოდა ოსური გაზეთი „ნოგ-ცარდ“ („ახალი ცხოვრება“). იგი თანმიმდევრულად ატარებდა ქართველ და ოს ხალხებს შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების პროპა-განდას. ამ გაზეთის მესამე ნომრის მოწინავე წერილი ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას შეეხება. გაზეთი წერს, რომ ამ ხალხებს ისტორიულად „მტერიც ერთი ჰყავდათ და მოყვარეც“, რომ „ქართველი მშრომელი ხალხი თავის ბატონების მადლიერი არასოდეს არა ყოფილა, მაგრამ, ოსებთან კი, როგორც ძმებთან, განწყობილად ცხოვრობდა“. გაზეთს ესმოდა, რომ ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას სერიოზული საფრთხეს უქადდა მეფის მთავრობის მოხელეების ერთა წაკიდების პოლიტიკა. „...გრძნეულსა სურს საწყალი ხალხების კერა ჩაანელოს. მაგრამ ეს ასე არ უნდა მოხდეს..... ჩვენ ამიერიდანაც ერთად უნდა ვიცხოვროთ და ამიტომ ყური არავის არ უნდა ვათხოვოთ და ერთმანეთს, მტრის გასახარად, გული არაფრით არ უნდა დავუკოდოთ“....

როცა 1907 წ. გაზაფხულზე ცარიზმის მოხელენი პროვოკაციებს აწყობდნენ გორის მაზრაში ქართველ-ოსთა წასაკიდებლად, ქართველი რევოლუციონერი პოეტი ირ. ევდოშვილი გამოვიდა „გამაფრთხილებელი წერილით“, რომელშიც წერდა: „....გორის მაზრაში მოსალოდნელია ოსების და ქართველების შეტაკება. მიზეზი ამისა, ერთის მხრით ყოფილა ისიც, რომ ქართლის სოფლებში დააყენეს ოსი მამასახლისები... გამწარებული ხალხი ოსი მამასახლისების გამო ემდურის თვით ოსის ხალხსაც. ამრიგად პროვოკაციისათვის — ერთი ერის მეორეზე დასაჯახებლად საუკეთესო ნიადაგი შექმნა ადგილობრივმა პოლიციამ და თუ თვით ხალხის გონიერმა ნაწილმა არ შეაყენა ეს ორი ერთმანეთზე ეშმაკურათ მისეული ერი, შესაძლებელია ჩვენ გავხდეთ საშინელი და სამარცხვინო სურათების მოწმენი“[17].

ქართველი და ოსი ხალხის პროგრესულმა წარმომადგენლებმა სასტიკად ამხილეს მეფის მთავრობის პროვოკაციული მოქმედება და არ მისცეს მას შესაძლებლობა დამტკბარიყო ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთ სისხლისღვრით.

1905—07 წწ. რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, ქართველმა და ოსმა გლეხობამ თავის კლასობრივი ინტერესებისათვის ერთობლივი ბრძოლის კარგი სკოლა გაიარეს.

ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა ვლინდებოდა ჩრდილო ოსეთის სინამდვილეშიც. 1903 წ. ამიერკავკა-

---

[17] გაზ. „დრო“, 1907, 21/111, № 9. ირ. ევდოშვილის წერილს ჩვენი ყურადღება მიაქცია დოც. ნ. ნიკოლაიშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

სიაში შექმნილმა რსდმპ კავკასიის კომიტეტმა დიდი როლი შეასრულა თერგზე მარქსისტული იდეების გავრცელებისა და რევოლუციური მუშაობის გაშლის საქმეში. რსდმპ კავკასიისა და ბაქოს კომიტეტების დავალებით, ი. გ. ფიოლეტოვი გადავიდა გროზნოში, სადაც ხელმძღვანელობდა რსდმპ გროზნოს ორგანიზაციას. აქედან მისი დახმარებით. 1904 წ. გაფორმდა რსდმპ ვლადიკავკავის ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა რუსების, ქართველების, ოსების, სომხებისა და სხვა ჯგუფებს. ეს ჯგუფი უშვებდა პროკლამაციებს რუსულ, ქართულსა და ოსურ ენებზე, ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას მუშებს შორის.

1904 წლის ბოლოსათვის ვლადიკავკავში შეიქმნა რსდმპ თერგდაღისტნის კომიტეტი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა რევოლუციური მოძრაობისათვის ჩრდილო კავკასიაში.

რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის ცარიზმის დამარცხებამ გამოაცოცხლა რევოლუციური მოძრაობა ჩრდილო კავკასიაშიც. ცხრა იანვრის სისხლიანმა ტრაგედიამ აავსო ხალხის მოთმინების ფიალა.

ჩრდილო ოსეთში ამ პერიოდში ფართო გაქანება მიიღო მასების რევოლუციურმა გამოსვლებმა. ამ გამოსვლებში მონაწილეობდნენ რუსები, ოსები, ქართველები და აქ მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მღელვარება მოედო ალაგირში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც დროებით მცხოვრებლებად ითვლებოდნენ. ვლადიკავკავის ოლქის მესამე უბნის უფროსის 1905 წ. 21 აპრილის ოქმიდან ჩანს, რომ, ალაგირში მცხოვრებ ზაქარია კინჭაძემ ღამით გატეხა კარცერის ბოქლომი და გაიქცა. ადგილობრივმა ხელისუფლებმა სცადეს მისი დაპატიმრება, მაგრამ მის დამცველებად გამოვიდნენ სიკო და იაგორ გამყრელიძეები. როცა საქმე გამწვავდა, ალაგირელი ქართველები 50 კაცამდე მივიდნენ კანცელარიაში. უბნის უფროსმა სცადა კაზაკების გამოძახება, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს და დაიშალნენ მუქარით: «У нас своя сотня казаков, не боимся мы ваших казаков»[18].

ვლადიკავკავის ოლქის უფროსმა ამ ამბების შესახებ თავის მხრივ აცნობა თერგის ოლქის უფროსს და შესთავაზა დაეპატიმრებინათ ალაგირელი ქართველები ვასილ სულთანიშვილი, სიკო, ვიქტორ და იაგორ გამყრელიძეები ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოტივით.

ალაგირის ქართული მოსახლეობა შემდეგაც ენერგიულად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი აჰყვნენ მთელ იმპერიაში

---

[18] Северная Осетия в революции 1905—1907 годов. Документы и материалы (Подг. к печати А. К. Джанаев и А. А. Тедтоев), Ордж., 1955. стр. 33—34.

და, კერძოდ, ოსეთში გაშლილ გლეხთა მოძრაობას სახაზინო მიწების ხელში ჩასაგდებად, ტყეების გასაჩეხად. ალაგირის თემის მამასახლისი პოტემინი 1905 წ. 12 მაისს ატყობინებდა თავის უფროსებს, რომ აქაურმა ქართველებმა დაიწყეს სამთო-სამრეწველო ქიმიურ საზოგადოება „ალაგირის" მიწების თვითნებური დაკავება. საზოგადოებას ეს მიწები ხაზინიდან იჯარით აქვს აღებული, ქართველებმა კი კვლების გაჭრა დაიწყეს და საკარმიდამოდ დანაწილებას აპირებენო[19]. იგივე პოტემინი 13 მაისს ატყობინებს ვლადიკავკაზის ოლქის უფროსს, რომ ალაგირელი ქართველები, რომლებმაც „ალაგირის" მიწები დაიკავეს, 15 მაისს აპირებენ ისეთი „ბუნტის" მოწყობას, როგორიც ამჟამად მიმდინარეობს ამიერკავკასიაში, და, რომ მას უშიშრად არ შეუძლია თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება[20].

1905 წ. გაზაფხულზე ფართოდ გაიშალა მუშათა რევოლუციური გამოსვლები. ვლადიკავკაზში 5 მაისს დაიწყო საპირველმაისო გაფიცვა. გაფიცვის ორგანიზატორებმა 6 მაისს გრანდიოზული ხუთი ათასიანი დემონსტრაცია მოაწყეს ქალაქში. დადიოდნენ წითელი დროშით, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ორატორები მოუწოდებდნენ თვითმპყრობელობის დასამხობად. 7 მაისს ქალაქის ბაღში შედგა დემონსტრაცია, სადაც 500-მდე კაცი მონაწილეობდა. ვლადიკავკაზის პოლიცმეისტერის პოლკოვნიკ კოტლიარევსკის პატაკიდან თერგის ოლქის უფროსისა და თერგის კაზაკთა ლაშქრის ატამანისადმი ჩანს, რომ როცა კაზაკებმა დემონსტრანტების გარეკვა სცადეს, ქართველთაგან ზოგიერთმა კაზაკებს ქვების სროლა დაუწყო[21].

ჩრდილო კავკასიაზე, კერძოდ ოსეთზე, ბოლშევიკური პარტიის გავლენა ხორციელდებოდა ამიერკავკასიიდან კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეშვეობით. საქართველოში მიმდინარე ამბები დიდ გავლენას ახდენდა ვლადიკავკაზის ოლქის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაზე. ობილისში 29 აგვისტოს საქალაქო თვითმმართველობის სახლში მუშათა მიტინგის დახვრეტამ აღაშფოთა ვლადიკავკაზის მშრომელები. 4 სექტემბერს აქ, სარაჯევის ქარხნის რაიონში (ქალაქგარეთ) გაიმართა მიტინგი. სათანადო პროკლამაციებში გაშუქებული იყო თბილისის ამბები და ხელისუფლება მას თბილისის კომიტეტის მოქმედებად თვლიდა. მიტინგზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, აგრეთვე ქართველმა, რუსმა და სომეხმა ხელოსნებმა. აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით, ვლადიკავკაზის პოლიცმეისტერი კავკასიის პოლიციის უფროსს ასე უხასიათებდა ვლადიკავკაზში რევოლუციური მოძ-

---

[19] დასახ. კრებული, გვ. 37.
[20] ი ქ ვ ე, გვ. 38.
[21] ი ქ ვ ე, გვ. 41.

რაობის მონაწილე ძალებს: ქალაქში ინტელიგენცია ყველაზე მეტადაა ოპოზიციურად განწყობილი. მათგან ებრაელები და სომხები არ კმაყოფილდებიან სიტყვებით და ერთიანდებიან წრეებში, ამყარებენ ურთიერთობას ოპოზიციურ ცენტრებთან. შემდეგ ოსები, რომელთა ინტელიგენცია ძალიან მოუსვენარია, ყველაფრით უკმაყოფილოა და მოსახლეობას აგულიანებს უწესრიგობისაკენ, ხრწნის მათ. ამასთან აგიტატორები არიან სტუდენტები და სოფლის მასწავლებლები. ქართველთა ინტელიგენციას საყვედური არ ეთქმის, მაგრამ სტუდენტობა არ ისვენებს. უბრალო ქართველი ხალხი — მუშები და ხელოსნები მოუსვენარნი არიან და მათ შორის ბევრია მავნე (რევოლუციური) ელემენტი. ამიერკავკასიის ამბების გავლენით ესენი — აულაგმავი ბუნები მქონენი — მომზადებული რევოლუციონერები — ანარქისტები არიანო.

დასასრულ, ის წერს, რომ დაპატიმრებულ იქნა ქართველი რამიშვილი, რომელიც მუშებს აღელვებდა და ამით კრასნორიადის ქუჩაზე სიმშვიდე დამყარდა. მისივე მოთხოვნით გაძევებულ იქნა ქალაქიდან სტუდენტი მოსულიშვილი[22].

ამიერკავკასიაში გაშლილი მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლა ფართო გამოხმაურებას პოულობდა ჩრდილო ოსეთში. ალაგირში დროებით მცხოვრებმა ოსებმა და ქართველებმა დაიკავეს მკვიდრი რუსების — მდიდრების კუთვნილი საძოვარი, შეღობეს, ხეები დარგეს და თივა დადეს. თავიანთ საჩივარში ისინი (საძოვრის პატრონები) აღნიშნავდნენ, რომ საქენზე ხუთი კაპიკი ზარალი განიცადეს[23].

ალაგირელმა ქართველებმა „ალაგირის" მიწის თვითნებური მოხვნა დაიწყეს. კონსტანტინე გუგუშვილმა ორი დესეტინა, გრ. ვალაძემ ერთი დესეტინა, სოლომონ სხირტლაძემ ორი დესეტინა მოხნეს. ასევე მოხნეს ლობჟანიძეებმა და სხვ. ისინი აცხადებდნენ, რომ მიწის მეპატრონეს საიჯარო ქირას გადავუხდით, მაგრამ უხვნელ-უთესველი ვერ დავრჩებითო[24].

დეკემბერში გამოსვლები მოხდა ოსურ დივიზიონში, სხვა სამხედრო ნაწილებში. 18 დეკემბერს, ღამით, მთელი გარნიზონის მიტინგს ელოდნენ. 500 მოქალაქე შეგროვდა და წითელი დროშებითა და მარსელიოზის სიმღერით დაიძრნენ აფშერონის პოლკის ყაზარმისაკენ, სადაც მათ შეერთებას სთხოვდნენ. პოლკის უფროსმა და სხვა ოფიცრებმა, შესძლეს აგიტატორების — პოპოვის, ტომაშევსკისა და ღუდუშა-

---

[22] დასახ. დოკ. კრებული, გვ. 101—102.
[23] ი ქ ვ ე, გვ. 104—105.
[24] ი ქ ვ ე, გვ. 162—165.

-ურის (ყაზბეგის მცხოვრების) დაპატიმრება. ისინი ორი ასეულის თან-ხლებით პოლიციაში გაგზავნეს, მაგრამ დემონსტრანტებმა ისეთი სა-შიში ვითარება შექმნეს, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა გაენ-თავისუფლებინა ისინი[25].

უფრო ადრე, 1905 წ. 28 ოქტომბერს აფშერონის პოლკში არე-ულობა მოხდა. ცუდი საკვები პროდუქტები მიზეზი გახდა ჯარისკაცთა მღელვარებისა. მათთან ერთად იყვნენ დაბალი ჩინის მქონე ოფიცრე-ბიც. გამოსვლა ჩაახშეს, მისი ორგანიზატორები გაასამართლეს. ბრალ-დებულთა შორის პირველი იხსენიება უნტერ-ოფიცერი ივანე ნოსიძე (ექვს სხვა უნტერ-ოფიცერთან ერთად) და რიგითი ობეჩკრაშვილი (!) 12 სხვა რიგით ჯარისკაცთან ერთად[26].

დეკემბრის თვეში ვლადიკავკავის რკინიგზაზე დიდი გაფიცვა მოხ-და. იგი 8-დან 26 დეკემბრამდე გაგრძელდა. 7 დეკემბერს ამ გაფიცვის სახელმძღვანელოდ არჩეულ 30 კაციან კომიტეტში შედიოდა კონსტან-ტინე სოლომონის ძე ცაგარელი, ქუთაისელი, მე-10 დისტანციის ტექ-ნიკოს-პრაქტიკანტი. იგი მოხსენებებით გამოდიოდა მუშათა მიტინგებ-ზე[27].

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, მთავ-რობა ყველგან შეტევაზე გადავიდა. 1906 წ. იანვარში, ჩრდილო ოსე-თში მოქმედება დაიწყო პოლკოვნიკ ლიახოვის დამსჯელმა ექსპედი-ციამ. იგი არტილერიის ცეცხლს უშენდა სოფლებს და მოითხოვდა რევოლუციონერთა გაცემას. ამოქმედნენ სამხედრო-საველე სასამარ-თლოები.

ამის მიუხედავად, არ წყდება რევოლუციური მოძრაობა. 1906 წ. იანვრის დასაწყისში ვლადიკავკავში ჩავიდნენ ცნობილი რევოლუცი-ონერები ნოე ბუაჩიძე და ნ. კიკნაძე („სტეპკო"), რომლებიც მანამდე ქუთაისის გუბერნიაში — ხარაგოულში მუშაობდნენ. ალიხანოვ-ავარს-კის დამსჯელი ექსპედიციის შესვლამ დასავლეთ საქართველოში გამო-წვია იქიდან მათი წასვლა. რაჭა-მამისონის გზით ისინი ჩავიდნენ ვლა-დიკავკავში და მაშინვე არალეგალურ მუშაობაში ჩაებნენ. ისინი მუშაობდნენ თერგ-დაღესტნის კომიტეტის ტიპოგრაფიაში, მუშაობ-დნენ მუშათა არალეგალურ წრეებში.

ნ. ბუაჩიძის ჩასვლით ბოლშევიკური ფრაქციის მუშაობა ვლადი-კავკავში გამოცოცხლდა. 1906 წ. 7 ივნისს მოეწყო რეზაკოვისა და ტერტეროვის ლუდის ქარხნების მუშათა გაფიცვა, მერე ვახტანგოვის

---

[25] ი ქ ვ ე.
[26] ი ქ ვ ე, გვ. 254—260.
[27] ი ქ ვ ე, გვ. 193—202.

თამბაქოს ფაბრიკისა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, რვასაათიან სამუშაო დღეს. 10 ივნისს, გაიფიცნენ ტრამვაის პარკის მუშები (ვატმანები და კონდუქტორები). ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით ბოლშევიკებმა 24—25 ივნისს ღამით ხელთ ჩაიგდეს ლიბერალური გაზეთის „ყაზბეგის“ სტამბა და მისი მუშების დახმარებით ათასობით პროკლამაცია დაბეჭდეს, რომლებიც გაავრცელეს მთელ თერგის ოლქში. ეს პროკლამაციები მიმართული იყო სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის წინააღმდეგ. 26 ივნისს მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, შემდეგ ქალაქგარეთ ათასკაციანი მიტინგი.

ნ. ბუაჩიძისა და ნ. კიკნაძის მოღვაწეობა აქ რვა თვე გაგრძელდა. 1906 წ. 28 აგვისტოს ვლადიკავკავის მუშათა ერთდღიანი გაფიცვა მოეწყო — 1905 წ. 29 აგვ. თბილისში მუშათა დახვრეტის წლისთავის აღსანიშნავად.

მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები, დევნა. ნოემბერში ვლადიკავკავში ჩავარდა არალეგალური სტამბა, რომელიც ბაქოს კომიტეტმა მისცა მას. ბუაჩიძე იძულებული გახდა გასცლოდა ქალაქს. იგი წავიდა როსტოვში, იქიდან კი მოსკოვში. ნ. კიკნაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა[28].

მრავალი ქართველი მასწავლებელი და ახალგაზრდა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ვლადიკავკავში როგორც რევოლუციის აღმავლობის, ასევე მისი უკანდახევის პერიოდში. 1906 წ. 1 აპრილს ვლადიკავკავში აღმოაჩინეს ბოლშევიკური არალეგალური სტამბა. ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ქართული სკოლის მასწავლებელი ელენე კაზახაშვილი და 18 წლის იოსებ ბაბილაძე — ასოთამწყობი. სტამბაშივე ნახეს ორი ბომბი. ამ სტამბასთანვე იყო დაკავშირებული ილია ელიავაძე. ისინი ბეჭდავდნენ პროკლამაციებს[29].

1907—1910 წლებში მთელი რუსეთის იმპერიაში დამყარდა სტოლიპინის რეაქციის მძიმე ხანა. ქართველი და ოსი გლეხობა საქართველოში მაინც არ წყვეტდა ბრძოლას. ისინი განაგრძობდნენ მემამულეთა სახლ-კარის გადაწვას, მათი მიწების ძალად მოხვნას, გადასახადების გადახდაზე უარს. შეტაკებებში ისინი დაუნდობლად სპობდნენ ექსპლოატატორულ კლასთა ცალკეულ წარმომადგენლებს.

საქართველოში, კერძოდ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, გაძლიერდა გლეხობის რევოლუციური გამოსვლები. გაზეთმა „პრავდამ“ და პრაღის პარტიულმა კონფერენციამ დიდი როლი ითამაშეს მასების დარაზმვის საქმეში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

---

[28] დასახ. დოკ. კრებული, გვ. 141—143; История СО АССР, გვ. 283—284.
[29] დასახ. დოკ. კრებული, გვ. 283—285.

ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში .გორის მაზრაში დიდი რევოლუციური მუშაობა გასწია ელისაბედაშვილმა. გორელ იატაკქვეშელთა მეშვეობით, სამხრეთ ოსეთში ხვდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები და გაზეთები. თბილისში მომუშავე ბოლშევიკი ოსები სამხრეთ ოსეთში გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ ხე-ტყის დამცურებელ მუშათა მეშვეობით.

თბილისში ოსი მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. მაგალითად, თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში სამჭედლო საამქროში მუშაობდა კოსტა ჯატიევი, თბილისის სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი რაიონის წევრი, რომელიც მუშაობდა 1910 წ. კონფისკებულ სოციალურ-დემოკრატიულ სტამბაში. ის ახლო მეგობარი იყო ცნობილი რევოლუციონერის მიხა ჩოდრიშვილისა. ორგანიზაციაში მას იცნობდნენ „კოსტას", „კოსტა-ოსის" და „ოსოს"-ს სახელით. თბილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობდნენ დავით გაგლოევი, ილია გასიევი, დავით და ვასილ სანაკოევები, ანდრია ცხოვრებოვი და სხვა მრავალი[30].

1912 წლისათვის დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და სამხრეთ ოსეთში ფართო რევოლუციური მუშაობა გაშალა სოციალ-დემოკრატმა „ვანო-ოსმა".

ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის დავალებით, სამხრეთ ოსეთში 1913 წელს ჩამოვიდა 1905—1907 წწ.-ის აქტიური მონაწილე სამსონ სანაკოევი და გლეხებს შორის სააგიტაციო მუშაობა გაშალა. ამავე წლის შემოდგომაზე ის არალეგალურად გადავიდა იმერეთში და იქაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. მეფის ოხრანკის აგენტმა თავადმა აბაშიძემ საფარიდან მოჰკლა იგი. იგი ჩამოასვენეს საჩხერიდან ოსეთში. მისი დაკრძალვა მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციად იქცა[31].

გლეხობა მემამულეთა თვითნებობას ტერორით პასუხობდა. გადასახლებიდან გამოქცეულმა, 1905—07 წწ. რევოლუციის მონაწილე გარსო კოზაევმა 1909 წ. ქართველი და ოსი გლეხების თხოვნით მოჰკლა ფლავისმანის მემამულე გ. ერისთავი. 1913 წ. გუფთელმა გლეხებმაც მოჰკლეს თავის მემამულე მაჩაბელი, რომელიც შეუბრალებლად სძარცვავდა გლეხებს[32].

---

[30] И. Н. Цховребов, Революционное движение в Юго-Осетии в 1910—1914 гг., Изв. ЮОНИИ, XI, Цхинвали, 1962, стр. 187.

[31] იქვე, გვ. 190.

[32] იქვე.

იმპერიალისტური ომის დაწყების შემდეგ სოფლად კლასობრივი ბრძოლა უფრო გამწვავდა. ქართველი და ოსი გლეხობა განაგრძობდა ბრძოლას მეფის ადმინისტრაციისა და მემამულეთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის პერიოდი. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა დღევანდელ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეც და საქართველოს იმ რაიონებშიც, სადაც ქართულ-ოსური მოსახლეობა იყო, ისევე,როგორც მთელ რუსეთსა და კავკასიაში. მას ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. საქართველოში ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

1917 წელს სამხრეთ ოსებში ბოლშევიკური ორგანიზაციები ჯერ არ იყო. გლეხთა შორის რევოლუციური იდეების გავრცელებას ეწეოდნენ ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის ნაწილი, დემობილიზებული ჯარისკაცები, კავკასიისა და რუსეთის სამრეწველო ცენტრებში მომუშავე ოსი მუშები.

ბოლშევიკური პარტიის დირექტივების თანახმად, 1917 წ. 23 აგვისტოს სოფ. ორტევში შეიქმნა გლეხთა რევოლუციური კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობდა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას 1918 წ. აპრილამდე.

1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თბილისში, 3(18) მარტს შექმნილი იქნა დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც თავის ხელში აიღო მხარის შინაგანი მმართველობის საქმე. კომიტეტი მოითხოვდა მოსახლეობისაგან ძველებურად ეხადათ სამხედრო ბეგარაც და გადასახადებიც. მემამულეთა მიწათმფლობელობა ხელუხლებელი დარჩა. ამან გლეხობის აგრარული მოძრაობა კიდევ უფრო გაამწვავა. უდღეური დროებითი მთავრობა მალე დაემხო.

ოქტომბრის რევოლუციის, მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველმა მენშევიკებმა, სომეხმა დაშნაკებმა და აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა თბილისში, 1917 წ. 11 ნოემბერს ჩამოაყალიბეს კონტრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი. მას მენშევიკი ევგ. გეგეჭკორი ჩაუდგა სათავეში.

1917 წ. 2 დეკემბერს ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ბურჟუაზიულ-მემამულური ეროვნული საბჭო. საბჭოს დასახული პროგრამა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოცილებას ამზადებდა. საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილების იურიდიულად გასაფორმებ-

ლად, ქართველმა მენშევიკებმა 1918 წლის 26 თებერვალს, თბილისში, მოიწვიეს ამიერკავკასიის სეიმი — ყოფილი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი წევრებისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ ესერების, მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების პარტიებს. სეიმმა 1918 წ. 22 აპრილს გამოსცა დადგენილება საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და „ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის“ შექმნის შესახებ. სეიმმა 25 აპრილს შექმნა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობა მენშევიკ ა. ჩხენკელის მეთაურობით.

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდხანს ვერ გასძლო. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წ. 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნა. ცალკე რესპუბლიკებად გამოცხადდნენ სომხეთი და აზერბაიჯანიც.

ასეთი იყო პოლიტიკური ფონი, რომელშიც მიმდინარეობდა საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

მენშევიკებმა არაფერი არ გააკეთეს გლეხობის ინტერესებისათვის. მემამულეთა მიწა ხელუხლებელი დარჩა. გლეხობას აიძულებდნენ უწინდებურად ეხადა გადასახადები. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა გლეხთა რევოლუციური ბრძოლა მთელ საქართველოში.

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ფონზე გორის მაზრის გლეხობის ბრძოლა გამოირჩეოდა თავის სიმწვავით. აქ ძირითადად შემოდიოდა სამხრეთ ოსეთიც. ქართველი და ოსი გლეხობა ერთობლივად იბრძოდა მემამულეების წინააღმდეგ. გლეხთა რევოლუციური კავშირის მიერ მოწყობილ მიტინგებსა და კრებებზე გლეხობა მოითხოვდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მათ განდევნას, მთავრობის წარმომადგენელთა გაწვევას, სკოლების გახსნას. ეს მოთხოვნები სპეციალური დელეგაციის მეშვეობით წარუდგინეს ამიერკავკასიის სეიმს, მაგრამ მან არ მიიღო ისინი. პირიქით, მან გადაწყვიტა მოსახლეობის განიარაღება. ამან კიდევ უფრო გააძლიერა გლეხთა გამოსვლები[33].

1918 წ. თებერვლის შუა რიცხვებში, მენშევიკებმა სოფ. ერედვში მოაწყეს მიტინგი, რომელზეც გამოვიდნენ: ცხინვალში მენშევიკების მიერ დანიშნული კომისარი კ. ყაზიშვილი, მენშევიკი დურგლი-

---

[33] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть (1917—1921 гг.), Документы и материалы, собр. И. Н. Ц х о в р е б о в, Сталинири, 1957, стр. 4.

შვილი და მენშევიკური გვარდიის უფროსი, ცხინვალში, სოსიკო პოვრიშვილი. დურგლიშვილმა გაილაშქრა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მათ აყვავებული რუსეთი ნანგრევებად აქციესო. პოვრიშვილი ცდილობდა გლეხობის ყურადღება გადაეტანა თურქებისაგან ძომდინარე საფრთხეზე. კ. ყაზიშვილი თავს დაატყდა ოსებს და ყოფილ ფრონტელებს — ბოლშევიზმის ხოლერით ხართ დაავადებული და თუ განიარაღებული არ იქენით, საქართველოს დააქცევთო. მიტინგზე, ქართველი და ოსი გლეხების წასაკიდებლად, იგი არ მოერიდა ისტორიის გაყალბებასაც. მან განაცხადა, რომ საქართველო 118 წელი იყო რუსეთის უღლის ქვეშ ოსების მიზეზითო. ისინი მაშინაც და ახლაც რუსეთს ეხმარებიან კავკასიის დაპყრობაშიო. მოსული ოსები შევიფარეთ ჩვენ ძიწაზე და ისიხი კი მზად არიან დანა ჩაგვარტყან ზურგშიო. ქართველ გლეხობას ის პირდაპირ ეუბნებოდა — ამდენი სისხლი დავაქციეთ თავისუფლებისათვის, თქვენ კი ოსებთან ერთად ანარქიის შექმნას ცდილობთო. ამაზე ილა ბერუაშვილმა უპასუხა, რომ დიაღ, ჩვენ შევდივართ გლეხთა კავშირში და კავშირი გვაქვს ოს მშრომელ გლეხობასთან.

13 მარტს, მენშევიკების გვარდიამ (რომელსაც ბედის ირონიით წითელი გვარდია ეწოდებოდა), აღუა შემოარტყა ერედვს მოსახლეობის განსაიარაღებლად. მოსახლეობამ იარაღი ტყეში გაიტანა, გვარდიელებმა ააფორიაქეს სოფელი, გაძარცვეს, მძევლები წაიყვანეს.

აღნიშნული ამბების შესახებ გლეხთა კავშირის პრეზიდიუმის 1918 წ. 14 მარტის სხდომაზე, რომელსაც გორა პაპუაშვილი თავმჯდომარეობდა, ილა ბერუაშვილის მოხსენებასთან დაკავშირებით გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ არ ჩააბარონ იარაღი, ხოლო ოსი და ქართველი ხალხების მშრომელთა ინტერესებისათვის, მათ შორის კეთილ-მეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისათვის დახვრეტილ იქნას ყველა პროვოკატორი, რომელიც უნდობლობას თესავს და აქეზებს ქართველებს ოსებზე.

პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდა გლეხთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ყულუმბეგოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მენშევიზმი უფრო საშიში მტერია, ვიდრე ცარიზმი იყო. მენშევიკები ექსპლოატატორული კლასების შვილებია. რათა თავის მდგომარეობა შეინარჩუნონ, ცდილობენ ქართველი გლეხობის ყურადღება სხვა საგანზე გადაიტანონ. გრიგოლ ვეშაპელი მთელ საქართველოში გაჰყვირის ოსთა განდევნაზე და სათანადო დირექტივებს აძლევს ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. მათგან არც მენშევიკები განსხვავდებიან. მათში სოციალიზმის არაფერი დარჩა და მხოლოდ თავისი ბატონობის შენარჩუ-

ნებისათვის იბრძვიან. გლეხობას მიწას ბოლშევიკების გარდა არავინ მისცემსო[34].

15 მარტს ვანათაში გაიმართა ცხინვალის რაიონის წარმომადგენელთა დიდი მიტინგი. ყაზიშვილმა მოსთხოვა მიტინგს იარაღის ჩაბარება. მიტინგმა კონტრწინადადებები წამოაყენა, რომლებშიც აღნიშნა, რომ მენშევიკებს თავის წარმომადგენლებად აღარ თელიდნენ, რადგან კონტრევოლუციურ პარტიებთან თანამშრომლობა დაიწყეს, რომ მიწის საკითხი არ გადაწყდა და სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონმა ღრმად აღგვაშფოთა, რადგან ამ კანონით მემამულეს რჩება 50 დესეტინა მიწა. ამასთან ფიქტიური გაყოფით ის მთლიანად ინარჩუნებს მიწას. მიტინგმა მოითხოვა მემამულეთა გასახლება გორის მაზრიდან და მათი მიწების მცირემიწიან გლეხთათვის განაწილება; მენშევიკური სელისუფლების წარმომადგენელთა გაყვანა ცხინვალის რაიონიდან; მიტინგმა დაადგინა, რომ არ გადაიხდიდა „საბალახოს" და „ღალას", არ ჩააბარებდა იარაღს, ხოლო მისი მოთხოვნების შესასრულებლად სამი დღის ვადა დააწესეს, რის შემდეგაც თვითონ რევოლუციური გლეხობა განახორციელებდა მათ[35].

მენშევიკურ მთავრობას თავისი სოციალური ბუნების გამო. არ შეეძლო გლეხთა აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ცხინვალის კომისარმა კ. ყაზიშვილმა კანონგარეშე გამოაცხადა ცხინვალის რაიონი და გვარდიის მეშვეობით შეუდგა მოსახლეობის განიარაღებას. ამან გამოიწვია 19 მარტს ცხინვალზე ოსი და ქართველი გლეხების შეიარაღებული იერიში. მათ სასტიკ ბრძოლაში დაამარცხეს მენშევიკური გვარდიის ნაწილები და ცხინვალიც დაიკავეს. მათ 23 მარტამდე ეკავათ ცხინვალი. ბრძოლაში მოკლულ იქნენ გორიდან რაზმით ჩასული საგუბერნიო კომისარი გ. მაჩაბელი და ცხინვალის დიქტატორი კ. ყაზიშვილი. 100 გვარდიელი განიარაღებული და ტყვედ იქნა წაყვანილი[36].

მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა დიდი ჯარი არტილერიით, ტყვიამფრქვევებით, ჯავშნიანი მანქანით ვ. ჯუღელისა და პოლკოვნიკ კონიაშვილის მეთაურობით. აჯანყებულები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ ბრძოლებით. გვარდიელები შედიოდნენ დაცარიელებულ სოფლებში. ბრძოლისუნარიანი მამაკაცები იარაღით ხელში გარბოდნენ სოფლებიდან და ტყეებს აფარებდნენ თავს, რათა განეგრძოთ ბრძოლა.

---

[34] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, стр. 19—23.

[35] იქვე, გვ. 24—25.

[36] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, стр. 28—29.

ცხინვალის ამბებმა ფართო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს იყო ოსი და ქართველი გლეხობის ერთობლივი გამოსვლა მათთვის საძულველი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ამ ფაქტს აღიარებდა თვით მენშევიკური მთავრობაც[37]. მაგრამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის ფურცლებზე დაიწყო მეთოდური, ანტიოსური პროპაგანდა. აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებული აჯანყება, რომელშიც ქართველი და ოსი გლეხობა ერთად გამოდიოდა, მონათლეს ოსთა ეროვნულ მოძრაობად, რომელიც, თითქოს, მიმართული იყო ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ავრცელებდნენ ყოველგვარ ჭორებს, რომ ოსებს ქართველების აყრა და მათი მამულების დაკავება აქვთ განზრახულიო. ქართველ გლეხობაში კონტრრევოლუციონური ელემენტები პროვოკაციულ მუშაობას ეწეოდნენ და ოსების წინააღმდეგ აქეზებდნენ მათ. ამ პროპაგანდას გარკვეული წარმატება ჰქონდა. შორეული რაიონების გლეხობა, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდა ოსეთში მიმდინარე ამბების ნამდვილ ბუნებაზე, ეწერებოდა მენშევიკურ გვარდიაში და მიჰყვებოდა მას ოსებზე სალაშქროდ.

გაზეთები „საქართველო", „ჩვენი რესპუბლიკა", „ვოზროჟდენიე" და სხვა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოსთა ლანძღვაში და მათ წინააღმდეგ ყოველგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელებაში. მენშევიკების გაზეთები „ერთობა", „ბორბა" თავიდან ცდილობდნენ შედარებით ობიექტური ყოფილიყვნენ ცხინვალის ამბებთან დაკავშირებით ოსთა პოზიციების შეფასებაში, მაგრამ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ოსთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შედეგად, ისინი სულ უფრო და უფრო მტრულ პოზიციებზე დგებოდნენ მათ მიმართ.

1918 წ. მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში ჯავაში ჩატარდა ოსთა ყრილობა. მას დაესწრნენ მენშევიკების წარმომადგენლები ის. რამიშვილი, ჩხეიძე, სიხარულიძე, ბოლშევიკებისაგან—ფ. მახარაძე. ყრილობის მიმდინარეობას წარმართავდნენ ბოლშევიკები. ისინი ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით ატარებდნენ ბოლშევიკურ ხაზს. ყრილობის განხილვის საგანი იყო მიმდინარე მომენტი, ოსების დამოუკიდებლობის საკითხი, საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის საკითხი. ოსეთის ეროვნული საბჭოს არჩევა და სხვ[38].

15—17 ივნისს სოფ. წუნარში ჩატარდა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა მეოთხე ყრილობა. მას ესწრებოდა საქართველოს ეროვნული კრების სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ფრაქციის

---

[37] Газ. «Борьба», 1918. 23-III, № 36; «ერთობა», 1918, 18/III. № 71.

[38] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть... стр. 39—42.

წარმომადგენელი ი. წერეთელი, რომლის შესახებ ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ 1918 წ. 17 ივნისს განაცხადა: „ჩვენი ამხანაგი ი. წერეთელი ცხინვალს წავიდა, რათა ოსეთი საქართველოს შეიროუერთოსო“[39].

მაგრამ ი. წერეთლის მისიას—მიეღწია ოსების მიერ საქართველოს მენშევიკური მთავრობის ცნობისათვის — შედეგი არ მოჰყოლია. მისი შეტანილი რეზოლუცია უარყოფილ იქნა.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მტრული კამპანია ოსების წინააღმდეგ. მენშევიკები თესავდნენ ნაციონალურ შუღლს ქართველებსა და ოსებს შორის. უფრო მტრული იყო ეროვნული დემოკრატების პოზიცია ოსებისადმი. ისინი აკრიტიკებდნენ მენშევიკებს იმაში, რომ საკმაო სიმკაცრით არ ახშობდნენ ოსთა რევოლუციურ გამოსვლებს. მათი გაზეთი „საქართველო“ წერდა, რომ გამდგარი ოსების მოსადრეკად, უეჭველია, უფრო შთამაგონებელი ძალაა საჭირო. ამიტომ შესაძლებელია, რომ ენაწყლიანი ლიდერის მაგიერ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ექვსი კვირის შემდეგ ცხინვალისაკენ ბ. ვ. ჯუღელი გაგზავნოს, რომელიც როგორც ცნობილია, თვით ყრილობებსა და პარლამენტის სხდომებს მაუზერის რევოლვერითა და სამხედრო ბინოკლით აღჭურვილი ესწრება“.

გაზეთი იმავე სტატიაში თავს ესხმის ოსთა სწრაფვას თვითგამორკვევისაკენ და აღნიშნავს, რომ „ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსობის საკითხი, პარლამენტში თუ ბრძოლის ველზე . . . ეს საკითხი საქართველოს შინაური საკითხია. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე. . . ჯავის ხეობის ოსებს აქვთ თავიანთი ენა, მაგრამ არა აქვთ ლიტერატურა და ეროვნული კულტურა. ამიტომ შეუძლებელია ოსურ კულტურულ ან ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი. მით უმეტეს შეუძლებელია, რომ ცალკე ოსური სახელმწიფო მოეწყოს, რომელიც ჯაველ და წენარელ ფანტაზიორების გეგმით საქართველოს უნდა შეუერთდეს ფედერაციულად. . . საკმაოა, რომ საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მართლაც „ღია დასტოვოს სამხრეთ ოსეთის საკითხი“, რომ ჯავის ხეობამ მწვავედ იგრძნოს მთელი უბედურება უპატრონოდ დარჩენილი პირველყოფილი თემისა. სხვა არა იყოს რა, ოსობა შიმშილით ამოწყდება საქართველოს საბაჟო საზღვარმა ცხინვალთან რომ გაიაროს“. გაზეთის სიტყვით, ჯაველი ბოლშევიკები და ესერები, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რუსეთის იმპერიალიზმის საქმეს აკეთებენ.

---

[39] Газ. «Борьба», 1918, 21/VI, № 98.

ღასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ „ეს ელემენტები ჩვენში სახელმწიფოს დამრღვევის როლს ასრულებენ და ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ, როგორც უდიდესი სახელმწიფო დამნაშავენი“[40].

როგორც ვხედავთ, ამ წერილში გაყალბებულია ოსი მშრომელების ბრძოლა სოციალური თავისუფლებისათვის, ეროვნული თვითგამორკვევისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. მათი სამართლიანი ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობითა და ქართველი მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერის პირობებში, საქართველოს ღალატად არის გამოცხადებული.

მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ცილისწამება, რომ საქართველოში ოსთა მოძრაობას ქართველებისადმი მტრული ხასიათი ჰქონდა, გამოავლინეს დუშეთის და საჩხერის აჯანყებებმა. 1918 წლის 17 ივნისს დუშეთის მაზრაში დაიწყო გლეხთა აჯანყება. მაზრის ოსი მოსახლეობა მხარში ამოუდგა ქართველ გლეხებს. 19 ივნისს დუშეთი აიღეს, ხოლო 26 ივნისს დუშეთში გლეხთა ყრილობის მიერ არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა მაზრაში. მენშევიკური მთავრობის ჯარებმა სასტიკად ჩაახშეს აჯანყება. აჯანყების ბევრი მონაწილე ჩრდილო კავკასიაში გადავიდა.

ამავე დროს დაიწყო საჩხერის გლეხთა აჯანყება. მიზეზი აჯანყებისა იყო მენშევიკური გვარდიის ცდა—ვანეიარაღებინა ქართველი გლეხობა. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეზობელი ოსური სოფლების გლეხებმა. აჯანყება პირველად არგვეთის, ჩიხის და სავანის გლეხებს დაუწყიათ. მათ საჩხერე აიღეს 28 ივნისს და იქ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შექმნეს, რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება. კომიტეტმა დაადგინა მიწის დაუყოვნებლივ გადაცემა გლეხებისათვის. მთავრობამ რეგულარული ჯარის ნაწილები გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად. 29 ივნისს საჩხერე აიღეს მთავრობის საკავალერიო ჯარებმა არტილერიის დახმარებით. სამხედრო მინისტრისადმი გამოგზავნილი დეპეშის მიხედვით, მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა არ მოინდომა იარაღის დაყრა და „მთებში გაიხიზნა ოსებთან შესაერთებლად, რათა ჩვენთვის გზა მოეჭრათ[41]“.

საქართველოს ეროვნულ კრებაზე, საჩხერის აჯანყების გამო გამართულ კამათში, გამოვიდა ივ. გომართელი (ალიონის წევრი). მან გაილაშქრა ვეშაპელის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ საჩხერისა და მის

---

[40] „საქართველო“, 1918, 23/VI, № 124.

[41] „საქართველო“, 1918, 7 ივლისი, № 132.

ახლომახლო სოფლების გლეხების გამოსვლა რომ დამარცხდა, ბოლშევიკების წარმომადგენლები მივიდნენ ოსეთის სოფლებში და დახმარება ეთხოვეს მათ. ოსებმა უპასუხეს, რომ, თუ ეს თხოვნა ქართველი ხალხის სურვილია, მანდატები წარმოადგინეთო. წარმომადგენლები უკან დაბრუნდნენ, მანდატები მოიტანეს და დახმარებაც მიიღეს[42].

აჯანყებულთა დასახმარებლად გამოვიდა კუდაროს, ყემულთის, წონისა და სხვა საზოგადოებების ოსი მოსახლეობა. 1918 წ. 8 ივლისს სოფ. დარკავში შეიქმნა შტაბი, რომელმაც გადაწყვიტა საჩხერეზე მეორე იერიშის მიტანა. საჩხერის მისადგომებთან გაიმართა სასტიკი ბრძოლა მენშევიკურ გვარდიასა და აჯანყებულ გლეხებს შორის. აჯანყებულებს ამ ბრძოლაში ხელმძღვანელობდა მამაცი ოსი ბოლშევიკი, მგზნებარე რევოლუციონერი ისაკ ხარებოვი. იგი აჯანყებულებთან მივიდა ოქონისა და ყორნისის რაზმით. აჯანყებულებმა 18 ივნისს მძლავრი დარტყმა მიაყენეს მენშევიკების ჯარებს. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ი. ხარებოვი[43]. საჩხერის აჯანყებაში აქტიურ როლს ასრულებდა სტუდენტი ალ. ჯატიევი.

საჩხერის აჯანყებაში ოსთა აქტიურმა მონაწილეობამ გააცოფა საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ოსების მიმართ მტრულ კამპანიას ეწეოდნენ. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულმა დემოკრატმა გრ. ვეშაპელმა შეიტანა შეკითხვა საჩხერის ამბების გამო, რომლის ირგვლივ გაიმართა ცხარე კამათი და გამოააშკარავა თითოეული პარტიის ნამდვილი ბუნება. გრ. ვეშაპელმა სასტიკად გაილაშქრა ამ რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ და იგი ოსთა ეროვნულ აჯანყებად მონათლა, ოსთა ბრძოლად საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ოსებმა ჩააგონეს საჩხერის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს, წერდა იგი, რომ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. რათა უფრო მეტი სიძულვილი გამოეწვია ოსებისადმი, იგი ამბობდა, რომ საქართველოში ოსები ცდილობენ თავის მიწა წყლის გაფართოებას ქართველ გლეხთა მიწების მიტაცების გზით. ქართველებმა რომ ოსებს ნამდვილი გულის ნადები გაუგონ, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგებიან, და საშინელი ბრძოლით კალაპოტში ჩააყენებენ შარაგზაზე საყაჩაღოდ გამოსულ ოსებს"—იმეორებდა იგი საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „სახალხო საქმეში" დაბეჭდილ ამ სიტყვებს და უსაზღვრო კმაყოფილებას გრძნობდა მისი პოზიციის მიმართ, რომელიც ოსთა რევოლუციურ

---

[42] „საქართველოს რესპუბლიკა", 1918, 1 სექტ. № 31.

[43] И. Никонов, Крестьянские восстания в Юго-Осетии в 1917—1920 гг., Сталинири, 1956, стр. 44.

ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ყაჩაღობად, ძარცვა-გლეჯად, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლად ასაღებდა[44].

გრ. ვეშაპელის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას შინაგან საქმეთა მინისტრი, პირწავარდნილი მენშევიკი ნ. რამიშვილი იძულებული იყო აღენიშნა შეკითხვის მიზანი. ის მიმართულია ზოგ ეროვნებათა წინააღმდეგ. „რომ ერთი თვალი გადავავლოთ ამ მოძრაობას... თქვენ დარწმუნდებით რომ.... ეს იყო მოძრაობა არა ეროვნული, არამედ სოციალური. ამ მოძრაობის უმთავრესი ხელმძღვანელები იყვნენ ბოლშევიკები". გრ. ვეშაპელის პასუხად, რომელიც ამტკიცებდა, რომ საჩხერის აჯანყება ოსებმა დაიწყეს, ნ. რამიშვილმა განაცხადა, რომ ოსები თავიდან არ მონაწილეობდნენ მასში, რომ ეს აჯანყება ქართველმა გლეხებმა წამოიწყეს, რომ „ეს მოძრაობა ადგილობრივ გლეხთა მოძრაობა იყო". მანვე გამოამჟღავნა მენშევიკური მთავრობისადმი ოპოზიციური პარტიების ნამდვილი არსი, როცა განაცხადა, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში მოხდა ასეთი გამოსვლები — რაჭა-ლეჩხუმში, გორის მაზრაში, დუშეთში, თიანეთში. მაგრამ მათზე სიტყვას არ სძრავდნენ, ნამდვილად კი ყველა ესენი აღმოცენებულია აგრარული საკითხით გლეხთა უკმაყოფილების ნიადაგზე[45].

ვეშაპელისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ გამოვიდა ეროვნული კრების დეპუტატი ალ. ლომთათიძე (სოციალ-დემოკრატი), მან უსაყვედურა ვეშაპელს მთელი ერის წინააღმდეგ გამოსვლა. შენ გინდა 20 ათასი ქართველით ააშენო სახელმწიფო. რატომ ეხები მხოლოდ საჩხერისა და დუშეთის ამბებს და არ შეეხე გორის, თელავის, ზუგდიდის, სენაკის სისხლისღვრასო. ცხინვალის ამბები უფრო ადრე მოხდა, მაგრამ მას იმიტომ არ ახსენებ, რომ მასში ტყვიავის, ტირძნისის, ნიქოზის და მახლობელი სოფლების ქართველები მონაწილეობდნენო. როდესაც მან განაცხადა, რომ ჩვენ ოსებიც ისევე უნდა დავაკმაყოფილოთ, როგორც ქართველი გლეხები, მას შესძახეს, რომ ეს ოსური რესპუბლიკა იქნებაო[46].

საქართველოს ეროვნულ კრებაში ოსთა რევოლუციური გამოსვლების საკითხზე კამათის მასალების ასე ვრცლად მოტანა ნათლად ააშკარავებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დამოკიდებულებას ოსებისადმი. აქედან აშკარაა, რომ თუ მენშევიკების პარტია, როგორც მმართველი პარტია ოსების საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თვითგამორკვევისათვის ბრძოლის მიმართ თავის პოლიტიკას (დათრგუ-

---

[44] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" (მენშ. მთავრობის ორგანო), 1918, 26/VII, № 2; 28/VII, № 4; 25/VIII, № 25.

[45] ი ; ვ ე, 1918, 24/VIII, № 24; 25/VIII, № 25.

[46] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918, 29/VIII, № 28.

ნვის პოლიტიკას) დემაგოგიური ლოზუნგებით ნიღბავდა, სხვა პარტიები პირდაპირ აქეზებდნენ ქართველ ხალხს ოსების საქართველოს რესპუბლიკიდან გაძევებით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოთ მათი მოძრაობისათვის.

საქართველოს ეროვნულ კრებაში როცა ასეთი ცხარე კამათი მიმდინარეობდა ოსების საკითხზე, ხოლო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების პრესა ათასგვარ ჭორებს ავრცელებდა ოსთა მოძრაობის შესახებ, მენშევიკური მთავრობა დროს არ კარგავდა და თავის კომისრებისა და გვარდიელების მეშვეობით ცდილობდა ოსთა მორჩილებაში მოყვანას. მაგრამ მთიანი ოსეთი არ სცნობდა თავის დამოკიდებულებას მენშევიკურ მთავრობისადმი და განაგრძობდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. გორის სამაზრო კომისარი ქარციევაძე 1918 წ. ნოემბერში მოახსენებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მთიან ოსეთში ხელისუფლება პარალიზებულია, რომ ჯარისკაცებსა და გადასახადებს არ იძლევიან. ეს იმიტომ ხდება, რომ დღემდე მოსახლეობის განიარაღება არ მოხერხდაო[47].

სამხრეთ ოსეთის მშრომელი მოსახლეობის რევოლუციური ბრძოლა მიმდინარეობდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. 1918 წ. 30 ივლისს ჯავაში მოწვეულ იქნა სამხრეთ ოსეთის კომუნისტების კრება, რომელზეც შეიქმნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საორგანიზაციო ბიურო. ამ უკანასკნელმა დიდი მუშაობა გასწია ადგილებზე პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების შესაქმნელად,—მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის. ბიუროს მუშაობა დაგვირგვინდა 1919 წ. 12 ივლისს ჯავაში რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის არალეგალური კომიტეტის შექმნით, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას[48].

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1919 წ. სექტემბრის პლენუმზე მიიღო დადგენილება ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავზე საქართველოში საყოველთაო აჯანყება მოეწყოთ. დაიწყო მზადება. მენშევიკებისა და ინგლისის დაზვერვამ გაიგო ეს და აჯანყების წინა დღეს სამხედრო — რევოლუციური შტაბი დააპატიმრეს. აჯანყება ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. დადგენილება გამოსვლის შესახებ გაუქმდა, მაგრამ ამის შესახებ ცნობამ ადგილებამდე დროზე ვერ მიაღწია და მთელ რიგ ადგილებში აჯანყება დაიწყო.

დიდი ლიახვის სათავეში, როკაში, 1919 წ. 23 ოქტომბერს დაიწყო აჯანყება. ადგილზე მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემდეგ

---

[47] გაზ. „Борьба“,1918, 21/XI, № 224.

[48] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть, стр. 5.

ისინი დაიძრნენ ვანელისა და ჯავისაკენ. ამ დროს მიიღეს ცნობა თბილისში აჯანყების გადადების შესახებ და უკან დაბრუნდნენ.

სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1919 წ. 7—14 ნოემბერს ხაშურის რაიონში გამართულ აჯანყებაში. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების შოვინისტური პროპაგანდის მიუხედავად, აქ ქართველი და ოსი მშრომელები კვლავ ერთად გამოვიდნენ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებულთა რაზმის უფროსი იყო ტატე ბუცხრიკიძე, შტაბის უფროსი კი ზნაურ აიდაროვი. აჯანყებულებმა დაიკავეს სოფელი ხცისი, გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება და აირჩიეს გლეხთა დეპუტატების საბჭო ზნაურ აიდაროვის მეთაურობით. ზნაურ აიდაროვის რაზმის წინააღმდეგ მენშევიკებმა გაგზავნეს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა — ქვეითი და ცხენოსანი რაზმი არტილერიით. იგი ტყვედ ჩავარდა და მოჰკლეს[49]. მისი შეპყრობა მენშევიკურ გაზეთ „ერთობაში“ დიდი ამბით გამოცხადდა[50].

მენშევიკურმა მთავრობამ ჯარი გაგზავნა სამხრეთ ოსეთში. ჯარმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა ჯავის რაიონი. აჯანყებულები და სამხრეთ ოსეთის პარტორგანიზაციის აქტივი ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ და ძალების მოკრეფას შეუდგნენ. ჩრდილო ოსეთში დაიწყო ფორმირება პარტიზანული რაზმისა იმ პირთაგან, ვინც დაიხია სამხრეთ ოსეთიდან. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1920 წ. 23 მარტს გამოიტანა დადგენილება შეექმნა რევკომი სამხრეთ ოსეთში და შეიარაღებული აჯანყების მზადება დაიწყო.

1920 წ. აპრილში როკის ხეობაში დაიწყო წითელი პარტიზანების გამოსვლები. მაისის დასაწყისში როკაში, აჯანყებულთა შტაბში მოვიდნენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლები გ. დევდარიანი და გ. მოწონელიძე, რომლებმაც სამხრეთ ოსეთის რევკომთან ერთად, გადაწყვიტეს როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება.

ვლადიკავკაზში შექმნილი სამხრეთ ოსეთის ბრიგადა გამოვიდა აჯანყებულთა დასახმარებლად. ჯავის რაიონში მენშევიკური ჯარების დამარცხების შემდეგ მთელი სამხრეთ ოსეთი და ცხინვალი გაწმენდილ იქნა მენშევიკების ჯარისაგან. 8 ივნისს ცხინვალში გამართულ მიტინგზე გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება[51].

სამხრეთ ოსეთში გაიგზავნა ცხენოსანი პოლკი, მენშევიკური გვარდიის რვა ბატალიონი, 2 სამთო ბატარეა, თვითმფრინავები. აჯა-

---

[49] Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть.... стр. 6.

[50] გაზ. „ერთობა“, 1919, 16/XI № 282.

[51] И. Никонов, Крестьянское движение в Юго-Осетии..., стр. 53.

ნყების ჩაქრობა დაევალა ქართველი და ოსი ხალხების ჯალათს, მენშევიკური გვარდიის შტაბის უფროსს ვ. ჯუღელს. მთავრობამ აჯანყებული ოსი გლეხობა ქართველი ხალხისა და დემოკრატიის მტრებად, მძარცველებად, ველურებად გამოაცხადა და მოუწოდა თავის ჯარს მიწისაგან პირისა აღეგავა ოსეთი, თითქოს და, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

მენშევიკურმა და ოპოზიციურმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პრესამ აღვირახსნილი შოვინისტური კამპანია გააჩაღა ოსთა წინააღმდეგ. თავისუფლებისა და ეროვნული თვითგამორკვევისათვის მებრძოლ ოსეთს ისინი „ვანდეას“, ხოლო რევოლუციურ ოსებს ბრბოებს უწოდებდნენ, რომელთა მიზანი თითქოს ქართველ მოქალაქეთა სარჩო-საბადებლის, ქართველი გლეხების მიწების მიტაცება იყო. მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ოსეთის აჯანყებამ არ წამოაყენა არც ერთი ლოზუნგი ეროვნული და სოციალური ხასიათისა, ისინი უცხო და მათთვის გაუგებარი ლოზუნგებისათვის იბრძვიან და საქართველოს დემოკრატია ვალდებულია ჩაახშოს ეს მოძრაობა იარაღით[52].

საქართველოს ბოლშევიკებმა გადაჭრით დაჰგმეს მენშევიკების პოლიტიკა ოსებისადმი. გაზ. „კომუნისტმა“ 1920 წ. 13 ივნისის ნომერში დაბეჭდა მოწინავე „ყველას გასაგონად“, სადაც ანალიზი გაუკეთა ოსეთის აჯანყებას და აღნიშნა, რომ საქართველოს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები არა თუ საქმით, სიტყვითაც კი წინააღმდეგი არიან ხალხების თვითგამორკვევისა და მათ იარაღით უნდათ სამხრეთ ოსეთის აჯანყების ჩახშობა. კომუნისტები აღიარებენ ყველა ხალხის უფლებას ეროვნულ თვითგამორკვევაზე ცალკე, სახელმწიფოდ გამოყოფამდე და ამ უფლების წართმევა არც სამხრეთ ოსეთისათვის შეიძლება.

მაგრამ — განაგრძობს „კომუნისტი“,—არის კიდევ მესამე შეხედულება სამხრეთ ოსეთის აჯანყებაზე. ეს არის მენშევიკების დამოკიდებულება მისდამი. ეს პარტია სიტყვით სცნობს ერების თვითგამორკვევას, საქმით კი ძალით ახშობს ოსთა ეროვნულ გამოსვლებს. ამას ისინი სხვადასხვა არგუმენტებით ასაბუთებენ, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ.

---

[52] მენშევიკების ლიდერის აღნიშნული განცხადების სიყალბე აშკარაა. სამხრეთ ოსეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ჰქონდა მკვეთრად გამოხატული ეროვნული და სოციალური ხასიათი. ეროვნული თვითგამორკვევისათვის სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლის სურათი კარგადაა გაშუქებული უ. ბ ა ხ ტ ა ძ ი ს მონოგრაფიაში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა“, თბილისი, 1968, გვ. 29—71.

მოძმე ხალხების ძმური სოლიდარობის სახელით „კომუნისტი“ მოითხოვდა, რომ ოსების მიმართ არ იქნეს გამოყენებული ძალადობა, არ დაიღვაროს ქართველი და ოსი მშრომელების სისხლი. თუ არსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, თუ მენშევიკებმა ის არ გადაშალეს თავის პროგრამიდან, მაშინ მათ არა აქვთ საფუძველი გაამართლონ თავის ძალადობა ოსთა მიმართ. ამას მოითხოვს არამარტო სოციალიზმის, არამედ უბრალო დემოკრატიზმის პრინციპი... საქართველოს ინტერესები მოითხოვენ, რომ იგი მეგობრულ ურთიერთობაში იყოს ოსებთან, ეს კი მაშინ იქნება, თუ ოსთა თვითგამორკვევას იცნობენ. თუ ეს არ მოხდა, თუ ოსეთის აჯანყებას უხეში ძალით ჩააქრობენ, მაშინ ძმებს შორის დაღვრილ სისხლზე პასუხისმგებლობა თავს დაატყდება მენშევიკურ პარტიას და სხვას არავის[53].

მენშევიკებმა არა თუ ყურად იღეს ბოლშევიკების ეს სამართლიანი და გონივრული რჩევა, არამედ სასტიკად გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ. გაზეთს ბრალად დასდეს ის, რომ მან მოინდომა „ოსეთში მოთარეშე ბრბოების“ გამოყენება რესპუბლიკის დასამხობად და მოითხოვა „ოსეთის ბრბოების თვითგამორკვევა“. გავლენიანი კომუნისტები ამასვე მოითხოვენ აჭარისა და აფხაზეთისათვის. მათი გეგმის გამოცხადება მოასწავებს საქართველოსაგან განაპირა კუთხეების ჩამოცილებას, რაც რესპუბლიკისთვის საბედისწერო იქნებაო. ამიტომ დახურეს გაზეთი[54], ხოლო აჯანყებულ ოსეთს მიუსიეს ვ. ჯუღელის ბანდები, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით გაიარეს მთელი სამხრეთ ოსეთი, ყველგან სიკვდილი, ნგრევა და ცეცხლი შეიტანეს.

მენშევიკები უარყოფდნენ ეროვნული თვითგამორკვევის უფლებას არაქართველთათვის და აშკარად იდგნენ ეროვნულ უმცირესობათა შევიწროების შოვინისტურ პოზიციებზე. მენშევიკი ჩხენკელი პარტიულ ყრილობაზე ამბობდა: „ჩვენს ტერიტორიაზე მრავალი ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობენ... ისინი დღეს არიან პოლიტიკური ორგანიზაცია, მაშინ როდესაც ჩვენ უნდა ვაქციოთ ისინი კულტურულ ორგანიზაციად“[55].

მენშევიკური პრესა არ მალავდა, რომ ის მზად იყო მსხვერპლად შეეტანა თავის კოტრრევოლუციური ინტერესებისათვის ეროვნული უმცირესობანი. ამას ის ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლით ნიღაბავდა, იმ ხალხისა, რომელიც აღნიშნული პარტიის ბატონობის მთელ პერიოდში მას ებრძოდა. მენშევიკური გაზეთი — „ერ-

---

[53] კომუნისტი, 1920, 13 ივნისი, № 10.

[54] საქართველოს რესპუბლიკა, 1920, 16 ივნისი, № 132.

[55] გაზ. „ერთობა“, 1920, 24 ივნისი; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში, თბილისი, 1967, გვ. 305.

თობა“ ურცხვად წერდა: „ქართული სახელმწიფო უნდა იქნეს მოწყობილი უმრავლესობის სურვილის მიხედვით, ამიტომ არაქართველი ხალხების ინტერესები უნდა შეეწიროს მსხვერპლად ქართველი ხალხის თვითგამორკვევას“[56].

სამხრეთ ოსეთში მენშევიკური მთავრობის კონტრევოლუციური პოლიტიკა საფუძვლიანად იქნა მხილებული სამხრეთ ოსეთის მშრომელთა მიერ საბჭოთა რუსეთისა და კავკასიის ხელმძღვანელი პარტიული, რევოლუციური და სამეურნეო ორგანოებისადმი გაგზავნილ მემორანდუმში 1920 წ. 28 მაისს. მასში აღნიშნული იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის დღიდან ისინი განიცდიდნენ ორი მძინვარე კონტრევოლუციური ძალის — ჩრდილოეთიდან დენიკინის, სამხრეთიდან — ქართველი სოციალ-მოღალატეების დაწოლას, მათ მიერ ბლოკადაში იმყოფებოდნენ და არ შეეძლოთ მსოფლიოს მშრომელებისათვის ეცნოთ ის საშინელებანი, რასაც მათში ჟორდანიასა და კ. „დემოკრატიული“ მთავრობა ეწეოდა.

სამხრეთ ოსებმა არ იცნეს საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილება. ამან გამოიწვია მენშევიკური მთავრობის სასტიკი რეპრესიები. მათ გამოგზავნეს ე. წ. „სახალხო გვარდია“, რომელიც შედგებოდა მსხვილი და წვრილი ექსპლოატატორებისაგან, მედუქნეების, სისხლის სამართლის დამნაშავეების, შულერების, გიმნაზისტებისა და სხვათაგან, თავად მაჩაბლის, ქართველი პურიშკევიჩის — ვეშაპელის და არქიბანდიტ ჯუღელის მეთაურობით. მათი გამოჩენა ყველგან დაკავშირებული იყო ძარცვა-რბევასთან, განადგურებასა და სიკვდილთან. ხალხის აღშფოთებას არ ჰქონდა საზღვარი — აჯანყდნენ არამარტო ოსები, არამედ ქართველებიც — ცხინვალში, დუშეთში, საჩხერეში.

ეს იყო დასაწყისი კლასობრივი, პარტიული ბრძოლისა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლისა ამიერკავკასიასა და სამხრეთ ოსეთში. მენშევიკები ამ ბრძოლაში არ ერიდებოდნენ მოტყუებას, პროვოკაციებს, მოსყიდვის, ცილისწამებას. მათმა წარგზავნილმა ირაკლი წერეთელმა ვერ შეესძლო ოსთა შემორიგება მენშევიკურ მთავრობასთან. ხალხის მასებზე ვერც მათი აგენტების მიერ მოწვეული „ყრილობის“ გადაწყვეტილებებმა იქონიეს გავლენა სამხრეთ ოსეთის საქართველოსთან შეერთების საკითხზე.

მაშინ, ქართულმა ნაციონალისტურმა პრესამ ცხინვალის, საჩხერისა და დუშეთის აჯანყებები მონათლა ოსთა ნაციონალისტურ გამოსვლებად და საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხელყოფად, მშრომელი ხალხების ერთმანეთზე წასაკიდებლად.

---

[56] გაზ. „ერთობა“, 1920, 30 ივნისი.

მემორანდუმი ამხელს მენშევიკური მთავრობისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მტკიცებას, თითქოს ეს იყო ოსთა აჯანყება ქართველთა წინააღმდეგ. მთელ ამ ამბებში არ იყო არც „ოსი“, არც „ქართველი“. აქ იყო მხოლოდ რევოლუციური აჯანყებულები — ბოლშევიკები და რევოლუციის მოღალატე მენშევიკები. ორივე ბანაკში იყო ქართველიც და ოსიც. ეს იყო კლასობრივ-პარტიული ბრძოლა, რომელსაც ჟორდანიას მთავრობა რევოლუციურიდან ნაციონალისტურ კალაპოტში გადაგდებას უპირებს. მაგრამ მისი ეს ცდები ქართველი და ოსი მასების მტკიცე წინააღმდეგობებზე იმსხვრევა. არავის არ შეუძლია მოიტანოს ქართველ-ოსთა ნაციონალისტური შეჯახების არც ერთი ფაქტი, მაშინ, როდესაც მეზობელ თერგის ოლქში ნაციონალურმა შეჯახებებმა ეპიდემიური ხასიათი მიიღეს. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს მშრომელმა გლეხობამ და მუშებმა, რომელთა მშვიდობიანი და მეგობრული ცხოვრებით შეგვიძლია ვიამაყოთ, კარგად იციან ვინაა მათი საერთო მტერი და მალე მოუღებენ მას ბოლოს.

მემორანდუმში ნაჩვენებია ის მეთოდური სისასტიკე, რასაც ოსების მიმართ მრავალად მოწყობილი დამსჯელი ექსპედიციები მიმართავდნენ.

ამ სისასტიკეს შედეგად სდევდა მასების რევოლუციური სულისკვეთების განმტკიცება. მენშევიკების მიერ სისხლისაგან დაცლილი სამხრეთ ოსეთის მშრომელები ზავის წარმომადგენელთა პირით რუსეთისა და კავკასიის კომუნისტებს, წითელ არმიას სთხოვდნენ დახმარებას მენშევიკური მთავრობის დასამხობად[57].

მენშევიკურმა მთავრობამ სცადა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო ოსთა რევოლუციური გამოსვლებისათვის. ვ. ჯუღელის სარდლობით მენშევიკურმა ჯარებმა გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინეს ოსთა მიმართ. ისინი ანგრევდნენ და სწვავდნენ ოსურ სოფლებს. ჰკლავდნენ და ძარცვავდნენ. ჯუღელის დღიური, რომელიც 1920 წლის ბოლოს წიგნად გამოვიდა, გაჟღენთილია სისხლითა და ნატისუსალით. მასში იგი დაუფარავად და ღრმა კმაყოფილებით აგვიწერს ოსთა საცხოვრებლების ნგრევა-დაწვას, მთელი მხარის უწყალო განადგურებას[58].

მენშევიკური მთავრობის რეპრესიებისაგან გაქცეული ოსური მოსახლეობა როკის, სბის, კუთიხის, ზეკარის უღელტეხილებით გადა-

---

[57] Борьба трудящихся Юго-Осетии за установл. Советской власти..., стр. 88—98.

[58] В. Джугели, Тяжелый крест. Тифлис, 1920, стр. 220—240.

ვდა ჩრდილო ოსეთში. ასე რომ მენშევიკების ჯარები ცარიელი სოფლები ხვდებოდათ. და ადვილად „ახერხებდნენ“ მათ გადაწვას.

აუწერელი იყო ის ზიანი და განადგურება, რაც ოსებმა განიცადეს აღნიშნული ექსპედიციის შედეგად. უამრავი ხალხი დაიღუპა, ქონება, სარჩო-საბადებელი, საცხოვრებელი, პირუტყვი დაკარგეს. ჩრდილო ოსეთში გადასულ 20 ათასამდე ოსს მძიმე პირობები დახვდა, გავრცელდა ეპიდემია. ჩრდილო კავკასიელმა ბოლშევიკებმა, საბჭოთა რუსეთმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ოს ლტოლვილებს[59].

მენშევიკური მთავრობა არ დასჯერდა სამხრეთ ოსეთის განადგურებას. მან გადაწყვიტა საქართველოს რუკიდან ამოეშალა საერთოდ ოსეთის სახელი. შემუშავდა გეგმა, რის მიხედვითაც დარჩენილი მოსახლეობაც უნდა გადაესახლებინათ ბორჩალოსა და ყარაიაში, ხოლო მათ ადგილზე ქართველები დაესახლებინათ[60].

მენშევიკების მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა სამხრეთ ოსეთიდან ოსთა გასახლების ორგანიზაციისათვის მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელ ვ. რცხილაძის ხელმძღვანელობით. კომისიაში შედიოდნენ მთავრობის წარმომადგენელი — დამფუძნებელი კრების წევრი ვ. ჟღენტი, გენერალი კონიაშვილი, ა. ხუბუტია. ოქუაშვილი, გოგინაშვილი და სხვა. მენშევიკების ოფიციოზი „ერთობა“ აღნიშნავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკა ასახლებს ოსებს იქ. სადაც მიისწრაფოდნენ — „სოციალისტურ სამოთხეში“.

დაიწყო დუშეთის მაზრიდან ჯავასა და მის მიდამოებში მთიულ-მოხევე-ეუდამაკრელთა გადასახლება. ამათ გარდა, აქვე ასახლებდნენ რაჭა-ლეჩხუმელებს, იმერლებს, გურულებს, ქართლელებს. 1921 წლის დასაწყისისათვის ფრონის ხეობის სათავეებში—მალდაში, ყორნისში, წუნარსა და რუსთავში 200, ხოლო ჯავის ხეობაში 104 კომლი დაასახლეს[61].

ქართული ნაციონალისტური პრესა რეკლამას უკეთებდა ამ საზარელ ბოროტმოქმედებას, მას ისტორიული სიმართლის აღდგენას, ამ ადგილებში კანონიერი მემკვიდრის დაფუძნებას, მათი ახალი ისტორიის დაწყებას უწოდებდნენ[62].

ქართველი ბოლშევიკები აღშფოთებული იყვნენ მენშევიკების კაცმოძულე პოლიტიკით ოსებისადმი. ფ. მახარაძე აღნიშნავდა,

---

[59] Борьба трудящихся Юго-Осетии..., стр. 236—138, 170, 180; И. Никонов, указ. работа стр. 68—69.

[60] იქვე, გვ. 116—119, 140—142, 165.

[61] გაზ. „საქართველო“, 1920, 20 ოქტომბერი, № 109; 1921, 7 იანვარი. № 5; 11 იანვარი, № 6; 3 თებერვალი, № 25.

[62] იქვე.

რომ პატარა ოსეთი უშუალოდ შეეჯახა მენშევიკების დიდმპყრობელურ მისწრაფებებს. როცა მენშევიკებმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, ოსებმა გადაწყვიტეს შეენარჩუნებინათ თავის ავტონომია, რომლითაც რევოლუციის დღიდან ისინი ფაქტიურად სარგებლობდნენ. ოსები საბჭოთა ორიენტაციაზე იდგნენ. ამიტომ მენშევიკებს გაგონებაც არ სურდათ ოსთა ავტონომიისა. ისინი უნდა შესულიყვნენ ქართულ სახელმწიფოში, უარი ეთქვათ თავისი ენის გამოყენებაზე სასკოლო საქმეში და საქმის წარმოებაში. როცა დარწმუნების მეთოდები არ გაუვიდათ, დაიწყეს უსასტიკესი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ოსებთან სისხლიანი ანგარიშსწორება თითქოს დამთავრდა. ამისათვის მათ უაღრესად ცინიკურად გამოიყენეს 1920 წ. ივნისის აჯანყება ჯავის ხეობაში. გამხეცებული „სახალხო გვარდიელები“ ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის დირექტიბით ისეთ საშინელებებს ჩადიოდნენ, რომლის მსგავსი ისტორიამ ცოტა იცის. მოსახლეობას განურჩევლად ხვრეტდნენ, ქონებას იტაცებდნენ. ვისაც შეეძლო გარბოდა, ვისაც არა— ასახლებდნენ სამხრეთ ოსეთიდან. ეს სასჯელი არა მარტო ჯავის ხეობას დაატყდა, არამედ საქართველოში მცხოვრებ მთელ ოს მოსახლეობას. საერთოდ, მთელი ოსები გამოცხადებული არიან კანონგარეშე, მიჩნეული არიან საქართველოს მტრებად და მათ მიმართ ეწევიან ყოველგვარ ძალადობას, მშობლიური ადგილებიდან ძალად გადასახლებამდე. ოს ხალხთან ბრძოლის ისტორია საქართველოს მენშევიკური მთავრობის ისტორიის ერთ-ერთი ჰამარცხვინო ფურცელია. ყოველივე ამის შემდგომ გასაკვირი არაა, რომ საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ ოსი ხალხის სახით, ასაკისა და სქესის განურჩევლად, მოსისხლე მტერი შეიძინა[63].

მაგრამ მენშევიკური მთავრობა უძლური იყო უკუღმა დაეტრიალებინა ისტორიის ჩარხი. 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელებმა დაამხეს მათთვის საძულველი მენშევიკური დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ამ ბრძოლაში ოსები კვლავ მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ჩრდილო ოსეთში, რომელშიც ამ დროს უკვე კარგახანია საბჭოთა ხელისუფლება იყო, სამხრეთ ოსეთიდან გადმოსულ ლტოლვილთა ბაზაზე შექმნილმა სამხედრო რაზმმა, აგრეთვე დიგორიის რევოლუციურმა რაზმმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სხვა ადგილებიდან მენშე-

---

[63] Ф. Махарадзе. Диктатура меньшевистской партии в Грузии, Москва, 1921, стр. 70.

ვიკების განდევნასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. 1921 წ. 5 მარტს ცხინვალი დაკავებული იქნა რევოლუციონერების მიერ.

სამწლიანი ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ დამთავრდა მშრომელთა გამარჯვებით. ბოლო მოეღო მუდმივ ტერორსა და ძალადობას სამხრეთ ოსთა მიმართ. ამიერიდან ქართველი და ოსი მშრომელების ძმურ ურთიერთობას აღარ მოშხამავდა მენშევიკური და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების ნაციონალისტური შხამი. სამხრეთ ოსეთის ღარიბობამ 1921 წ. 8 ივლისს, 1920წ. 8 ივნისის აჯანყების წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს რევკომისადმი მისალმებაში განაცხადა, რომ თავის ნაწამები და გარუჯული სამშობლოს ნანერევებზე ფიცს დებს საქართველოს მუშებსა და გლეხებთან კავშირში იდგეს რევოლუციის სადარაჯოზე[64].

მაგრამ ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა არა მარტო სამხრეთ ოსეთში ვლინდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა დიდად „ილვაწეს“ ოსების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ასამხედრებლად, მათ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივად მიაღწიეს.

ქართველი ბოლშევიკები. ქართული პროგრესული საზოგადოება თანაგრძნობითა და გაგებით ეკიდებოდნენ ოსთა მოძრაობას ეროვნული თვითგამორკვევისათვის. უფრო მეტიც, ქართველი ბოლშევიკები ოსებში ხედავდნენ მენშევიკური ანტიხალხური მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ დამკვრელ ძალას და ცდილობდნენ ამ ბრძოლისათვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ.

ქართველი მენშევიკები სასტიკად სდევნიდნენ ქართველ ბოლშევიკებს. ეს უკანასკნელნი იძულებული ხდებოდნენ ჩრდილო კავკასიაში გადასულიყვნენ.

მრავალმა ქართველმა ბოლშევიკმა ღრმა კვალი გაავლო ჩრდილო კავკასიის ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ვლადიკავკაზში 1917 წლის მაისიდან აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ შამია და მარიამ ორახელაშვილები, ნ. ბუაჩიძე და სხვ. ნ. ბუაჩიძე თერგის ბოლშევიკთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. იგი იყო მონაწილე ვლადიკავკაზის გაერთიანებულ კომიტეტში ლენინის აპრილის თეზისებზე. თავის მოხსენებაში მან ღრმად გააშუქა რევო-

---

[64] Газ. «Правда Грузии».1921, 14 июня, № 84.

ლუციის განვითარების პერსპექტივები[65]. მას დიდი ამაგი მიუძღვის მასების ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმვის საქმეში.

1917 წ. სექტემბრის ბოლოს ვლადიკავკავის საბჭოში მოწყობილ არჩევნებში ბოლშევიკებმა დიდი გავლენა მოიპოვეს. საბჭოს აღმასკომში შევიდნენ ს. კიროვი, მ. ორახელაშვილი, გ. ცაგოლოვი, ს. ბუაჩიძე და სხვ. ვლადიკავკავის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ორახელაშვილი.

1917 წ. 2 ოქტომბერს თბილისში შედგა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა. ვლადიკავკავის წარმომადგენლად ყრილობას ესწრებოდა მ. ორახელაშვილი. იგი სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ ოსებს შორის პარტიულ მუშაობას ვეწევით და დიდი გავლენაც გვაქვსო[66].

ნ. ბუაჩიძე იყო ინიციატორი და ორგანიზატორი თერგის ოლქის საბჭოების ყრილობის მოწვევისა. ვლადიკავკავის საბჭომ 1917 წ. 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ ორგანოდ ვლადიკავკავის დეპუტატთა საბჭოს ცნობისა და რსფსრ სახკომსაბჭოს განკარგულებებისადმი დამორჩილების შესახებ.

„თერგ-დაღესტნის მთავრობის" (რომელიც შეიქმნა 1917 წ. 22 ნოემბერს თავად კაპლანოვის მეთაურობით) განკარგულებით სხდომათა დარბაზში შეიჭრა შეიარაღებული ოფიცერთა რაზმი, რომელმაც დააპატიმრა პრეზიდიუმის წევრები — ნ. ბუაჩიძე, მ. ორახელაშვილი და სხვ. მათ აშკარა დაღუპვა ელოდათ. მაგრამ ქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და პარტია „კერმენის" ცენტრალური კომიტეტის მოწოდებით კერმენისტების რაზმმა ამურხან კალოევის, გინო ბარაკოვისა და დანიელ თოგოევის (თვალსაჩინო რევოლუციური მოღვაწეები ჩრდილო ოსეთში) უშუალო მონაწილეობით ისინი გაანთავისუფლა[67].

ჩრდილო კავკასიაში უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდათ ბოლშევიკებს მუშაობა. ეროვნული სიჭრელე სოციალურ სიჭრელესთან ერთად, ფართო გასაქანს იძლეოდა ყოველგვარი ნაციონალისტური და კონტრევოლუციური ავანტიურებისათვის. კონტრრევოლუციას

---

[65] История Северо-Осетинской АССР, Советский период, Орджоникидзе, 1966, стр. 15—16. ვლადიკავკავში ნ. ბუაჩიძის მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით იხ. И. Дубинский-Мухадзе, Товарищ Ной, Тб., 1965; И. Н. Никонов, В. С. Гальцев, Ной Буачидзе, Г. Орджоникидзе, 1957. მამია ორახ ლაშვილის რევოლუციური მოღვაწეობა გაშუქებულია კვაჭაძის ნარკვევში—მამია ორახელაშვილი, თბ., 1965.

[66] История СО АССР, გვ. 27—28.

[67] История СО АССР, стр. 33—34.

კანასასიერებდა კაზაკობის პრივილეგირებული ზედაფენა, ადგილობრივი ხალხების სოციალური ზედაფენები, წვრილი ბურჟუაზია, სამღვდელოება და მოლები. ასეთ პირობებში ბოლშევიკები უპირველეს ამოცანად ისახავდნენ არ დაეშვათ ეროვნებათა შორის წინააღმდეგობათა ომში გადასვლა. თეთრკაზაკობა დაჟინებით მიისწრაფვოდა ჩეჩნებისა და ინგუშების განადგურებისაკენ (კაზაკები მათ მიწებზე სახლობდნენ და ეს ჩეჩენ-ინგუშთა წინააღმდეგობას იწვევდა).

1918 წ. 25 იანვარს მოზდოკში შედგა თერგის ხალხთა I ყრილობა. ამ ყრილობაზე ვლადიკავკაზის (ოსეთის) დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ ნ. ბუაჩიძე, ს. მამსუროვი, ს. ტაკოევი და ა. გოსტიევი. ყრილობაზე პიატიგორსკის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ს. კიროვი. როგორც ს. ორჯონიკიძე წერდა, ბოლშევიკებმა ს. კიროვისა და ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით მოქნილი ტაქტიკის მეოხებით შესძლეს კაზაკთა მაქინაციების დარღვევა და არ დაუშვეს ომის გამოცხადება ჩეჩენ-ინგუშებთან[68].

ყრილობამ აირჩია დროებით ორგანო — თერგის სახალხო საბჭო ნ. ბუაჩიძის მეთაურობით.

დიდი იყო ნ. ბუაჩიძის ღვაწლი თერგის ხალხთა II ყრილობის მუშაობაში, რომელიც 1918 წ. 16 თებერვალს მოიწვიეს პიატიგორსკში. ყრილობამ ხმების უმრავლესობით მიიღო დადგენილება რსფსრ სახკომსაბჭოს ხელისუფლების ცნობისა და თერგის ოლქის რსფსრ ავტონომიურ ოლქად გამოცხადების შესახებ. შეიქმნა თერგის რესპუბლიკის სახკომსაბჭო ნ. ბუაჩიძის მეთაურობით[69].

ნ. ბუაჩიძე ენერგიულად იბრძოდა კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ, რაზმავდა მასებს ბოლშევიკების გარშემო. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, თერგის სახკომსაბჭომ ნ. ბუაჩიძის ხელმოწერით გამოსცა დეკრეტი, რომლითაც მთელი სახაზინო, საუფლისწულო, სამინისტრო, საეკლესიო და კერძო მესაკუთრეთა მიწები ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით უნდა გადასულიყვნენ ადგილობრივი სამიწო საბჭოების განკარგულებაში, რომელთაც წინადადება ეძლეოდათ გაენაწილებინათ ისინი მშრომელებს შორის. სამოქალაქო ომმა და ეროვნებათა შორისმა წინააღმდეგობებმა შეაფერხეს ამ კანონის ცხოვრებაში გატარება.

ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობითვე ჩატარდა რკპ(ბ) თერგის საოლქო პარტიული კონფერენცია, რომელზეც იგი მიუთითებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ბოლშევიკური ორგანიზაციების როლის

---

[68] Г. К. Орджоникидзе, Избранные статьи и речи, М., 1939, стр. 56.
[69] История СО АССР, стр. 39.

ამალლების აუცილებლობაზე. თერგის ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნება მას ყველა კომუნისტის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. დიდ ყურადღებას უთმობდა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ინტერესებისათვის წითელი არმიის განმტკიცებას[70].

მას ღრმად სწამდა სოციალიზმის გამარჯვების გარდუვალობა და ამ რწმენას სწირავდა მთელ თავის ენერგიას. 1918 წ. მაისში იგი წერდა, რომ დადგა ახალი ერა და ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის მას, ვერავინ ვერ შეუშლის ხელს, რომ ბოლშევიკებს განასხვავებს ღრმა რწმენა ახალი ერის გარდუვალობაში[71].

1918 წ. ზაფხულის დასაწყისში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ერთობლივად შემოუტია შინაგანმა და გარეგანმა კონტრრევოლუციამ. უუბანზე ჩამოყალიბებულმა ე. წ. მოხალისეთა არმიამ დენიკინის მეთაურობით ივლისის თვეში მთელი რიგი საკვანძო პუნქტები დაიკავა ჩრდილო კავკასიაში. იგი სულ ოდესმე და უფრო უახლოვდებოდა თერგის რესპუბლიკას. ამან გამოაცოცხლა შინაგანი კონტრრევოლუციაც.

1918 წ. ივნისში ვლადიკავკაზში შემოვიდა 200 კაზაკი, შეაღწიეს აფშერონის პოლკის ყაზარმაში და წითელარმიელებს მოუწოდეს შეერთებოდნენ მათ ინგუშთა სოფლების აღსაგველად პირისაგან მიწისა.

ამ ადგილას გაჩნდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ბუაჩიძე. იგი მოუწოდებდა შეეწყვიტათ მიტინგი და მშვიდად დაბრუნებულიყვნენ თავის ადგილებზე. მუხანათურმა ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა იგი და მალე გარდაიცვალა. ასე დასრულდა ქართველი რევოლუციონერის მგზნებარე სიცოცხლე, მსხვერპლად მიტანილი ოსებისა და თერგის ოლქის სხვა ხალხების ბედნიერებისათვის.

ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. ვ. ი. ლენინის მითითებით, აქ გამოგზავნილ იქნა ს. ორჯონიკიძე, რევოლუციის უშიშარი რაინდი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩრდილო კავკასიის, და არა მარტო ჩრდილო კავკასიის, ხალხთა თავგანწირული ბრძოლა დენიკინისა და ყოველგვარი კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა და განმტკიცება. ს. კიროვთან ერთად იგი წარმართავდა ოსი ბოლშევიკების ბრძოლას როგორც დენიკინის ბანდების, ასევე მისი მოკავშირე შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

თერგის ბოლშევიკებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს რკპ(ბ) კავკასიის სამხრეთ კომიტეტის იმ წევრებმა, რომლებიც საქართველო-

---

[70] История СО АССР, стр. 47.

[71] გაზ. «Народная власть», 1918, 16/V, № 37.

ლან ვლადიკავკაკში გადავიდნენ, მენშევიკური მთავრობისაგან დევნის გამო. ამ ჯგუფში შედიოდნენ ფ. მახარაძე, ა. ნახარეთიანი, ს. ქავთარაძე, ა. გეგეჭკორი და სხვ. ვლადიკავკაკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ისინი მაშინვე ჩაერთნენ და ხელმძღვანელობდნენ საპასუხისმგებლო პარტიულ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს.

გეგეჭკორი დუშეთის აჯანყების შემდეგ თავის რევოლუციური რაზმით გადავიდა ჩრდილო კავკასიაში და იქ აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციონერთა განადგურების საქმეში. ა. გეგეჭკორი 1918 წ. დასაწყისში ერთხანს ვლადიკავკაკის კომენდანტიც იყო.

1918 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში ვლადიკავკაკში შემოიჭრნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული კაზაკები და ზოგიერთი ოსური სოფლების რაზმები. მათ შიგნითაც აღმოაჩნდათ მომხრეები. ამბოხებულთა პირველი დარტყმა მიიღო ვლადიკავკაკის პოლკის 1-მა ბატალიონმა, ა. გეგეჭკორის ქართულმა და ოსი კერმენისტების რაზმებმა კესაევის მეთაურობით. ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად ვლადიკავკაკი გაწმენდილ იქნა მეამბოხეთაგან. ვლადიკავკაკის გმირულ დაცვაში მრავალი ქართველი მონაწილეობდა. ბევრი მათგანი ბრძოლაში დაეცა, მათ შორის ნ. ჩხუბიანი, ქალაქის საბჭოს მდივანი, პარტიული და საბჭოთა საქმიანობის აქტიური მონაწილე.

ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ ოსეთში მიმდინარე ამბებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ვლადიკავკაკსა და ალაგირში მოსახლე ქართველები. შეძთხვევითი არაა ოსი კონტრრევოლუციონერების აშკარა მტრობა ალაგირელი ქართველებისადმი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იყვნენ. როცა მათ უგალუკ ცალიკოვის ბანდებმა საფრთხე შეუქმნეს, ვლადიკავკაკიდან გაგზავნილმა წითელი არმიის რაზმმა, აჯნიევისა და რამონოვის ოსურმა რაზმებმა ალაგირელი და სალუგარდანელი ღარიბობის დახმარებით ბანდიტები ალაგირიდან დაიფრინეს. როცა აღნიშნული რაზმები ვლადიკავკაკში გაიწვიეს, ქართველი და რუსი მოსახლეობა მათ გამოჰყვა და არდონსა და ვლადიკავკაკში დაბინავდა. არდონში მათ მოსაწყობად თერგის რესპუბლიკის მთავრობამ თავის წარმომადგენელი მიავლინა[72].

1919 წლის თებერვალში დენიკინელებმა ვლადიკავკაკი აიღეს. წითელმა არმიამ დარიალის გზით დაიხია საქართველოსაკენ. თერგის ოლქის ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკებიც იძულე-

---

[72] История СО АССР, стр. 82—83.

ბული იყვნენ გასცლოდნენ მტერს. ზოგი მათგანი (ა. ბოტოევი, თ. სოზაევი) საქართველოში გადმოვიდნენ, ზოგი ამ გადმოსვლის ცდის დროს კონტრრევოლუციონერთა ხელით დაიღუპა.

1919 წ. მაისის შუა რიცხვებში განაგრძობდნენ სასტიკ ბრძოლას დენიკინის ბანდების წინააღმდეგ დიგორელი პარტიზანები. ძალთა უთანასწორობის შედეგად ისინი იძულებული გახდნენ ყარაუგომისა და ღების გადასასვლელებით საქართველოში გადასულიყვნენ. მენშევიკურმა მთავრობამ ისინი განაიარაღა და როგორც ინტერნირებული, ქუთაისში გაგზავნა. ამათ შორის იყვნენ ცნობილი ოსი რევოლუციონერები დ. თოგოევი, ძ. ტაკოევი, გ. არსაგოვი და სხვ.

ისინი საქართველოში 1919 წ. ოქტომბრამდე იმყოფებოდნენ. შემდეგ, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით ისინი დაბრუნდნენ ჩრდილო კავკასიაში და სათავეში ჩაუდგნენ აჯანყების მოეზადების საქმეს. მთელი ჩრდილო ოსეთი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვება დენიკინის ჯარებზე გამოიწვია ის, რომ 1920 წ. 21 მარტს ვლადიკავკაკი განთავისუფლებული იქნა. საბჭოთა ხელისუფლება აღდგა.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობისათვის. იგი გადაიქცა მძლავრ ბაზად მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციურ ძალთათვის. ჩრდილო ოსეთში სამხრეთ ოს ლტოლვილთაგან შემდგარმა რაზმმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. დიგორიის რევოლუციური რაზმი 500-მდე კაცის შემადგენლობით ძ. ტაკოევის მეთაურობით ღების გადასასვლელით გადავიდა რაჭაში და აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ამ რაზმის მოქმედებას, მის რევოლუციურ წესრიგს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ადგილობრივი რევკომები — რაჭის, ტყიბულის, ქუთაისის, აგრეთვე პარტიის რაჭის სამაზრო ბიურო. მათ მხურვალე მისალმებები გაუგზავნეს დიგორიის რევოლუციურ რაზმს. ქუთაისის რევკომის სახელით დიგორიის რაზმს მადლობით მიმართა საქართველოს რევკომის წევრმა, რევკომის საგანგებო რწმუნებულმა ა. გეგეჭკორმა (1921 წ. 15 აპრილს). მისალმებაში იგი წერდა, რომ ქართველი მშრომელების დასახმარებლად დიგორელმა ხალხმა გამოგზავნა ბრძოლაში გამობრძმედილი რაზმი.

რაზმმა ზამთრის პირობებში გადმოლახა თოვლით დაფარული კავკასიის მთები და გმირული მონაწილეობა მიიღო ქართველი გლეხობის განთავისუფლებაში. ქუთაისის საგუბერნიო რევკომის, მთელი და-

სავლეთ საქართველოს მშრომელთა სახელით იგი მადლობას უხდის დიგორელ ხალხს დახმარებისათვის და ჰპირდება, რომ მზადაა მთელ ამ ხალხთან ერთად, თუ კი საჭირო გახდება, ყოველგვარი დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს დიგორელებს. საქართველოს რევკომმა დიგორიის რაზმი წითელი დროშით დააჯილდოვა.

საქართველოს გასაბჭოებას აღტაცებით შეეგება ჩრდილო ოსეთი. თავის მისალმებაში საქართველოს რევკომისადმი ოსეთის ოლქის III ყრილობის მონაწილენი წერდნენ: „ამიერიდან კავკასია ერთხელ და სამუდამოდ თავისუფალია. ამიერიდან კავკასია მთლიანად მუშურ-გლეხურია, სოციალისტურია. დიდება ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მსოფლიოს პროლეტარულ ოჯახში შევიდნენ თავის ბედის ბატონ-პატრონად. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს კავკასიისა და მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა ძმურ კავშირს“[73].

იმავე ხანებში თერგის ბოლშევიკების გაზეთი მოწინავე სტატიაში „თერგი და საქართველო“ წერდა: „წითელი საქართველო და წითელი თერგი, შეხედეთ, თითქოს მთებიც კი ულიმიან და განზე იწევენ სულიერად მონათესავე რესპუბლიკების შესახვედრად“.

საქართველოსა და ოსეთის გასაბჭოება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მარტო ამ ხალხების ისტორიაში, არამედ მათი ურთიერთობის ისტორიაშიც. 1921 წელი საზღვარია ამ ხალხების არამარტო ძველი და ახალი ისტორიისა, არამედ მიჯნაა ორი ეპოქისა ამ ხალხების ურთიერთობაშიც. საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ სამხრეთმა და ჩრდილო ოსეთმა ავტონომია მიიღეს, განვითარდნენ ეკონომიურად და კულტურულად, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები გახდნენ. მათი ურთიერთობა ქართველ ხალხთან პრინციპულად სხვა ხასიათს იღებს. შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმულნი, ისინი ხელიხელ ჩაკიდებულნი იღწვიან ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

§. 2. ეკონომიური ურთიერთობა

XX საუკუნის დამდეგს ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციულ ეკონომიურ ურთიერთობაში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ გამოუწვევია იმის მიუხედავად, რომ ეკონომიური გაცვლა-გამოცვლა ფართოვდებოდა. ცხინვალი და ახალგორი კვლავ რჩებოდა ძირითად სავაჭრო პუნქტებად, სადაც ოსები თავისთვის საჭირო საქონელს

---

[73] ЦГА СО АССР, ф. 39, д. 44, л. 1.

იძენდნენ. ოსებისათვის ახლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია თბილისის და ვორის ბაზრებს, აგრეთვე სურამის, მეჯვრისხევის, ონისა და სხვა ბაზრებს.

ჩრდილო ოსებთან ქართველების ეკონომიური ურთიერთობა ძირითადად ვლადიკავკაკავში ხორციელდებოდა. აქეთ იყო მიპყრობილი მთიულეთისა და ხევის მოსახლეობის ეკონომიური ინტერესები.

როგორ ფორმებში მიმდინარეობდა ქართველ-ოსთა ეკონომიური ურთიერთობის პროცესი XX ს. დამდეგიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე? მთიელი ოსები დასახელებულ სავაჭრო პუნქტებში ძირითადად იძენდნენ მარცვლეულს, რაზედაც დიდი მოთხოვნილება არსებობდა მთაში სახნავ-სათესად ვარგისი მიწების ნაკლებობისა და მოუსავლიანობის გამო. სამაგიეროდ მათ დიდი რაოდენობით გამოჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქტები, შინამრეწველობის ნაწარმი, გამოჰყავდათ პირუტყვი და სხვ.

ზ. ედილმა ქართლთან სამხრეთ ოსების ეკონომიური ურთიერთობის ვრცელი სურათი აგვიწერა. დიდი ლიახვის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით იგი წერდა, რომ მიწათმოქმედებასთან ერთად ჯავის ხეობის ოსები მისდევენ მესაქონლეობას. „აკეთებენ საუკეთესო ყველს, რომელიც თბილისის ბაზარში ცნობილია ოსური ყველის სახელით და კარგის ღირსებისაც არის. გარდა ამისა, აკეთებენ შალებსაც, რომლებიც ღირსებით არ ჩამოუვარღებიან ხონურ შალებს. უმთავრეს ღარგს კი გამორჩენისას ოსეთში ხე-ტყის დამზადება შეადგენს. მთელი ოსეთი... საუკეთესო ტყით არის დაფარული და აი იმ ტყეებიდან ოსები ამზადებენ ყოველგვარ ხე-ტყის მასალას, რომელთაც ზემო ქართლში დიდი გასავალი აქვს. ამზადებენ კარის, ფანჯრის, იატაკის ფიცრებს, აგრეთვე ყავარს, მესერს, ხის ავეჯეულობას, ჭურჭლის და სხვა და სხვა. გარდა ამისა ბევრი ტივები ჩამოაქვთ გორში და შემდეგ ბევრი იგზავნება გასასყიდად. ეს არის ერთი უმთავრესი დარგთაგანი გამორჩენისა ოსეთში. მთელი შიმოდგომა-ზამთარი ამზადებს ამ მასალას ოსი და შემდეგ გაზაფხულზე ტივებთან ერთად ჩამოაქვს ყველა ეს ქართლში და ჰყიდის, სამაგიეროდ ყიდულობს პურსა და მიაქვს ოსეთში“[74].

ფართოდ მონაწილეობდნენ ოსები ქართლში რელიგიურ დღეობებთან დაკავშირებულ ბაზრობებში. მეჯვრისხევში ფსანეთობისას გამართულ ბაზრობაზე (ერთი კვირა გრძელდებოდა) ოსებს მიჰქონდათ ყველი, ერბო, ქათამი, ხის ჭურჭელი და იარაღი—სადღვებლები,

---

[74] გაზ. „საქართველო“, 1918, 26 ნოემბერი, № 203.

ფიწლები, არნადები (ხაჩევალი), ორთითები. ოსები ხშირად ყველს მარილზე სცვლიან — ლიტრა ყველში 6-8 გირვანქა მარილს აძლევენ[75].

ასეთივე ბაზრობა იმართებოდა ხოლმე ზღუდრობის დღესასწაულზე ცხინვალთან. აქ „ბევრი ხალხი მოდის სხვადასხვა კუთხიდან. მოაქვთ ხის ჭურჭელი, აწრისხევური (პატარა ლიახვის ზემო წელზე — გ. თ.) კიდობნები, სკამები, ურმები, თვლები, საქონელი, მატყელი, ყველი, ერბო, ტყავები, ხის მასალა — მარგილი, ბოძი, სამეურე წნელი, ყავარი, ქსნის თიხის ჭურჭელი, იმერული ქვევრები, ფრინველი, ოსური ხაჭაპურებიც კი, 10 ათასი თუმნის იყიდება"[76].

როგორც ვხედავთ, მესაქონლეობის პროდუქტებთან ერთად, ოსებს ძირითადად ხის ჭურჭელ-იარაღები გამოჰქონდათ ქართლის საბაზრო პუნქტებში და ხშირად უბაზრო სოფლებშიც. სადაც მათ პირდაპირ ცვლიდნენ მარცვლეულზე, ხის ჭურჭელ-იარაღის კეთების ცენტრები იყო ძირითადად ჯავის ხეობა, განსაკუთრებით ზღუბირის თემი, აგრეთვე, პატარა ლიახვზე აწრისხევი და მისი მახლობელი სოფლები. სოფ.სარაბუკი, ცხინვალიდან 9-10 ვერსის მანძილზე მდებარე მცირემამულიანი და მოუსავლიანი სოფელი, ფართოდ მისდევდა ხის დამუშავებას. გლეხები ხისაგან აკეთებდნენ საოჯახო ჭურჭელს, კიდობნებს, თაბახებს, კევრებს და სხვ. ამას გარდა, ჰკრავდნენ ცოცხებს და ცხინვალში ჰყიდდნენ ან სოფლებში მიჰქონდათ ჭირნახულზე გასაცვლელად[77].

განსახილველ ხანაში საქართველოს სამხედრო გზაზე მცხოვრები ქართველი მთიელები სულ უფრო და უფრო ღრმად უკავშირდებიან ვლადიკავკაზის ბაზარს. ხევი, გუდამაყარი, მთიულეთი, ჩრდილო კავკასიას მჭიდროდ დაუკავშირდა არა მარტო თავის მეცხვარეობის ინტერესების გამო (ყიზლარის საზამთრო საძოვრები), არამედ მარცვლეულისა და სხვა სასურსათო პროდუქტების მისაღებადაც.

ვინმე „კალმის წვერა" აღნიშნავდა, რომ „მთას უბაროდ არსებობა არ შეუძლია და ბარს უმთოდა". „თუში, ფშაველი, მოხევე, გუდამაყრელი და მთიული ოსეთის მწირის და უნიადაგო მოსავლიან მამულის შვილნი არიან, რომ სამის თვის საზრდო ქერიც არავის მოსდის და ამ მკვიდრთ ცხოვრების სახსარი ერთადერთი ცხვარ-ძროხის მოშენება არის, მთაბარობა და ბარიდან სულადის ზიდვა". მისივე ცნობით, ადგილის სიეიწროვის გამო ხევ-მთიულეთიდან ახლო ხანებში 300 კომლამდე

---

[75] გაზ. „ივერია", 1905, 17 ნოემბერი, № 102; სახალხო გაზეთი, 1910 წ., 1/VI, № 21.

[76] „სახალხო გაზეთი", 1914, 20/V, № 1190.

[77] „სახალხო გაზეთი", 1910, 15/VI, № 32.

შირაქში გადასახლდა, 200 კომლამდე კავკავში. ამათნა ნაწილმა ოსებსა და ქისტებს მიმართა, რათა მათ სოფლებში მიწა მიიღონ თუნდაც რჯულის შეცვლის გზით[78].

XIX ს. დამდეგიდან, როგორც ცნობილია, ამიერკავკასია და კერძოდ, საქართველოც, სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის პურზე. საქართველო საჭიროებდა წლიურად 5 მლნ ფუთ მარცვლეულს, რომელსაც იგი ძირითადად ჩრდილო კავკასიაში იძენდა. ჩრდილო ოსები ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მარცვლეულით მომარაგებაში. მართალია, იმ 5 მლნ ფუთიდან, რასაც საქართველო საჭიროებდა, ძირითადი ნაწილი ყუბანის მხრიდან მოდიოდა, მაგრამ ვლადიკავკავის ოკრუგი, რომლის მოსახლეობა ძირითადა ოსობა იყო, საქართველოში გამოსაზიდი მარცვლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახდა. კერძოდ საქართველოს სამხედრო გზით საჭაპანო ტრანსპორტით გამოზიდული მარცვლეული, რომლის რაოდენობასაც წლიურად 1,5 მლნ ფუთამდე ანგარიშობენ[79], ვლადიკავკავში იყრიდა თავს.

ხევ-მთიულეთის მოსახლეობა არა მარტო იძენდა ვლადიკავკავში თავისთვის საჭირო მარცვლეულს და სხვა საქონელს, არამედ ურმებით ტვირთის ზიდვას ეწეოდა თბილის-კავკავს შორის და ამით ცხოვრობდა. ვინც ხელობა იცოდა (მეუნაგირეობა, მექუდეობა, ჩოხების კერვა), მიდიოდა თერგის ოლქში და იქ მუშაობდა.

პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა გააძნელა ხევ-მთიულეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ახალგაზრდობა, რომელიც სამხედრო გზაზე ქირით მუშაობდა, ურმებით ქირას ეზიდებოდა, თერგის ოლქში ქირაზე სამუშაოდ დადიოდა, ახლა ჯარში იქნა გაწვეული[80].

მაგრამ ომიანობამ არა მარტო მთიელთა ცხოვრების პირობები დაამძიმა. მთელმა ამიერკავკასიის ხალხებმა იგრძნეს ეს გაჭირვება. ომთან დაკავშირებით მთავრობამ მარცვლეულზე ნიხრი დააწესა. ჩრდილო კავკასიელმა გლეხებმა მთავრობას აღარ მიჰყიდეს პური დაწესებულ ფასებში და მისი ორმოებში შენახვა დაიწყეს. ამის გამო ამიერკავკასიაში პურის შემოტანა შემცირდა, მისმა ფასებმა აიწია, ხოლო შემდეგ თანდათანობით ბაზრიდან გაჰქრა. გაზეთის კორესპონდენტი ა. ე. აყენებს ნიხრის გაუქმების წინადადებას. მაშინ პური შიმოვა. თორემ ჯარი, მოქალაქეები და თვით გლეხობაც მშიერი დარჩება. „პურის საკითხში ჩვენი გლეხობა მოქალაქის მდგომარეობას განიც-

---

[78] „სახალხო გაზეთი", 1910, 11/V, № 4.

[79] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოში..., გვ. 156.

[80] გაზ. „საქართველო", 1916, 27/I, № 20.

ლის". ამიერკავკასიის გლეხობა ჩრდილო კავკასიის პურით იკვებება[81].

ასეთ პირობებში საჭირო გამხდარა საგანგებო ღონისძიებათა გატარება საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველსაყოფად. თბილისის გუბერნიის სასურსათო კომისარიატმა ჩრდილო კავკასიაში მიავლინა თავის სპეციალური რწმუნებული გ. დალაქიშვილი, რომლის საქმიანობას იმდროინდელი ქართული პრესა თვალს ადევნებდა. გაზ. „საქართველო" 1917 წ. 17 მაისს იტყობინებოდა, რომ დალაქიშვილს უკანასკნელ ხანებში ჩრდილო კავკასიიდან თბილისში გამოუგზავნია 100 ვაგონი ფქვილი, 40 ვაგ. ხორბალი, 120 ვაგ. სიმინდი[82].

გ. დალაქიშვილს მოუხერხებია მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა თბილისის გუბერნიის სურსათით მომარაგების საქმე რამდენიმე ასეული ვაგონი სურსათის ჩრდილო კავკასიიდან თბილისში გამოგზავნის შედეგად. ჩრდილო კავკასიაში მის დაღუპვასთან დაკავშირებულ ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ „ჩრდილო კავკასიაში ოსებთან და ინგუშებთან გოგლა (დალაქიშვილი — გ. თ.) ძალიან იყო დაახლოებული. ოსებთან და ინგუშებთან გოგლა ლაპარაკობდა არა როგორც მთავრობის წარმომადგენელი, არამედ როგორც წარმომადგენელი დამშეული ქართველი ხალხისა. გოგლას ბევრი ისტორიული მაგალითი მოუყვანია ოსებთან ლაპარაკის დროს იმისა, თუ ქართველებს როგორი დახმარება გაუწევიათ ოსებისათვის, და მოუწოდებია მათ საქართველოს (!) კავშირისაკენ და დახმარებისაკენ"[83].

1918 წ. მარტის თვეში ვლადიკავკაზიდან თბილისისათვის გამოგზავნილი რვა ვაგონი ხორბალი გზაში იყო. საქართველოს ხელისუფლებამ მოხვევეებს სთხოვა დახმარება სურსათის გადმოტანაში (ვლადიკავკაზიდან თბილისში საქართველოს სამხედრო გზით). ისინი დახმარებას დაპირდნენ — ფუთს 10 მანეთად მოვიტანთო. ცდილობდნენ, აგრეთვე, ტრანსპორტის ისეთ ორგანიზაციას, რომ ყოველდღიურად ამ გზით 15 ვაგონი ხორბალი გადმოეტანათ, რაც საკმარისი იქნებოდა ამიერკავკასიის ქალაქებისათვის შიმშილის ასაცდენად[84].

ჩრდილო კავკასიაში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა დიდი საფრთხე შეუქმნა საქართველოს სურსათით მომარაგების საქმეს. საბჭოთა რუსეთისაგან უკვე ჩამოცილებული ამიერკავკასიის წინაშე დიდი სასურსათო სიძნელეები აღიმართა. საქართველოს კონტრრევო-

---

81 ი ქ ვ ე, 1917, 21/II, № 40.
82 გაზ. „საქართველო", 1917. 17/V, № 104.
83 ი ქ ვ ე, 1913. 24/II, № 42.
84 „საქართველო", 1913, 14/III, № 45.

ლუციური ეროვნული საბჭო გეგმებს აწყობდა, რომ სურსათის ზიდვა არ შეფერხებულიყო[85].

1918 წ. გაზაფხულზე ცხენის ურმებით ვლადიკავკაზიდან ღიღ-ძალი თეთრი ფქვილი შემოვიდა, სასურსათო კომიტეტებმა არ შეუშალეს ხელი მათ თავისუფლად ვაჭრობას და თბილისის ბაზარზე ფქვილის ფასი ფუთზე 100 მანეთიდან 55 მანეთამდე შემცირდა. აქ ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთის კორესპონდენტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ შესაძლებელია ჩრდილოელმა მეურმეებმა იხსნან ჩვენი ქვეყანა შიმშილისაგან. თუმც ბევრ ფულს წაიღებენ, მაგრამ ეს სჯობია უპურობით სიკვდილს. ასეთი თავისუფლება სხვა საქონელსაც რომ მიეცემოდეს, რუსეთიდან „ნიხრებით" შეზღუდული საქონელი სულ აქ შემოიპარება და გაიაფდება[86].

მაგრამ სამოქალაქო ომმა ჩრდილო კავკასიაში იქ მერყეევი პოლიტიკური ვითარება შექმნა. ოს — ქისტების და კაზაკების ურთიერთობის გამწვავების გამო თვით ვლადიკავკაზის ბაზრის მომარაგებაც გაძნელდა, საიდანაც მთის ხალხები თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ. ხევიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში შეშფოთებაა გამოთქმული ყოველივე ამის გამო. ჩრდილო კავკასია. სურსათით თითქმის მთელი ამიერკავკასიის ნახევარს აკმაყოფილებს. თუ იქ სამი ერის შერიგება არ მოხდა, ქვეყანა უხნავ-უთესი დარჩება და ჩვენ დიდი შიმშილი და გაჭირვება არ აცდება, რადგან 2—3 თვის საკმაო მარცვლეული არავის არ მოსდის და სიმინდის ფქვილი, კარტოფილი. ლობიო, კომბოსტო და ათასნაირი ბოსტნეულობა სულ ცოტა ხანს მოაქვს მთის ხალხსო. პირუტყვიც იქ იკვებება. გარდა ამისა, მთიულ-მოხევის ურმები კავკავიდან თბილისში პურს ეზიღებიან და რაღაც 12 დღეში თითო ცხენიან კაცს 600—700 მანეთი ფული მოაქვს ოჯახში. იგი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას რამე ღონეს აღნიშნული სამი ერის შესარიგებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო ქართველ მთიელთა ცხოვრების პირობები გაუარესდება, არამედ ამას თბილისიც იგრძნობსო[87].

საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მცხოვრები მთიელები ვლადიკავკაზზე ეკონომიურად ძლიერ იყვნენ დამოკიდებული. გზაზე მიმოსვლის შეფერხება დიდ სიძნელეებს უქმნიდა მათ. მოხევეები, თაგაურის, თრუსოს, კობისა და ღუდის ოსები, ქისტები ურთიერთშორის სადავო საკითხების წამოჭრისას მიმართავდნენ მესამე მხარის შუამავლობას. მაგ. 1917 წ. დეკემბერში ქისტებმა დარიალის ციხე

---

[85] „საქართველო", 1918, 4/IV, № 63.
[86] ი ქ ვ ე, 1918, 5/IV, № 64.
[87] ი ქ ვ ე, 1918, 6/IV, № 65.

დაიკავეს. ამან მოხევეები ააღელვა და თბილისიდან მთიულების ურ-
მებით ქისტებს რომ იარაღი მიჰქონდათ, ჩამოართვეს. იარაღის წართ-
მევა ძალიან ეშფოთავათ ქისტებს. მათ მოხევეებს გამოუგზავნეს დელე-
გატები — ოფიცერი მირზაბეგოვი, ოსეები თემბოლ დუდაროვი და
ქუნდუხოვი. მათ სტეფანწმინდაში წარმოებული სამშვიდობო მოლა-
პარაკება მოხევეებთან წარმატებით დაასრულეს[88].

1918 წ. კობელი ოსები და ქისტები წაედავნენ ერთმანეთა-
მაშინ ქისტებმა ვლადიკავკაზისაკენ გზა შეუკრეს ოსებს. მძიმე მღვრ-
მარეობაში ჩაფარდნილმა ოსებმა შუამავლობა სთხოვეს მოხევეებს
— ა. ფიცხელაურს, ო. კობაიძეს, ალ. ღუდუშაურს და ვ. თოფაძეს.
ისინი ბალთაში შეხვდნენ ქისტების დელეგაციას და მიაღწიეს მთიუ-
ოსებისათვის საქართველოს სამხედრო გზაზე თავისუფალი მიმოსვლის
უფლებას[89].

ვლადიკავკაზიდან საქართველოში სურსათის გამოტანა სულ უფ-
რო და უფრო ძნელდებოდა. მოხევე და სხვა ქართველ მეურმეებს
ვლადიკავკაზის მალაკნები ფქვილის, კარტოფილის და სხვა სანოვაგის
გამოტანის საშუალებას არ აძლევდნენ. თბილისი თუ მოგვცემს მა-
ქარს, ნავთს, მანუფაქტურას, ამხედრო საჭურველს, მაშინ ჩვენც გა-
გატანთ აქედან ყველაფერსო[90].

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ დამოუკიდებლობის
გამოცხადების შემდეგ (1918 წ. 26 მაისს), ჩრდილო კავკასიიდან
სურსათის შემოტანა ერთობ გაძნელდა. ქართველი ეროვნული-დემოკ-
რატების (ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია) გაზეთ „საქართ-
ველოში" ვინმე ა.—ე მოითხოვდა რომ ჩარეულიყვნენ ჩრდილო კავკა-
სიის საქმეებში, აეღოთ ვლადიკავკაზი. ამით თითქოს უზრუნველყო-
ფილი იქნებოდა როგორც თერგის ოლქის მცხოვრებთა ინტერესები,
ასევე საქართველოს ინტერესებიც სურსათის მხრივ. ეს ზომა მას
აუცილებლად მიაჩნია, რადგან კავკავითა ცხოვრობს მთელი ხევი და
მთიულეთი. ბოლშევიკები რომ არ დათანხმდნენ სურსათის თავისუ-
ფალ გამოშვებაზე, მაშინ მთიულები იძულებული იქნებიან კარი გაუ-
ღონ ბოლშევიკებს და შემოუშვან, რათა მიეცეთ საშუალება პურის
შეძენისა[91].

როგორც ვხედავთ, ქართველ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს სე-
რიოზულად ეშინოდათ ჩრდილო კავკასიიდან ბოლშევიზმის გავლენის
შემოჭრისა, რადგანაც არ ენდობოდნენ მთიელებს, რომელთათვის

---

[88] „საქართველო", 1918, 6/I, № 5.
[89] ი ქ ვ ე, 1918, 6/IV, № 65.
[90] ი ქ ვ ე, 1918 წ. 5/VI, № 109.
[91] ი ქ ვ ე, 1918 8/VI, № 112.

აუტანელი იყო ჩრდილო კავკასიასთან ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის მოშლა. იგივე გარემოება მოელ საქართველოსათვის ჰქმნიდა გადაულახავ სიძნელეებს. ომის შემდეგ კი მენშევიკური მთავრობის ბატონობის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობა დაეცა, შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები, მოსავლიანობა. სასურსათო კრიზისი გამწვავდა. 1918 წ. ივლისის ბოლოს გაზეთ „საქართველოს" მოწინავე წერდა, რომ რამდენიმე მლნ ფუთი ხორბალი თუ არ შემოვიტანეთ, ადგილობრივი პური ვერ გვიშველისო[92].

საქართველოში სასურსათო კრიზისმა გამოიწვია ის, რომ სამხრეთ ოსებმა ჩრდილო კავკასიისაკენ იბრუნეს პირი — იქიდან დაუწყეს შემოზიდვა სურსათს. ზ. ედილის აღწერით „უნდა გახედოთ მთელ გზას, რომელიც ლიახვის ხეობიდან პირიქით ოსეთში გადის, ცხენი ცხენს მისდევს სურსათით დატვირთული და ამ გადმოზიდვას დასასრული არა აქვს. გადმოაქვთ უმთავრესად ფქვილი მშვენიერი, თეთრი. ეგრეთწოდებული „კრუპჩატკა", რომელსაც ადგილობრივ (საზღვრის სიახლოვეს სოფ. ზაკში) ყიდულობენ 70-90 მანეთად, სიმინდი და ქერი. გარდა ამის ამ ბოლო დროს გადმოდის დიდძალი ნავთი, რადგანაც ბაქოდან სრულიად ნავთი აღარ შემოდის, ამიტომაც მთელ ქართლს აწვდიან ნავთსა. ნავთი ცხინვალში ჩამოტანილი 400-500 მანეთად იყიდება ფუთი, სოფლად კი ქართლში ესევე ნავთი 13-15 მანეთად გირვანქა. ეს გზა ვიწრო, ცალფეხა მთაგორიანი, ეხლა დიდ სავაჭრო-საქარავნო გზად ქცეულა, რომლის საშუალებითაც ყოველივე სურსათის შემოტანა შეიძლება ჩრდილო კავკასიიდან. ჩვენს მთავრობას დროზედ რომ ენერგია გამოეჩინა და აქ მოეწყო სურსათის გადმოტანის საქმე საქართველოს სამხედრო გზის დაკეტვის შემდეგ. ისე აღარ გაძვირდებოდა თბილისში სურსათის საქმე როგორც ახლაა. თუმცა ოსები ამბობენ, რომ ჩვენ მოპარებით მოგვაქვს სურსათი ყაზახების სტანიცებიდანაო, ვითომ ჩვენიანი ოსებისათვისო, თორემ ქართველებისათვის ამიერკავკასიაში გადმოსატანად არაფერს არ გამოგვატანენო"[93].

სამხედრო ოსეთის გზამ, როგორც ჩანს, უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა არა მარტო სამხრეთ ოსების, არამედ ქართლის მოსახლეობის სურსათითა და ზოგიერთი პირველი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფაში. ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მძაფრი სამოქალაქო ომის გამო მენშევიკურმა საქართველომ სურსათის ნორმალური შიოების შესაძლებლობა დაჰკარგა და ქართველი ხალხი შიმშილობის წინაშე

---

[92] „საქართველო", 1918, 31/VII, № 152.
[93] ი ქ ვ ე, 1918, 31/X, № 207.

დადგა. ოსებს თავის საჭიროების საბაბით გადმოჰქონდათ უფრო მეტ-სურსათი, ვიდრე მოიხმარებდნენ და ამ ნამეტს ცხინვალსა და ქართლის სოფლებში ჰყიდდნენ. ამ გარემოებამ და, აგრეთვე, იმან, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ცდილობდა სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისათვის მოძრაობის დათრგუნვას, გამოიწვია სამხრეთ ოსების გადაწყვეტილება კეხვიდან ალაგირამდე გზის გაყვანის შესახებ. ის როკის უღელტეხილით გადადიოდა ზაკში და იქიდან ალაგირში ჩადიოდა. ღარიბმა ოსეთმა 1,5 მლნ მანეთი ფული შეკრიბა და უდიდესი ენერგიით შეუდგა გზის გაყვანის სამუშაოებს.

იგივე ავტორი ზ. ედილი წერს, რომ ამ საქმეში ოსებმა მაღალი შეგნება გამოიჩინეს. ეს გზა შექმნის ერთიან, განუყოფელ ოსეთს და ცხოვრებასთან საბრძოლველად უფრო მეტი ძალით გამოვა. ამით ოსეთი კავკასიის შვეიცარიად გადაიქცევა, ჩვენთვის კი საბედისწერო მნიშვნელობა ექნება, რადგან აქ იქნება მეორე დარიალი, რომელსაც პატარა ოსეთი ვერ დაიცავს და ჩრდილოეთიდან მოსული მტერი შემოგვესევაო[94].

აღსანიშნავია, რომ ქართულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ წრეებში ამ გზის გასაყვანად წარმოებულმა მუშაობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილმა და მისწრაფებამ — შეეკრათ მისთვის ამიერკავკასიისაკენ მომავალი ყველა გზა—გამოიწვია მტრული კამპანია გზის მშენებლობისადმი[95]. ისინი აკრიტიკებდნენ მენშევიკურ მთავრობასაც კი იმის გამო, რომ ასეთი გზის გაყვანის საშუალებას აძლევს ოსებს და ყველა ვიგინდარას ალაყაფის კარებს ღებს შუა საქართველოში შემოსასვლელად და სათარეშოდ[96].

მენშევიკური მთავრობისა და მასთან ბლოკში მყოფი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ოსებისადმი აშკარა მტრობის მიუხედავად ქართველი და ოსი ხალხები ურთიერთშორის ვაჭრობას, გაცვლა-გამოცვლას განაგრძობდნენ. კორესპონდენციაში „დიდი ლიახვის ხეობა“ დახასიათებულია 1919 წლის დამდეგისათვის შექმნილი მდგომარეობა, სიძვირე მატულობს. „მოვიდნენ ქალაქიდან ვაჭრები და ოსურ კარტოფილს ხარბად ყიდულობენ. ფუთში აძლევენ 40-45 მანათს“. კვირცხის, ერბოს, ყველის ფასებმაც მოიმატა[97].

„მთა ოსეთმა ცხინვალის გამოკვების საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო წარსულ წელს, — ნათქვამია ერთ კორესპონდენციაში. უწინ, ე. ი. შარშან წინა წლამდე თუ ყოველივე სანოვაგეს და სავაჭ-

---

[94] „საქართველო“, 1918, 26/X, № 203.
[95] ი ქ ვ ე, 1918, 31/X, № 207.
[96] ი ქ ვ ე, 1918, 5/VI, № 109.
[97] ი ქ ვ ე, 1919, 27/II, № 45.

როს ცხინვალის რაიონიდან ოსეთში მიეზიდებოდნენ, — შარშან მთელი წელიწადი ოსები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ცხინვალისაკენ მიეზიდებოდნენ მრავალად თეთრ ფქვილს, სიმინდს, ნავთს კავკასიის მხრიდან, ყველს, მატყლს, თივას, კარტოფილს თვით ამავე ოსების ქვეყნიდან. შარშან ოსებს ჩინებული მოსავალი მოუვიდათ, სამყოფზე მეტი კარტოფილი ხომ აუარებელი მოსვლიათ, და დღეს თბილისის ბაზარზე მარტო ოსური კარტოფილიღა იშოვება. ცხინვალში ახლა ფუთი კარტოფილი 50-60 მანეთი ფასობს. თვით ადგილობრივ მთაში 45-50 მანეთად იყიდება[98].

იგივე კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ გზები ცუდია, გადაზიდვა კი გაძნელებული. იგი აყენებს საკითხს, რომ ოსებს მიეცეთ კარტოფილის უკეთესი თესლი, ვიდრე მათ აქვთ, მაშინ თბილისი უზრუნველყოფილი იქნება კარტოფილითო.

1920 წ. სამხრეთ ოსები აჯანყდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მენშევიკებმა სისხლში ჩახშეს ეს აჯანყება და მოსახლეობა ჩრდილო კავკასიაში გადარეკეს. მათი სარჩო-საბადებელი მენშევიკების გვარდიამ და კონტრრევოლუციურმა ბრბოებმა დაიტაცეს და გაანადგურეს. გაზეთ „საქართველოში", რომელიც ოსების მიმართ უმაგალითო რეპრესიებს ამართლებდა, აღწერილია ოსეთის დარბევის შედეგად შექმნილი მდგომარეობა. ოსეთიდან დიდძალი პირუტყვი გამორეკეს და ცხინვალის ბაზარი ხორცით აივსო, მაგრამ მალე აღარ იქნება იგი. „შემდეგ ცხინვალში აღარაფერი იქნება: აღარც ხორცი, აღარც ყველი, ერბო. ქათამი, კვერცხი და სხვ. . . აღარ შემოვა მშვენიერი ოსური კარტოფილი, რომელიც თბილისის ბაზარზეც უხვად მოდიოდა და თითქმის თბილისი ოსური კარტოფილით იკვებებოდა, მრავალი კარტოფილით ნათესი მთის ფერდობები გაუთოხნავი დარჩა და წახდა. წელს კი იმდენი ნათესი იყო კართოფილისა, რომ მთელ თბილისს თამამად ეყოფოდა". კორესპონდენციაში მოყვანილია მენშევიკური მაროდერებისაგან დარბეული სამხრეთ ოსეთის საზარელი სურათი. „ოსები პურზე ცვლიდნენ ხოლმე ხილს ბაზარში",ახლა კი უპატრონოდ ცვივა და ლპებაო[99].

კორესპონდენცია, რომელსაც ა. ლევანიშვილი აწერს ხელს, იძლევა რა დარბეული ოსეთის სურათს და მის ყოფილ ეკონომიურ მნიშვნელობას საქართველოსათვის, მოუწოდებს ხელი შეუწყონ ოსთა ადგილებზე უკვე დაწყებულ მთიულ-მოხევე-გუდამაყრელთა დასახლებას, რათა ცხინვალის საბაზრო მნიშვნელობა კვლავ აღდგესო.

---

[98] „ს ქართველო", 1919, 18/III, № 60.

[99] ი ქ ვ ე, 1920, 20/IX, № 108.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა ხევ-მთიულეთის დამოკიდებულება ვლადიკავკაზზე სურსათის მსრივ. სამოქალაქო ომი ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი სერიოზულ დაბრკოლებად აღიმართა მოხევე-მთიულთა და საერთოდ საქართველოს სურსათით უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოში შიმშილის მსახერალი ხელი ამოქმედდა. ამ მძიმე პირობებში რუსეთთან სამეურნეო კავშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თვით მძიმე სასურსათო პირობებში ჩაყენებული საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების ორგანოები არ აფერხებდნენ პურის გამოტანას საქართველოს მოსახლეობისათვის. „რაკის მაზრამ მოახერხა დაემყარებინა კავშირი ბოლშევიკურ თერეთან და სასურსათო ოპერაციებს უართო ხასიათი ჰქონდა. . .დუშეთის გზით ილებდნენ სურსათს არა მარტო დუშეთის მაზრის რაიონები, არამედ მთელი თბილისიც“[100].

ჩრდილო კავკასიაში დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების შემოჭრამ კიდევ უფრო გააუარესა საქართველოს სამხედრო გზით სურსათის გამოტანის საქმე. იმის მიუხედავად, რომ დენიკინს მენშევიკურ საქართველოსთან ბევრი რამ ანათესავებდა (სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კლასობრივი ბუნება) და ამ ნიადაგზე მათ შორის გარკვეული თანამშრომლობაც იყო, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ მოტრფიალე გენერალი არ იძლეოდა საქართველოში სურსათის შემოტანის ნებას.

დენიკინის მიერ ჩრდილო კავკასიის დაკავების შემდეგ ჩრდილო ოსეთში დამყარდა კონტრრევოლუციური ხელისუფლება, ხელისუფლების მეთაურს ოსეთის მმართველი ეწოდებოდა. რომელთანაც არსებობდა საბჭო.

ოსეთის მმართველის საბჭოს სპეციალური საშვებით ჩიმში, ლარსსა და ბალთაში მცხოვრებ მოსახლეობას ნება ეძლეოდათ თავის ოჯახების საჭიროებისათვის გაეტანათ განსაზღვრული ოდენობის მარცვლეული. ასეთი საშვები მიეცათ დუდაროვებს, ღუდუშაურებს, გოდერძიშვილს, ქირიკაშვილს და სხვა[101]. გ. ღუდუშაურმა 1919 წ. 17 სექტემბერს ნებართვა მიიღო ლარსში გაეტანა 12 ტომარა ხორბლის ფქვილი და 13 ტომარა სიმინდი, ხოლო ს. ალიბეგაშვილმა 6-6 ტომარა ხორბლის ფქვილი და სიმინდი. ალექსი კვირიევს 10 ტომარა ხორბლის ფქვილის და 12 ტომარა სიმინდის, ანდრია ქირიკაშვილს 6-6 ტომარა ხორბლის

---

[100] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 23 VII, № 582;; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში, თბილისი, 1967, გვ. 181.

[101] ЦГА СО АССР, ф. Р—8, оп. I, д. 5, лл. 36, 40—44, 54—56.

ფქვილის და სიმინდის, იაგორ ღუდუშაურს რვა ტომარა ხორბ. ფქვილის, 12 ტომარა სიმინდის გატანის ნებართვა ჰქონდათ[102].

არის სხვა საბუთებიც, საიდანაც ჩანს, რომ ლარსელ და ბალთელ მცხოვრებთ (საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე პუნქტები საქართველოს საზღვართან ახლოს) დიდი ოდენობით გამოჰქონდათ სურსათი. მაგ. 1919 წ. სექტემბერში ლარსელმა ხატახცკო ქუნდუხოვმა მიიღო ნებართვა 400 ფ. ფქვილის, 160 ფ. კარტოფილის და 50 ფ. სამარხვო ზეთის გატანის შესახებ[103]. ასეთი ნებართვები სხვებსაც ჰქონდათ.

რა თქმა უნდა, ლარსსა და ბალთაში იმდენი მოსახლეობა არ იყო, რამდენსაც მისი საჭიროების საბაბით სურსათს ეზიდებოდნენ. ამ სასაზღვრო პუნქტებიდან სურსათი ხვდებოდა ხევსა და საქართველოს სხვა რაიონებშიც კონტრაბანდული გზით. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა ჩრდილო კავკასიის დენიკინურ მმართველობას. მათ 1919 წ. 2 ოქტ. მიმართეს ოსეთის მმართველს, რომ ვლადიკავკაზიდან დიდი რაოდენობით გააქვთ ფქვილი ლარსში, რომლის მოსახლეობაც უმნიშვნელოა. ამის გამო ზედმეტი ფქვილი ამ სოფლის მცხოვრებლებმა შეიძლება მისცენ საქართველოს, სადაც ჩრდილო კავკასიიდან ყოველგვარი პროდუქცია და საქონლის გატანა კატეგორიულად აკრძალულიაო. ისინი მოითხოვდნენ ლარსში პროდუქტების გატანაზე ნებართვის გაცემის შეზღუდვას[104].

1919 წ. ივლისში ჩრდილო კავკასიის დენიკინურმა სარდლობამ სამხრეთ ოსეთის საჭიროებისათვის საქართველოში 100 ათასი ფ. სიმინდის გატანის ნება დართო[105]. გენერალ ერდელის განკარგულებით 1 აგვისტოს ოსეთის მმართველს დაევალა გაეცა კობი-თრუსოს ოსური მოსახლეობისათვის 10 ათასი ფ. სიმინდი, ოღონდ მცირე პარტიებად და მკაცრი თვალყური ედევნებინა იმისათვის, რომ სიმინდი საქართველოში არ მოხვედრილიყო. მართლაც, სიმინდის გასატან პარტიაზე ნებართვა წარედგინებოდა გენერალ ვადბოლსკის შტაბს და ეს საქმე ორმაგი კონტროლის ქვეშ იყო[106].

აღნიშნული სიმინდი, მკაცრად აღრიცხული, ურმებით მიჰქონდათ სადღეურ კობში, საიდანაც უნდა განაწილებულიყო დამშეულ მოსახლეობაზე. 1919 წ. 9 სექტემბრისათვის დენიკინის სამხრეთ რაიონების ჯარების სარდალს გენერალ ვადბოლსკის ოსეთის მმართველის საბჭოს სა-

---

[102] ი ქ ვ ე, ფფ. 65—69.
[10] ЦГА СО АССР. ф. Р-8, оп. I, д. 5, л. 90.
[104] ი ქ ვ ე, ფ. 115.
[105] ი ქ ვ ე, ფ. Р—8, ფ. 1, ფ. 16, ფ. 2.
[106] ი ქ ვ ე, ფ. 3, 5, 7, 10, 16, 18.

სურსათო განყოფილების გამგე ატყობინებდა, რომ საქართველოს სამხედრო გზის მიდამოებში მცხოვრებ ოსთათვის გამოყოფილი 10 ათასი ფ სიმინდი გატანილი და დანიშნულებისამებრ განაწილებულ იქნა[107].

1919 წ. 5 ოქტომბერს ჩრდილო კავკასიის ცალკეულ ოკრუგთა საერთო მმართველობის თავმჯდომარემ ოსეთის მმართველს აცნობა, რომ მართალია სამხრეთ ოსეთისათვის 100 ათასი ფუთი სიმინდის გატანის ნებართვა იყო, მაგრამ ახლა ჩრდილო კავკასიის ჯარების სარდლობამ საქართველოში ყოველგვარი ტვირთების გატანა აკრძალა და წინანდელი განკარგულებები გაუქმებულიაო[108].

მაგრამ ყოველგვარი აკრძალვის მიუხედავად, საქართველოში სურსათი მეტნაკლები ოდენობით მაინც შემოდიოდა. ოსები საქართველოსთან გაცვლა-გამოცვლის აუცილებლობას კარგად გრძნობდნენ. 1920 წ. თებერვალში ჩრდილო ოსეთის მმართველობა ვლადიკავკავის რაზმის უფროსს ატყობინებდა, რომ მან რწმუნება მისცა ალექსანდრე ხოსროევსა და ანკალ აგნაევს საქართველოს სამხედრო გზით გაეტანათ საქართველოში ექვსი ათასი ფ სიმინდი, ათასი ფუთი ხორბლის ფქვილი და 500 ცალი ნედლი ტყავი სხვადასხვა საქონელზე გასაცვლელად. აღნიშნულ პირებს საქონლის გატანაში დაბრკოლება არ შეუქმნათო[109].

1918 წლის შემოდგომაზე ჩრდილო ოსეთის სოფ. მაგომეტანსკოეს (ახლანდელი ჩიკოლა) მცხოვრებმა ძმურზა ცორიევმა ქუთაისში სიმინდი გადაცვალა 70 ათას ცალ უმაღლესი ხარისხის პაპიროსზე, რომლის ღირებულებას 20 ათას მანეთად ანგარიშობდა. ამ პაპიროსებს ნალჩიკში ჰყიდდა. ბოლშევიკებმა კონფისკაცია უყვეს მის საქონელს. როცა ნალჩიკი დენიკინის ჯარებმა დაიკავეს, ის სთხოვდა ოსეთის მმართველს, მისთვის საქონელი ან მისი ღირებულება დაებრუნებინათ[110].

დენიკინის ბანდების განადგურების შემდეგ ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკური მთავრობის აშკარა მტრობის გამო საბჭოთა ხელისუფლებისადმი, მთის რესპუბლიკის მთავრობა კრძალავდა სურსათის შემოტანას საქართველოში. ამის მიუხედავად, დამშეული ქართველი მთიელებისათვის გარკვეული ზომით უშიებდნენ სურსათის გამოტანას. მთის რესპუბლიკის სასურსათო კომისარიატის ვლადიკავკავის დამზადების კანტორამ 1920 წ. ივნის-ოქტომბერში უამრავი საშვი გასცა მოხევეებსა და მთიულებზე მარცვლეულის გასატანად ყაზბეგში, არშაში, გერგეტში, ყანობში, მლეთში, აგრეთვე კო-

---

[107] ЦГА СО АССР, ф. Р—8, оп. I, д. 16, л. 49—50.
[108] ი ბ ე ვ ე, ფ. 61.
[109] ი ბ ე ვ ე, ფ. 121.
[110] ი ბ ე ვ ე, საქმე 34, ფ. 1.

ბის, განისის, ბაიდარის ოსებზე. თბილისში მომავალ ოთხთვალებსა და საზიდრებს ნებას აძლევდნენ ფურაჟის სახით სიმინდის განსაზღვრული ოდენობა გაეტანათ[111]. სამხედრო გზით მომავალ ლტოლვილებსაც ერთი თვის მარაგ მარცვლეულს ატანდნენ.

საქართველოში შექმნილი მძიმე სასურსათო პირობებით სარგებლობდნენ მენშევიკური მთავრობის მოხელეები, ოფიცრები, მღვდლებიც კი და სპეკულაცია დაიწყეს. მენშევიკების მომარაგების მინისტრის რწმუნებით აღჭურვილმა ჭელიძემ ჩრდილო კავკასიიდან რესპუბლიკის საჭიროებისათვის 4-ჯერ გამოიტანა პური და ოთხჯერვე დიდი ბოროტმოქმედება ჩაიდინა. გზაზე ყიდდა სპეკულაციურ ფასებში და შემდეგ მთავრობას ატყუებდა — ლარსში ჩამომართვესო[112].

1921 წლის 25 თებერვალს თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა. ამ გარემოებამ საქართველოს მთის რესპუბლიკასთან (რომლის შემადგენლობაშიც 1924 წლამდე შედიოდა ჩრდილო ოსეთიც) ეკონომიურ ურთიერთობაში არსებითი ხასიათის გარღატეხა მოახდინა. პოლიტიკური ხასიათის ყველა დაბრკოლება აღმოფხვრილ იქნა. თვით დიდი სასურსათო სიძნელეების წინაშე მდგარმა ჩრდილო ოსეთმა მეგობრულად გაუწოდა ხელი საქართველოს დამშეულ მოსახლეობას. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1921 წ. 1 აპრილს დაავალა სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტს სასწრაფოდ გაეწმინდათ გზა თბილისსა და ვლადიკავკავს შორის იქიდან 300 ათასი ფ სიმინდის გადმოსატანად. საქართველოს სამხედრო გზით კავშირის გაწყვეტა არახელსაყრელიაო[113].

სასწრაფოდ დაიწყო სარემონტო სამუშაოები საქართველოს სამხედრო გზაზე, რათა თბილისისა და საქართველოს სხვა რაიონებისათვის სურსათის გადმოზიდვა არ შეფერხებულიყო. 1921 წ. 7 აპრილს სახელმწიფო ნაგებობათა კომიტეტის თავმჯდომარე ქურდიანი ატყობინებდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თაიმჯდომარეს, რომ გზა გაწმენდილია და საავტომობილო მიმოსვლა გაიხსნებაო[114]. ჩრდილო ოსეთში თართოდ დაიწყო მარცვლეულის დამზადება საქართველოსათვის. შემონახულია მთის რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისრის განკარგულება დიგორიის სასურსათო კომისრისადმი სასწრაფოდ დაიმზადებინა და გადაეცა საქართველოს რწმუნებულის წარმომადგენლის განკარგულებაში 6700 ფ სიმინდი[115].

---

111 ЦГА, СО АССР, ф. Р—147, оп. I. д. I, I—117.

112 გაზ. „საქართველო", 1920, 27/XI, № 160.

113 საქ. ცია, ფ. 318, ან წ. 1, საქმე 27, ფ. 2, 3.

114 საქ. ...ია, დასახ. ფონდი, ფ. 47; გაზ. „კომუნისტი", 1921, 17 აპრილი.

115 ЦГА СО АССР, ф. 147, оп. I, д. 2, Л. 19.

საქართველოდან ჩრდილო ოსეთში გაჰქონდათ მანუფაქტურული ნაწარმი, შაქარი, სახარინი, ტყავეული და სხვ. საქართველოდან მათ გატანის ყოველგვარი შეფერხება ვლადიკავკავის ბაზარზე ამ საქონელზე ფასების ზრდას იწვევდა[116].

საქართველოს გასაბჭოებისთანავე უდიდესი ყურადღება მიექცა სამხედრო ოსეთის გზასაც, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა რაჭა-ლეჩხუმის და დასავლეთ საქართველოს მარცვლეულით მომარაგების საქმეში. ამ გზის მეორე განშტოებით, რომელიც როკის უღელტეხილზე გადმოდიოდა, მარცვლეული შემოჰქონდათ დიდი ლიახვის ხეობაში და შემდეგ იგი ბარის რაიონებსაც აღწევდა.

სამხრეთ ოსებს, მენშევიკი მტარვალებისაგან აწიოკებულსა და სამშობლოდან გაძევებულს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საშუალება მიეცათ დაბრუნებოდნენ მამა-პაპეულ კერას, აღედგინათ იგი და კვლავ ჩაბმულიყვნენ ქართველ ხალხთან ტრადიციულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელსაც ამიერიდან ფართო გასაქანი მიეცა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც ქართველი და ოსი ხალხების ისტორიულ ბედზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ამიერიდან ამ ხალხების ეკონომიური ურთიერთობა გეგმაზომიერ ხასიათს იღებს, ფართოვდება და ღრმავდება. მისთვის უცხო ხდება რაიმე სახის პოლიტიკური შეფერხება და მისი ზრდა დამოკიდებული ხდება მხოლოდ და მხოლოდ ამ ხალხების სამეურნეო განვითარებაზე.

§ 3. კულტურული ურთიერთობა

XX ს. დამდეგისათვის ოსი ხალხი კულტურულად საკმაოდ დაწინაურდა. ამ დროისათვის შექმნილი ოსური ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი დაუცხრომლად ზრუნავდა თავისი ხალხის კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის. კოსტა ხეთაგუროვმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ოსური ლიტერატურის განვითარებას, სალიტერატურო ენის გაფორმებას. მისი მებრძოლი პოეზია, მგრძნობიარე ლირიკა, მახვილი პუბლიცისტიკა ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა ოსური კულტურის მოღვაწეთა მთელ შემდგომ თაობებზე.

1905-1907 წწ. რევოლუციამ, შემდეგ 1917-1921 წწ. მღელვარე ამბებმა განსაზღვრეს ოსური კულტურის განვითარებაში ორი — დე-

---

[116] П ртархив СО Обкома КПСС, ф. 1849, оп. I, ед. хр. 46, л. 73; ф. 4, оп. 1, ед. хр. 8, л. 42 .

მოკრატიული და რეაქციული მიმდინარეობის საბოლოო გაფორმება. დემოკრატიული მიმართულება ემსახურებოდა პროგრესის გზაზე ოსი ხალხის გამოყვანის ინტერესებს, მისი კულტურის, ლიტერატურის, სწავლა-განათლების ინტერესებს, რეაქციული მიმდინარეობა კი მას ჩამორჩენილობისაკენ, უკან ეწეოდა. პირველი მიმდინარეობა ოს ხალხს აკავშირებდა რუსი, ქართველი და სხვა მეზობელი ხალხების მოწინავე წრეებთან, მათ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. იგი თავის ბუნებით ინტერნაციონალისტური იყო. მეორე კი დაკავშირებული იყო რეაქციულ წრეებთან, ატარებდა ნაციონალისტურ ხასიათს, ემსახურებოდა ალდარულ-ბადელიატური (ოსი ფეოდალური წრეები) და წვრილბურჟუაზიული ფენების — გაბატონებული კლასის ინტერესებს.

აღნიშნულ პერიოდში უფრო გაცხოველდა ქართველი და ოსი ხალხების კულტურული ურთიერთობა. ამ ურთიერთობის მთელი რიგი მომენტები გაღრმავდა და გაფართოვდა. რევოლუციის გავლენით განვითარდა ოსური ლიტერატურა. ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის გარდა ითარგმნებოდა ლიტერატურა სხვა ენებიდანაც. ქართულიდან ითარგმნა ა. ყაზბეგის მოთხრობები „ნინა", ბერდია", პიესა „არსენა", ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა", ა. ცაგარელის „ხანუმა" და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"[117].

თბილისი კვლავ რჩებოდა კავკასიის კულტურულ ცენტრად. თბილისში აღიზარდა ოსური კულტურის მოღვაწეთა მთელი არმია, რომელმაც სახალხო განათლების დარგში თავის ხალხს დიდი ამაგი დასდო.

XX ს. დასაწყისისათვის თბილისში უკვე მნიშვნელოვანი ოდენობით ცხოვრობდა ოსური მოსახლეობა, როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდ. ოსეთიდან. ბევრი ოსი მუშაობდა რკინიგზის სახელოსნოებსა და საორთქმავლო დეპოში, ტრამვაიზე, ფაბრიკა-ქარხნებში, კუსტარულ ხელოსნებად. აქვე იყო თავმოყრილი ბევრი ოსი ინტელიგენტიც — მასწავლებლები, ექიმები, სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები. ამ მოსახლეობის მოწინავე წრეები ქართველი მოღვაწეების მხარდაჭერით ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ოსური კულტურის განვითარებისათვის. 1905-7 წწ. რევოლუციის პერიოდი ყველა ხალხის ეროვნული შეგნების გამოღვიძებით აღინიშნა. ამ მხრივ არც ოსი ხალხი იყო გამონაკლისი.

---

[117] Х. Н. Ардасенов, Революция 1905—1907 годов и осетинская литература, Изв. СОНИИ, т. XIX, 1957, стр. 6.

ოსი ინტელიგენციის მოწინავე წრეებმა კარგად იგრძნეს ბეჭდვითი სიტყვის უდიდესი მნიშვნელობა ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში, მის კულტურულ წინსვლაში და ვლადიკავკაზში 1906 წელს შექმნეს ოსური წიგნების საგამომცემლო საზოგადოება „ირ“ („ოსეთი“). ამ საზოგადოების ამოცანა იყო ოსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებების გამოცემა, ოსურ ენაზე პერიოდული პრესის შექმნა.

1906 წ. მაისში, თბილისში შეიქმნა „ოსური საგამომცემლო საზოგადოება“. მის გამგეობაში შედიოდნენ პედაგოგები ნიკოლოზ დ› ქრისტეფორე (ფორა) ჯიოევები, ბიძინა კოჩიევი, ნიკოლოზ თომაევი, კერძო მეწარმე სანდრო ქურდათოვი, სკოლის მეთვალყურე პეტრე თედეევი, აგრონომი მაქსიმ (თათა) რამონოვი და სხვ. პირველი თავმჯდომარე საზოგადოებისა იყო ქრისტეფორე ჯიოევი, რომელიც ინალ სობიევმა (ინჟინერმა) შეცვალა[118].

საზოგადოების წესდებით მისი შემოსავლის წყარო იყო საწევრო შესატანები, შეწირულობანი, სპექტაკლებისა და კონცერტებიდან შემოსული თანხები. ამის გამო, საზოგადოებასთან ორგანიზებულ იქნა დრამატიული წრე, რომლის წევრებიც იყვნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მუშა-მოსამსახურეები. 1906 წ. 24 მაისს, სასტუმრო „ვეტცელში“ (ახლანდელი მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი პლეხანოვის პროსპექტზე) ოსურმა დრამატიულმა წრემ პირველი ოსური წარმოდგენა გამართა. მისი შემოსავალი უნდა გადასცემოდა თბილისში მოსწავლე ხელმოკლე ოს ახალგაზრდობას. სპექტაკლის დასაწყისში ოსური საგამომცემლო საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა ილაპარაკა თეატრის აღმზრდელობით და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ. ნაჩვენები იქნა ე. ბრიტაევის პიესები „სირცხვილს სიკვდილი სჯობს“ და „რუსეთუმე“ („რუსეთში ნამყოფი“). ამის შემდეგ დაიდგა ცოცხალი სცენები ოსი ხალხის ცხოვრებიდან, შესრულდა ოსური ხალხური სიმღერები. საღამო დასრულდა კოსტას ნაწარმოებთა კითხვით და ოსური ცეკვებით. სპექტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ოსების გარდა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ[119].

ოსურმა დრამატიულმა წრემ აღნიშნული სპექტაკლი გაიმეორა ცხინვალში 1906 წ. 18 ივლისს. მან დიდი წარმატებით ჩაიარა. ოსური სპექტაკლის დადგმას ცხინვალში დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქართული და სომხური საზოგადოებაც. გაზ. „ტერეკ“ აღნიშნავდა, რომ

---

[118] В. Цабаев, Юго-Осетинский театр, Цхинвали, 1961, стр. 22.

[119] გაზ. «Тифлисский листок», 1906, 24/V, № 1061; В. Цабаев. დასახ. ნაშრ., გვ. 22—23.

სცენა ლამაზად მოაწყეს ნ. ცინცაძემ (ია ეკალაძე), ზ. მაჩაბელმა და გ. ოვანოვმა.

სპექტაკლის დაწყებამდე შესავალი სიტყვა წარმოითქვა, რომელშიც აღნიშნული იყო თეატრის დიდი აღმზრდელობითი და ხალხის შემაკავშირებელი მნიშვნელობა. ამ სიტყვის შემდეგ ორატორს ქართულ ენაზე ადრესი მიართვა ნ. ცინცაძემ. ქართველი ლიტერატორების სახელით ის წარმატებას უსურვებდა ოსურ ლიტერატურას. იგი წაიკითხა და თარგმნა ოსურად ექვთიმე (ეფიმ) გულიევმა. საზოგადოებამ მოითხოვა თვით ავტორს წაეკითხა ადრესი, რაც შესრულდა კიდეც. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შესრულებული იქნა ოსური ცეკვები[120].

წრემ ჯავაში, ბრიტანეთსა და გაიმეორა თავის სპექტაკლები და ყველგან დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს იყო ოსური თეატრალური ხელოვნებისათვის ერთგვარი საფუძვლის ჩაყრა, ოსი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული. ვ. ცაბაევი აღნიშნავს, რომ ოსური დრამატული წრის პირველი სპექტაკლებიდანვე გამოისახა ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც ოსურ თეატრს მთელი თავისი არსებობის პერიოდში მოჰყვებოდა და ახლაც ახასიათებს — ხალხის ცხოვრებასთან ცოცხალი კავშირი, დემოკრატიზმი, ქართულ და რუსულ თეატრებთან უწყვეტი შემოქმედებითი ურთიერთობა[121].

თბილისის „ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ“ გადაწყვიტა გაზეთის გამოცემა ოსურ ენაზე. მისთვის თანხების შესაგროვებლად მომზადდა მორიგი ოსური წარმოდგენა, რომელიც შედგა თბილისში, თეატრ „რენესანსის“ შენობაში (აწინდ. პლეხანოვის პროსპექტზე). 1907 წ. 28 თებერვალს ქართულმა გაზეთმა „ისარმა“ სათანადო განცხადება დაბეჭდა. საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა. ბილეთები წინდაწინვე გაიყიდა. მრავალი ესწრებოდა ისეთიც, რომელმაც ოსური ენა არ იცოდა. თბილისში 1907 წ. 8 მარტიდან გამოსულმა ოსურმა გაზეთმა „ნოგ ცარდმა“ („ახალი ცხოვრება“) თავის პირველივე ნომერში დადებითი შეფასება მისცა ოსური დრამატული წრის საქმიანობას[122].

1907 წ. შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტების თბილისის საზოგადოება. ამ საზოგადოებაში სხვა ეროვნებათა სექციებთან ერთად, არსებობდა ოსური სექციაც. ოსურმა სექციამ მოზრდილთათვის დააარსა ოსური საღამოს სკოლა, ატარებდა პოპულარულ ლექციებსა და სა-

---

[120] «Терек», 1906, № 100; Цабаев, დასახ. ნაშრ., გვ. 26.
[121] В. Цабаев, დასახ. ნაშრ., გვ. 27.
[122] „ნოგ ცარდ“, 1907, 8/III, № 1.

ებრებს. ამ სექციამ შექმნა თავის დრამატული წრე, რომელიც გამოდიოდა ე. წ. „ავჭალის სახალხო აუდიტორიაში". მისი სპექტაკლები გათვალისწინებული იყო მუშებისათვის და ბილეთებიც იაფი იყო. აქვე ეოქმედებდა ქართული დრამატული წრეც. ეს წრე ოს მოყვარულებს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა. ოსური სპექტაკლების მასობრივ სცენებშიც კი მონაწილეობდა. აქვე ჩაისახა ოსური დრამატული წრის მეგობრობა მუშა-რკინიგზელთან, ქართული დრამატული წრის საუკეთესო წარმომადგენელთან — ნიკო გოცირიძესთან. შემდეგში საქართველოს სსრ სახალხო არტისტთან. ნიკო გოცირიძე 15 წელი უსასყიდლოდ უწევდა რეჟისურას ოსურ სპექტაკლებს, ეხმარებოდა მათ ტექნიკურ გაფორმებას[123].

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში ოსური დრამატული წრეების საქმიანობას თბილისში. ოსური სპექტაკლების გარდა ისინი დგამდნენ რუსი და ქართველი დრამატურგების ნაწარმოებებსაც. 1909 წ. ოსური დრამატიული წრის რეპერტუარში შევიდა ა. ცაგარელის სამაქტიანი კომედია „ჭკუისა მჭირს", რომელიც ქართულიდან თარგმნა ნიკოლოზ ატაევმა[124].

1909 წ. თბილისში უკვე არსებული „ოსური საგამომცემლო საზოგადოების" გარდა წარმოიშვა მეორე საგამომცემლო საზოგადოება „საგანმანათლებლო-საგამომცემლო საზოგადოება „რუხს" (სინათლე). მისი დამაარსებლები ძირითადად მუშათა წრიდან იყვნენ და პირველთან შედარებით იგი უფრო დემოკრატიული იყო. ამას მიუდგნენ სახალხო უნივერსიტეტის ოსური სექცია და მისი დრამატული წრეც. ოსური წარმოდგენები იმართებოდა თეატრ „რენესანსის" შენობაში, ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში (მარჯანიშვილის სახ. თეატრი), სახაზინო (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის) თეატრში და სხვ.

1910 წ. 15 მარტს საზოგადოება „რუხსთან" არსებულმა დრამწრემ დადგა რ. ერისთავის კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", თარგმნილი ი. თომაევის მიერ[125].

ოსური დრამწრე 1911 წელს ამზადებდა ტრ. რამიშვილის პიესას „მეზობლები", რომელიც რევოლუციური შინაარსისა იყო. ცენზურამ ამის გამო იგი მათი რეპერტუარიდან ამოაგდო[126].

---

123 В. Цабаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

124 იქვე, გვ. 31.

125 В. Цабаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

126 გაზ. „Закавказская речь", 1911, № 240; В. Цабаев. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

1911 წ. 19 მარტს, კოსტა ხეთაგუროვის გარდაცვალების 5 წლისთავთან დაკავშირებით, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნა კოსტას პიესა „დუნია“, წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის ქართველებიც, რუსებიც, სომხებიც. მასზე წაკითხულ იქნა მოხსენება ალ. თიბილოვის მიერ კოსტას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. წარმოდგენის შემდეგ წაიკითხეს მისი ლექსები, დადგეს ცოცხალი სურათები მისი ნაწარმოებების მიხედვით[127].

ოსური დრამწრის რეპერტუარში 1911—1912 წწ. სეზონში შევიდა კ. ყიფიანის „კვირისთავი დატრიალდა“ —ერთმოქმედებიანი ვოდევილი. 1912 წ. 31 მარტს ოსურმა დრამწრემ სახალხო სახლში წარმოადგინა ნ. გოცირიძის დადგმით ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ (პეტრე თედეევის თარგმნილი). საზოგადოებამ აღნიშნული სპექტაკლი კარგად მიიღო. როგორც გაზ. „ტფილისკი ლისტოკის“ რეცენზენტი წერდა, პიესა კარგად ითამაშეს, ორიგინალის კოლორიტი ოსი მსახიობების თამაშით არ დარღვეულა. ამაში ნ. გოცირიძეს დიდი დამსახურება მიუძღვისო[128].

1912 წ. ოსური დრამწრის რეპერტუარში შევიდა ა. ცაგარელის კომედია „ციმბირელი“. იგი დადგა ნ. გოცირიძემ. წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დამდგმელს საზოგადოებამ აღტაცებული შეხვედრა მოუწყო[129].

1914-1915 წწ. ოსურმა დრამწრემ თავისი რეპერტუარი გაამდიდრა ოსური პიესების გარდა ქართული დრამატული ნაწარმოებებითაც. ასეთები იყო „ორი მშიერი“ დ. აწყურელისა, „ადამ და ევა“ —დ. მესხის ერთმოქმედებიანი ვოდევილი, ა. ყაზბეგის „არსენა“. 1917 წ. ოსური დრამწრის რეპერტუარში შევიდა პ. ირეთელის მიერ ინსცენირებული ეგ. ნინოშვილის ნაწარმოები „ქრისტინე“. ყველა დასახელებული ქართული დრამატული ნაწარმოები სისტემატურად იდგმებოდა[130] ოსური დრამწრის არსებობის მთელ მანძილზე. თბილისის ოსური დრამწრე წარმოდგენებს მართავდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაშიც, თუმცა ძალიან შეზღუდულად და დიდი სიძნელეების პირობებში.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური დრამატული წრის მუშაობას თბილისში. იგი არა მარტო ოსური მოსახლეობის ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებოდა,

---

[127] გაზ. «Тифлисский листок», 1911, № 100.

[128] გაზ. «Тифлисский листок», 1912, 3/IV; ვ. ცაბაევი. დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38.

[129] «Тифлисский листок», 1912, 24/V, № 117.

[130] В. Цабаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 46—47, 51.

არამედ ეწეოდა აგრეთვე ქართული კულტურის პოპულარიზაციას ოსებში.

ქართული დემოკრატიული საზოგადოება აქეზებდა და ხელს უწყობდა ოსთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას თბილისში. ნიკო გოცირიძე უანგარო დახმარებას უწევდა ოსებს თეატრალური მუშაობის ორგანიზაციაში. ქართულიდან თარგმნილი წარმოდგენები თითქმის ყველა მისი დადგმული იყო. ქართული გაზეთები უფასოდ ბეჭდავდნენ მათ განცხადებებს წარმოდგენების გამართვის შესახებ. აქვეყნებდნენ რეცენზიებს, ანგარიშებს. მაგ., გაზეთმა „ჩვენმა აზრმა" დაბეჭდა რეცენზია ე. ბრიტაევის პიესა „ორ დაზე". მასში აღნიშნული იყო როლების საუკეთესო შესრულება და დამსწრე საზოგადოების სიმრავლე. წარმოდგენას ოსების გარდა, სხვა ეროვნების ხალხიც ესწრებოდა[131].

მაგრამ ზემოთ დასახელებული საზოგადოებები მარტო თეატრალური წარმოდგენების დადგმით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ეწეოდნენ საგამომცემლო მუშაობასაც, სცემდნენ ოსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, სახელმძღვანელოებს ოსური ენის შესასწავლად. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ოსურ ენაზე პერიოდული პრესის შექმნის საქმეში.

პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეთ" ვლადიკავკაზში გამოიცა 1906 წ. 23 ივლისს. მის გამოსვლას მთელი ოსური პროგრესული საზოგადოებრიობა აღტაცებით შეხვდა. ასევე აღფრთოვანებით შეხვდა მას ქართული საზოგადოებრიობაც. გაზეთ „შრომაში" ვინმე გიორგი წერდა, რომ „ამ ბოლო დროს ჩრდილოეთ ოსეთში შესამჩნევად გავრცელდა განათლება. ოსობა ფეხზე წამოდგა და საოცარის გატაცებით დაეწაფა თანამედროვე კულტურას და ცივილიზაციას . . . ეს ერთი ხანია იქაური მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლები გულმოდგინედ შეუდგნენ წიგნაკებისა და ეხლა გაზეთის გამოცემასაც. 23 ივლისს გამოვიდა პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეთ", რომლის მიმართულებაც, როგორც პირველი ორი ნომრიდან ჩანს, პროგრესულია . . .

თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობაში იქითა მხარის ოსებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. ამ მხრივ ისინი საქართველოს არ ჩამოუვარდნენ . . . მოძრაობამ პირიქით ოსეთში კულტურული ხასიათი მიიღო. ეუვი არ არის, პირველი ოსური გაზეთი ბევრ რამეს გაგვაცნობს ოსების ცხოვრებიდან, გაგვაგებინებს მათ სულისკვეთებას, მისწრაფებას, დარდს და ვარამს"[132]. შემდეგ მოსდევს გაზეთის ორ ნომერში დაბეჭდილი მასალის ანალიზი.

გაზეთის ტირაჟი თავიდან 500 ცალს შეადგენდა და თანდათან

---

[131] „ჩვენი აზრი", 1909, № 12.

[132] გაზ. „შრომა", 1906, 6(19) VIII, № 100.

იზრდებოდა. იგი ვრცელდებოდა თბილისში, ცხინვალსა და ბაქოში მაგრამ მას დიდხანს არსებობა არ დააცალეს. რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისა და მთავრობის საწინააღმდეგო მასალის ბეჭდვის გამო თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა 1906 წ. 20 აგვისტოს მე-9 ნომრის გამოსვლის შემდეგ იგი დახურა[133].

გაზეთი არა მარტო ოსი ხალხის ცხოვრებისეულ საკითხებს ასახავდა, არამედ მკითხველებს აცნობდა მათ კავკასიასა და რუსეთში მიმდინარე ამბებსაც. გაზეთი მკითხველებს, ოს მშრომელ ხალხს უქადაგებდა მეზობელ ხალხებთან მეგობრულ ურთიერთობას, უხსნიდა, რომ ხალხთა ურთიერთწაკიდების პოლიტიკა ცარიზმის პოლიტიკაა, რათა ამით ხალხები ჩამოაშოროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაგან.

მალე თბილისის „ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ" 1917 წ. 8 მარტს გამოუშვა გაზეთ „ნოგ ცარდ"-ის („ახალი ცხოვრება") პირველი ნომერი. მისი ოფიციალური რედაქტორი იყო თბილისის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელი პეტრე თედეევი. რედკოლეგიაში შედიოდნენ ბიძინა კოჩიევი, ნიკალა ჯიოევი, ალექსანდრე თიბილოვი. მისი ამწყობები იყვნენ თადეოზ ცხოვრებოვი, დიმიტრი კოზაევი და სტუდენტი ვანო აბაევი. გაზეთი იბეჭდებოდა ქართული საგამომცემლო ამხანაგობის სტამბაში[134].

გაზეთმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა კავკასიის ორივე მხარის ოსეთში. იგი წერილებსა და კორესპონდენციებს იღებდა შორეული სოფლებიდანაც. თბილისის საწარმოთა ოსი მუშები, ბაქოელი ოსი მუშები, ოსური სოფლების მოსახლეობა მატერიალურ დახმარებას უწევდნენ გაზეთს შემოწირულებათა სახით. იგი ფართოდ ვრცელდებოდა მთელ ოსეთში. „ნოგ ცარდი" იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული გაზეთი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა. იგი ენერგიულად ამხელდა მეფის მთავრობისა და მის ადგილობრივ მოხელეთა ანტიხალხურ მოქმედებას, მკაცრად აკრიტიკებდა ოსი ხალხის ცხოვრებაში შემორჩენილ ზოგიერთ მავნე გადმონაშთს (ქელეხი, ყალიმი და სხვ.), მიუთითებდა ხალხს სწავლა-განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე, მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა პროპაგანდას ეწეოდა. იგი მოუწოდებდა ოს ხალხს ძმური ურთიერთობა ჰქონოდათ მეზობელ ხალხებთან. პირველი ნომრის მოწინავეში აღნიშნული იყო, რომ „ჩვენ ოსები გადაბმული ვართ სხვა ხალხებთან, მათი სიცოცხლით ვცო-

---

[133] ძ. გ უ გ ქ ა ე ვ ი, ოსური პერიოდული გამოცემები ოქტომბრის რევოლუციამდე, ცხინვალი, 1966 წ., გვ. 9—12 (ოსურ ენაზე).

[134] ი ქ ვ ე, გვ. 31—32.

ცხლობთ და მათი სიკვდილით მოვკვდებით. ახალი ცხოვრებისათვის სტუმრებივით გულხელდაკრეფილი კი არ უნდა ვიჯდეთ... არამედ მათთან ერთად თავდადებულად უნდა ვიშრომოთ, რომ არ შევირცხვინოთ თავი სხვა ხალხის თვალში"...

გაზეთმა „ნოგ ცარდმა" თავისი ფურცლები გულუხვად დაუთმო ოს დამწყებ პოეტებსა და მწერლებს — ცომაყ გადიევს, გიორგი მალიევს, შამილ აბაევს, დავიდ ყოროევს, ანდრია გულიევს, რუთენ გაგლოევს, დრამატურგ ელბიზდიყო ბრიტაევს და სხვ. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა კოსტა ხეთაგუროვის ისეთი ლექსები, რომლებიც თავის დროზე ცენზურამ არ გაუშვა.

„ნოგ ცარდში" იბეჭდებოდა ნათარგმნი ლიტერატურაც. ქართული ლიტერატურიდან მასში დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ნინა".

გაზეთმა 1907 წ. 31 დეკემბრამდე იარსება. სულ 70 ნომერი გამოვიდა, მაგრამ დიდი როლი შეასრულა ოსური პერიოდული პრესის განვითარების საქმეში, ოსი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეში.

ქართული საზოგადოებრიობა მაშინვე გამოეხმაურა თბილისში ოსური გაზეთის გამოცემას და მიესალმა მას. ცნობილმა ქართველმა ლიტერატორმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ია ეკალაძე-ცინცაძემ გაზეთ „ისარში", „ნოგ ცარდის" პირველი სამი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაბეჭდა საყურადღებო წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეარყია რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფო და რომ ოსებმაც ბანი მისცეს ამ მოძრაობას. მას სამწუხაროდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოება სუსტად ადევნებს თვალყურს ოსთა განვითარებას, მათ მისწრაფება-იდეალებს. ამ ურთიერთისადმი უყურადღებობით სარგებლობს ჩვენი საერთო მტერი და მარჯვედ თესავს ეროვნულ სიძულვილს მათ შორის.

იგი მკითხველებს აცნობს ოსური გაზეთის გამოცემის ამბავს. მისი რედაქტორია განათლებული პეტრე თედეევი, ხოლო თანამშრომლები არიან უმაღლეს სწავლამიღებული და სტუდენტი ოსები. იგი თვლის, რომ გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, იმის მიუხედავად, რომ ის ახალფეხადგმულის პირველი ნაბიჯებია. იგი ემსახურება ოსთა ეროვნულ ინტერესებს, ცდილობს ოსეთში შეიტანოს თვითცნობიერება, გააგებინოს ქვეყნის ვითარება და შეაგნებინოს ხალხთა ერთობის ძალა და მნიშვნელობა.

იგი განსაკუთრებით გამოყოფს გაზეთის მესამე ნომრის მოწინავე სტატიას, რომელიც ოს-ქართველთა ურთიერთობას შეეხება. მას მოჰყავს გაზეთის სიტყვები, რომელშიც ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ „ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოსახლების შემდეგ, როცა ქართველების გვერდით ცხოვრება დაიწყეს, ოსებს ხასიათი შე-

ეცვალათ და მეზობელი ქართველების ზნე-ჩვეულებები მიიღეს. საქართველოში ოსები მალე გაქართველდნენ, მაგრამ ეს არც ოსებისნება იყო, არც ქართველებისა. ეს ახალი ქვეყნის ზეგავლენის შედეგი იყო. სასტიკად სტყუის ის, ვინც ეტყვის ოსს, რომ ცდილობენ შენს გაქართველებასო. . . ძალმომრეობას თავის დღეში არა გაუკეთებია რა დარღვევის გარდა"... ჩვენი აზრით, ოსური გაზეთის სიტყვებია, — „ქართველთა შორის ისეთი... არა ყოფილა, რომელიც ოსთა ძალით გაქართველებას სცდილიყო, ხოლო თუ ვინიცობაა, აქამდე ერია ვინმე ამისთანა, ამიერიდან შეიგნებს თავის შეცდომას, და იმასღა ეცდება, რომ ოსებმა და ქართველებმა ერთმანეთის გვერდზე ძმურად იცხოვრონ".

ია ეკალაძე-ცინცაძეს ვრცელი ამონაწერები მოაქვს ოსური გაზეთიდან ქართველ-ოსთა ურთიერთობის საკითხებზე მისი თვალსაზრის-ს გადმოსაცემად, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ერთ ქვეყანაში მცხოვრები ოსები და ქართველები გამოვიდნენ ისტორიულ სარბიელზე, ოსები და ქართველები ძმურად ცხოვრობდნენ. „მტერიც ერთი ჰყავდათ და მოყვარეც. არამც თუ ომი, შინაური უთანხმოებაც კი არ მოსვლიათ. ქართველები უფროსი ძმები იყვნენ და მათი კარგისა და ავის თანამოაზრენი ხდებოდნენ მისი უმცროსი ძმები — ოსებიც. რამდენჯერაც თათრები აოხრებდნენ საქართველოს, იმდენჯერ ოსეთიც წიოკდებოდა. როდესაც საქართველო ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფო იყო, ოსეთიც თავისუფლად და მშვიდათ ცხოვრობდა".

მაგრამ გაზეთი კარგად არჩევდა, რომ ქართველი ხალხი ერთგვაროვანი არ იყო, როცა წერდა „როდესაც ჩვენ ქართველებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ქართველ მშრომელ ხალხს და არა ბატონებს. ქართველი ბატონები,იმდენად ოსის სისხლს არ სვამდნენ, რამდენადაც აწუხებდნენ და ავიწროებდნენ თავის მშრომელ ხალხს... ქართველი მშრომელი ხალხი თავის ბატონების მადლიერი არასოდეს არა ყოფილა, მაგრამ ოსებთან კი, როგორც ძმებთან, განწყობილად ცხოვრობდა".

გაზეთს კარგად ესმოდა ისიც, რომ მიმდინარეობდა დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი პროცესები და ქართველ-ოსთა ურთიერთობას სერიოზული გამოცდა ელოდა. ეს აზრი გამოსჭვივის „ნოვ ცარდის" მესამე ნომრის მოწინავეში, რომელიც ია ეკალაძეს მოჰყავს: „ამბობენ, რომ ჩვენი უფროსი ძმები ძველებურად აღარ გვიყურებენო. გვესმის და ვხედავთ, რომ მათი ლურჯი ცა მწუხარდება და თანდათან შავი ღრუბლებით იბურება. ჩრდილოეთიდან მონაბერი ბურუსიც უფრო აძლიერებს ამ ბინდს, ალბათ გრძნეულსა სურს, რომ საწყალი

ალხების კერა ჩაანელოს. მაგრამ ეს ასე არ უნდა მოხდეს. ჩვენ ერთმანეთს ვერსად გავექცევით, ჩვენ ამიერიდანაც ერთად უნდა ვიცხოვროთ და ამიტომ ყური არავის არ უნდა ვათხოვოთ და ერთმანეთს, მტრის გასახარად, გული არაფრით არ უნდა დავუკოდოთ. . . ოსმაცა და ქართველმაც მხოლოდ სიკეთისა და ადამიანური ცხოვრების დასამყარებლად უნდა ვიშრომოთ".

„ასე ამბობს პატივცემული გაზეთის მეთაური,—აღნიშნავს ია ეკალაძე, —და ჩვენც სხვა არა გვინდარა, რომ მისი სურვილი აღსრულებულიყვეს და განათლების გზაზე შემდგარ ოსეთს, მის მოწინავე ახალგაზრდობას მუდმივ გზას უნათებდეს ძმობა-ერთობისა და სამართლიანობის ლამპარი"[135].

ასეთ სულისკვეთებას გამოხატავდა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდი" ქართველ ხალხთან ოსი ხალხის ურთიერთობის საკითხში.

ოსური გაზეთის ეს აზრი ეხმაურებოდა ქართული პროგრესული საზოგადოების თვალსაზრისს მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხში. მაგ. „ივერიის" 1903 წლის 12 დეკემბრის (№265) მოწინავეში მხილებულია ის ძალები, ვინც ცდილობდა მეზობელი ხალხები ერთმანეთისთვის წაეკიდებინათ და აღნიშნულია: „ყოველმა გონიერმა ოსმაც იცის ახლა, ქართველმაც და ლეკმაც, რომ მხოლოდ მშვიდობიანი, კარგი მეზობლობა გვიშველის და გაგვაღონიერებს"

ასეთივე აზრს ატარებდა ივ. კარბელაშვილი, როცა აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურობას და ისეთ პუბლიცისტებს, რომელთაც ქართველი გლეხობის მძიმე აგრარული პირობები ოსი ხიზნების ქართლის ზოგ რაიონებში დამკვიდრების შედეგად მიაჩნდათ. იგი აღნიშნავდა: „ხიზანი ოსები ჩვენი კულტურისა და ძმური გავლენის ქვეშ არიან. მათი და ქართველ გლეხთა დაპირისპირება ყოვლად შეუძლებელია. ქართველსა და ოსს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება მიუტევებელი ცოდვაა.

ოსებთან წარსული ერთი გვქონია, მომავალიც ერთი გვექნება, ძმური და მეგობრული"[136].

თბილისში გამოვიდა მეორე ოსური ჟურნალი „ავსირ" („თავთავი"). პირველი ოსური ჟურნალი „ზონდ"(„ჭკუა") ვლადიკავკაზში 1907 წლის შემოდგომაზე გამოსცა ადვოკატმა ალმასხიტ კანუკოვმა, მაგრამ მისი მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. თბილისში ოსური ჟურნალი („ავსირი") გამოსცა მწერალმა არსინ ქოცოევმა 1910 წელს. იგი სულ 14 ნომერი გამოვიდა. მასში თანამშრომლობდა ოსი მწერლებისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი. ჟურნალი არა მარტო ვლადიკავკაზში,

---

[135] გაზეთი „ისარი", 1907, 20/III, № 61.

[136] „სახალხო გაზეთი", 1914, 7/V, № 1181.

არდონსა და ცხინვალში საღდებოდა, არამედ თბილისშიც ხიდაშელის ხოლო გორში არჩვაძის წიგნების მაღაზიაში. ჟურნალი ვრცელდებოდა ბაქოსა და ელიზავეტპოლში, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით მუშაობდნენ ოსი მუშები[137].

ჟურნალი „ავსირი“ ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, იდგა ლიბერალურ პოზიციებზე და მშვიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას თვლიდა თავის ძირითად ამოცანად.

ჟურნალი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებების გარდა ბეჭდავდა ნათარგმნ ლიტერატურასაც. ქართული ლიტერატურიდან მის ფურცლებზე დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის „ბერდია““ (ეფიმ გულიევის თარგმანი).

ოსურ პერიოდულ პრესას, რომელიც უშუალოდ 1905-1907 წწ. რევოლუციის შემდეგ და მისი გავლენით აღმოცენდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოსი საზოგადოების კულტურული წინსვლისათვის, მასში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების შეტანისათვის. თბილისმა კვლავ დაადასტურა, რომ იგი იყო მთელი კავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრი, მათ შორის ოსი ხალხის კულტურული მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა. აქ წარმოშობილმა საგამომცემლო საზოგადოებებმა, თეატრალურმა დასებმა, გაზეთმა და ჟურნალმა ღრმა კვალი გაავლეს ოსი ხალხის ცნობიერებაში.

თბილისში აღმოცენებული ოსური საგამომცემლო საზოგადოებები ოსურ ენაზე სცემდნენ ოსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს, ოსურ საანბანო წიგნებს და ამით საფუძველს უყრიდნენ ოსი ბავშვების დედაენაზე სწავლის ორგანიზაციას. აღნიშნულ ორგანიზაციებში გაერთიანებული ოსი ინტელიგენცია დიდ საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა თბილისელ ოსებს შორის. მათთვის წერა-კითხვის შესასწავლად დაარსდა საკვირაო სკოლა, სახალხო უნივერსიტეტის ოსური სექცია. ამ უკანასკნელში ოსი ახალგაზრდობა ორ სექციად იყოფოდა. პირველ ჯგუფში 5-დან 7 საათამდე მიცადინეობდნენ წერა-კითხვის უცოდინარები, 7-დან 9 საათამდე კი მეორე ჯგუფი—წერა-კითხვის მცოდნენი. მათ ასწავლიდნენ არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ხაზვას და სხვ[138].

ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები თბილისელი ოსებისათვის ხშირად აწყობდნენ საჯარო ლექცია-მოხსენებებს სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობის, ოსეთისა და მსოფლიოს ისტორიის აქტუალურ

---

[137] ძ. გ უ გ ქ ა ე ვ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 76.

[138] გაზ. „ნოგ ცარდ“, 1907. № 10, ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, გვ. 45.

საკითხებზე. აქტიური სალექციო მუშაობით გამოირჩეოდნენ ბიძინა კოჩიევი, ნიკალა ჯიოევი, თათა რამონოვი და სხვ.

ოსი ინტელიგენციის აღნიშნული საზოგადოებრიკი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ქართული მოწინავე საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა. ქართული პრესა თავის ფურცლებზე მას გარკვეულ ადგილს უთმობდა და თავის მხრივ, ხაზს უსვამდა ოსებში ზოგიერთი მავნე ჩვეის (მაგ. ყალიმის) აღმოფხვრისა და სწავლა-განათლების გავრცელების აუცილებლობას. ეურნ. „კვალი“, აღწერდა რა ქსნის ოსების სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილობას, ძველი მავნე ტრადიციების ბატონობას, მიუთითებდა, რომ „ისინი ისევ მამაპაპის კვალს მისდევენ, ვერ ამჩნევენ, რომ დრონი იცვალნენ და თვითონაც უნდა შეიცვალონ. საჭიროა შევაგნებინოთ და ჩავუნერგოთ ხალხს სწავლის სურვილი“[139].

XX ს. დასაწყისში ვლადიკავკაკში დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას აგრძელებდა იქაური ქართული სკოლა.

ვლადიკავკაკში არსებული ქართული სკოლა ამ პერიოდშიც რჩებოდა ქართული კულტურის პროპაგანდის მძლავრ კერად ჩრდილო ოსეთში. აღნიშნულ სკოლაში ტარდებოდა ქართული კულტურის საღამოები, კონცერტები, გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრები, ქართული წარმოდგენები. მათ მრავლად ესწრებოდა ხოლმე არაქართველი მოსახლეობაც — ოსები და რუსები.

1901 წ. 26 დეკემბერს ქართული სკოლის სასარგებლოდ გამართულ საღამოს, რომელსაც ლოტბარი კუხიანიძე ხელმძღვანელობდა, დიდძალი ხალხი დაესწრო როგორც ქართველები, ასევე ოსები და რუსები.

სკოლასთან არსებულ ქართულ თეატრში გამოდიოდნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი და მრავალი სხვა.

ქართული საღამოების ჩასატარებლად ხშირად თბილისიდანაც იწვევდნენ ცნობილ მოღვაწეებს — კომპოზიტორებს, მწერლებს, პოეტებს. მაგ; 1913 წლის 26 დეკემბერს ვლადიკავკაკში გამართული ტრადიციული საღამოს მოსამზადებლად წინდაწინ მიიწვიეს თბილისიდან კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. მან მოამზადა გუნდი, რომელმაც საღამოზე შეასრულა „სამშობლო ხევსურისა“, დ. არაყიშვილის „შოთა რუსთაველი“, „გუთნური“, „მაშ გამარჯვება ტკბი-

---

[139] „კვალი“, 1901, № 51, გვ. 1038.

ლო სიცოცხლევ". საღამოზე მიწვეულმა ი. გ
ლექსების კითხვით აღტაცებაში მოიყვანა მსმენ

ქართული სკოლის თეატრში ოსი სცე
დვამდნენ წარმოდგენებს. მაგ. 1911 წ. 15 თებერ
ტული წრის სასარგებლოდ აქ დაიდგა ოსური პ
გაიმართა ცეკვა-თამაში[141].

ვლადიკავკავის ქართული სკოლა 1905 წ. რ
რევოლუციურად იყო განწყობილი. ამის გამო ი
დაიხურა. რეაქციის პერიოდში მძიმე პირობები
რჩებოდა ვლადიკავკავში ქართველთა მნიშვნელო
ტურულ დაწესებულებად.

კავკავის სკოლასთან არსებობდა საკვირაო
სასწავლო წელს საკვირაო სკოლაში 60 მოსწავლ
თანვე იყო ქალთა ჭრა-კერვის სკოლა. მოსწავ
ასწავლიდა სოფიო გოლას ასული ჩიტაძე, საკ
მასწავლებლობას ეწეოდნენ ალ. სვანიძე, ვ. ბ
ვილი, ზერეკიძე[142].

სკოლას კარგი ბიბლიოთეკა-სამკითხველო
ლობდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ჟურნ
ლებიც თბილისში იბეჭდებოდა. სკოლასთან არ
დრამატული წრე ჩრდილო კავკასიის მოსახლეობ
ტურის დიდი პოპულარიზატორი იყო. სკოლის მ
ციებს ატარებდნენ ქართველი მწერლებისა და პ
ბის შესახებ.

ასეთივე კულტურულ-საგანმანათლებლო სა
ალაგირში 1897 წლიდან არსებული ქართული
მასწავლებელმა გრ. რაზმაძემ ჩამოაყალიბა ქარ
გუნდი და წარმოდგენების დადგმა დაიწყო. ამ წ
ალაგირელი ქართველებისა, ესწრებოდნენ ოსები

ქართველი მასწავლებლები მრავლად ეწეო
მოღვაწეობას როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო ო
ნაი.. 1913 წ. მონაცემებით, ჩრდილო ოსეთის ს
კლასიან სკოლას ხელმძღვანელობდა ლავრენტი წ
ოსურ სკოლაში მასწავლებლობდა კლავდია მ
სასოფლო სკოლაში — მატრონე ჯაფარიძე, მ

---

140 „სახალხო გაზეთი", 1914, 4/I № 1083.

141 ი ბ ი ე, 1911, 24/III, № 263.

142 ტ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

— ფილიპე უნგიაძე, ოლგინსკის ქალთა სკოლაში — ნადია გახოკიძე[143]. თვით ვლადიკავკაკაში არსებულ სხვადასხვა სასწავლებლებშიც როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა შორის საკმაო რაოდენობით იყვნენ ქართველები. მაგ., ვლადიკავკაკის ქალთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეთა შორის 1905—1920 წწ. რამდენიმე ათეული ქართველი მოსწავლე გოგონა ირიცხებოდა[144]. ამ გიმნაზიის დირექტორის წინაშე 1917 წელს ქართველ მოსწავლეთა მშობლებმა შუამდგომლობა აღძრეს, მათი შვილებისათვის სავალდებულო საგნად შემოეღოთ ქართული ენა. ამ თხოვნაზე სამზრუნველო საბჭომ მათ უარი უთხრა[145].

ვლადიკავკაკის ქალთა გიმნაზიის გეოგრაფიის მასწავლებელი ალექსანდრა ჩხეიძე 1908 წ. ოქროს მედლით დაჯილდოვდა. იგი 30 წელი მუშაობდა ამ თანამდებობაზე[146].

აღსანიშნავია ცალკეულ ქართველ საზოგადოებრივ და ხელოვნების მოღვაწეთა დიდი ინტერესი ოსი ხალხის ცხოვრებისა და კულტურის სხვადასხვა დარგისადმი. გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა დიდი ამაგი დასდო ოსური მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას. იგი პირადად გაეცნო კოსტა ხეთაგუროვს, როცა 1902 წელს ვლადიკავკაკში ჩავიდა ოსური ხალხური სიმღერების ჩასაწერად. ამის შესახებ მის გამოუქვეყნებელ ხელნაწერში „ოსური ხალხური მუსიკის შესახებ", რომელიც ო. დოლაბერიძის თქმით პროფ. ს. ასლანიშვილის პირად არქივში ინახება, აღნიშნულია შემდეგი: „რაც შეეხება ოსურ ვოკალურ მუსიკას, მასთან საქმე მქონდა 1902 წელს, როდესაც ვლადიკავკაკში დავბრუნდი, საქართველოში დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ. აქ, სხვათა შორის, მე ვიყავი ოს პოეტ კოსტა ხეთაგუროვთან, რომელთანაც მიმიყვანა ჩემმა ძველმა ამხანაგმა — ვლადიკავკაველმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე ჯანაევმა.

...კოსტამ... მიგვიწვია ოთახში და ის ძლიერ გააოცა ჩვენი მგზავრობის მიზანმა. იგი არაფრით არ მოელოდა, რომ ოსური სიმღერა ვინმეს როდისმე დაინტერესებდა, მაგრამ ასეთი პირი ჩემი სახით იქვე იყო. მანაც, თავის მხრივ, აღგვითქვა დახმარება[147].

---

[143] ჟურნ. „ჩირისტონ ცარდ", 1913, № 2, გვ. 146—154; ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

[144] ЦГА СОАССР, ф. 128, оп. I, д. 29; ф. 127, оп. 1.

[145] იქვე, ფ. 128, ანაწ. 1, საქმე 29.

[146] იქვე, ფ. 127, ანაწ. 1, საქმე 1544, ფფ. 1—23.

[147] ო. დოლაბერიძე, რეცენზია ტ. სარიშვილის წიგნზე „კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი". ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის", 1956, № 4; გვ. 88; ტ. სარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39—40.

კ. ხეთაგუროვის შემოქმედების გაცნობამ დ. არაყიშვილის ინტერესი ოსური მუსიკისადმი უფრო გააძლიერა. კოსტას ლექსებზე „მთიელი ქალის სიკვდილზე", „მწყემსის სიმღერა" პოემა „ფატიმადან" და „მზე აღარ ბრწყინავს" მან შესანიშნავი რომანსები შექმნა. „მწყემსის სიმღერა" და „მზე აღარ ბრწყინავს" პირველად ქართული სიმღერის ჯადოქარმა ვანო სარაჯიშვილმა შეასრულა.

დ. არაყიშვილმა 1950 წ 4იანვარს კ. ხეთაგუროვის სახ. ჩრდილო ოსეთის მუზეუმს მიუძღვნა თავი ფოტოსურათი შემდეგი წარწერით: «Приношу в дар свою фотографию Северо-Осетинскому музею им. К. Хетагурова, с которым я лично был знаком и который мне оказал содействие в собирании осетинского музыкального фольклора в 1902 году. Также на стихи его мною в молодости были написаны три романса, в 1900—1 годах: «Догорела заря», «Песня пастуха» (из поэмы «Фатима») и «На смерть горянки».

ოსეთის ისტორიისა და ქართველ ხალხთან მისი ურთიერთობისადმი დიდი ინტერესი გამოავლინა ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ ზაქარია ჭიჭინაძემ. 1913 წელს მან გამოსცა „ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით (აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ)". ეს ნაშრომი 1915 წელს მან ხელმეორედ გამოსცა.

აღნიშნულ წიგნში ზ. ჭიჭინაძემ დაწვრილებით მიმოიხილა როგორც ქართული წერილობითი წყაროების ცნობები ოსების შესახებ, ასევე ზეპირსიტყვიერების ძეგლები და გვიჩვენა ქართველი და ოსი ხალხების მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა, რომელიც მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეში ვლინდებოდა.

აღნიშნულ წიგნს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ოსეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდზე ავტორს უამრავი ზღაპრული მასალა მოაქვს, თვით. წერილობითი წყაროების მონაცემებიც ზოგჯერ გულუბრყვილოდ ან მცდარად აქვს გაგებული, მაგრამ ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს ხალხთა მეგობრული ურთიერთობის წინა პლანზე წამოწევა, საქართველოსთან ოსების კავშირის უწყვეტობისა და სიმტკიცის ჩვენება.

ზ. ჭიჭინაძის აღნიშნული ნაშრომის გამოსვლას ოსი საზოგადოება აღტაცებით შეეგება. ოსური ჟურნალი „ჩირისტონ ცარდ" („ქრისტიანული ცხოვრება") თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ ქართველმა მწერალმა ზ. ჭიჭინაძემ ძველი ხელნაწერი მასალების საფუძველზე ქართულ ენაზე გამოსცა ოსეთის ისტორია, რომელშიც აჩვენა ოსი მეფეების ცხოვრება-საქმიანობა და ქართველებთან მათ-

დამოკიდებულება. ჟურნალი თვლიდა, რომ ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია ოსებისათვის და გამოთქვა ოსურ ენაზე მისი თარგმნის სურვილი[148].

ის ფაქტი, რომ ზ. ჭიჭინაძემ 1915 წელს მეორედ გამოსცა „ოსეთის ისტორია", აიხსნება ოსთა მატერიალური დახმარებით. 1914 წ. 23 სექტემბერს გიორგი თედეევი თბილისიდან წერილს წერს ვასილ (გაპო) ბაევს — ვლადიკავკაზის ქალაქის თავს, რომ ზ. ჭიჭინაძეს სურს „ოსეთის ისტორიის" მეორედ გამოცემა და სახსრები არ არის. შენ, როგორც პატრიოტმა, შეკრიბე სახსრები ადგილზე, გაზეთშიც დაბეჭდე მოწოდება და შეგროვებული სახსრები ზ. ჭიჭინაძის მისამართზე გამოგზავნეო[149]. ჩანს, ამ თხოვნას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რასაც ადასტურებს ნაშრომის დაუბრკოლებელი გამოცემა მეორედ, 1915 წელს.

ზ. ჭიჭინაძეს ოსების შესახებ სხვა ნაშრომიც აქვს დაწერილი. ეს არის ბროშურა „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე". წიგნის გარეკანს აწერია 1916 წელი. რაც სტამბის შეცდომის შედეგი უნდა იყოს. ნამდვილად იგი 1919 წ. არის დაბეჭდილი, რაც კარგად ჩანს მისი შინაარსიდან. მასში ზ. ჭიჭინაძე მენშევიკური მთავრობისა და სხვა ქართულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა თვალსაზრისით განიხილავს საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა დასახლების საკითხს. ეს პროცესი მას ქართველ მეფეთა და თავადთა გულმოწყალების შედეგად მიაჩნია და სამაგიეროდ ოსებისაგან მოითხოვს საქართველოს „რესპუბლიკური მთავრობისადმი" ლოიალობას — ე. ი. ბრძოლის შეწყვეტას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც არ სცნობდა ოსთა თვითგამორკვევის უფლებას,

მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ზ. ჭიჭინაძის დასახელებული ბროშურა ოსთა ქართლში დასახლების ტენდენციური გაშუქებით მოულოდნელი და გასაკვირი არაა. მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიათა ანტიოსურმა პროპაგანდამ ქართული ინტელიგენციის ნაწილზე სათანადო გავლენა მოახდინა. მათ შორის ზ. ჭიჭინაძეც აღმოჩნდა. რაც შეეხება ქართველ ბოლშევიკებს, ისინი ბოლომდე დარჩნენ ოსთა სამართლიანი რევოლუციური ბრძოლის მხარდაჭერის პოზიციებზე.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქართველ-ოსთა შორის ნორმალური კულტურული ურთიერთობის პირობები აღარ არსებობდა. მენშევიკური პარტია და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციო-

---

[148] Чырыстон цард. 1915. № 11. гр. 43—49.

[149] ЦГА СО АССР. ф. 224. оп. 7. д. 27. л. 6.

ნალისტური პარტიები დაჟინებით და გულმოდგინედ თესავდნენ ოსებისადმი სიძულვილს ქართველ ხალხში, მათ ყოველგვარ გაჭირვებასა და უბედურებას ოსებს მიაწერდნენ, ამ უბედურებიდან გამოსავალს ქართველებს სამხრეთ ოსების საქართველოს ფარგლებიდან გადასახლებაში უსახავდნენ. მათ გარკვეული ნაბიჯებიც გადადგეს ამ მიმართულებით — ცხინვალ-ჯავის რაიონების ოსური მოსახლეობა გააძევეს ჩრდილო კავკასიაში, დანარჩენებს კი ყარაიაში უპირებდნენ გადასახლებას.

მაგრამ ოსი და ქართველი ხალხების თავგანწირულმა ბრძოლამ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, რასაც ისინი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ეწეოდნენ, იხსნა სამხრეთ ოსები გადაშენებისაგან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ჩრდილო ოსეთში, ხოლო შემდეგ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში მოხსნა ყოველგვარი ხელოვნური დაბრკოლება ამ ხალხთა კულტურული ურთიერთობის განვითარების გზაზე. ამიერიდან ეს ხალხები ერთად შრომობენ და ავითარებენ ფორმით ეროვნულსა და შინაარსით საერთო—სოციალისტურ კულტურას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი I. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XIX ს. რეფორმამდელ ხანაში 5

§ 1. ქართველი და ოსი ხალხების ერთობლივი გამოსვლები თვითმპყრობელობისა და მებატონეთა წინააღმდეგ 5

§ 2. ეკონომიური ურთიერთობა 12

§ 3. კულტურული ურთიერთობა 27

თ ა ვ ი II. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XIX ს. რეფორმის შემდგომ ხანაში (1864—1900 წწ.) 46

§ 1. ეკონომიური ურთიერთობა 46

§ 2. კულტურული ურთიერთობა 69

თ ა ვ ი III. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1901—1921 წწ. 95

§ 1. ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა 95

§ 2. ეკონომიური ურთიერთობა 133

§ 3. კულტურული ურთიერთობა 147

Георгий Давидович Тогошвили

ГРУЗИНО-ОСЕТИНСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ (1801—1921 гг.)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ზ. ანჩაბაძე

გამომცემლობის რედაქტორები { ელ. ფაღოსაძე
ნ. ბერძენიშვილი

ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი მ. მახარაძე

გადაეცა წარმოებას 22.9.1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.XII;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 10.38; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 9.30; უე 01412; ტირაჟი 1000; შეკვეთა 2437;
ფასი 79 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15